

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამის - ქართული ლიტერატურის
მიმართულების დოქტორანტის

იოსებ გიქოშვილის დისერტაცია თემაზე:

გიორგი შატბერაშვილის შემოქმედების პრობლემატიკა

თემის ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი,
ვახტანგ ინაური

ახალციხე 2019

ანოტაცია	-----	3
Annotation	-----	5
შესავალი	-----	7
თავი I. გიორგი შატბერაშვილის ცხოვრების გზა	-----	38
თავი II. გიორგი შატბერაშვილის პოეზიის ძირითადი ტენდენციები	-----	61
§ 1. გიორგი შატბერაშვილის პოეზიის ეროვნული ხასიათი	-----	69
§ 2. გიორგი შატბერაშვილის სატრფიალო ლირიკა	-----	82
§ 3. გიორგი შატბერაშვილის 1941-1945 წლების პოეზია	-----	94
§ 4. გიორგი შატბერაშვილის საყმაწვილო პოეზია	-----	98
§ 5. ბუნების მხატვრული გააზრება გიორგი შატბერაშვილის პოეზიაში	-----	105
§ 6. გიორგი შატბერაშვილის პოემა „ზაფხულის ღამის ქრონიკა“	-----	108
თავი III. გიორგი შატბერაშვილის მხატვრული პროზის სპეციფიკა	-----	118
§ 1. ისტორიული წარსული გიორგი შატბერაშვილის პროზაში	-----	122
§ 2. გიორგი შატბერაშვილის 1941-1945 წლების პროზა	-----	132
§ 3. გიორგი შატბერაშვილის 50-იანი წლების პროზა	-----	138
§ 4. გიორგი შატბერაშვილის საბავშვო პროზა	-----	148
§ 5. გიორგი შატბერაშვილის “მკვდრის მზე”	-----	157
თავი IV. გიორგი შატბერაშვილი – დრამატურგი	-----	181
თავი V. გიორგი შატბერაშვილი – ფოლკლორისტი და მკვლევარი	-----	189
დასკვნა	-----	202
გამოყენებული ლიტერატურა და საჟურნალო – საგაზეთო პუბლიკაციები	-----	212

I. ლიტერატურა -----	212
II. საჟურნალო პუბლიკაციები -----	216
III. საგაზეთო პუბლიკაციები-----	217

ანოტაცია

სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომი „გიორგი შატბერაშვილის შემოქმედების პრობლემატიკა“ წარმოადგენს მეოცე საუკუნის ქართველი მწერლის გიორგი შატბერაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების მონოგრაფიული შესწავლის პირველ ცდას.

შესავალში მოცემულია კვლევის მიზანი, თემის აქტუალობა, მეცნიერული სიახლე, კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები, ნაშრომის წყაროთმცოდნეობითი ბაზა, თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. მოკლედ მიმოხილულია მწერლის პოეზია, პროზა და გამოკვლევები. ყურადღება გამახვილებულია მწერლის შემოქმედების შესწავლის ისტორიაზე, იმ საგაზეთო და საჟურნალო პუბლიკაციებზე, რომლებშიც ზოგადააა წარმოჩენილი გიორგი შატბერაშვილის შემოქმედებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი.

პირველი თავი ეძღვნება გიორგი შატბერაშვილის ცხოვრების გზის შესწავლას, მისი საზოგადოებრივი საქმიანობის წარმოჩენასა და ღვაწლს. ყურადღება გამახვილებულია მწერლის მეუღლის ზეპირ გადმოცემებსა და მოგონებებზე.

მეორე თავში გაანალიზებულია გ.შატბერაშვილის პოეზიის ძირითადი ტენდენციები, მისი შემოქმედებითი თემატიკის მრავალფეროვნება. მოცემული თავი შედგება ექვსი პარაგრაფისგან (ქვეთავისგან). თითოეულ მათგანში გამოკვლეულია მწერლის პოეზიის ეროვნული ხასიათი, სატრფიალო ლირიკა, მეორე მსოფლიო ომის თემა, საყმანვილო პოეზია, ბუნების მხატვრული ასახვა. საგანგებო ქვეთავი ეძღვნება გიორგი შატბერაშვილის პოემის „ზაფხულის ღამის ქრონიკის“ შესწავლას.

მესამე თავში შესწავლილია გ.შატბერაშვილის მხატვრული პროზის სპეციფიკა. იგი მოიცავს ხუთ პარაგრაფს (ქვეთავს), რომლებშიც გამოკვლეული და შესწავლილია მწერლის არაერთი პროზაული ნაწარმოები. თემატურად მრავალფეროვან პროზაში მხატვრულად ასახულია ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსული, 1941-45 წლებისა და 50-იანი წლების პროზა, საბავშვო პროზა, ცალკე პარაგრაფში წარმოდგენილია გიორგი შატბერაშვილის ვრცელი მოთხრობის “მკვდრის მზის” ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი.

მეოთხე თავში განხილულია გიორგი შატბერაშვილის დრამატურგიული ნაწარმოებები - „ფიქრის გორა“, „რკინის პერანგი“, „უცნობი ქალი“ და „ძველი სახლი“. მოცემულ თავში წარმოჩენილია ის ღვაწლი, რომელიც მწერალმა გაიღო ქართული დრამატურგიის წინაშე.

მეხუთე თავი ეძღვნება გიორგი შატბერაშვილის ფოლკლორული ჩანაწერების ანალიზს. მწერალი ხშირად მიმართავდა ხალხურ სასაუბრო მეტყველებისთვის დამახასიათებელ დიალექტურ ფორმებს, განსაკუთრებით ქართლურ დიალექტს. მოცემულ თავში საგანგებო ადგილი უკავია მწერლის გამოკვლევების შესწავლას, ყურადღება დათმობილი აქვს მეცნიერული ღირებულების ნაშრომს „თვალადური ქართულის ჭაშნიკს“, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა.

Annotation

A doctoral – dissertational work „The problematic of G.Shatberashvili’s work” is dedicated to the life of the writer of 20th century and to the monographic studying of his work.

In the introduction, there is given the aim of the theme, actuality of the topic, its scientific newness, the basis of methodological and theoretic survey, its theoretic and practical meaning. In the introduction, poesy, prose and studies are briefly overviewed. The great attention is paid to the examining of the writer’s history of work. These publications are also important, where some issues that are connected to G.Shatberashvili’s work, are shown generally.

The first chapter is devoted to the studies of G.Shatberashvili’s way of life, it shows us the writer’s social work and his achievements of public value. The writer’s wife’s memories are also paid great attention.

The second chapter analyses G.Shatberashvili’s main tendencies of poetry and his work’s creative variety. The second chapter includes six paragraphs (sub-chapters). The national character of the writer’s work, love lyrics, childish poetry and artistic depiction of the nature, are examined in each one. And the special chapter is devoted to studying the poem of G.Shatberashvili „The summer Night Chronicle”.

The third chapter shows the specific of G.Shatberashvili’s artistic poetry. This part includes five paragraphs (sub-chapters). Many of the writer’s prosaic works and studies are examined. In this thematically rich work, the historic past of our country is shown creatively, for example

1941-45 war period. Childish prose and the prose of fiftieth. The story „The Sun Of The Dead” is specially discussed in separated paragraphs.

In the fourth chapter, G.Shatberashvili’s dramaturgical product is examined. „The Hill Of Thoughts”, „The Iron Shirt”, „The Unknown Woman”, and „An Old House”. The writer’s has the great achievement of Georgian dramaturgy and this is clearly shown in this paragraph.

The fifth chapter is devoted to the analysis of folkloric recordings of G.Shatberashvili’s work. The writer often uses such dialectic elements that are characterizing the Georgian folk speech. The main part in this chapter occupies the study of the writer’s research. I paid the greatest attention to the educational work that also has its scientific value. This work is „The Taste Of Georgian Tvaladuri” that hasn’t lost its importance until today.

შესავალი

მეოცე საუკუნის ოცდაათიანი წლების დამდეგს ქართულ მწერლობაში მოვიდა ახალი თაობა, რომლის ლიტერატურულ-ესთეტიკური გემოვნება და მსოფლმხედველობა ჩამოყალიბდა იმდროინდელ საბჭოთა სინამდვილეში. მრავალსაუკუნოვან ეროვნულ მწერლობას შემოუერთდნენ ხალასი ნიჭით დაჯილდოებული მხატვრული სიტყვის ოსტატნი, რომელთა შორის თავისი ორიგინალობით საპატიო ადგილი დაიკავა გიორგი შატბერაშვილმა. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა, ღრმაშინაარსიანი შემოქმედებითი სამყარო მაღალმოქალაქოებრივი პათოსითაა გამსჭვალული. გ.შატბერაშვილის შემოქმედების შესახებ დაწერილია ცალკეული წერილები, მაგრამ მისი მთლიანი ლიტერატურული მემკვიდრეობა ჯერჯერობით არ ქცეულა საგანგებო მეცნიერული შესწავლის საგნად, რაც ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი საქმეა მით უფრო, რომ გ.შატბერაშვილი გამორჩეული, ორიგინალური ხედვის შემოქმედია, მისი ლიტერატურული განსწავლულობა საკმაოდ ღრმაა, აზროვნების დიაპაზონი კი ფართო.

კვლევის მიზანი. საღისერტაცო ნაშრომის კვლევის მიზანს წარმოადგენს წარმოვაჩინოთ და გამოვიკვლიოთ გიორგი შატბერაშვილის ცხოვრების გზა, მხატვრული შემოქმედება, მისი ძირითადი ტენდენციები, პრობლემატიკა და თემატიკა. ნაშრომის მიზანია შევისწავლოთ მწერლის პოეზია, პროზა, დრამატურგია და გამოკვლევები. განვსაზღვროთ მწერლის შემოქმედებითი კონცეფცია, გავაანალიზოთ ის მხატვრული საკითხები, რომლებიც დღესაც ემოციურ ზეგავლენას ახდენს

მკითხველზე, ამაღლებს მის ინტელექტუალურ და ზნეობრივ მრწამსს. გიორგი შატბერაშვილის მხატვრული მემკვიდრეობის შესწავლის მიზნით, ნაშრომში განხილულია მწერლის ოთხტომეულში (1970-75 წლებში გამოცემული) შეტანილი პოეტური და პროზაული ნაწარმოებები, რომლებშიც ნათლად იკვეთება მათი ავტორის მაღალმხატვრული ოსტატობა და შემოქმედებითი სამყაროს სპეციფიკა.

თემის აქტუალობა. საკვლევი თემის აქტუალობას განსაზღვრავს ის, რომ გიორგი შატბერაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა დღემდე სრულყოფილად არაა შესწავლილი, არ ქცეულა იგი მეცნიერული კვლევის საგნად თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგადი ხასიათის პუბლიკაციებსა და ლიტერატურის კრიტიკოსთა მოსაზრებებს, რომლებიც ქვეყნდებოდა სხვადასხვა გამოცემებსა და ჟურნალ-გაზეთებში. გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან ქართულ მწერლობაში დამკვიდრებული პარტიული დიქტატი და ხელოვნურად შექმნილი იდეოლოგიური კრიტერიუმები ართულებდა გიორგი შატბერაშვილის (და არა მარტო შატბერაშვილის), როგორც რეპრესირებული მწერლის პოეზიისა და პროზის შესწავლასა და კვლევას. მისი შემოქმედების შესახებ მხოლოდ მოგვიანებით დაიწერა ცალკეული წერილები. გიორგი შატბერაშვილი საინტერესოა თანამედროვე ლიტერატურის ისტორიისთვის არა მარტო, როგორც რეპრესირებული შემოქმედი, არამედ როგორც მაღალმხატვრული ღირებულების ნაწარმოებთა ავტორი, ღრმად მოაზროვნე ლიტერატურული მოღვაწე, რომელსაც აქვს თავისი მხატვრულ-ესთეტიკური კონცეფცია, სამწერლო სტილი, სინამდვილის ასახვის თავისებური, სპეციფიკური ნარატივი, მეთოდი და ნოვაციები. ამ და სხვა ღირებულებათა გამო გიორგი შატბერაშვილი ღირსეულ ადგილს იკავებს XX საუკუნის უახლეს ქართულ მწერლობაში.

მეცნიერული სიახლე. გიორგი შატბერაშვილის შემოქმედების მონოგრაფიული გამოკვლევა ნაშრომის ძირითადი სიახლეა. მწერლობასა და ხელოვნებაზე საბჭოური

რეჟიმის ზენოლის პერიოდში, მწერლის შემოქმედებითი და იდეოლოგიური პოზიციის ობიექტური გააზრება, მისი რეპრესირების მიზეზების გარკვევა, კომუნისტური კრიტიკის აგრესია მწერლის შემოქმედების მიმართ, გარკვეულწილად ნოვაციურია თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში. პოსტსაბჭოურ ეპოქაში ჩვენი სადისერტაციო ნაშრომი გიორგი შატბერაშვილის შემოქმედების ობიექტური, მეცნიერული კვლევის პირველი ცდაა. მასში წარმოჩენილია მწერლის ლიტერატურული მოღვაწეობა გადასახლებაში და გადასახლების შემდეგ (1935-36 წლები). ნაშრომის მეცნიერული სიახლე განისაზღვრება იმითაც, რომ მასში მოცემულია გ. შატბერაშვილის ვრცელი მოთხრობის „მკვდრის მზის“ ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი, შესწავლილია მწერლის პოეტური მემკვიდრეობა, გამოვლენილია მისი მნიშვნელობა და ადგილი XX საუკუნის ქართულ პოეზიაში.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები. ნაშრომი ემყარება გიორგი შატბერაშვილის თითქმის ყველა გამოცემას, ძირითადად, ოთხტომეულში შეტანილ პოეტურ, პროზაულ და დრამატურგიულ თხზულებებს. დისერტაციაში განხილულია მწერლის გამოკვლევები, რომლებიც საშუალებას იძლევა გავეცნოთ, გავიაზროთ და გამოვიყენოთ მისი შემოქმედების კვლევისას. ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძვლად გამოყენებულია ლიტერატურის ცნობილი თეორეტიკოსებისა და ლიტერატურის ისტორიკოსების სახელმძღვანელო ნაშრომებში მოცემული ლიტერატურათმცოდნეობითი მასალა. კვლევისას გამოვიყენეთ შედარებითი მეთოდი (კომპარატივისტული), ანალიზის მეთოდი, მსჯელობა და სხვ. ნაშრომით ნათელი გახდება პარტიული დიქტატის ზენოლა მწერლობაზე, რომლის საუკეთესო მაჩვენებელია გიორგი შატბერაშვილის ცხოვრება და შემოქმედება, რაც თავის მხრივ, დისერტაციის თეორიულ ღირებულებასაც წარმოადგენს.

ნაშრომის წყაროთმცოდნეობითი ბაზა. გიორგი შატბერაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების პრობლემატიკის კვლევის დროს ყურადღება გავამახვილეთ იმ

გამოცემებსა და ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებზე, სადაც ყურადღებამისაქცევი მოსაზრებებია გამოთქმული ჩვენთვის საინტერესო საკითხების ირგვლივ. თავისთავად ეს ლიტერატურა, კერძოდ, ო.ჩხეიძის, ნ. აგიაშვილის, შ. აფხაიძის, აკ. ბაქრაძის, ნ. ღუმბაძის, ო. პაჭკორიას, ს. ცაიშვილის, რ. ჩხარტიშვილის, ვ. ჭელიძის, გ. ხუბაშვილის, ბ. არველაძის, რ.ჩხეიძისა და სხვათა კრიტიკული წერილები გიორგი შატბერაშვილის შემოქმედების შესწავლის წყაროთმცოდნეობითი ბაზის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელსაც დავეყრდენით და რომელიც დაგვეხმარა დასახული მიზნის მიღწევაში. უნდა აღვნიშნოთ, რომ დასახელებულ ავტორთა ზოგიერთი შეხედულება მხოლოდ ნაწილობრივ გავიზიარეთ, ზოგიერთის მიმართ კი გამოვთქვით საპირისპირო ხედვა.

საკვლევი თემის „გიორგი შატბერაშვილის შემოქმედების პრობლემატიკის“ მთავარ წყაროდ გამოყენებულია 1970-1975 წლებში გამოცემული მწერლის ოთხტომეული, რომელშიც თავმოყრილია პოეტური, პროზაული, დრამატურგიული თხზულებები, გამოკვლევები და ლიტერატურული ნარკვევები. სწორედ ამ ოთხტომეულმა საშუალება მოგვცა უფრო ახლოს გაგვეცნო და გაგვეაზრებინა გიორგი შატბერაშვილის შემოქმედებითი სამყარო. ნაშრომის წყაროთმცოდნეობით ბაზას წარმოადგენს თვით მწერლის მეუღლის (ნათელა ქეშელაშვილი) ზეპირი გადმოცემებიც, რომელიც პირადად ჩავიწერეთ აუდიო- დისკზე მასთან საუბრისას, იგი გიორგი შატბერაშვილის ცხოვრების გზის შესასწავლად მეტად ღირებულ მასალას წარმოადგენს. მიგვაჩნია, რომ მეუღლის ნაამბობმა მეტი დამაჯერებლობა შესძინა ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის სოლიდურ ნაწილს, განსაკუთრებით მწერლის ბიოგრაფიას.

საკვლევი საკითხის წარმატებით გადაწყვეტის მიზნით, გამოვიყენეთ გასული საუკუნის 50-იანი და 80-იანი წლების პერიოდიკა, კერძოდ, საგაზეთო და საჟურნალო პუბლიკაციები, სადაც სტატიების სახით გაანალიზებულია გიორგი შატბერაშვილის შემოქმედების ცალკეული ასპექტები. ძირითადი ყურადღება მივაპყარით ჟურნალებს „დროშასა“ და „მნათობს“, ხოლო გაზეთებიდან „ლიტერატურულ გაზეთსა“ და „ლიტერატურულ საქართველოს“. ნაშრომში გამოვიყენეთ შემდეგი საჟურნალო

პუბლიკაციები: ე. ქარელიშვილის „სიცოცხლე გრძელდება“, უერნ. „მნათობი“, 1980, №5; ც. ქაროსანიძის „კარგის საზღვარი არ არსებობს“, უერნ. „მნათობი“, 1980, №5; ა. ლვინიაშვილის „გიორგი შატბერაშვილის „მერცხლის ბუდის“ გამოცემის გამო“, უერნ. „მნათობი“, 1958, №9; ზ. შერაზადაშვილის „საჯილდაო ქვა“, უერნ. „დროშა“, 1953, №4; ს. ცაიშვილის „მადლი მშობლიური ენისა“, უერნ. „მნათობი“, 1985, №6; მ. ჭელიძის „მკვდრის მზის“ ფილოსოფიური საზრისი“, უერნ. „მნათობი“, 1990, №6 და გ. ხორგუაშვილის „მოგონებები გიორგი შატბერაშვილზე“, უერნ. „მნათობი“, 1990, №5.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნაშრომში ასევე გამოყენებულია საგაზეთო პუბლიკაციებიც: ირ. აბაშიძის „ჩვენი გიორგი“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1965, №17; ალ. ოშიაძის „მეგობრის ხსოვნას“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1965, №17; კ. ორაგველიძის „კულაკური ახალგაზრდობის დეკლარაცია“, გაზ. „ლიტერატურული გაზეთი“, 1935, №17; ნ. შამანაძის „აგიზიდავს დიდი ტვირთი“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1965, №17; დ. ხიმშიაშვილის „სანამ მოგონებები ბინდისფერია“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 2004, №21.

ჩვენ მიერ განხილული ლიტერატურულ - კრიტიკული და საჟურნალო-საგაზეთო პუბლიკაციებზე დაყრდნობით უნდა დავასკვნათ, რომ სრულფასოვნად შევისწავლეთ ქართველი მწერლის გიორგი შატბერაშვილის როგორც ცხოვრების გზა, ასევე მხატვრულ-შემოქმედებითი სამყარო. წარმოდგენილი სადოქტორო ნაშრომი „გიორგი შატბერაშვილის შემოქმედების პრობლემატიკა“ საინტერესო სიახლე იქნება დარგის სპეციალისტებისთვის, სტუდენტებისა და ზოგადად, ქართული ლიტერატურით დაინტერესებული მკითხველი საზოგადოებისთვის.

პრაქტიკული მნიშვნელობა. ნაშრომი დაეხმარება ლიტერატურის მკვლევრებს გიორგი შატბერაშვილის შემოქმედებაზე ობიექტური აზრის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. ასევე შესაძლებელია მისი სახელმძღვანელოდ გამოყენება ფილოლოგიის მიმართულების სტუდენტებისთვის XX საუკუნის უახლესი ქართული

მწერლობის ისტორიის კურსის გავლისას, სასემინარო და საბაკალავრო ნაშრომებზე მუშაობისას.

• • •

გიორგი შატბერაშვილი იყო პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, ფოლკლორულ და ლექსიკოლოგიურ საკითხთა მკვლევარი. მან ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლისთანავე მიიპყრო მკითხველი საზოგადოების ყურადღება, როგორც საინტერესო მხატვრული სიტყვისა და შინაარსის მქონე მწერალმა. გ. შატბერაშვილის შემოქმედებაში თანმიმდევრულად გაცხადდა ფაქტებისა და მოვლენებისადმი ობიექტური დამოკიდებულება, სინამდვილის მხატვრულად ასახვის თავისებურებები და რაც მთავარია, ორიგინალური პოეტური ხედვა. თუ გონების თვალს გადავაავლებთ იმ წლებს, როცა მომავალი მწერალი პირველ შემოქმედებით ნაბიჯებს დგამდა, როცა ქართულ ლიტერატურულ სამყაროს უკვე ამშვენებდა საუკეთესო მწერალთა მთელი დასი, დავრწმუნდებით, რომ საკუთარი ადგილის დამკვიდრება არ უნდა ყოფილიყო ადვილი ახალგაზრდა შემოქმედისთვის.

მეოცე საუკუნის სამოციანი წლების ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, მართალია, ეპიზოდურად, მაგრამ სამართლიანად აღინიშნა გიორგი შატბერაშვილის მხატვრული მემკვიდრეობის სრულფასოვნება. ესაა სიცოცხლის არსისა და სიყვარულის უძლეველობის გააზრება, ადამიანთა სულიერი სამყაროს ამოცნობა, ლტოლვა ბედნიერებისკენ, ზნეობრივი ამალღებისკენ. გიორგი შატბერაშვილი გულმოდგინედ აკვირდებოდა ცხოვრებას, თავისი იდეების განსახორციელებლად სწავლობდა მის მოვლენებს და იქიდან ირჩევდა მხოლოდ იმას, რაც უმთავრესი, ღირებული იყო. ამის გამო დაიმკვიდრა საზოგადოებრივ ცნობიერებაში გიორგი შატბერაშვილმა რეალისტი შემოქმედის სახელი. მწერალი სხვადასხვა დროს, სხვადასხვა გარემოში იღებდა ცხოვრებისთვის დამახასიათებელ ტიპურ სინამდვილეს, რომელსაც შემდეგ მხატვრული ფერებით გარდასახავდა. გიორგი შატბერაშვილმა ღირსეულად გააგრძელა ქართული მწერლობის ტრადიციები, ამას ნათელყოფს მისი სამწერლო ენა, მხატვრული სიტყვა. გ. შატბერაშვილის პირველივე თხზულებებში ჩანს ფრაზის სისადავე და აზრის ლაკონურობა. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ცდილობდა ნათელი, მაღალფარდოვნებას მოკლებული ქართულით ეწერა. მისთვის მხატვრული სიტყვა თვითმიზანი კი არაა, არამედ მასალაა მთავარი მიზნის მისაღწევად.

მხატვრული სიტყვის შესახებ არაერთხელ გამოითქვა საყურადღებო მოსაზრებები როგორც ქართულ, ისე უცხოენოვან სალიტერატურო კრიტიკაში. რუსი ესთეტიკოსის იური ბორევის აზრით, მხატვრული სიტყვა ლიტერატურული აზროვნებაა, „ლიტერატურული სახის მუდმივი სამშენებლო მასალაა. სახოვნებაა ჩადებული თვით ენის საფუძველში, რომელსაც ქმნის ხალხი“ (ბორევი, 1988 : 91.). მხატვრული სიტყვის წარმოშობა შესაძლებელია არა მარტო მწერლის შემოქმედებით პროცესში, არამედ ცოცხალი მეტყველების დროსაც, ადამიანთა შორის დიალოგების გზით. როგორც ჩანს, ეს მოსაზრება ჰქონდა მხედველობაში ლიტერატურის თეორეტიკოსს მიხეილ ბახტინს, როცა წერდა: „სიტყვა იბადება დიალოგში, როგორც მისი ცოცხლი

რეპლიკა, მისი ფორმირება ხდება დიალოგურ ურთიერთობაში სხვა სიტყვებთან” (ბახტინი, 1975 : 93).

გიორგი შატბერაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა გამოირჩევა სათქმელის გამჭვირვალობით, უბრალოებითა და ზომიერებით. მის შემოქმედებაში მკითხველი ძნელად აღმოაჩენს ბუნდოვან, ზერელე გამოთქმებს. მწერალს არ უყვარს და არ ცდილობს არაბუნებრივი, ხელოვნურად შექმნილი ფრაზებით თავი მოაწონოს მკითხველს. თემატური თვალსაზრისით საინტერესო გიორგი შატბერაშვილის მხატვრულ სამყაროში ყველაფერი ექვემდებარება მთავარ სათქმელს.

მწერლის პოეზიასა და პროზაში, მის ლიტერატურულ წერილებსა და დრამატურგიაში, ასევე გამოკვლევებში მნიშვნელოვანი გამოხატულება ჰპოვა ყოველივე იმან, რაც ახასიათებს ჩვენი ქვეყნის წარსულსა და აწმყოს, მის მომავალს. გ. შატბერაშვილმა ორგანულად დაუკავშირა საქართველოს ისტორიული წარსული თავის თანამედროვეობას. მწერალი ხოტბას ასხამს გმირ წინაპრებს, მათ გულოვნებასა და მამულისადმი სიყვარულს, თუმცა არასოდეს დაუკარგავს სიახლის შეგრძნება. იგი ეტრფოდა ახალ საქართველოს, ახალგაზრდა თაობას და იმედის თვალით შესცქეროდა მომავალს.

გიორგი შატბერაშვილის მხატვრულ შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ამაღლებულ სიყვარულს. მწერალმა ამ თემაზე შექმნილი მრავალი პოეტური და პროზაული ნიმუში დაგვიტოვა. სიყვარულის განცდით დაწერილ თხზულებებში მწერალი არ ღალატობს მგრძობიარე შემოქმედის თვისებებს და შეგვახსენებს, რომ სიყვარულის გარეშე ადამიანთა არსებობა აზრს დაკარგავს. იგი სიყვარულს კეთილი ნების ნიჭად აღიქვამს, რომელიც ადამიანებისთვის ღმერთს უბოძებია, ამიტომ უნდა მოუფრთხილდეთ მას და ამით მოუფრთხილდეთ სიცოცხლეს.

გიორგი შატბერაშვილის შემოქმედების ერთი საინტერესო მხარეა სიკვდილ-სიცოცხლის ანუ წუთისოფლის რაობისა და მისი მარადიულობის პრობლემა. კაცისა

და საწუთროს ურთიერთობის საკითხი, მისი გააზრება, მწერლის რამდენიმე ლექსსა და მოთხრობაში იკვეთება.

გიორგი შატბერაშვილმა მომავალ თაობას დაუტოვა უხვი ლიტერატურული მემკვიდრეობა (150-მდე ლექსი, ერთი პოემა, 15 თარგმნილი ლექსი, 45 მოთხრობა, 5 პიესა, 38 ლიტერატურული ნარკვევი და გამოკვლევა, ერთი ლექსიკონი), რომელიც ოცდაათი წლის მანძილზე შექმნა, თუმცა შედარებით ხანმოკლე სიცოცხლის გამო (გარდაიცვალა 55 წლის ასაკში), ბოლომდე ვერ მოახერხა ყველაფრის თქმა, ყველა ჩანაფიქრის ასრულება. მწერალი თითქოს, წინასწარ გრძნობდა საკუთარი ბედისწერის გარდაუვალობას და სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე წერდა: „სანამ დიდი სულიერი და ფიზიკური ტკივილების დრო დამიდგებოდეს მინდა მოვასწრო და ვთქვა იმის ნაწილი მაინც, რაც ჩემი მოვალეობაა... ეს დრო ალბათ, მალე დამიდგება. რომელ მოკვდავს არ დასდგომია ეს დრო, იჩქარე ყმანვილო!” (შატბერაშვილი, 1975 : 304).

გიორგი შატბერაშვილის მხატვრული შემოქმედება ობიექტურად შეაფასა მისმა თანამედროვე მკითხველმა საზოგადოებამ, შემდეგი დროის ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევრებმა. საყურადღებოა შოთა ძიძიგურის, გურამ ასათიანის, ზურაბ ჭუმბურიძის, ნიკა აგიაშვილის, სარგის ცაიშვილის, აკაკი ბაქრაძის, ოთარ ჩხეიძის, გიორგი ნატროშვილისა და ოტია პაჭკორიას გამოთქმული მოსაზრებები, მართებული შენიშვნები. მაგალითად, ნიკა აგიაშვილი მიმოიხილავს რა გიორგი შატბერაშვილის შემოქმედებას, წერს: „სიღინჯითა და აუჩქარებელი, თავდაჭერილი მანერითაა დაწერილი ბევრი მისი ნაწარმოები. ზოგჯერ მკითხველი მისთვის უჩვეულო სიტუაციებს რომ შეეჩხება, ღელავს, ჟრუანტელი უვლის, ხშირად აღტაცებულს ბალანი ეძაგრება და მთელ სხეულზე ბუსუსები აყრის. ხოლო მწერალი კვლავ დინჯად, თითქმის მდორედ განაგრძობს და წარმართავს თხრობას, თითქოს და გმირთა ვარამი და სიხარული მას არ ეხებოდეს” (აგიაშვილი, 1986 : 328). ამ შემთხვევაში ვერ დავეთანხმებით ნიკა აგიაშვილს, რადგან მწერალი არაა

გულგრილი თავისი გმირების მიმართ. პირიქით, ზოგჯერ თვითონ ერევა მათ ცხოვრებაში და მათი თავგადასავლის მონაწილე ხდება. ამის დასტურია მოთხრობა „მკვდრის მზე“. გიორგი შატბერაშვილის მხატვრული მემკვიდრეობის ზოგიერთი მხარე არაერთხელ მოქცეულა ქართული სალიტერატურო კრიტიკის ყურადღების ქვეშ. მის შემოქმედებას ზურაბ ჭუმბურიძე შემდეგნაირად ახასიათებს: „გიორგი შატბერაშვილი მრავალმხრივი შემოქმედი იყო: ქართველ მწერალთა უდიდესი ნაწილის მსგავსად, იმანაც შემოქმედებითი ცხოვრება ლექსებით დაიწყო, დაიწყო და არაერთი მარილიანი ლექსით გაამდიდრა ქართული პოეზია, წარმატებით სცადა კალამი აგრეთვე დრამატურგიაში, შექმნა ფრიალ ორიგინალური ლექსიკოგრაფიული ნაშრომი, მაგრამ ყველაზე დიდ წარმატებას კი პროზაში მიაღწია“ (ჭუმბურიძე, 1975 : 25).

საინტერესოა გურამ ასათიანის თვალსაზრისიც: „გიორგი შატბერაშვილს არ ეთაკილებოდა ქართული მწერლობის ჯარისკაცობა. ეს იცის ყველამ, ვისაც ამ იშვიათი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანის გვერდით უცხოვრია, ვისაც მისი სულის სიმაღლე უგრძობია და მისი რაინდული თავმდაბლობით მოხიბლულა“ (ასათიანი, 1983 : 243). გიორგი შატბერაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა, როგორც საინტერესო მოვლენა გასული საუკუნის ქართულ მწერლობაში, საგანგებო განსჯის საგნად იქცა სარგის ცაიშვილის წერილში „მადლი მშობლიური ენისა“, რომელშიც ვკითხულობთ: „გიორგი შატბერაშვილმა მრავალმხრივი, საგულისხმო მემკვიდრეობა დაუტოვა შთამომავლობას.

ჩინებულ პოეტს, ასევე ჩინებულ მოთხრობებისა და მხატვრული ნარკვევების ავტორს, თავისი წვლილი აქვს შეტანილი ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიაშიც. მწერლის მხატვრულ შემოქმედებას, მართლაც ღირსეულად უმშვენებს მხარს მისივე მშვენიერი გამოკვლევები ქართველი ხალხის სიტყვათშემოქმედების დიდ საიდუმლოზე ” (ცაიშვილი, 1986 : 193).

გიორგი შატბერაშვილმა წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრებით იცხოვრა, გადაიტანა რეპრესიები, განზრახ დამცირება ზოგიერთი თანამოკალმისა და ცრუკრიტიკოსებისგან, მაგრამ მაინც არასოდეს დაუკარგავს სიცოცხლისა და ადამიანებისადმი სიყვარული, მათდამი რწმენა, აკი ამბობდა კიდევ : „ძლიერია, ძლიერი ის ადამიანი, ვისაც ცხოვრება ვერ გააბოროტებს, ვისაც ცხოვრება გულს ვერ გაუტეხს და ვერ გაურყვნის” (შატბერაშვილი, 1975 : 297).

მან არა მარტო როგორც მწერალმა, არამედ როგორც პიროვნებამ, დადებითი მუხტი ჩადო თაობათა მორალური და ზნეობრივი ჩამოყალიბების რთულ პროცესში. იმდროინდელი საბჭოთა იდეოლოგიის დიქტატურის პერიოდში ეს მნიშვნელოვანი ფაქტორი წარმოადგენდა ადამიანების სულიერ საზრდოს. იგი მწერალთა იმ თაობის წარმომადგენელია, რომელმაც ეროვნულ ლიტერატურაში მიმდინარე პროცესები აღმავლობის ახალ საფეხურზე აიყვანა და ინდივიდუალურობა დაიმკვიდრა. ეპოქისთვის დამახასიათებელმა და გამორჩეულმა თავისებურებებმა, რომლებიც საუკეთესოდ გამოიკვეთა და ზედმინწევით აისახა გ. შატბერაშვილის მხატვრულ შემოქმედებაში, გამოიწვია დაინტერესება მის მიმართ, როგორც მწერლისა და როგორც პიროვნების. სწორედ, ამიტომ გახდა ჩვენთვის საინტერესო კვლევის საგნად გიორგი შატბერაშვილის ცხოვრება და მხატვრულ-ლიტერატურული მემკვიდრეობა.

საყურადღებოა, გიორგი შატბერაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლის ისტორია. ამ კუთხით, ქართული სამეცნიერო ლიტერატურა გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებამდე მხოლოდ სხვადასხვა მკვლევართა მიერ გამოქვეყნებული ეპიზოდური წერილებით დაკმაყოფილდა. წერილებში ზოგადადაა წარმოჩენილი გიორგი შატბერაშვილის შემოქმედების ცალკეული ასპექტები, განზოგადებულია სხვადასხვა საკითხები. ინტერესს იწვევს იმ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მოგონებები, რომლებსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდათ გიორგი შატბერაშვილთან. ისინი ობიექტურად აფასებენ მწერლის პიროვნულ

თვისებებს, მოგვიტოხრობენ ცხოვრებისეულ ეპიზოდებს, რითაც რამდენადმე ავსებენ ხარვეზს გ.შატერაშვილის ცხოვრებისა და განსაკუთრებით, შემოქმედების შესწავლის ისტორიაში. მწერლის შემოქმედების კვლევის ბოლოდროინდელი ყველაზე მსხვილმასშტაბიანი ნაშრომია თსუ პედაგოგის, ციალა სანიკიძის საკვალიფიკაციო თემა „მხატვრული სიტყვის მიმართება სალიტერატურო ენასთან გიორგი შატერაშვილის თხზულებათა მიხედვით“ (დაცულია 1987 წ. თსუ ფილოლოგიის დარგის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე; ი.გ.).

გიორგი შატერაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლა მეცნიერული თვალსაზრისით იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც მრავალმხრივია მისი მხატვრული მემკვიდრეობა. პოეტის, პროზაიკოსის, ლიტერატურული სამყაროს შესწავლისას გასაანალიზებელია თუ შემოქმედმა რა სიახლე შეიტანა ეროვნული მწერლობის ისტორიაში, რა სახის მემკვიდრეობა შესძინა ერის კულტურულ საგანძურს. ჩვენც სწორედ ამ მიმართულებით დავინტერესდით წინამდებარე ნაშრომში.

ქართულმა სალიტერატურო კრიტიკამ ფაქტობრივად, არ დატოვა ეროვნული მწერლობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში შეუსწავლელი, ნაკლებად თუ ბევრად ცნობილი მწერალი თავისი შემოქმედებითი ცხოვრებით. იყო შემთხვევები, როდესაც მეტი ყურადღება ეთმობოდა რომელიმე შემოქმედს, ხოლო ნაწილი ობიექტური განსჯის მიღმა რჩებოდა. ხდებოდა პირიქით, როცა სალიტერატურო კრიტიკა უსაფუძვლოდ, ღირებული ფასეულობების გარეშე წინ წამოსწევდა მცირე მხატვრული შესაძლებლობების მქონე მწერლებს. ჩვენი აზრით, ორივე შემთხვევას გარდა ნიჭისა, განსაზღვრავდა დროის ფაქტორიც. კრიტიკა ეპოქის მოთხოვნების შესაბამისად აზროვნებდა და მოქმედებდა, ვინაიდან განსხვავებული აზრი, თუნდაც ჭეშმარიტი, მიუღბელი იქნებოდა. საზოგადოების ესთეტიკური, ლიტერატურული გემოვნება განისაზღვრება არა მარტო კულტურული ტრადიციებით ან კულტურული ფასეულობის ძეგლებით, არამედ იმ დროითაც, როცა ხელოვანს უხდება ცხოვრება.

ხალხს, საზოგადოების ნაწილს თავისი საყვარელი მწერალი ჰყავს ამორჩეული და მის მხატვრულ სიტყვას ენდობა, იგი ხალხის შეფასებითაა ჭეშმარიტი ხელოვანი. მართებულად აზროვნებს რუსი პოეტი ნიკოლოზ ასეევი, როცა აღნიშნავს: „ მკითხველი ჩვეულებრივ პოულობს თავის პოეტს და თუ ეს მკითხველი დიდია, დიდია-პოეტიც, რომელიც ემსახურება მას” (ასეევი, 1990 : 49). ამდენად, ხელოვანის, მწერლის ობიექტური შემფასებელი დრო და საზოგადოებაა, თუმცა ასევე გასათვალისწინებელია საღი კრიტიკული აზროვნებაც.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საინტერესოა გიორგი შატბერაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლის ისტორია. საინტერესოა, რადგან მწერლისა და მისი შემოქმედების მიმართ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა აზრი და დამოკიდებულება ჰქონდათ ლიტერატურის ისტორიის მკვლევრებს . ამ შემთხვევაში დრომ და საზოგადოებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა და გიორგი შატბერაშვილის შემოქმედებას კუთვნილი ადგილი მიუჩინა ქართული მწერლობის ისტორიაში. დღეს, მისი მხატვრული მემკვიდრეობა სათანადოდაა დაფასებული, იგი ერთი ნაწილია მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის, კერძოდ, მეოცე საუკუნის უახლესი ლიტერატურის.

გიორგი შატბერაშვილმა თხუთმეტი წლის ასაკიდან დაიწყო ლექსების წერა და უკანასკნელ დღემდე ერთგულად ატარა ქართველი მწერლის სახელი. ოცდაორი წლისამ სერიოზულად მოიკიდა ფეხი ეროვნულ ლიტერატურაში, რაც გამოიხატა პირველი პოეტური კრებულის გამოცემით - „ლექსები”, 1932წ., ტფილისი.

გიორგი შატბერაშვილმა 30-იანი წლების დამდეგიდან დაიწყო ლექსების გამოქვეყნება პრესაში. გარდა საზოგადოებისა, მისი შემოქმედებითი წინსვლა მხედველობიდან არ გამორჩენია იმავე წლების ქართულ საბჭოთა კრიტიკას, როგორც ანტისაბჭოთა მწერალი. იმ უსამართლობამ, რომელსაც ზოგიერთი თანამოკალმე სჩადიოდა – ვანო წულიკიძე, იაკინთე ლისაშვილი, ნოე ზომლეთელი, პლატონ ქიქოძე და სხვები, მძიმე შედეგები მოუტანა გასული საუკუნის პირველი

ნახევრის მწერლობას, ათეულობით პროგრესულად მოაზროვნე მწერალსა და მათ შორის გიორგი შატბერაშვილს. იგი პოლიტიკური ბრალდებით დააპატიმრეს და ყაზახეთში გადაასახლეს. გიორგი შატბერაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობის ობიექტური შეფასება 40-იანი წლების ქართულ სალიტერატურო კრიტიკასაც გაუჭირდა. სამაგიეროდ, 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო მწერლის მხატვრული შემოქმედების მართალია გვიანი, მაგრამ სამართლიანი შეფასება.

60-იანი წლების დასაწყისში, მას შემდეგ, როცა დაიწერა და გამოქვეყნდა ვრცელი მოთხრობა „მკვდრის მზე“, გიორგი შატბერაშვილის შემოქმედების შესწავლა შედარებით აქტიურად წარიმართა. იმდროინდელ გამოცემებში იბეჭდებოდა წერილები, მოსაზრებები, რომელთა ავტორები ერთხმად აღიარებდნენ გიორგი შატბერაშვილის პოეზიისა და პროზის სრულყოფილებას, მისი წერის კულტურას, შემოქმედებით ინდივიდუალობას. 1959-65 წლებისთვის ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში გიორგი შატბერაშვილის შემოქმედება მართალია, ეპიზოდურად, მაგრამ, მაინც რამდენჯერმე იქცა განსჯის საგნად. მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ გამოქვეყნდა ზოგადი ხასიათის წერილები, რომელთაგან ერთ-ერთი პირველი იყო მწერალ შალვა აფხაიძის 1959 წელს გამოქვეყნებული „ადამიანთა კეთილშობილების მხატვარი“. შალვა აფხაიძე ნაშრომში მიუთითებს გიორგი შატბერაშვილის პროზის თავისებურებებზე, მისი თხრობის სტილზე. ავტორის ყურადღება რამდენიმე მოთხრობაზეა გამახვილებული და სათითაოდ მსჯელობს მათ შესახებ. შ.აფხაიძის აზრით, „გიორგი შატბერაშვილი იმ მწერალთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც ბეჭითად და თავგამოდებით მუშაობენ სიტყვაზე, იბრძვიან იმისთვის, რომ სიტყვას მისცენ მეტი გამომსახველობითი ძალა. გ. შატბერაშვილი თავისუფლად ფლობს სიტყვას, ლიტერატურულ და ხალხურ სამეტყველო ენას, კერძოდ, ქართლურ ენობრივ სინტაქსს, დიალექტს. იგი ხშირად მიმართავს ხალხური მეტყველების საუნჯეს, მაგრამ ყოველთვის დიდ დაკვირვებასა და ზომიერებას იჩენს,

როცა მას ახალი სიტყვები შემოაქვს, ეს სიტყვები შერწყმულია პერსონაჟის ბუნებრივ მეტყველებასთან და სიცოცხლის უფლებას იძენენ” (აფხაიძე, 1959 : 246).

გიორგი შატბერაშვილის მოთხრობა „მკვდრის მზე“ ეძღვნება მწერალ გიორგი ხუხაშვილის წერილი „მკვდრის მზე“, იგი გამოქვეყნდა 1962 წელს წიგნში - „მწერალი და დრო“. წერილში გაანალიზებულია „მკვდრის მზე“, რომელიც ითვლება გიორგი შატბერაშვილის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად. იგი თავისი არსით მრავალმხრივ საყურადღებო თხზულებაა, მისი წაკითხვა და გააზრება რამდენიმე კუთხითაა შესაძლებელი. გიორგი ხუხაშვილი შეეცადა აეხსნა მოთხრობის ძირითადი იდეა და განეზოგადებინა იქ დასმული პრობლემები. სწორედ გ.ხუხაშვილი იყო პირველთაგანი, ვინც შეეცადა ობიექტურად წარმოეჩინა გიორგი შატბერაშვილის მხატვრული ოსტატობა. გიორგი შატბერაშვილის შემოქმედების შესწავლისას, შეიძლება ითქვას, გ.ხუხაშვილმა ერთგვარი გამბედაობა გამოიჩინა, რადგან მოყოლებული ოცდაათიანი წლების მეორე ნახევრიდან, ვიდრე ორმოცდაათიანი წლების შუა ხნებამდე, გ.შატბერაშვილს ლიტერატურის ზოგიერთი კრიტიკოსი საგანგებოდ არიდებდა თავს, როგორც ერთ დროს, ანტისაბჭოურად განწყობილ და რეპრესირებულ მწერალს.

გიორგი შატბერაშვილის შემოქმედების შესწავლის აუცილებლობა დროის მოთხოვნად იქცა. საზოგადოებას აინტერესებდა სამოციანი წლების ეროვნულ მწერლობაში მიმდინარე პროცესები, დაიხვეწა და გაფართოვდა მკითხველის ესთეტიკური გემოვნება. მან კრიტიკისგან მოითხოვა ლიტერატურული მოვლენების საღად შეფასება, რათა უკეთესად გარკვეულიყო ამა თუ იმ მწერლის მხატვრულ სამყაროში. ამ ასპექტით, გიორგი შატბერაშვილის შემოქმედებასთან დაკავშირებით საინტერესოა სამოცდაათიანი წლებში სხვადასხვა მკვლევართა მიერ გამოქვეყნებული წერილები, შენიშვნები და მოსაზრებები.

გიორგი შატბერაშვილის პიროვნული თვისებები წარმოჩენილია მწერალ ვახტანგ ჭელიძის წერილში „ გიორგი შატბერაშვილი“, რომელიც 1970 წელსაა დაწერილი.

ვახტანგ ჭელიძის აზრით, გ.შატბერაშვილი ერთი შეხედვით თითქოს, გულჩათხრობილი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომელთან დაახლოება ძნელად იყო შესაძლებელი. ეს ერთი შეხედვით ჩანდა, თორემ სინამდვილეში ისევ ვ.ჭელიძის აზრით, გიორგი შატბერაშვილის გულში „მეგობრობის დაუშრეტელი ცეცხლი გიზგიზებდა, თითქოსდა გაულიმარ კაცს ისეთი მომხიბლავი ღიმილი აღმოაჩნდებოდა, რომ ამ ღიმილით თავის ახლობლებსა და მეგობრებსაც უადვილებდა ცხოვრებას” (ჭელიძე, 1975 : 203). გიორგი შატბერაშვილს უშუალო, მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა ახალგაზრდებთან. ისინი თავიანთი ცხოვრების ზოგიერთ საიდუმლოსაც გაანდობდნენ მას, მწერალიც გულწრფელად იზიარებდა მათ გულისტკივილს. ახალგაზრდებთან ურთიერთობაცაა აღწერილი ვ.ჭელიძის ზემოთ აღნიშნულ წერილში. კრიტიკოსის აზრით, „ახალგაზრდების სიყვარული იქიდან კი არ მომდინარეობს, რომ გიორგი შატბერაშვილი მრავალი წლის განმავლობაში საქართველოს მწერალთა კავშირის ახალგაზრდობის სექციას ხელმძღვანელობდა და ამდენად, სამსახურეობრივად იყო დაკავშირებული მათთან, არა, პირიქით, უფრო მართალი ის იქნება, თუ ვიტყვით, რომ სწორედ, ახალგაზრდობის განსაკუთრებული სიყვარულის გამო მიიწვიეს იგი მწერალთა კავშირში” (ჭელიძე, 1975 : 193). წერილში ასევე ხაზგასმულია გ.შატბერაშვილის დამოკიდებულება სალიტერატურო და სასაუბრო მეტყველებასთან, ვინაიდან, მშობლიურ ენაზე ზრუნვა მისი მოღვაწეობის ერთი მთავარი არსებითი ნიშანია.

გიორგი შატბერაშვილმა ცხოვრების საინტერესო გზა გაიარა. ამ გზაზე მწერალმა ბევრი მეგობარი შეიძინა. მას უხდებოდა ურთიერთობა არაერთ გამოჩენილ საზოგადო მოღვაწესთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია ურთიერთობა ქართველი საზოგადოებისთვის კარგად ცნობილ, მწერალ ოთარ ჩხეიძესთან და ის გარემოება, რომ გიორგი შატბერაშვილის თხზულებათა ოთხტომეულს ო.ჩხეიძის წინასიტყვაობა ერთვის, მრავლისმეტყველი ფაქტია. იგი მოკლე ანოტაციას, რომელშიც საუბარია მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობის ძირითად ასპექტებზე. ოთარ ჩხეიძე

მიმოიხილავს გ.შატბერაშვილის ლექსიკოლოგიურ ნაშრომს „თვალადური ქართულის ჭაშნიკს“ და მისი შექმნის ისტორიას. აქვე აღწერს თუ როგორ აგროვებდა მწერალი ხალხში გაბნულ, თითქმის მივიწყებულ სიტყვებს, გამოთქმებს, როგორ აკონინებდა და ეფერებოდა ცოცხალ არსებასავით თითოეულ მათგანს, რომლებსაც „მარგალიტებს“ ეძახდა. ოთარ ჩხეიძე შეეხო გ.შატბერაშვილის ლირიკასაც და აღნიშნა: „ლექსს გაენდობოდა, ლექსი გახლდათ სიმარტოვე მისი, ლექსი იყო სანყაო სინწოვებისა და წუთისოფელს ლექსით მიუწყავდა უწრფელეს გრძობასა, სიალაღესა, სინმინდესა“ (შატბერაშვილი, 1970:7). აქვე განხილულია პოემა „ზათხულის ღამის ქრონიკა“. ო.ჩხეიძის აზრით, მართალია, პოემაში გოგონას სიკვდილით გამოწვეული მწუხარებაა წინა პლანზე წამოწეული, მაგრამ, მაინც ნათლად იკვეთება მწერლის ოპტიმიზმი. განიხილავს რა იქვე ოთარ ჩხეიძე გიორგი შატბერაშვილის პროზას, პირველ რიგში, ანალიზებს „მკვდრის მზეს“, შემდეგ ზოგიერთ თხზულებას. მას არც მწერლის სამომავლო გეგმები გამორჩენია მხედველობიდან, თუმცა გულსტკივილით აღნიშნავს, რომ გ.შატბერაშვილს ბევრი ჩანათიქრი დარჩა განუხორციელებელი. ყველაზე დასანანი ის არის, რომ მწერალმა ვეღარ მოასწრო დაემთავრებინა რომანი „აბოს წამების ათი დღე“.

გიორგი შატბერაშვილის შემოქმედების, კერძოდ, პოეზიის ერთ ნაწილს მიმოიხილავს ქართული საბავშვო ლიტერატურის საკითხთა მკვლევარი ანა ღვინიაშვილი წიგნში „ნარკვევები ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიიდან“. ა. ღვინიაშვილის საგანგებო ყურადღება გამახვილებულია ლექსზე „ხილთა ქება“ (1948 წ.), რომლის შესახებ წერს: „ხილთა ქება გავრცელებული თემა იყო და არის. ამის მაჩვენებელია ჩვენი თანამედროვე პოეტების – სიმონ ჩიქოვანისა და გიორგი შატბერაშვილის ამ თემით დაინტერესება“ (ღვინიაშვილი 1972 : 205).

მეოცე საუკუნის 60-იანი წლების ქართულ მწერლობაში როგორც პოეზიაში, ისე პროზაში, განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ეთიკურმა პრობლემებმა, წინა პლანზე წამოიწია მორალურმა ასპექტებმა. ამ კუთხით, საყურადღებოა გიორგი

შატბერაშვილის „მკვდრის მზე“ (1959 წ.). მოთხრობა თავისებური ფსიქოლოგიური დრამაა, რომელშიც მძაფრი ფერებით ასახულია მამა-შვილის იდეური დაპირისპირების, შეიძლება ითქვას, თაობათა დაპირისპირების სურათები. თხზულების მთავარი იდეაა სიცოცხლისა და სიკვდილის რაობა, მათი ურთიერთობა, ადამიანად არსებობის აზრი.

„მკვდრის მზის“ შესახებ მოსაზრებას გამოთქვამს კრიტიკოსი გურამ კანკავა წერილში „ეთიკური პრობლემატიკა უკანასკნელი წლების ქართულ პროზაში“. ეს წერილი გიორგი შატბერაშვილის მხატვრული შემოქმედების შესწავლის ისტორიაში საინტერესო მოვლენაა. გურამ კანკავა წერს: „გ. შატბერაშვილის „მკვდრის მზე“ დაწერილია თავისებური მონუმენტურ-დეკორატიული სტილით და შემკულია ოდნავ თეატრალიზებული დეკორით. უნდა ითქვას ისიც, რომ ავტორი ნაწილობრივ იყენებს ტრადიციულ სადევგმრო ეპოსის ზოგიერთ ნორმასა და სიმბოლიკას. მაგრამ საინტერესო კომპოზიციური სტრუქტურა და აგერთვე დარბაისლური მეტყველება თუ ენის დახვეწილი ხელოვნება, ნაწარმოების ლიტერატურულ ღირსებას ზრდის და აფართოებს“ (კანკავა, 1972 : 45).

გიორგი შატბერაშვილის შემოქმედების ირგვლივ საგანგებოდ მსჯელობს მწერალი ოტია პაჭკორია წერილში „გიორგი შატბერაშვილი“, რომელიც დაწერილია 1973 წ. ო. პაჭკორიას აზრით, „მკვდრის მზისა“ და „ზათხელის ღამის ქრონიკის“ ავტორი მეოცე საუკუნის ქართველი მწერლებიდან ერთ-ერთი საუკეთესო შემოქმედი, მისი პოეზია და პროზა ყველა ასაკის მკითხველისთვის საინტერესო საკითხებს მოიცავს. ოტია პაჭკორია წიგნში „ხმა სინათლეა“ (1986 წ.) წერს: „გიორგი შატბერაშვილის პიროვნება და მწერლობა კიდევ ერთხელ ადასტურებს – კაცის ცხოვრების ისტორია არასოდეს არ უპირისპირდება მწერლის ცხოვრების ისტორიას, ანუ ადამიანის ბნეობრივი მრწამსი და ეთიკური კანონი ყოველთვის მოქმედებს იმ განწყენებულ გარემოში, ჩვეულებრივ, შემოქმედების იდუმალებით მოცულ სამყაროს რომ უწოდებენ“ (პაჭკორია, 1986 : 9).

გიორგი შატბერაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობის ანალიზი წლების განმავლობაში უფრო გამოიკვეთა. ამას ნათელყოფს გამოქვეყნებული წერილების სიუხვე, რომელთაგან აღსანიშნავია ზურაბ ჭუმბურიძის „მარილიანი სიტყვის ოსტატი“. ნაშრომი 1975 წელს დაიწერა და გამოქვეყნდა ორჯერ: პირველად იმავე წელს წიგნში „ლიტერატურული წერილები“, ხოლო მეორედ, ჟურნალში „მნათობი“ 1980 წელს (№5). მკვლევარი ზოგადად წარმოაჩინს გ.შატბერაშვილის შემოქმედებით პორტრეტს. წერილში აქცენტირებულია პოეზიისა და პროზის საკითხები, პოემა „ზაფხულის ღამის ქრონიკა“, მეცნიერული ღირებულების ნაშრომი „თვალადური ქართულის ჭაშნიკი“. ასევე მსჯელობის საგანია გიორგი შატბერაშვილის მეგობრული ურთიერთობა მწერალ გურამ რჩეულიშვილთან. სწორედ გიორგი შატბერაშვილმა, პირველმა შეამჩნია გურამ რჩეულიშვილის მხატვრული სიტყვის ძალა და მანვე გაუკაფა გზა ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე ქართული მწერლობისკენ. ზურაბ ჭუმბურიძე, გიორგი შატბერაშვილს ახასიათებს, როგორც პიროვნებასა და როგორც მოქალაქეს, ბოლოს კი შენიშნავს: „ჩემი თაობისა თუ უფრო ახალგაზრდა სხვა ლიტერატორებთან ერთად ბედმა მარგუნა საკმაოდ ახლო და გულითადი ურთიერთობა მქონოდა მასთან და მისი ზოგიერთი ნაშრომების შესახებაც გამომეთქვა ჩემი აზრი“ (ჭუმბურიძე, 1975 : 30).

1975 წელს კვლავ გამოქვეყნდა „ცისკრის“ ყოფილი რედაქტორის ვახტანგ ჭელიძის მეორე წერილი „თვალადური ქართული“. წერილში ავტორის ყურადღების ცენტრშია გ.შატბერაშვილის „თვალადური ქართულის ჭაშნიკი“, რომელიც ფორმით ლექსიკონს ჰგავს, მაგრამ ლექსიკონის ჩარჩოებში ვერ ეტევა, რადგან უფრო მეტია და საინტერესო. „ჭაშნიკის“ დაწერის ზუსტი თარიღი არაა ცნობილი, მწერალი თითქმის მთელი სიცოცხლე მუშაობდა მასზე. ”გიორგი შატბერაშვილის “თვალადური ქართულის ჭაშნიკი” – ნათქვამია ზემოთ აღნიშნულ წერილში, კიდევ ერთხელ ადასტურებს რა მრავალფეროვანი, ღრმა და ამოუწურავია ჩვენი ენა, კიდევ რამდენი

გულმოდგინე მუშაობაა საჭირო მისი საარაკო სიმდიდრის გამოსამზეურებლად, რა საშური და გადაუდებელია ეს საქმე” (ჭელიძე, 1989 : 155).

გიორგი შატბერაშვილი იყო არა მარტო პოეტი, პროზაიკოსი, არამედ საინტერესო გამოკვლევების ავტორიც. იგი დიდი მონდომებით მუშაობდა ლიტერატურათმცოდნეობის სხვადასხვა დარგში, ენათმეცნიერებაში, ისტორიოგრაფიასა და ფოლკლორისტიკაში. მწერალმა გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე ერთად მოუყარა თავი სხვადასხვა დროს დაწერილ გამოკვლევებს და 1959 წელს ერთ წიგნად გამოსცა, რომელსაც „ნაფიქრი” უწოდა. „წიგნს „ნაფიქრი” დავარქვი, - წერს გ.შატბერაშვილი, ცხადია, ყველაფერი, რაც ქალაქდზე გადაგვაქვს და ბევრი სხვაც, რაც თავში თუ გულში გვიტრიალებს, ფიქრის შედეგია, ნაფიქრია, ამიტომ ამ წიგნის სახელიც არაზუსტი და პირობითია, როცა წიგნს ამ სახელს ვარქმევდი, ვგულისხმობდი იმას, რაც მე მიფიქრია ჩემი ძირითადი საქმიანობის გვერდით” (შატბერაშვილი, 1959 : 3). „ნაფიქრში” მოთავსებული ზოგიერთი გამოკვლევა გაანალიზებულია სარგის ცაიშვილის წერილში „ფიქრისა და ძიების შედეგი”, რომელიც 1965 წელსაა დაწერილი გიორგი შატბერაშვილის გარდაცვალების დღეებში. მკვლევარმა გიორგი შატბერაშვილის მხატვრული მემკვიდრეობა ზოგადად მიმოიხილა 1985 წელს დაწერილ წერილშიც “მადლი მშობლიური ენისა”, იგი იმავე წელს ჟურნალმა “მნათობმა” გამოაქვეყნა (№6). სარგის ცაიშვილის წერილში „ფიქრისა და ძიების შედეგი”, ცალ-ცალკე განხილულია “ნაფიქრის” ორივე ნაწილი: “დღევანდელი” და ”გუშინდელი”. იგი საგანგებო ყურადღებას ამახვილებს ნარკვევებზე „წარმართული ხარება”, “კვირია – ცისკარი” და “ბალადა ქართველი მოყმისა და ყივჩაღისა”, რომლებშიც ნათლად იკვეთება გიორგი შატბერაშვილის კვლევის უნარი. სარგის ცაიშვილი წერილის ბოლოს მიუთითებს: “ქართული მწერლობისა და ლიტერატურათმცოდნეობის ბევრ სხვა საკითხებზე დავგაფიქრებს გ.შატბერაშვილის ეს წიგნი და მას სიამოვნებით წაიკითხავს ქართული სიტყვის ყველა მოყვარული” (ცაიშვილი, 1985 : 132).

გიორგი შატბერაშვილი დიდი მზრუნველი და მოამაგე იყო ქართული სიტყვის. თვითონ, როგორც შესანიშნავმა მოქართულემ, კარგად იცოდა საიდუმლო ჩვენი ეროვნული მწერლობის შესახებ, რომ თითოეული სიტყვა მომდინარეობს ხალხური სასაუბრო მეტყველებიდან. მისთვის ენა ცოცხალი ადამიანივითაა, რომელსაც სათუთი მოვლა-პატრონობა სჭირდება. გიორგი შატბერაშვილის ქართული ენისადმი მზრუნველობაზე მიუთითებს მწერალი და კრიტიკოსი გიორგი ნატროშვილი ნარკვევში “ყვავილის მინა”. როგორც ჩანს, ავტორს წერილის სათაურად შეურჩევია გ.შატბერაშვილის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი „ყვავილის მინა“ (1957 წ.). ნარკვევში მოკლედაა საუბარი იმ წვლილის შესახებ, რომელიც შეიტანა გ.შატბერაშვილმა ქართული ენის ლექსიკური მარაგის გამდიდრების საქმეში. მან ქართლის სოფლების უმეტესობა შემოიარა და ბევრი, დავიწყებას მიცემული სიტყვა აღმოაჩინა. გ.ნატროშვილი წერს: „გიორგის ამ კვლევა-ძიებას, სიტყვის ოსტატის ამ დაუცხრომელ, დაუღალავ მუშაობას ენის სფეროში, ჰქონდა პრინციპული მიზანი – ის სალიტერატურო ქართულის ამ ანკარა სათავეებს ეძებდა და კარგადაც იცოდა, რომ ეს სათავე ხალხშია, მის წიაღშია” (ნატროშვილი, 1978 : 85).

გიორგი შატბერაშვილის დამსახურებაა, რომ ქართულ სასაუბრო ენას დაუბრუნდა იშვიათად ხმარებული, საინტერესო გამოთქმები: უმძრახი წყალი, აცრით რწყვა, ბედის პური, მტევნის ხრიალი, წყალძვირობა, ანაგულისა, შეჯავახება (შერკინება) და სხვა მრავალი. გ.ნატროშვილი ნარკვევში „ყვავილის მინა“ აღწერს თუ როგორ მიაკვლია გ.შატბერაშვილმა სიტყვა „ხარებას“ და მის მნიშვნელობას.

1980 წელს აპრილში შესრულდა 70 წელი გიორგი შატბერაშვილის დაბადებიდან (1910-1965). ლიტერატურულმა საზოგადოებამ ღირსეულად აღნიშნა მწერლის საიუბილეო თარიღი. იუბილესთან დაკავშირებით, იმავე წელს უურნალმა „მნათობმა“ (№2) გამოაქვეყნა თინა კობალაძის წერილი „რაც დრო გადის“, რომელშიც საყურადღებო მოსაზრებებია გამოთქმული გიორგი შატბერაშვილის მხატვრული შემოქმედების შესახებ. გარდა ამისა, „მნათობმა“ 1980 წელსვე მე-6 ნომერში

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ცალკე განყოფილების სახით „გიორგი შატბერაშვილი 70“ დაბეჭდა რამდენიმე წერილი, კერძოდ, მწერალ ერემია ქარელიშვილის „სიცოცხლე გრძელდება“, ზურაბ ჭუმბურიძის „მარილიანი სიტყვის ოსტატი“ (ეს წერილი მანამდეც ჰქონდა ზ.ჭუმბურიძეს გამოქვეყნებული, 1975 წელს), მწერალ გიორგი ხუბაშვილის „მოგონებები გიორგი შატბერაშვილზე“ და ციალა ქაროსანიძის „კარგის საზღვარი არ არსებობს“. წერილებში საინტერესო მოგონებებია გაცოცხლებული, რომელიც გიორგი შატბერაშვილის ბიოგრაფიასა და შემოქმედებას უკავშირდება. აქ კიდევ ერთხელაა გახსენებული გარდასული დრო, მწერლის სიცოცხლის უკანასკნელი დღეები. გარდა ამისა, წერილთა ავტორები მიმოიხილავენ გ.შატბერაშვილის პროზას, სხვადასხვა გამოკვლევებს, „თვალადური ქართულის ჭაშნიკს“.

გიორგი შატბერაშვილი 1957-60 წლებში მუშაობდა ჟურნალ „ცისკარში“ (რედაქტორი, ვახტანგ ჭელიძე), მწერალი ჯერ პროზის სექციას განაგებდა, შემდეგ პოეზიის განყოფილებას. რედაქციაში მას ხშირად უხდებოდა ურთიერთობა ახალგაზრდა ლიტერატორებთან, რომელთაგან ბევრი შემდეგში ცნობილი პიროვნება გახდა. გიორგი შატბერაშვილმა განსაკუთრებით მაშინ შემოიკრიბა ახალგაზრდობა, როცა დააარსა რუბრიკა „ჭაშნიკი“. „ცისკარში“ მასთან ერთად გატარებულ წლებზე წერს კრიტიკოსი გურამ ასათიანი წერილში „გიორგი შატბერაშვილი“, რომელიც გამოქვეყნდა წიგნში „თანამდევნი სულები“ (1983 წელი). კრიტიკოსის აზრით, გ.შატბერაშვილი ადამიანებში სიმშვიდის უჩვეულო განცდას ბადებდა, იგი თავისი შემოქმედების ჭეშმარიტებაში ღრმად იყო დარწმუნებული. მას არაფერი გამოეპარებოდა მხედველობიდან, დღენიადაგ მომავალზე თიქრობდა. „სხვათა შორის, ის იყო პირველი ცნობილი ქართველი მწერალი, - წერს გ.ასათიანი, რომელმაც მე სერიოზულად გამიყადრა თავი, თავისი ახალი წიგნი „ა იმ მთაზედ“ მაჩუქა... ეს იყო კოლეგიალობის მეტად გამამხნეველელი ნიშანი და მე დღემდე მაღლიერი ვარ მისი“ (ასათიანი, 1983:242).

გიორგი შატბერაშვილთან ურთიერთობაზე მოგვითხრობს ნოდარ დუმბაძე წერილში “ნიჭი სიყვარულისა”. იგი იგონებს გარდასულ წლებს, სოფ.თვალაღს, აღწერს გიორგი შატბერაშვილისა და გურამ რჩეულიშვილის მეგობრობას. ნოდარ დუმბაძე წერილის დასასრულს გამოხატავს მეგობრის გარდაცვალებით გამოწვეულ გულიტკივილს და შენიშნავს: “მე ახლა თქვენი ”მკვდრის მზე” მიღევს მაგიდაზე და იმ საჯილდაო ქვასაც ვხედავ. რა მალლა აგიზიდავთ, ბატონო გიორგი, რა მალლა აგიზიდავთ, რამდენი უნდა იაროს კაცმა, რომ ჯერ მართო იმ საჯილდაო ქვასთან მივიდეს, მერე შეუდგეს და თქვენი გზა განაგრძოს? მე ახლა ვუცქერ იმ საჯილდაო ქვას, უზომოდ მძიმეს. ვუცქერ და ვნატრობ, მეც გადმომხედოს ზენამ და მომანიჭოს ყველაზე დიდი ნიჭი ქვეყანაზე, ნიჭი სიყვარულისა, რომელმაც ის საჯილდაო ქვა აგატანინათ იმ სიმაღლეზე” (დუმბაძე, 1984:187). ლიტერატურულ სამყაროში ინტერესი გიორგი შატბერაშვილის მხატვრული შემოქმედების მიმართ 80-იანი წლების მეორე ნახევრისთვის უფრო გაიზარდა. კრიტიკოსები ცდილობდნენ მწერლის თხზულებების ახლებურად გააზრებასა და შეფასებას. იმ დროის პერიოდულ გამოცემებსა და ცალკეულ წიგნებში გამოქვეყნებულ კრიტიკული ხასიათის გამოკვლევებში აღნიშნული იყო გ.შატბერაშვილის ღვანლი უახლესი ქართული მწერლობის განვითარებაში. საზოგადოებას, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობას, მიეცა საშუალება ახლოს გაეცნო „მკვდრის მზის” ავტორის მხატვრული ოსტატობა, შეეგრძნო მისი მაღლიანი ქართულით დაწერილი ლექსების, მოთხრობების მხატვრული ძალა.

საინტერესოა სარგის ცაიშვილის გამოქვეყნებული წერილები 1984 და 1985 წლებში. 1984 წელს მკვლევარმა გამოსცა წიგნი „ლიტერატურული ეტიუდები”, რომელშიც გიორგი შატბერაშვილის შემოქმედება ზოგადად მიმოიხილა წერილში „სახელი მისი ჰგიეს”. ასევე, საზოგადოების ინტერესი გამოიწვია ს.ცაიშვილის ახალმა, უფრო ვრცელმა წერილმა „მადლი მშობლიური ენისა” (გიორგი შატბერაშვილის შემოქმედებითი პორტრეტისათვის), რომელიც გამოქვეყნდა „მნათობში” 1985 წელს

(№6). ერთი წლის შემდეგ, 1986 წელს დასახელებული ნაშრომი ცალკე გამოკვლევის სახით შევიდა ს.ცაიშვილის წიგნში „წინამორბედი და თანამედროვენი“. მკვლევარმა წერილს ეპიგრაფად წაუმძღვარა იაკობ გოგებაშვილის გენიალური სიტყვები: „მხოლოდ დედა-ენა არის ენა გულისა, გრძნობისა. სხვა ენა აქ ყოვლად უძლურია. მხოლოდ დედა-ენაზედ შეიძლება ილოცოს ადამიანმა გულმხურვალედ“ (გოგებაშვილი, 1990:11). სარგის ცაიშვილმა იცოდა რა გ.შატბერაშვილის სიყვარული მშობლიური ენისადმი, მშვენივრად მიუსადაგა მის საქმიანობას დიდი მასწავლებლის სიტყვები. ს. ცაიშვილი მიმოიხილავს გიორგი შატბერაშვილის შემოქმედებით პორტრეტს, მსჯელობს მის პირველ შემოქმედებით ნაბიჯებზე. მკვლევარი საგანგებო ყურადღებას უთმობს გ.შატბერაშვილის პოემიის ზოგიერთ ასპექტს, თუმცა ძირითადი აქცენტი პროზაზეა გადატანილი. ს.ცაიშვილის დაინტერესება მოთხრობით „მკვდრის მზე“ ცალკე აღნიშვნის საგანია. მისი აზრით, თხზულებაში დასმული პრობლემა განსაკუთრებული მოვლენაა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ მწერლობაში. იგი წერს: „ადამიანი კიდევ ცოცხლობს და კიდევ კვდება ერთდროულად, ხოლო ჭეშმარიტი შემოქმედის თითქმის დაუძლეველი ამოცანაა ჩანვდეს ამ უღრმეს საიდუმლოს, აღნუსხოს სიკვდილ-სიცოცხლის ეს უწყვეტი მეტოქეობა“ (ცაიშვილი, 1985:135). „მკვდრის მზეში“ ხომ სწორედ, სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული მეტოქეობის პრობლემაა მთავარ საკითხად დასმული.

„ცისკარში“ გ.შატბერაშვილთან გატარებულ წლებს იგონებს მწერალი გივი გეგეჭკორი წერილში „სიკეთის ტოტი“, რომელიც შევიდა ამავე სახელწოდების წიგნში 1985 წელს. თვითონ წერილი 1981 წელსაა დაწერილი. „სიკეთის ტოტში“ აღწერილია გიორგი შატბერაშვილის ურთიერთობა რედაქციის თანამშრომლებთან, ახალგაზრდა მწერლებთან. „მისი სიღინჯე და დარბაისლობა, - წერს გ.გეგეჭკორი, მისი დამამშვიდებელი, კეთილი თვალები და ნათელი მზერა, მისი საუბრის მანერა წერილმანზე ამაღლებული ადამიანის აუმღვრეველობა, სიმშვიდით და უდრტვიწველობით თავის ურყევ სიმართლეში გარწმუნებდა... იგი ფრთხილობდა,

რომ არავისთვის ტყუილებრალოდ არ ეწყენინებინა და ამიტომ დიდი სიფრთხილე იყო საჭირო, რომ ტყუილებრალოდ მისთვისაც არც თქვენ გენწყენინებინათ. ასეა, ყველა ნამდვილ შემოქმედს ბავშვის სათუთი გული აქვს” (გეგეჭკორი, 1985 : 43). გ.გეგეჭკორის სიტყვები გარკვეულად ეხმიანება გ.შატბერაშვილის ცნობილ გამოხატუებას: „თუ გინდა კარგი მწერალი გახდე, ბავშვს უნდა დაემსგავსო. თუარტოდ უნდა გაახილო თვალები და ქვეყანას პირველშობილი ცნობისმოყვარეობით მიაშტერდე” (შატბერაშვილი, 1975:306). წერილში გივი გეგეჭკორი საინტერესო ცნობას გვანვდის გიორგი შატბერაშვილის ნათესაურ კავშირზე სახელოვან სარდალ გიორგი სააკაძესთან. კერძოდ, დიდი მოურავის მამიდა სოფ.ზემო ხანდაკში ყოფილა გათხოვილი გოგობედაშვილზე. გ.შატბერაშვილის დედაც – თამარი, გოგობედაშვილის ქალი იყო იმავე სოფლიდან. ამიტომ, გიორგი შატბერაშვილი გ. გეგეჭკორის აზრით, „რალაც წიბოთი სააკაძეების გვარს უკავშირდებოდა. იქნებ, სწორედ ეს არის დიდ წინაპართან მწერლის გარეგნული მსგავსების, განსაკუთრებით, ქრისტეფორე კასტელის ცნობილ ნახატთან მსგავსების მიზეზიც” (გეგეჭკორი. 1985:45).

გასული საუკუნის 80-იანი წლების ქართული სალიტერატურო კრიტიკიდან, ვინც შეეცადა ახლოს გაეცნო საზოგადოებისთვის გიორგი შატბერაშვილის შემოქმედების ზოგიერთი მხარე, ერთ-ერთი პირველია ნიკა აგიაშვილი თავისი ვრცელი წერილით „შატბერაანთ კარგი ბიჭი”, იგი დაიბეჭდა წიგნში „პირად-პირადი” (1986წ.). ნ.აგიაშვილი პირველ რიგში, აზრს გამოთქვამს „მკვდრის მზის” შესახებ. იგი მიიჩნევს, რომ მეოცე საუკუნის 60-70-იანი წლების ქართულ მწერლობაში „მკვდრის მზის” მსგავსი მოთხრობა არ დაწერილა, თუმცა თხზულების გამოქვეყნებას საზოგადოება ორაზროვნად შეხვდა. ნ.აგიაშვილი წერილში აღწერს გიორგი შატბერაშვილის ურთიერთობას „ახალგაზრდა კომუნისტის” რედაქციასთან, იმ წლებს, როცა ჯერ კიდევ უნივერსიტეტის სტუდენტი იწყებდა შემოქმედებით მოღვაწეობას. წერილში ასევე აღწერილია გ.შატბერაშვილის მეგობრული დამოკიდებულება თანამოკალმე

პოეტებთან – ირაკლი და გრიგოლ აბაშიძეებთან, ალექსანდრე გომიაშვილთან, რევამ მარგიანთან და სხვებთან. ნ.აგიაშვილი ნაშრომს ამთავრებს გ.შატბერაშვილის მოსაგონარი სიტყვებით და დასძენს: „ჩვენდა სავალალოდ, ისღა გვშთენია, მხოლოდ მოვიგონოთ ადრე წასული მეგობარი და მივმართოთ მას: “ჰაი, გიდი, შატბერაანთ კარგო ბიჭო, საყვარელო ჩვენო ძმაო გიორგი! რა უდროოდ მოწყდი და დაეკარგე შენს ოჯახს, შენს ტოლ-მეგობრებს, შენს ქვეყანას, რა მალე დასთმე შენი ტკბილი ცხოვრების საალავერდო!” (აგიაშვილი, 1986:330).

გიორგი შატბერაშვილი ის მწერალია, რომლის გამოსვლა შემოქმედებით ასპარეზზე მხედველობიდან არ გამორჩენია 30-იანი წლების საბჭოთა კრიტიკას. გ.შატბერაშვილი პარტიულმა კრიტიკამ აითვალწუნა და უსამართლოდ დევნიდა წლების განმავლობაში. მწერლის სანინაალმდეგოდ საბჭოთა პერიოდულ გამოცემებში („კომუნისტი” „ლიტერატურული გაზეთი”, ჟურ. „მნათობი”), ხშირად ქვეყნდებოდა მისი შემოქმედების დამამცირებელი წერილები, უსამართლო შენიშვნები. უფრო მეტიც, გიორგი შატბერაშვილი პოლიტიკური ბრალდებით დააპატიმრეს და გადაასახლეს, ხოლო დაბრუნების შემდეგ ერთხანს აუკრძალეს ლიტერატურული საქმიანობა. თუ რატომ აითვალწუნა საბჭოთა კრიტიკამ გიორგი შატბერაშვილი და რატომ დაატეხა თავს რისხვა უსაფუძვლოდ, ამას საგანგებოდ აღნიშნავს მწერალი - აკაკი ბაქრაძე წიგნში „მწერლობის მოთვინიერება”. აკ.ბაქრაძე ვრცლად მიმოიხილავს გ.შატბერაშვილის ლექსს „წერილი ახალგაზრდებს”, რომელიც თავის დროზე გახდა მისი დაპატიმრების ერთ-ერთი მიზეზი. საკითხის ობიექტურად გაანალიზების მიზნით, აკ. ბაქრაძეს მოჰყავს პარტიულ კრიტიკოსთა 30-40-იან წლებში გამოქვეყნებული წერილები. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია „კომუნისტსა” და „ლიტერატურულ გაზეთში” მოთავსებულ წერილებზე, რომლებშიც გამოვლენილია მათი ავტორების ანტიხალხურობა და ჭეშმარიტების უგულებელყოფა. აკაკი ბაქრაძემ ამხილა რა ცრუკრიტიკოსთა შეგნებული, წინასწარგანზრახული უსამართლობა, წერილის დასასრულს შენიშნა:

„დრომ გაამართლა ხალხური სიბრძნე - „წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო“. გ.შატბერაშვილის შემოქმედებამ დაიჭირა თავისი ადგილი ქართული მწერლობის ისტორიაში” (ბაქრაძე, 1990:145).

ირკვევა, რომ გიორგი შატბერაშვილის შემოქმედების შესწავლა დასაწყისშივე არაობიექტურად წარიმართა, რაც საბჭოთა ეპოქის ცხოვრების სინამდვილით იყო განპირობებული. არაჯანსაღი, ტენდენციური კრიტიკა ხელს უშლიდა ქართველ მკითხველს სწორად გარკვეულიყო არა მარტო გ.შატბერაშვილის შემოქმედებაში, არამედ იმ დროისთვის მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებშიც. მიუხედავად ხელოვნურად შექმნილი ბარიერებისა, საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა ბოლომდე შეინარჩუნა რწმენა ჭეშმარიტი შემოქმედების უკვდავების, მისი მარადიულობის. დრომ დაადასტურა გ. შატბერაშვილის მხატვრული მემკვიდრეობის სიცოცხლისუნარიანობა, მისი ორიგინალური ხასიათი და სრულყოფილი ბუნება.

გიორგი შატბერაშვილის შემოქმედების ანალიზი გასული საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში უკეთესობისკენ წარიმართა. ინტერესი მისი თხზულებების მიმართ უფრო გაიზარდა, მკითხველს კვლავ დააინტერესდა მოთხრობა „მკვდრის მზე“, რადგან ნაწარმოებში აღძრული პრობლემები ყველა დროისთვის იყო აქტუალური. თხზულების ძირითადი იდეური არსი გააზრებულია მკვლევარ მერი ჭელიძის წერილში „მკვდრის მზის“ ფილოსოფიური საზრისი”, რომელიც გამოქვეყნდა ურნ. „მნათობში“, 1990 წელს (№6). მ.ჭელიძის აზრით, „მკვდრის მზე“ მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთი საუკეთესო პროზაული ნაწარმოებია, რომელშიც გ. შატბერაშვილის მიერ მხატვრულადაა წარმოჩენილი ადამიანის ცხოვრების აზრი, პიროვნული თავისუფლება და პასუხისმგებლობა, ადამიანის შინაგანი გაორება სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირების ფონზე.

„მკვდრის მზეში“ საინტერესო მოვლენაა საჯილდაო ქვის ისტორია. მას სხვადასხვა დროის მკვლევრებმა სხვადასხვაგვარი ახსნა მოუძებნეს. მ.ჭელიძე თვლის, რომ გ.შატბერაშვილის საჯილდაო ლოდი სიმბოლოა ადამიანის

ცხოვრებასთან მარადიული მეტოქეობისა, სადაც მუღავნდება ადამიანის შინაგანი ბუნება. საჯილდაო ქვა გმირული სულის მქონე ადამიანების ბედისწერაა, იგი „ცხოვრების ის უდიდესი საზრისია, რომელთან ჭიდილში შეიძლება დამარცხდე, მაგრამ მასშია გამოსახული უპირველესი ცხოვრებისეული მიზანი“ (ჭელიძე, 1990:126). მჭელიძე წერილში ცალ-ცალკე წარმოაჩენს “მკვდის მზის” პერსონაჟთა სახე-ხასიათებს, მათ მებრძოლ სულს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ხიზამბარელისა და თენგო კობაიძის შემართებაზე. ისინი ცდილობენ საჯილდაო ქვის აწვეით გზა გაიკვლიონ ახალი ცხოვრებისკენ და გმირის სახელი დაიმკვიდრონ. მათთვის უცხოა ლაჩრული, სასომიხდილი სიცოცხლე და მოქმედებენ დევიზით: “სირცხვილ არს სიკვდილი” (ჭელიძე, 1990:127). მკვლევარს მიაჩნია, რომ გიორგი შატბერაშვილმა “მკვდრის მზეში” ასევე შესანიშნავად გაიაზრა და ახსნა საინტერესო პრობლემა – ადამიანად ყოფიერების არსი. იგი წერს: “ადამიანი უნდა იღვწოდეს არა ხანგრძლივი, არამედ სახელოვანი, ნაყოფიერი, ერისა და ხალხისთვის სიკეთის მომტანი ცხოვრებისათვის. ცხოვრების გმირი ის არის, ვისი სახელიც ნათელ სვეტად, გზის გამკვლევად რჩება მომავალი თაობებისთვის” (ჭელიძე, 1990:127).

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ გასული საუკუნის 30-იანი წლების საბჭოური კრიტიკის დამოკიდებულების შესახებ. აღნიშნულ თემას უბრუნდება და იმ დროის მოვლენებს ობიექტურად განსჯის მწერალი რევაზ ჩხარტიშვილი წიგნში “ქართული სალიტერატურო კრიტიკის უახლესი ისტორიიდან“. რ. ჩხარტიშვილის ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა გ. შატბერაშვილთან პროლეტმწერლებისა და საბჭოთა კრიტიკოსების დამოკიდებულებას. საერთოდ, პარტიულ კრიტიკას ევალებოდა არა მხატრული ნაწარმოებების იდეური ანალიზი, არამედ პარტიის დადგენილებების ძალდატანებით დანერგვა მწერლობაში და საჭიროების შემთხვევაში არასასურველ მწერალთა მკაცრად დასჯა. იმ სუსხიან წლებში დასასჯელთა მოძებნა რთული საქმე როდი იყო, მთავარია გამოეჩინათ მეტი პარტიული სიფხიბლე და ობიექტიც ჩქარა გამოინახებოდა. რევაზ ჩხარტიშვილი

მიიჩნევს, რომ ასევე იოლად, უმიზეზოდ გამონახეს ახალგაზრდა გიორგი შატბერაშვილი ცრუკრიტიკოსებმა თავიანთ სამიზნედ. მთავარი საბაზი იყო ე.წ. ანტისაბჭოური ლექსები „წერილი ახალგაზრდებს“ და „დასაწყისი განთიადისა“. ამ ლექსების გამოქვეყნების შემდეგ (1934 წ.) დაიწყო გ. შატბერაშვილის შემოქმედების დამამცირებელი წერილების ბეჭდვა იმდროინდელ პერიოდულ გამოცემებში. პირველად მწერალი და მისი ლექსი „წერილი ახალგაზრდებს“ გააკრიტიკა პარტიულმა ლიტერატორმა ვანო წულუკიძემ წერილში „სკეპტიციზმის შხამით მოწამლული“, იგი 1934 წ. აგვისტოში „სალიტერატურო გაზეთში“ გამოქვეყნდა. გიორგი შატბერაშვილი არც პარტიის პოლიტიკის ერთგულმა გამტარებელმა პლატონ ქიქოძემ დაინდო, რომელიც სწორედ, იმ ხანებში დაინიშნა „ლიტერატურული გაზეთის“ რედაქტორად (1934 წლის სექტემბრიდან „სალიტერატურო გაზეთს“ გამოცვალა სახელი და ეწოდა „ლიტერატურული გაზეთი“, ი.გ.). პ. ქიქოძეს პროლეტმწერალი კარლო მელაძე როდი ჩამორჩა და გამოაქვეყნა წერილი „ახალგაზრდა მწერლების იდეოლოგიური ჩავარდნები“. წერილში გიორგი შატბერაშვილი მიჩნეულია, როგორც კლასობრივი მტრების წარმომადგენელი. ამას მოჰყვა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილების გამგის კარლო ორაგველიძის წერილი „კულაკური ახალგაზრდობის დეკლარაცია“, რომელშიც ვკითხულობთ: „ეს ლექსები (საუბარია ლექსებზე „წერილი ახალგაზრდებს“ და „დასაწყისი განთიადისა“; ი.გ.). ნამდვილი ანტისაბჭოთა, კულაკურ-ფაშისტური ხასიათის ლექსებია, რომლებიც დაგმობილი უნდა იქნას ყოველი საბჭოთა მწერლის მიერ“ (ორაგველიძე, 1935:2). რევამ ჩხარტიშვილი აღნიშნავს, რომ გიორგი შატბერაშვილი საქართველოს იმდროინდელმა მწერალთა კავშირმაც მკაცრად გააკრიტიკა, განსაკუთრებით მისმა თავმჯდომარემ მალაქია ტოროშელიძემ. მან გამოაქვეყნა სტატია „მეტი სიფხიზლე“, რომელსაც ქვესათაურად დაურთო „შატბერაშვილის კულაკური ლექსების გამო“. სტატიის ავტორის აზრით, „წერილი ახალგაზრდებს“ და „დასაწყისი განთიადისა“,

მიეკუთვნებიან კულაკურ იდეოლოგიას, გამომხატველნი არიან ფაშისტურად განწყობილი ჯგუფისა” (ჩხარტიშვილი, 1993:249). წერილი გამოქვეყნდა 1935 წლის 12 თებერვალს „ლიტერატურულ გაზეთში“. ასე დაბეჭითებით იბრძოდნენ გიორგი შატბერაშვილის წინააღმდეგ პარტიული კრიტიკოსები და პროლეტმწერლები. ისინი ცდილობდნენ თვით მკითხველი საზოგადოება აემხედრებინათ პოეტის, ამასთან ნიჭიერი პოეტის წინააღმდეგ, რათა საბოლოოდ მოემზადებინათ ნიადაგი მისი რეპრესირებისთვის. კრიტიკოსი რ.ჩხარტიშვილი დასასრულს აღნიშნავს, რომ ცრულიტერატორთა უზნეო საქციელი არ უნდა ყოფილიყო მოულოდნელი გასული საკუნის 30-40-იანი წლებისთვის, რადგან ავი დროის გამო ისინი სხვანაირად ვერ მოიქცეოდნენ. „ჩემი აზრით, - წერს რევამ ჩხარტიშვილი, ასე იმიტომ ხდებოდა, რომ: ან ავინყდებოდათ ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს რომ წერდნენ, ან უბრალოდ, წერა არ იცოდნენ, ან კიდევ უბრალოდ, რას წერდნენ არ იცოდნენ” (ჩხარტიშვილი, 1993:251).

გიორგი შატბერაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლამ გვიჩვენა, რომ მასზე გავლენა მოუხდენია იმ იდეოლოგიურ ზეწოლას, რომლსაც ახორციელებდა საბჭოური კრიტიკა 30-იანი წლებიდან, ვიდრე 50-იანი წლების შუა ხნებამდე. კომუნისტური იდეოლოგიის არასწორმა, ტენდენციურმა მიდგომამ ქართული ლიტერატურისადმი, იმთავითვე შეაფერხა არა მარტო გ.შატბერაშვილის შემოქმედების ობიექტური შეფასება, არამედ სხვა მწერლების მხატვრული მემკვიდრეობის შესწავლის საქმეც.

გიორგი შატბერაშვილის შემოქმედების კვლევის ისტორიაში 80-იანი წლების სოლიდური ნაშრომია თსუ პედაგოგის ციალა სანიკიძის საკვალიფიკაციო თემა „მხატვრული სიტყვის მიმართება სალიტერატურო ენასთან გიორგი შატბერაშვილის თხზულებათა მიხედვით” (დაცულია 1987წ.). ნაშრომში კვლევის მთავარი ობიექტია გიორგი შატბერაშვილის მხატვრული ენა, რომელიც ენათმეცნიერების ახალი მიღწევების ფონზეა განხილული. დისერტაციაში დესკრიპტული (აღწერილობითი)

თვალსაზრისით შესწავლილია გ.შატერაშვილის თხზულებების ენობრივი თავისებურებები, მხატვრული ნაწარმოებისა და სალიტერატურო ენის ურთიერთდამოკიდებულება. ც.სანიკიძემ ზემოაღნიშნულ ნაშრომში სცადა დაედგინა ის საშუალებები და მეთოდები, რომელთა მეშვეობით გიორგი შატერაშვილი სიტყვას ანიჭებდა მხატვრულ-გამომსახველობით ძალას.

გიორგი შატერაშვილის მხატვრული ენის მიმართებას სალიტერატურო ენასთან შეეხო მკვლევარი თინათინ ღვინაძე, რომელმაც 2004 წლის 17 დეკემბერს არნ.ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტში ანა კალანდაძის დაბადებიდან 80 წლის იუბილესთან დაკავშირებულ 63-ე სამეცნიერო სესიაზე წაიკითხა მოხსენება „გიორგი შატერაშვილი და ქართული სალიტერატურო ენა“. მომხსენებლის აზრით, ნებისმიერი მწერლის მხატვრული ენისა და სალიტერატურო ენის ურთიერთდამოკიდებულება, ენათმეცნიერების კვლევის საგანგებო სფეროს წარმოადგენს. ამ ასპექტით, საინტერესოა, გ.შატერაშვილის მხატვრული ენის ურთიერთობა ქართულ სალიტერატურო ენასთან. მის შემოქმედებაში განსაკუთრებით აღსანიშნავია ლექსიკური და გრამატიკული ფორმების გამოყენების ხელოვნება, ლექსიკურ ერთეულთა გამოყენების მანერა.

საყოველთაოდაა ცნობილი გიორგი შატერაშვილის დამოკიდებულება, ცოცხალ სამეტყველო ენასთან, რომლის დასტურია „თვალადური ქართულის ჭაშნიკი“ და მწერლის ენობრივი დაკვირვებები ე.წ. „უბის წიგნაკიდან“. თინა ღვინაძე თვლის, რომ გ.შატერაშვილის „პროზის და პოემის ენა არის ნათელი დასტური იმისა, თუ როგორ იცნობს ავტორი დედაენის შესაძლებლობებს, როგორ იყენებს და ხშირად უკვდავყოფს კიდევაც მათ“ (ღვინაძე, 2004:56). მოხსენებაში ასევე განხილულია რამდენიმე ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ერთეული, რომელიც თანამედროვე სალიტერატურო ენაში გ.შატერაშვილის თხზულებათა ენიდან უნდა იყოს შემოსული და დამკვიდრებული.

როგორც ვხედავთ, გიორგი შატბერაშვილის ცხოვრებისა და ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლა - შეფასება თავდაპირველად, ვიდრე 60-იან წლებამდე, გასაგები მიზნების გამო ტენდენციურად წარიმართა. საინტერესოა შემდგომი დროის მკვლევართა დამოკიდებულება მწერლის შემოქმედებისადმი, რადგან მათ ერთმანეთისგან განსხვავებული მოსაზრებები ჰქონდათ. ლიტერატურის ისტორიის თითოეული მკვლევარი შეეცადა ობიექტურად შეეფასებინა გ.შატბერაშვილის საზოგადოებრივი და სამწერლო მოღვაწეობა. ისინი ერთხმად აღიარებდნენ „მკვდრის მზის“ ავტორის წერის ორიგინალურ სტილს, შემოქმედებითი თემის მრავალფეროვნებას, იდეური ჩანაფიქრის მხატვრული ოსტატობით ასახვას. უნდა აღინიშნოს, რომ ლიტერატურის კრიტიკოსებმა გიორგი შატბერაშვილის ბიოგრაფიის, მისი ცხოვრებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ ყურადღება მხოლოდ ცალკეულ წერილებში გაამახვილეს. ამ თვალსაზრისით, ძირითადად, ის მკვლევრები გამოიკვეთნენ, რომლებსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდათ მწერალთან. გ.შატბერაშვილის შემოქმედების მიმართ ქართულმა კრიტიკამ ინტერესი აქტიურად 1959 წლის შემდეგ გამოამჟღავნა, როცა გამოქვეყნდა ვრცელი მოთხრობა „მკვდრის მზე“. მოყოლებული იმ დღიდან, გ. შატბერაშვილის შემოქმედების, შესახებ ხშირად იწერებოდა წერილები და მოგონებები, რომელთა უმეტესობა ავტორებმა თავიანთ წიგნებში შეიტანეს, ხოლო ნაწილი პერიოდულ გამოცემებში გამოაქვეყნეს (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, ჟურნ. „ცისკარი“, „მნათობი“).

გიორგი შატბერაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლა 70-80-იან წლებშიც გაგრძელდა, თუმცა აქაც ეპიზოდურ მოვლენებს ჰქონდა ადგილი. კერძოდ, გამოქვეყნდა მხოლოდ ცალკეული მოსაზრებები კონკრეტული თხზულებების შესახებ ან მხატვრული შემოქმედების ზოგიერთი საკითხის ირგვლივ.

გ.შატბერაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლის დროს საგანგებო ყურადღება გავამახვილეთ იმ გამოცემებზე, რომლებშიც საუბარია ჩვენთვის საინტერესო საკითხების ირგვლივ. თავისთავად, ეს გამოცემები ჩვენი საკვლევი თემის

წყაროთმცოდნეობითი ბაზის ერთ ნაწილს წარმოადგენს, რომელიც დაგვეხმარა დასახული მიზნის მიღწევაში.

გიორგი შატბერაშვილი როდი იყო დიდად აღმატებული შემოქმედი, ვერც კლასიკოსებს გავუტოლებთ, მაგრამ უთუოდ ნიჭიერი მწერალი იყო და ჭეშმარიტი შემოქმედი. მისი ხანმოკლე ცხოვრება და მოღვაწეობა შთაგონებული იყო სამშობლოს სიყვარულით. მწერალი პოზიისა თუ პროზის უმაღლეს დანიშნულებაში მუდამ ეროვნულ სულისკვეთებას ჭვრეტდა. მას, როგორც გამჭრიახი გონების მქონე შემოქმედს, მუდამ ჰქონდა სათქმელი მკითხველისთვის, ამიტომ იყო, რომ ლიტერატურის თითქმის ყველა უხანში ცდიდა კალამს. გიორგი შატბერაშვილი ერთმანეთის პარალელურად წერდა ლექსებს, მოთხრობებს, პიესებს, საყმაწვილო თხზულებებს, ნარკვევებსა და ლიტერატურულ წერილებს. მწერალი ამავე დროს თარგმნიდა კიდევ რუსული ენიდან ქართულ ენაზე ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს.

თავი I

გიორგი შატბერაშვილის ცხოვრების გზა

შატბერაშვილთა გვარი ისტორიულ წყაროებში XVI საუკუნიდან იხსენიება. 1528 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ დოკუმენტში, რომელსაც „განჩინება“ ეწოდება, ვკითხულობთ: „დავსხედით ჩვენ ბარათაშვილთა სახლისა და მამულისა გასაყოფლად; თუით პატრონი მეფეთა მეფე დავით და პატრონი ლუარსაბ, ამილახორი თაყა, ციციშვილი მერაბ, ბარათიანნი იარალი და ორბელი, თურმანისძე როსტევიან, ტფილელი ანტონი... და შატბერაშვილი ბურნაშ-გუგუნასა, ქუმისა და გერმანოზისა... საქმისად გასაჩენლად“ (გვრიტიშვილი, 1995:132).

შატბერაშვილები წარმოშობით მესხეთიდან არიან. როგორც ჩანს, ისინი იძულებით აიყარნენ ძველი მინა-წყლიდან და შუა ქართლის სოფელებში გადასახლდნენ. ამ ფაქტის შესახებ საყურადღებო ცნობა მოგვანოდა გიორგი შატბერაშვილის მეუღლემ ქ-მა ნათელა ქეშელაშვილმა: „ჩემი მამამთილის, ივანე შატბერაშვილის ოჯახში ხშირად საუბრობდნენ, რომ ისინი სამხრეთ საქართველოდან, მესხეთიდან იყვნენ. შატბერაშვილებს დროთა განმავლობაში მიუტოვებიათ ეს მხარე და ქართლისკენ წამოსულან. ქართლში მოსულებს მოეწონათ დღევანდელი კავთისხევი და განიზრახეს აქ დარჩენა. ასე, რომ შატბერაშვილები დღეს მრავლად არიან კავთისხევში, თვალაღმა და სხვაგან. რაც შეეხება თარიღს, თუ რომელ საუკუნეში გადმოიხვეწნენ, სამწუხაროდ, ცნობილი არ არის“. მიუხედავად იმისა, რომ გიორგი შატბერაშვილს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ივანე ჯავახიშვილთან, პავლე ინგოროყვასთან და აკაკი შანიძესთან, რომლებსაც ხშირად ესაუბრებოდა თავისი გვარის ისტორიის შესახებ, მაინც ვერ დაუდგენია ზუსტი თარიღი მესხეთიდან გადმოსახლების თაობაზე.

შატბერაშვილთა გვარს წარსულში ბევრი სახელოვანი შვილი აღუზრდია, რომელთაგან განსაკუთრებით ცნობილი იყვნენ XIX საუკუნის მოღვაწენი, ძმები – ზებედე, ფილიპე და იოანე. სწორედ ეს იოანე იყო უშუალო წინაპარი – მამის პაპა, მომავალი მწერლისა. კავთისხეველი შატბერაშვილები და მათ შორის თვალადელები მატერიალურად შეძლებულნი ყოფილან: ჰქონდათ მიწის დიდი ფართობები, ტყე, სათიბ-საძოვრები, წისქვილები, კარის ეკლესია და საგვარეულო კოშკი ქვათახევის მონასტრის სიახლოვეს. სწორედ, ასეთმა ძლიერმა გვარმა მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობას მისცა მხატვრული სიტყვის ოსტატი - გიორგი შატბერაშვილი.

გიორგი ივანეს ძე შატბერაშვილი დაიბადა 1910 წლის 14 აპრილს, თბილისში, სათავადაზნაურო საკრებულოს ბიბლიოთეკარ-არქივარიუსის, ივანე რომანოზის ძე შატბერაშვილისა და თამარ გოგიბედაშვილის ოჯახში. გარდა მომავალი მწერლისა, მეუღლეებს კიდევ სამი შვილი ჰყავდათ - ორი ვაჟი და ერთი ასული. მშობლები-ივანე და თამარი შვილებითურთ თბილისში ცხოვრობდნენ, ხოლო ბებია და ბაბუა მუდმივად სოფ.თვალადში იყვნენ. დედ-მამას ბავშვები სოფელში ზაფხულის არდადეგებზე მიჰყავდათ და ფიზიკურ პრომას აჩვენებდნენ. მწერლის ბავშვობის საუკეთესო მოგონებები მუდამ სოფ. თვალადთან იყო დაკავშირებული. კრამიტით დახურული შატბერაშვილთა მამაპაპური სახლი, მდინარეების-კავთურასა და გუდალურას შესართავთან იდგა. პატარა გიორგი აქ ისმენდა დარბაისლურ ქართლურს, აქედან უმზერდა კატაურასა და ძლევის ქედებს, როგორც თავად იტყოდა, ხან „ღურღურა“ მცხუნვარე მზით გაჩახჩახებულსა და ხან თოვლით დაფარულს. ალბათ, ამიტომ ადრეულ ასაკიდანვე გამოჰყვა გიორგი შატბერაშვილს განსაკუთრებული მიდრეკილება მზისა და თოვლისადმი, რაც შემდეგ მისი შემოქმედების ერთ მნიშვნელოვან სახე-სიმბლოდ იქცა. თავად მწერალი სიკვდილამდე თბილისში ცხოვრობდა, ვერაზე, მაგრამ ერთი წუთითაც არ გაუნწყვეტია კავშირი სოფელთან, სადაც ბავშვობის წლები გაატარა და ის ფაქტი, რომ მომხიბლავი ქართულით ელვარებს გიორგი შატბერაშვილის

მრავალი ლექსი თუ მოთხრობა, მშობლიური კუთხის, სოფ.თვალადის დამსახურებასა. შემთხვევითი როდია, რომ მისი შემოქმედების უმეტესი ნაწილი, სწორედ მამაპაპურ ქართულ სოფელს დასტრიალებს თავს. “სოფელმა ბევრი რამ მომცა – წერდა მწერალი, შემაყვარა ხალხური ლექსი, ჯიშინი სიტყვა და თქმა, მათი შეგროვება და გამოყენება. სოფელშივე დამებადა კვლევის ინტერესი, სიტყვაზე დაკვირვების სურვილი” (შატბერაშვილი, 1964:17). სოფლად გატარებულმა წლებმა მწერალს მნიშვნელოვანი სამუშაო მასალა შესძინა, რომელიც შემდეგ მხატვრული ოსტატობით ასახა სხვადასხვა თხზულებაში. სოფელი გიორგი შატბერაშვილისთვის და მისი სამწერლო-სამოღვაწეო ასპარეზისთვის ერთ-ერთ მძლავრ სკოლად იქცა. იგი დამწყებ ლიტერატორებს ყოველთვის ურჩევდა, რომ სოფელს დაახლოებოდნენ, არ გაენწყიტათ მასთან კავშირი, შეესწავლათ ცოცხალი, სასაუბრო ენა: “სოფელში მუშაობით თითქოს ხელახლა უბრუნდები დედის მკერდს, ითვისებ და ინიადგებ იმას, რაც შემდეგ ძვირფას მასალად იქცევა” (შატბერაშვილი, 1964:7).

წერა-კითხვა პატარა გიორგის დედამ შეასწავლა სკოლაში შესვლამდე. იგი ფრიად განათლებული ქალი ყოფილა, მშვენივრად სცოდნია ქართული ლიტერატურა, ფოლკლორი, ჩვენი ქვეყნის ისტორია და ბავშვებსაც ცოდნის სიყვარულს უღვივებდა. თამარი შვილებს უფრო ხშირად „ქართლის ცხოვრებასა“ და „ვეფხისტყაოსანს“ უკითხავდა, უყვებოდა ზღაპრებსა და ლეგენდებს, ძველ თქმულებებს. მიუხედავად ყოველდღიური საზრუნავისა, დედისთვის მთავარი იყო შვილების აღზრდა. გიორგი შატბერაშვილს, როგორც მისი თხზულებებიდან ჩანს, დედის სახე უფრო ნათლად დაამახსოვრდა ვიდრე მამის, ალბათ, იმიტომ, რომ იგი მუდამ დედასთან იმყოფებოდა. აქვე გვინდა მოვიხმოთ მწერლის რამდენიმე მოგონება, რომელიც დედასთან აკავშირებს. ერთ-ერთ მოგონებაში ვკითხულობთ: “დედა – თამარ გოგიბედაშვილმა სკოლაში შესვლამდე შემასწავლა ანბანი. სხვა არის ქალის, დიასახლისის ენა, სხვა არის მამაკაცის, მამასახლისის ენა. დედა ოჯახის, ოთახის, ეზო-ყურის ენით გველაპარაკება” (შატბერაშვილი, 1975:300).

დამწყები მწერლის პირველ შემოქმედებით ნაბიჯებს დედა ადევნებდა თვალყურს. იგი იყო პირველი მკითხველი და მსაჯული შვილის მიერ დანერგილი ლექსებისა და მოთხრობების. დედა თავის შვილს ყოველთვის ჭეშმარიტებისკენ და სიკეთის ქმნისკენ მოუწოდებდა, აძლევდა სათანადო რჩევა-დარიგებებს. საგულისხმოა, რომ გიორგი შატბერაშვილმა სწორედ, დედის დახმარებით შეადგინა ლექსიკოლოგიური ნაშრომი “თვალადური ქართულის ჭაშნიკი.” მწერლის, როგორც პიროვნებისა და მოქალაქის ჩამოყალიბებაში დედასთან ერთად დიდი წვლილი მიუძღვის მამას, ივანე რომანოზის ძე შატბერაშვილს, იგი თავის საგვარეულოში ცნობილი ყოფილა კარგი განათლებით. მოგვიანებით, დედ-მამის სახეები გიორგი შატბერაშვილის მოთხრობებში მარადიულობის სიმბოლოდ იქცა.

1917 წელს 7 წლის გიორგი შატბერაშვილი მშობლებმა შეიყვანეს თბილისის 53-ე სკოლაში, რომელიც 1927 წელს დაამთავრა. ნიჭიერი და პრომისმოყვარე მოსწავლე შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მასწავლებლებს და მეცხრეკლასელ ბიჭს ლიტერატურული წრის ხელმძღვანელობა მიანდვეს. სწორედ, მაშინ გაირკვა, რომ ეს ბეჭითი ყმანვილი ლექსებს წერდა. სკოლის წლებსა და პირველ შემოქმედებით ნაბიჯებს უკვე ნახევარ საუკუნეს გადაცილებული მწერალი ყოველთვის გულთბილად იგონებდა: “მაშინ თხუთმეტი წლისა ვიყავი. შინ და სკოლაში უკვე “ცნობილი პოეტის” სახელი მქონდა, ჩემი პირველი ლექსი “აკაკის საფლავს”, სწორედ, იმ წელს დაიბეჭდა გაზეთ “მონათვის ხმაში” (შატბერაშვილი, 1975:54). საინტერესოა თვით ლექსის შექმნის ისტორია: 1925 წელს შესრულდა ათი წელი დიდი პოეტის – აკაკი წერეთლის გარდაცვალებიდან, ხოლო მისი საფლავი მთაწმინდაზე მოუწესრიგებელი იყო. ამის გამო საზოგადოებაში ატყდა მითქმა-მოთქმა, რომელსაც სკოლის მოსწავლე გიორგი შატბერაშვილის ხმაც შეუერთდა:

“ამხანაგებო, ავუგოთ ძეგლი
აკაკის საფლავსა,
თორემ ის დაგვეკარგება,

კლდის ღორღი წალეკს,

დაფლავსა!” (შატბერაშვილი, 1975:54).

ლექსის გამოქვეყნება აზრად არ მოსვლია ავტორს, მაგრამ მისმა მეგობარმა, მომავალში ცნობილმა ენათმეცნიერმა შოთა ძიძიგურმა, თვითონ წაულო ხელნაწერი ნინო ნაკაშიძეს, რომელიც “მონათვის ხმას” რედაქტორობდა. გულისხმიერმა რედაქტორმა ლექსი უახლოეს ნომერში დაბეჭდა. გარდა “აკაკის საფლავისა”, გიორგი შატბერაშვილს სკოლის ასაკშივე რამდენიმე ლექსი უძღვნია აკაკისთვის და აი, რატომ: “ხუთი წლისა ვიყავი როდესაც კუბოში მწოლიარე აკაკი წერეთელი ვნახე. მანამდე არც პოეტი მენახა და არც მიცვალეული. ამ ხილვამ ჩემს ხსოვნაში ყველაფერი წაშალა... კუბო მაღალ პოსტამენტზე იდგა, ხელში ამიყვანეს და ისე ჩამახედეს... ალბათ, ამ შთაბეჭდილებით, ბავშვობაშივე აკაკის რამდენიმე ლექსი მიუძღვნე” (შატბერაშვილი, 1964:5).

როგორც ჩანს, მცირე წარმატებამ დამწყებ პოეტს გააბედვინა ერთად მოეყარა თავი პირველი ლექსებისთვის და ხელნაწერი “წიგნი” შეედგინა. ლექსების შეფასება გიორგი შატბერაშვილის მშობლებმა სთხოვეს ოჯახის ახლობელს, გენერალ - გიორგი მაზნიაშვილს, რომელიც თავისი უმცროსი სესნიის ნათლია ყოფილა. გენერალმა თავის მხრივ, ლექსები მიუტანა მიხეილ ჯავახიშვილს. დიდმა პროზაიკოსმა ყოველივე პირუთვნელად განსაჯა და სათანადოდ დაასკვნა: “ნიჭი მოჩანს, მაგრამ ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი და მრავალი აქვს დასაძლევნი. ჯერჯერობით თავი დაანებოს ლექსების წერას და ისწავლოს, იშრომოს, შეისწავლოს პოეზია და მისი კანონები. ეს ლექსები ძველი ტექნიკით არის დანერგილი. ეხლა ასე აღარავინ წერს. თუ იბეჭითა, გაიმარჯვებს. ვინ იცის, შეიძლება პროზაში უფრო იმძლავროს. გულს ნუ გაიტეხს, ჯერ შრომა, შრომა და ისევ შრომა” (შატბერაშვილი, 1975:59). მიხეილ ჯავახიშვილის შეფასებამ ჩაათვიქრა დამწყები პოეტი, მან ლექსების ნაწილი გადააკეთა, ხოლო ნაწილი საერთოდ გაანადგურა. რაც შეეხება ჯავახიშვილისეულ დასკვნას, გიორგი შატბერაშვილი წლების განმავლობაში

ინახავდა, როგორც ძვირფას საჩუქარს. „ამ დასკვნის დახვევა არ შეიძლებოდა – წერდა მწერალი მოგვიანებით, ვგრძნობდი და ვინახავდი, არ დავხიე, ვუფროთხილდებოდი როგორც ძვირფას სახსოვარს, მაშინაც კი, როცა ამ გახუნებულ ფურცელზე მეტად საჭირო და მნიშვნელოვანი არერთი ქალაქი იხეოდა საქართველოში” (შატბერაშვილი, 1975:60).

საშუალო სკოლა გიორგი შატბერაშვილმა 1927 წელს დაამთავრა და სწავლა გააგრძელა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტზე, მაგრამ იტორიამ უფრო გაიტაცა და უნივერსიტეტი 1932 წელს, ისტორიკოსის დიპლომით დაამთავრა. სტუდენტი გ. შატბერაშვილი გულმოდგინედ ეუფლებოდა ცოდნას, ყურადღებით ისმენდა ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ყაუხჩიშვილის, შალვა ამირანაშვილისა და სიმონ ხუნდაძის ლექციებს. ცოდნის შეძენის დიდი სურვილით გამსჭვალული წერდა: „სხვას რომ ასწავლო, უნდა იცოდე. ამიტომ, სტუდენტობის წლებში ელვისებურად ათვისებულს საფუძვლიანად ვსწავლობდი” (შატბერაშვილი, 1964:6). სტუდენტობის წლები განსაკუთრებით გამორჩეულია გიორგი შატბერაშვილის ცხოვრებაში, რადგან მაშინ დაიწყო შემოქმედებითი მოღვაწეობა. მომავალმა მწერალმა სტუდენტობის დროს მიაკითხა „ახალგაზრდა კომუნისტის” რედაქციასთან არსებულ მწერალთა წრეს და იქ მოღვაწე ლიტერატორების თანადგომით აქტიურად ჩაება შემოქმედებით საქმიანობაში. მან „ახალგაზრდა კომუნისტს” მაშინვე უძღვნა რამდენიმე ლექსი, რომელთაგან იდეური არსით საყურადღებოა „ავიტატორი”. სტუდენტობის წლებს, უნივერსიტეტსა და ურთიერთობებს დამწყებ თანამოკალმეებთან მწერალი ხშირად იგონებდა. გიორგი შატბერაშვილის პოეტური თუ პროზაული მონიჭულობის ხანა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ყოფისა და ლიტერატურული ცხოვრების მეტად მკაცრ პერიოდს დაემთხვა. კომუნისტურმა იდეოლოგიამ თავისუფალი აზროვნება მკაცრ ჩარჩოებში მოაქცია. ამდენად, ახალგაზრდა შემოქმედისთვის, მით უფრო ორიგინალური მსოფლმხედველობის მქონე დამწყები ლიტერატორისთვის, ასეთ დროს სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა თავისთავად ძნელი საქმე უნდა ყოფილიყო. მიუხედავად ამისა,

გიორგი შატბერაშვილმა, როდესაც დაამთავრა უნივერსტეტი 1932 წელს, აქტიურად შეუდგა ლიტერატურულ საქმიანობას. მწერლის შემოქმედებითი გზა ფაქტობრივად, ამ წელს დაიწყო, რომელმაც თანდათან სრულყოფილი სახე მიიღო. მისი წარმატებული მუშაობა ლიტერატურულ სფეროში იმით აღინიშნა, რომ 1932 წელს დაწერა ვრცელი ლექსი „წერილი ახალგაზრდებს“ და შემდეგ კალამი დრამატურგიაშიც სცადა. გ.შატბერაშვილმა სწორედ, იმ ხანებში შექმნა პიესა „დუშმანი“, რომელშიც აღწერილი იყო მეოცე საუკუნის ოცდაათიანი წლების ქართულ სოფელში მიმდინარე სოციალურ გარდაქმნათა რთული კოლიზიები და ბოლოს, 1932 წელი იმითაც გამოიკვეთა გ.შატბერაშვილის ბიოგრაფიაში, რომ სრულიად ახალგაზრდამ, 22 წლის ასაკში გამოსცა პირველი პოეტური კრებული „ლექსები“: „მალე ჩემი პირველი წიგნაკიც გამოიცა. როგორც იტყვიან, ლექსებში ვერ დავეტიე და თავი დრამატურგიაშიც ვცადე. ერთი ამოსუნთქვით, ლექსივით სწრაფად დავწერე პიესა „დუშმანი“... ეს პიესა ჩემი პირველი მოზრდილი ნაწარმოები იყო. პირველი პიესის იმ თეატრში დადგამამ, რომელსაც დიდი რეჟისორი სანდრო ახმეტელი ხელმძღვანელობდა, წამახალისა. ამ დროსვე ეკუთვნის ჩემი რამდენიმე ლექსი, რომელთაც ახლაც არ ვთვლი დაკარგულად. მაშინ თავს საკმაოდ მონიფებულად ვგრძნობდი, კარგი გეგმებიც მქონდა, მაგრამ... პირველი ლიტერატურული ცდების შემდეგ დადგა ათი წელი ღუმილისა, (1935-1944). ამ ხნის განმავლობაში აღარაფერი გამომიქვეყნებია, სოფლის მასწავლებლად ვმუშაობდი” (შატბერაშვილი, 1964:6).

ახალგაზრდა შემოქმედს სამომავლოდ განსაკუთრებული გეგმები ჰქონდა ჩათვიქრებული, თუმცა მათი განხორციელება დროებით ვერ მოხერხდა, როგორც თავად შენიშნავს, ჩამოვარდნილა „ღუმილის ათი წელი“. 1935 წლიდან გ.შატბერაშვილის ლიტერატურული მოღვაწეობა საგრძნობლად შეფერხდა, რომლის მთავარი მიზეზი მდგომარეობდა შემდეგში: გიორგი შატბერაშვილი იყო მწერალი, რომელმაც შემოქმედებითი მოღვაწეობა დაიწყო მძაფრი კომუნისტური რეჟიმის დროს. მან რეალობიდან გამომდინარე, სოციალისტურ სამშობლოს რამდენიმე

ლექსი უძღვნა („აგიტატორი“, „კომკავშირი“), თუმცა პარტიულ ხელისუფალთა გულისწყრომა მაინც დაიმსახურა იმ მოტივით, რომ 1932 წელს დაწერილი ლექსი „წერილი ახალგაზრდებს“ და პიესა „დუშმანი“ ანტისაბჭოურ ნაწარმოებებად მიიჩნის. „წერილი ახალგაზრდებს“ პირველად გამოქვეყნდა 1934 წლის 24 ივლისს „სალიტერატურო გაზეთში“ და მაშინვე ავტორთან ერთად კრიტიკოსთა თავდასხმის ობიექტად იქცა. კრიტიკა ამით არ დაკმაყოფილდა და გ.შატერაშვილის მიერ იმავე წელს „მნათობში“ (№9; გვ. 80-81) გამოქვეყნებული ლექსი „დასაწყისი განთიადისა“, რომელიც ეძღვნება ქაქუცა (ქაიხოსრო) ჩოლოყაშვილის ასულს - თამარ ჩოლოყაშვილს, დაიწუნეს. მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა „დუშმანის“ წარმოდგენამ. კერძოდ, პიესა გ. შატერაშვილმა მიუტანა დიდ რეჟისორს სანდრო ახმეტელს, რომელმაც გადაწყვიტა მისი დადგმა. 1933 წლის 31 დეკემბერს „დუშმანი“ დაიდგა რუსთაველის თეატრის სცენაზე შალვა აღსაბაძის ხელმძღვანელობით. სპექტაკლი მუსიკალურად გააფორმა კომპოზიტორმა - იონა ტუსკიამ, ხოლო მხატვარი იყო გიორგი სიღამონ-ერისთავი. მიუხედავად იმისა, რომ პიესამ საზოგადოების მონონება დაიმსახურა, კრიტიკოსთა მხრიდან კვლავ წამოვიდა უკმაყოფილო ხმები. მათი აზრით, გიორგი შატერაშვილი ე.წ. კულაკური ოჯახიდან იყო, რომ იგი ანტისაბჭოთა მწერალია, კლასობრივი მტერი, ვინც მავნე შეხედულებებს ავრცელებდა საზოგადოებაში. ყოველივე ამას დაუმატეს საბჭოთა ხელისუფლებისთვის არასასურველ სანდრო ახმეტელთან ურთიერთობა, რამაც საბოლოოდ განსაზღვრა ახალგაზრდა (25 წლის), იმედის მომცემი პოეტისა და დრამატურგის ბედი: იგი 1935 წლის 27 თებერვალს დააპატიმრეს, 3 მარტს საქართველოს მწერალთა კავშირიდან გარიცხეს და პოლიტიკური ბრალდებით ყაზახეთში, ალმა-ათაში გადაასახლეს. შვილის გადასახლებით შეწუხებულმა ივანე შატერაშვილმა დახმარება სთხოვა თავის მეზობელს, ალექსანდრე (საშა) მონასელიძეს, ვინაიდან, იგი სტალინის ამხანაგი იყო გორის სასულიერო სემინარიიდან და ქვისლიც. სტალინის პირველი მეუღლე – ეკატერინე სვანიძე და

საშა მონასელიძის მეუღლე, დები იყვნენ. გიორგი შატბერაშვილის მშობლებსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდათ მონასელიძეთა ოჯახთან და მათი თანადგომით სურდათ გადასახლებული შვილის გათავისუფლება. ალექსანდრეს მეუღლემ გულთან ახლოს მიიტანა ივანეს თხოვნა და უეჭველი დახმარება აღუთქვა. ამის შემდეგ, არ გასულა დიდი დრო და გიორგი შატბერაშვილი იმავე ხელისუფლებამ გაათავისუფლა 1936 წლის მაისში, რომელმაც უსაფუძვლოდ დააპატიმრა ერთი წლის წინ. გ.შატბერაშვილი სამშობლოში დააბრუნეს, მაგრამ მისი დევნა-შევიწროება ერთხანს მაინც გაგრძელდა. ხელისუფლებამ მწერალს არ მისცა უფლება ეცხოვრა თბილისში, ამიტომ 1937-44 წლებში სოფ.თვალადაში ცხოვრობდა მშობლებთან ერთად. ასევე არ მისცეს უფლება ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლის, აუკრძალეს ბეჭდვა, მნიშვნელოვან კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობა. კვლავ არ წყდებოდა მწერლის მხატვრული შემოქმედების დამამცირებელი წერილების გამოქვეყნება. მაგალითად, 1938 წლის „მნათობში“ (№1) დაიბეჭდა პარტიული კრიტიკოსის პლატონ ქიქოძის წერილი „ქართული მწერლობის ერთი წელი“, სადაც გ.შატბერაშვილი და მისი ლექსი „წერილი ახალგაზრდებს“ უსამართლოდ იყო გაკრიტიკებული. პლატონ ქიქოძეს არ მოსწონდა ლექსის იდეური არსი და მას ანტისაბჭოურად მიიჩნევდა. მიუხედავად მძიმე პირობებისა და აუტანელი პოლიტიკური გარემოსი, რომელსაც გიორგი შატბერაშვილმა „დუმილის ათი წელი“ უწოდა (1935-44), თავს, მაინც მხნედ გრძნობდა, წერდა ლექსებს, მოთხრობებს, მოგზაურობდა და აგროვებდა ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს.

გიორგი შატბერაშვილის ბიოგრაფიის განუყოფელი ნაწილია შეუღლება იოსებ ქეშელაშვილისა და მარიამ კასრაძის ასულთან, ნათელა ქეშელაშვილთან 1936 წ. აგვისტოში, რომელთანაც შეეძინა ქალ-ვაჟი, მზია და ზებედე. ზებედე სეხნიაა თავისი დიდი პაპისა, აზნაურ ზებედე შატბერაშვილისა, რომელიც სოფ. კავთისხევის მღვდელი ყოფილა და მონაწილეობა მიუღია 1812 წლის კახეთის ცნობილ აჯანყებაში რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ (ეს ინფორმაცია მოგვანოდა მწერლის მეუღლემ, ნათელა

ქეშელაშვილმა; ი.გ.). მეუღლეებმა ერთად სამი ათეული წელი გაატარეს. ამ ხნის განმავლობაში სიხარულთან ერთად, მავანთა მიერ ხელოვნურად შექმნილი არაერთი დაბრკოლება გადალახეს, თუმცა სულიერად არ დაცემულან. მწერლის მეუღლე იგონებს: „ჩვენ არაჩვეულებრივი ურთიერთობა, ლამაზი ცოლ-ქმრული დამოკიდებულება გვქონდა, ეს ამბავი ბევრისთვის საყურადღებო იყო. გოგი ყველანაირად სრულყოფილი პიროვნება გახლდათ, არაჩვეულებრივი მეუღლე და მამა. მას ყველას მიმართ და განსაკუთრებით თავისი ოჯახის წევრების მიმართ დიდი სითბო, სიყვარული ჰქონდა.” აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ნათელა ქეშელაშვილის მოგონებებმა, რომელიც პირადად ჩავინერეთ აუდიო-დისკზე, ჩვენს საკვლევ თემასა და განსაკუთრებით მწერლის ბიოგრაფიულ დეტალებს, მეტი დამაჯერებლობა შესძინა.

გადასახლებიდან დაბრუნებულ გიორგი შატბერაშვილთან ურთიერთობას წლების მანძილზე, ზოგიერთი ყოფილი მეგობარი შეგნებულად ერიდებოდა. საბედნიეროდ, ასეთი სულმდაბალნი ერთეულები თუ იყვნენ. ნაცვლად ამისა, იყვნენ ისეთები, ვინც რეპრესირებული შემოქმედის მიმართ გამოიჩინეს განსაკუთრებული ერთგულება. ერთ-ერთი მათგანი იყო 30-იანი წლების ნიჭიერი, უთუოდ დიდი მომავლის მქონე ლიტერატორი კოტე ხიმშიაშვილი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ სხვებთან ერთად დახვრიტა 1942 წელს. გიორგი შატბერაშვილისა და კოტე ხიმშიაშვილის მეგობრობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ როდესაც შუა აზიიდან გათავისუფლებული გიორგი თბილისში ჩამოვიდა 1936 წლის მაისში, პირდაპირ მასთან მივიდა ბინაში. აღნიშნულთან დაკავშირებით მწერალი როსტომ ჩხეიძე თავის ერთ-ერთ საინტერესო წიგნში „დანყევლილი თაობა“ წერს: „გიორგი შატბერაშვილი დაბრუნდა გადასახლებიდან და პირველ ყოვლისა, კოტეს მიაკითხა, ყველაზე ძლიერ ვინც მონატრებოდა” (ჩხეიძე, 1992 : 42).

შუა აზიიდან დაბრუნებულ გიორგი შატბერაშვილს გარდა იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ აუკრძალა თბილისში ცხოვრება, საზოგადოებრივი საქმიანობა,

შეგნებულად არსად იღებდნენ სამსახურში, თუმცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული. მწერალმა 1937 წლის სექტემბერში განცხადებით მიმართა საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატს და სამსახური მოითხოვა. თავდაპირველად, გ.შატერაშვილი დანიშნეს სიღნაღის რაიონის სოფ.ჯუგაანის სკოლის ისტორიის მასწავლებლად, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ უარი უთხრეს, როგორც ყოფილ მსჯავრდებულს. 1938 წლის შემოდგომით გიორგი შატერაშვილი დანიშნეს კასპის რაიონის სოფ.ქვემო ჭალის სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, შემდეგ გადმოიყვანეს კასპში, იქიდან კავთისხევის საშუალო სკოლაში, სადაც ქართულ ენა-ლიტერატურასა და ისტორიას ასწავლიდა. ამავე დროს ახლოს ეცნობოდა სოფლის ცხოვრებას, აგროვებდა მასალებს მომავალი თხზულებებისთვის. თბილისს მოშორებული გიორგი შატერაშვილი, მშობლიური ლიტერატურის მადლს აზიარებდა თავის აღსაზრდელებს, ქართული ლექსისა და ქართული სიტყვის სიყვარულს უნერგავდა მათ.

გიორგი შატერაშვილი ხშირად მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, უფრო სწორად, იგი მოგზაურობის ნამდვილი ტრფიალი იყო, განსაკუთრებით უყვარდა ქართლი და მესხეთი. მწერალი ხშირად სტუმრობდა ქართლის სოფლებს – კავთისხევს, თვალადს, ნოსტეს, ლამისყანას, სამთავისს, ატენს. მოგზაურობა გიორგი შატერაშვილისთვის არ იყო მხოლოდ გატაცება. იგი მუდამ დაატარებდა პატარა რვეულს და ძველ თქმულებებს, გადმოცემებს, ლეგენდებს თუ ხალხური პოეზიის ნიმუშებს ინერდა. მწერალი მოხიბლული იყო ქართველი გლეხკაცობის სუფთა მეტყველებით, მათი დარბაისლური კილოთი, ინიშნავდა საინტერესო სიტყვებს, რომლებიც არ იხმარებოდა სალიტერატურო ენაში. ამდენად, გ.შატერაშვილის მოგზაურობა ნაყოფიერი იყო შემოქმედებითი მუშაობისთვის. მწერლისთვის საინტერესო აღმოჩნდა მოგზაურობა ისტორიულ მესხეთში 1938 წლის ივლის-აგვისტოში. სამხრეთ საქართველოთი დაინტერესება შემთხვევითი არ ყოფილა, რადგან შატერაშვილები წარმოშობით ამ კუთხიდან იყვნენ. მწერალმა

მოინახულა ვარძია, თმოგვი, ხერთვისი და ვანის ქვაბები. რამდენიმე თხზულება, მათ შორის ლექსი „მეც მესხი ვიყავ“ და მოთხრობები „მტკვრის სათავისკენ“, „შავი ღილები“, ასევე წერილი „მესხური სუფრული“ სწორედ, ამ მოგზაურობის შემდეგ ახლო ხანებშია დაწერილი.

მწერლის შემოქმედებითი ცხოვრება 1938 წლიდან შედარებით აქტიურად წარიმართა, თუმცა არ ჰქონდა ლიტერატურული პროდუქციის გამოქვეყნების უფლება. 1939 წლის ოქტომბერში გამოვიდა ახალგაზრდა მწერლების ჟურნალ „ჩვენი თაობის“ მორიგი ნომერი, რომელსაც რედაქტორობდა დიმიტრი ბენაშვილი (იგი ჟურნალის რედაქტორი იყო 1939 წლის სექტემბრიდან 1941 წლის აპრილამდე, ი.გ.). ჟურნალში დაიბეჭდა გიორგი შატბერაშვილის ლექსი „სიკვდილის შემდეგ სიცოცხლე“, რომელიც გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ პირველი საჯარო გამოსვლა იყო, მაგრამ მოხდა მოულოდნელი ამბავი: „ჩვენი თაობის“ ამ ნომრის სრული ტირაჟი კომუნისტურმა ხელისუფლებამ დააპატიმრა და დიმიტრი ბენაშვილიც მკაცრად გაათრთხილა, რადგან ლექსი ანტისაბჭოურად მიიჩნის.

მიუხედავად დევნა-შევიწროებისა, მწერალი სულიერად არ დაცემულა და თავის მხატვრულ მემკვიდრეობას ახალი თხზულებებით ამდიდრებდა, მან თანდათან ფეხი მოიკიდა ფართო საზოგადოებრივ ასპარეზზე.

1944 წლის ზაფხულში გიორგი შატბერაშვილს საბჭოთა ხელისუფლებამ ნება დართო საცხოვრებლად გადმოსულიყო თბილისში, ასევე მისცეს უფლება გამოეყვეყნებინა ნაწარმოებები. ასე, რომ 1944 წლიდან მწერალი წინა წლებთან შედარებით რეაბილიტირებულ იქნა. გიორგი შატბერაშვილმა თბილისში კვლავ ნაყოფიერად გააგრძელა ლიტერატურული საქმიანობა. მართალია, უკანასკნელ ათწლეულში (1935-44 წლები) ცხოვრების მეტად რთული გზა განვლო, მაგრამ საყვარელი საქმისადმი თავდადებათ თავისი ნაყოფი გამოიღო: მწერალმა ამ ათწლეულში შექმნა მრავალი ლექსი და მოთხრობა, რომლებმაც შემოქმედებითი

გამარჯვება მოუტანეს ავტორს. 1948-1951 წლებში იგი საქართველოს მწერალთა კავშირში მიიწვიეს ლიტერატურულ კონსულტანტად.

1950-55 წლებში გიორგი შატბერაშვილი მუშაობდა ჟურნალ „დროშაში“ და ხშირად აქვეყნებდა ლექსებს, მოთხრობებს, საინტერესო წერილებს. 1958 წლის 19 ივნისს აღადგინეს კიდევ მწერალთა კავშირის წევრად. მუდმივ ფიქრსა და ძიებაში დრო შეუმჩნევლად გავიდა. გიორგი შატბერაშვილმა გადააბიჯა ნახევარ საუკუნეს. მწერლის თვალწინ გაიარა წინააღმდეგობებით აღსავსე წლებმა და დატოვა მოგონებები, რომლებიც მხატვრული ფერებით აღიბეჭდა სხვადასხვა ლექსებში, პროზაულ ქმნილებებსა და ლიტერატურულ ნარკვევებში. ცხოვრების მძიმე წლებმა სულიერად ვერ გატეხა შემოქმედი. აკი, წერდა კიდევ: „ძლიერია, ძლიერი ის ადამიანი, ვისაც ცხოვრება ვერ გააბოროტებს, ვისაც ცხოვრება გულს ვერ გაუტეხს და ვერ გაურყვნის. ძალიან კი ძნელია იყო ასეთი ადამიანი“ (შატბერაშვილი, 1975:297). მწერალი თავისი ცხოვრების მძიმე წლებს მოგვიანებით კმაყოფილებით იგონებდა და აფასებდა: „რომ ამ ცეცხლში არ გამოველო სულს, არ გადასხმოდა მისი მდულარე ხორცს და გული არ გაცეცხლებოდა ფოლადით, არ გამომწვარიყო, რა მექნებოდა სათქმელი შვილებისთვის“ (შატბერაშვილი, 1975:303). ამ სიტყვების დაწერის დღიდან არ გასულა დიდი დრო და 1962 წლის იანვარ-თებერვალში „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა გიორგი შატბერაშვილის ერთტომეული „პოეზია, პროზა“, რომელშიც მწერლის მიერ ძირითადად, 1944 წლის შემდეგ დაწერილი ლექსები და მოთხრობები შევიდა. ასეთი მსხვილმასშტაბიანი წიგნი გიორგი შატბერაშვილს მანამდე არ ჰქონია გამოცემული. ეს ფაქტი, როგორც მისი ბიოგრაფიის, ასევე შემოქმედებითი მოღვაწეობის აღსანიშნავი მოვლენა იყო. წიგნს გიორგი შატბერაშვილმა თავად დაურთო წინასიტყვაობა, სადაც კიდევ ერთხელ გაცხადდა მისი პოეტური ბუნება. ქართული ლიტერატურული კრიტიკის აღიარებით, ახალი გამოცემა მართლაც, რომ სერიოზული ნაშრომი გამოვიდა.

გიორგი შატბერაშვილის შემოქმედებითი ცხოვრების საინტერესო ფურცელია 1963 წელს გამოცემული ლექსების ახალი კრებული „ზათხულის ღამის ქრონიკა“. გამოცემის კორექტორი ციალა ქაროსანიძე წერს: „იმ დროს, გალაკტიონზე კრებულს ვადგენდი, გალაკტიონ ტაბიძის გარდაცვალების შემდეგ დაბეჭდილ წერილებს, მოგონებებსა და ლექსებს ვაგროვებდი... გიორგი ამ წიგნით დაინტერესდა: კარგი და საჭირო იქნებაო, დასძინა. ვთხოვე ამ კრებულისთვის ლექსი მოეტანა. გიორგიმ იქვე მისი ლექსთა კრებული გადაშალა, ერთ უსათაურო ლექსზე მიმითითა, ამ ლექსს ჩემს თვალწინ მისცა სათაური და გადმომცა. ეს ლექსი „სიკვდილი ცაში“ გახლავთ. სამწუხაროდ, კრებულში გალაკტიონზე მიძღვნილი ლექსები არ შევიდა, სამაგიეროდ, გალაკტიონის კრებულს ამშვენებს გიორგი შატბერაშვილის წერილი „მუსიკა ჩვენი სულისა“ (ქაროსანიძე, 1980 : 192).

ლიტერატურულ მოღვაწეობასთან ერთად გიორგი შატბერაშვილი ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა. მწერალი წლების განმავლობაში თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთების რედაქციებთან. „დროშის“ შემდეგ, მწერალი 1957-1962 წლებში მუშაობდა ჟურნალ „ცისკარში“, სადაც ჯერ პროზის განყოფილებას განაგებდა, ხოლო შემდეგ პოეზიისას. აღსანიშნავია გიორგი შატბერაშვილის ღვაწლი „ცისკრის“ წინაშე, სადაც მისი თაოსნობით დაარსდა რუბრიკა „ჭაშნიკი“. „ჭაშნიკში“ ბევრმა ახალგაზრდა ლიტერატორმა აიდგა ფეხი და გზა გაიკვალა ქართული მწერლობისკენ. ნიშნადობლივია, რომ რუბრიკას სახელწოდება თავად გიორგი შატბერაშვილმა შეურჩია. მწერალი მოღვაწეობდა ჟურნალ „მნათობშიც“. აქ იგი პროზის განყოფილებას ხელმძღვანელობდა. სხვადასხვა წლებში გიორგი შატბერაშვილი იყო საქართველოს მწერალთა კავშირის ლიტერატურული კონსულტანტი, ახალგაზრდა მწერლებთან მომუშავე კომისიის ხელმძღვანელი, პროზაიკოსთა სექციის თავმჯდომარე. გ. შატბერაშვილი იყო არჩეული მწერალთა კავშირის გამგეობის წევრად.

როგორც აღვნიშნეთ, გიორგი შატბერაშვილმა „ჭაშნიკის“ ირგვლივ ბევრი ახალგაზრდა მწერალი შემოიკრიბა. საერთოდ, იგი ახალგაზრდების გულისხმიერი მრჩეველი იყო, მათზე ზრუნვა სულიერ მოთხოვნილებად ჰქონდა გადაქცეული. მწერალი ვისაც შეამჩნევდა შემოქმედებით ნიჭს, პრომისმოყვარეობას, მისთვის დროსა და ენერჯიას არ ზოგავდა. ახალგაზრდებსაც ეიმედებოდათ თავიანთი მეგობრის, აფასებდნენ მის მხატვრულ სიტყვას. გიორგი შატბერაშვილის შემოქმედებითი ურთიერთობა ახალგაზრდებთან მხედველობიდან არ გამორჩენიათ მისი დროის თანამოკალმეებს. მწერალი ოტია ჰაჭკორია შენიშნავს: „მას ბევრი ახალგაზრდა მეგობარი ჰყავდა, თითქოს მათ უშუალობასა და შეურყვნელ გულწრფელობაში ეძებდა იგი წყაროს საკუთარი შთაგონებებისა. გიორგი შატბერაშვილს კურთხევაც ხელენიფებოდა და აუგის თქმაც. ყოველ ჩვენგანს, ვინც მაშინ იწყებდა თავისი ლიტერატურული ცხოვრების ძნელ გზას, ერთი ახსოვს – იგი ყოველთვის იყო სამართლიანი, განუხრელად სამართლიანი...“ (ჰაჭკორია, 1973:31).

გიორგი შატბერაშვილის დამოკიდებულება დამწყებ ლიტერატორებთან სამაგალითო რწმენით იყო სავსე. სანიმუშოდ ამისთვის საკმარისია აღვნიშნოთ ურთიერთობა გურამ რჩეულიშვილთან, ტაგუ მებურიშვილთან, სულხან ქეთელაურთან, ბესო ხარანაულთან და სხვებთან, რომელთა ხელდამსხმელიც თვითონ იყო. მაგალითად, მან უდროოდ დალუპულ ნიჭიერ მწერალს გურამ რჩეულიშვილს რამდენიმე წერილი უძღვნა. ზურაბ ჭუმბურიძე წერს: „გ.შატბერაშვილმა სიცოცხლეშივე განსაკუთრებული ამაგი დასდო გურამ რჩეულიშვილს, - ხელი შეუწყო მის ლიტერატურულ დებიუტს “ცისკრის” ფურცლებზე” (ჭუმბურიძე, 1975:30). გიორგი შატბერაშვილმა გურამ რჩეულიშვილის თხზულებების პირველ სტრიქონებშივე აღმოაჩინა განსაკუთრებული ნიჭი და მხარში ამოუდგა, დახმარების ხელი გაუწოდა, ხოლო, როცა რჩეულიშვილი დაიღუპა, ეს ტკივილი ყველაზე მეტად მან განიცადა. მწერალმა 1965 წლის დასაწყისში ახალგაზრდა თანამოკალმის უკვდავსაყოფად შეკრიბა და გამოსაცემად მოამზადა მისი თხზულებების კრებული ორ წიგნად,

რომელსაც მრავლის- მთქმელი წინასიტყვაობა დაურთო: „საოცარი სიზუსტითა და სილამაზით შექმნილი ნანახისა და განცდილის აღქმა და აღბეჭდვა. იცოდა რა უნდა ენახა, რად უნდა ენახა. მისი თვალი მგრძნობიარე ფირივით იჭერდა და ნთქავდა გარემოს. ერთნაირი სიცხადით გრძნობდა და გადმოსცემდა პატრიარქალურად მოაზროვნე ხევსურისა თუ ჭავჭავაძის პროსპექტზე მიმავალი სტუდენტების ფიქრებს. ძლიერი შთაბეჭდილება ისე სწავდა და ეკიდებოდა მის გულსა და ხსოვნას, როგორც გაზაფხულის მზე ნაზამთრალ სხეულს” (რჩეულიშვილი, 1965:5). თვითონ გიორგი შატბერაშვილი ველარ მოესწრო წიგნების გამოცემას, იგი 1965 წლის აპრილში გარდაიცვალა, ხოლო პირველი წიგნი იმავე წლის აგვისტოში გამოვიდა.

გიორგი შატბერაშვილი აქტიურად თანამშრომლობდა საბავშვო ჟურნალ-გაზეთებთან, განსაკუთრებით „პიონერთან“. იგი ხშირად ხვდებოდა რედაქციების თანამშრომლებს, პატარა მკითხველებს. 1964 წლის 4 დეკემბერს „პიონერს“ შეხვედრა მოუწყო თბილისის პირველი გახანგრძლივებული სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივმა და მოსწავლე-ახალგაზრდობამ. შეხვედრაზე მონაწილეობდა გ.შატბერაშვილიც. სიტყვით გამოვიდნენ მასპინძლები, რომლებმაც „პიონერთან“ დაახლოებული მწერლები და მათ შორის გიორგი შატბერაშვილი გულთბილი სიტყვებით შეამკეს. გამომსვლელებმა მიმოიხილეს გიორგი შატბერაშვილის მხატვრული შემოქმედება, ერთხმად აღნიშნეს მწერლის დამსახურება ქართული ლიტერატურის წინაშე. დასასრულს, სიტყვა წარმოთქვა თვითონ გიორგი შატბერაშვილმა, რომელმაც მოსწავლეებს მოუწოდა გულმოდგინე სწავლისკენ, ქართული ენის სინამდის დაცვისკენ: „აუცილებლად ჩაიწერეთ ხალხური სიტყვიერების ნიმუშები, იქნებ ახლა ვერ იგრძნოთ და როცა გაიზრდებით, მერე მიხვდებით, თუ რაოდენ დიდი საქმე გაგიკეთებიათ პატარებს ამით...ერთი უპოვნელი სიტყვაც რომ იპოვოთ, ეგვეც დიდი შენაძენი იქნება ჩვენი ეროვნული საუნჯისა, ქართულ ენაზე ზრუნვა უპირველესი მოვალეობაა ყველა ქართველისა, ენის ამოდგმიდან სიკვდილამდე” (ხორგუაშვილი, 1990: 197).

გიორგი შატბერაშვილი ასევე აქტიურად თანამშრომლობდა გაზეთ „კომუნისტთან“. რედაქციის დავალებით მან მრავალი საინტერესო ლიტერატურული წერილი და ნარკვევი დაწერა, რომლებშიც აისახა ქართული სოფლის ყოველდღიური ცხოვრება. „კომუნისტის“ დავალებით ეწვია გ. შატბერაშვილი მშობლიური კასპის რაიონს 1965 წლის აპრილის დამდეგს. მწერალს ერთ-ერთი სოფლის შესახებ ლიტერატურული ნარკვევი უნდა მოემზადებინა. მან საამისოდ სოფ. სამთავისი აირჩია, რადგან ეს სოფელი დიდი წარსულის მქონეა და მწერლის აზრით, ნარკვევი საინტერესო გამოვიდოდა. სამწუხაროდ, გიორგი შატბერაშვილისთვის ეს იყო უკანასკნელი სარედაქციო დავალების შესრულება, რადგან ორი კვირის შემდეგ იგი გარდაიცვალა. მწერალი თითქოს გრძნობდა მოახლოებულ აღსასრულს და სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე თავის „უბის წიგნაკში“ წერდა: „რამდენი ვიცოცხლე, რა დიდი დრო გასულა. ვისაც არაფერი უნახავს, მხოლოდ ის იტყვის, ცხოვრება ერთი წუთიაო (წუთისოფელიაო). ცხოვრების მანძილი ნახულითა და განცდილით, მისი მოგონებებით იზომება. ვისაც არაფერი უნახავს, მისთვის განვლილი, ცარიელი სივრცეა, სადაც ცხოვრებამ სწრაფად გაიქროლა, გზაში არაფერი შეხვედრია...“ (შატბერაშვილი, 1975:296). თვითონ გიორგი შატბერაშვილს მოსაგონარი ბევრი ჰქონდა, თუმცა მომავლისკენ უფრო იხედებოდა და ახალ გეგმებს სახავდა. მწერლის მეუღლე იგონებს: „გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე ჩემი მეუღლე ლაღად მესაუბრებოდა სამომავლო გეგმებზე. მას დიდი სურვილი ჰქონდა კავთისხევში ახალი სახლი აეშენებინა, დაეწყო ვრცელი მოთხრობის წერა, რომელის სათაური უკვე გააზრებული ჰქონდა, ეს იყო „შავი წიგნი“. ამ მოთხრობის მონახაზიც არსებობდა, მაგრამ სამწუხაროდ, აღარ დასცალდა ბოლომდე მიეყვანა დაწყებული საქმე. დაუმთავრებელი დარჩა „აბოს წამების ათი დღეც“.

1965 წლის აპრილის დასაწყისში გიორგი შატბერაშვილი მოულოდნელად ცუდად შეიქმნა და შინ მკურნალობდა. ავადმყოფის სანახავად ხშირად მიდიოდნენ

კონსტანტინე გამსახურდია, გიორგი ლეონიძე, გრიგოლ აბაშიძე, იოსებ ნონეშვილი, ნოდარ დუმბაძე, პოლიკარპე კაკაბაძე და დემნა შენგელაია. კონსტანტინე გამსახურდიასა და გრიგოლ აბაშიძის დაუინებელი მოთხოვნით გიორგი შატბერაშვილი გადაიყვანეს სამთავრობო-სამკურნალო დაწესებულებაში, მე-4 მთავარ სამმართველოში, თუმცა მწერალი ამისი წინააღმდეგი იყო.

1965 წლის 23 აპრილს „ლიტერატურული საქართველო“ (№17) წერდა: „მძიმე დანაკლისი განიცადა ქართულმა მწერლობამ, 19 აპრილს ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქართული მხატვრული სიტყვის გამოჩენილი ოსტატი, ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გიორგი შატბერაშვილი...“

დიდი ერუდიციისა და გაქანების შემოქმედი ვერ ეტეოდა ლიტერატურის ერთი რომელიმე უანრის ჩარჩოებში. დაკვირვებული და გამჭრიახი თვალის მწერალს ბევრი რამ ჰქონდა სათქმელი და ამიტომ იგი ლიტერატურის თითქმის ყველა უანრს მიმართავდა და ამ უანრებში ერთდროულად მუშაობდა. იგი ერთდროულად ქმნიდა ლექსებს, მოთხრობებს, პიესებს, საბავშვო ნაწარმოებებს, ნარკვევებს, ლიტერატურულ წერილებს“ („ლიტერატურული საქართველო, 1965; №17 : 3).

„ლიტერატურული საქართველოს“ იმავე ნომერში ქართველ მწერალთა ხელმოწერით გამოქვეყნდა გამოსათხოვარი წერილი „ჩვენი გიორგი“, რომელშიც გულისტკივილით იყო აღნიშნული გიორგი შატბერაშვილის გარდაცვალება. მწერლებმა თანამოკალმის შემოქმედება და საზოგადოებრივი ღვაწლი ასე შეაფასეს: „მოულოდნელად წავიდა ჩვენგან გიორგი შატბერაშვილი, გამოჩენილი საბჭოთა პოეტი, პროზაიკოსი და დრამატურგი, შესანიშნავი მოქართულე და კეთილშობილი ვაჟკაცი, მუდამ ალაღმართალი, გულღია, უშუალო, ცოცხალი და მომხიბვლელი განსახიერება ჩვენი ხალხის სულიერი სინძინდისა და სიფაქიზისა, ძალიან ნადრევი და გულდასაწყვეტია მისი სიკვდილი. ის ხომ ახლა იმ ასაკში იყო, როცა კაცი თავის ღონესა და ძალას სრულად გრძნობს და ფლობს. მან ბევრი რამ მოასწრო, ბევრი

რამ გააკეთა და ბევრი რამ შესძინა ჩვენს კულტურას და ლიტერატურას“ (აბაშიძე; 1965:3).

გიორგი შატბერაშვილის გარდაცვალება ღრმა მწუხარებით განიცადა მარჯანიშვილის თეატრის დასმაც. „ლიტერატურულმა საქართველომ“ მწერალთა წერილის გვერდით გამოაქვეყნა რესპუბლიკის სახალხო არტისტების ალექსანდრე ომიადისა და გიორგი ტატიშვილის წერილიც „მეგობრის ხსოვნას“, რომელშიც ვკითხულობთ: „თავზარი დაგვცა გ. შატბერაშვილის დაკარგვამ! ჩვენგან წავიდა შესანიშნავი ხელოვანი და მოქალაქე, სპეტაკი ადამიანი, სამაგალითო მამულიშვილი, ქართული სიტყვის ჭეშმარიტი ოსტატი. წავიდა მოულოდნელად, უდროოდ, ჯერ ახალგაზრდა, შემოქმედებითი ენერგიითა და სიცოცხლის წყურვილით სავსე“ (ომიადე, 1965:3).

გიორგი შატბერაშვილის გარდაცვალებას ბევრი მწერალი არა მარტო წერილით, არამედ ლექსით გამოეხმაურა. პოეტმა ნოდარ შამანაძემ თავისი გულისტკივილი გამოხატა ლექსით „აგიზიდავს დიდი ტვირთი“, სადაც გიორგი შატბერაშვილი წარმოდგენილია ქართული სიტყვის მოჭირნახულედ და მოამაგედ:

„ქართულ სიტყვას აღმერთებდი,
სიტყვას მძლავრს და მარილიანს,
აღზევანის აღმართები,
ბევრჯერ მარჯვედ აგივლია.
აგიზიდავს მძიმე ტვირთი,
გასცდომიხარ გზას ნისლიანს,
უმარილო მოზვრებისთვის
სამარილე აგივსია“ (შამანაძე, 1965:3).

1965 წლის 24 აპრილს, გიორგი შატბერაშვილის დაკრძალვის დღეს, საქართველოს მწერალთა კავშირის სახლში, სადაც დასვენებული იყო მწერალი, დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. გიორგი შატბერაშვილის შემოქმედების

თაყვანისმცემლები კიდევ ერთხელ შეიკრიბნენ, რათა პატივი მიეგოთ მისი ხსოვნისთვის. სიტყვით გამოვიდა გიორგი ლეონიძე: „-უღვთო იყო შენი სიკვდილი, ჩემო გიორგი, შენ მათ მიემატე, ვისმა წასვლამაც გული დაგვნწყიტა, ვაი, რომ დაშრა მშრომელი ხელები, ვაი, რომ დაღუმდა ტკბილად და მართლად მოუბარნი ბაგენი. შენ იყავი ნამდვილი მოღვაწე, შენი მწერლობა სიმართლეს ემსახურებოდა, თაყვანს სცემდა კეთილსა და მშვენიერს. იყავი მესაიდუმლე ხალხის გულისა და ქართული ენისა, ხალხის სიღრმიდან ზღვის მყვინთავივით ამოგქონდა სიტყვათა მარგალიტები... (ლეონიძე; 1965:4). სამგლოვიარო მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს მწერლებმა რევაზ მარგიანმა, მიხეილ მრევლიშვილმა და სხვებმა. მიტინგის დამთავრების შემდეგ, სამგლოვიარო პროცესია გაემართა დიდუბის პანთეონისკენ. პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი იგონებს: „მწერალთა სახლთან იწვა კუდი იმ დიდი ტანისა – იმ პროცესიის, რომლის თავი ელბაქიდის დაღმართს დაადგა და ხერხემალი ამ ვეება თეთრი ვეშაპის განოლილიყო რუსთაველზე.

და ჩადიოდა ნამდვილი მზე თბილისის ზღვაში. ხოლო ჩვენს მხრებზე გადებული გიორგის „მკვდრის მზე“, მე მომეჩვენა, რომ იცინოდა, ნეტავი მართლა?!“ (ჩარკვიანი; 1971:186). დიდუბის პანთეონში სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი სერგი ჭილაია, დიმიტრი ბენაშვილი, მსახიობი – გიორგი ტატიშვილი და გიორგი შატბერაშვილის მშობლიური რაიონის, კასპის წარმომადგენელი, მწერალი გიორგი ხორგუაშვილი. დაკრძალვის ერთ-ერთი მონაწილე, გ.შატბერაშვილის უახლოესი მეგობრის, კოტე ხიმშიაშვილის და – დოდო ხიმშიაშვილი-ვადაჭკორია წერს, რომ კუბოში მწოლიარე მწერალს, რაღაც განსაკუთრებული იერი ჰქონდა, როგორც ყოველთვის: „იწვა ის ტკბილმოუბარი, კეთილშობილი, პატიოსანი, თავის ქვეყანაზე შეყვარებული ვაჟკაცი. იწვა შეუცვლელი, მაგრამ თათლისფერ თვალებს აღარ აბრიალებდა, დაღლოდა და დაეხუჭა“ (ხიმშიაშვილი, 2004:4).

გიორგი შატბერაშვილს არც გარდაცვალების შემდეგ ივინყებდნენ. სწორედ, ამ მოგონებებმა დააწერინა ლექსები ჯანსუღ ჩარკვიანს „ასე ვფიქრობდი“ და შოთა ნიშნიანიძეს „მესიზმრა გიორგი შატბერაშვილი“, რომლებიც გამოქვეყნდა ჟურნალში „მნათობი“ 1968 წელს (№1). ჯანსუღ ჩარკვიანი წერს, რომ ძალიან დიდხანს იცნობდა გიორგი შატბერაშვილს, რომ მის ხსოვნაში მწერალი მუდამ ცოცხალ მოგონებად დარჩება: „ეს იყო ერთხელ,

ასი წელი ვიცნობდი იმ კაცს
და ახლა იგი აღარ მახსოვს
აღარც ცოცხალი
და აღარც მკვდარი...” (ჩარკვიანი; 1971:186).

განსხვავებით ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსისა, შოთა ნიშნიანიძის „მესიზმრა გიორგი შატბერაშვილი“, მეტი ემოციურობით გამოირჩევა. ლექსის მიხედვით, პოეტმა სიზმრად იხილა გიორგი შატბერაშვილი მწერალთა სახლის წინ, მაჩაბლის ქუჩაზე:

„მაჩაბლის ქუჩაზე კვლავ შევხვდით ერთმანეთს,
ცოტა კი შევცბუნდი და წაფხდი ღმერთმანი!
მე ის სიცხადეში უთქმელად მიყვარდა,
უთქმელი, ალალი და თან მიამიტი.
-ბატონო გიორგი, ო, რა გამეხარდა,
ცოცხალი ყოფილხართ-მეთქი და ავტირდი...” (ნიშნიანიძე, 1970:249).

ადამიანი სიცოცხლეში თავისი მოღვაწეობით ნათელ კვალს უნდა ტოვებდეს, რათა მომავალმა თაობამ დავინწყებას არ მისცეს მისი სახელი. ადამიანის სიცოცხლე წლების სიმრავლით არ განისაზღვრება, არამედ ერისა და ქვეყნისთვის განეული სამსახურით. შ.ნიშნიანიძის აზრით, მართალია, გიორგი შატბერაშვილმა ხანმოკლე სიცოცხლით განვლო წუთისოფელი, მაგრამ მას არც მამულიშვილური სიყვარული დაჰკლებია და არც უღალატია მოქალაქეობრივი შეგნებისთვის. ამის გამო, შედეგად ერთობ შთამბეჭდავი აღმოჩნდა:

„გავიდა ყოფის, სიკვდილის გაღმა.

ხნულივით დარჩა კვალი ნაცნობი,

კვალი კი არა, შარა ნამდვილი

და მკვდრის მზე, როგორც ნათელკაცობა

მხრებზე დაადგა შარავანდელით” (ნიშნინიძე, 1970:250).

ყოველი ლიტერატურული თაობა, როგორც წინამორბედი, ისე თავისი თაობის, სულიერი ბიოგრაფიის რეალურ სურათებს უნდა ხატავდეს. ასეთი ლიტერატურული თაობის ჭეშმარიტი წარმომადგენელი ასახავს არა მარტო კონკრეტული პიროვნების მისწრაფებებს ან ოცნებებს, არამედ ცდილობს მხატვრული ფერებით მათი ტკივილი და საწუხაროც წარმოაჩინოს. მწერალთა ასეთ კატეგორიას ეკუთვნის გიორგი შატბერაშვილის მეგობარი ოტია პაჭკორია, რომელიც „მკვდრის მზის” ავტორის გარდაცვალების შემდეგ წერდა: „მძიმე იყო განვლილი გზა: ცხოვრებაში ვარამიც ნახა და განუკითხაობაც, უარყოფაცა და დაკნინების ტკივილიც... და გადაირჩინა ნათელი სული, რწმენა და იმედი. ირწმუნა – ადამიანს არ შეუძლია გაბოროტდეს, იგი სიკეთისთვისაა მოვლენილი ამქვეყნად...” (პაჭკორია, 1970:30).

მწერალ ნიკა აგიაშვილს არაერთხელ გამოუთქვამს აზრი გიორგი შატბერაშვილის პიროვნების, მისი ცხოვრებისა და მხატვრული შემოქმედების შესახებ. კრიტიკოსმა არც გარდაცვალების შემდეგ დაივიწყა იგი და 1972 წელს, მწერლის გარდაცვალებიდან შვიდი წლის შემდეგ, კიდევ ერთხელ შეათვასა გ.შატბერაშვილის ლიტერატურული მოღვაწეობა: „ამ ათი-თორმეტი წლის მანძილზე, თითქმის ზედიზედ ერთმანეთს მიჰყვა და ჩვენგან ნავიდა ქართული მწერლობის ათამდე დიდოსტატი და კიდევ რამდენი და რამდენი დიდი და მცირე მასშტაბის ცნობილი მესიტყვე! მათ მიერ დატოვებული სიცარიელე დიდხანს არ ამოივსება! შვიდიოდე წლის წინათ მათ კვალს დაადგა გიორგი შატბერაშვილიც” (აგიაშვილი, 1986:320).

გიორგი შატბერაშვილის გარდაცვალება გულისტკივილით გამოხატა ზურაბ ჭუმბურიძემ წერილში „მარილიანი სიტყვის ოსტატი”: “რამდენი ვერცხლიც თმას

გაერევა, იმდენი ოქრო დასცვივდეს ბაგესო”, - ნატრობდა პოეტი ერთ ლექსში, რომელსაც „სიკვდილის შემდეგ სიცოცხლე” ჰქვია, მაგრამ მისმა თმამ ვერ მოასწრო მთლად გათეთრება და ვერც მისმა ბაგემ გულიდან ოქროს ზოდების ამოლაგება. იგი ნაადრევად გამოაკლდა ქართველ მწერალთა ოჯახს, გამოაკლდა სწორედ, შემოქმედებითი სიმნითვის ასაკში, როცა ყოველ ახალ ნაწარმოებში ოსტატობის ახალ საფეხურზე აღიოდა და კვლავაც ახალ სიმაღლეთა დასაპყრობად ემზადებოდა...” (ჭუმბურიძე, 1975:25).

გიორგი შატბერაშვილი, როგორც მწერალი და პიროვნება, პირუთვნელად შეათვასა გასული საუკუნის 80-იანი წლების ქართულმა სალიტერატურო კრიტიკამ, რომლის აღიარებით, გ.შატბერაშვილი ყველა დროის თვალსაჩინო შემოქმედად დარჩა. „მართალი გრძნობის მწერალი და უბადლო მოქალაქე” – უწოდა გიორგი შატბერაშვილს მწერალმა ერემია ქარელიშვილმა წერილში „სიცოცხლე გრძელდება”. მისი აზრით, „მეგობართა და მკითხველთა სიყვარულით განებივრებული და გალალეული გიორგი შატბერაშვილი სიცოცხლით სავსე, ხალისიანი ბუნების კაცი იყო. მხატვრული შთაგონების მადლი და კაცური-კაცობა ორგანულად შერწყმოდა ერთმანეთს და მის პიროვნებას ღვთიურ ნათელს აყენებდა” (ქარელიშვილი, 1980:172). გიორგი შატბერაშვილის შესახებ სარგის ცაიშვილი კი წერდა: „ადამიანისთვის მინიჭებული, ისედაც მოკლე სიცოცხლის ბოლომდე გასრულება აღარ დასცალდა. სწორედ, შუადღის მზემ უმტყუნა მწერალს და მე მინდა ეს პატარა მოსაგონარი წერილი დავამთავრო ერთი ძველი ხატოვანი ფრაზით ადამიანის ღვაწლის შესახებ, რომელსაც ხშირად წარმოსთქვამდა ხოლმე თვითონ ბატონი გიორგი: „ხელი მწერლისა მიწდების, ხოლო სახელი მისი ჰკიფს საუკუნოდ” (ცაიშვილი, 1984:114).

გიორგი შატბერაშვილს ავტობიოგრაფიული ხასიათის თხზულება არ დაუწერია, იგი თავის ცხოვრებას მხოლოდ ეპიზოდურად აღწერს ჩანაწერებში, რომელსაც პირობითად „უბის წიგნაკიდან” ეწოდება. (იხ.შატბერაშვილი გ., თხზულებანი, ტ. IV,

თბ., 1975, გვ. 296-297). ჩანაწერებში მწერალი ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ იმ მთავარ მოვლენებზე, რომლებიც თავს გარდახდა. ამ მცირე მოგონებებიდან ჩანს, რომ გ.შატბერაშვილს შინაარსიანი ცხოვრების გზა აქვს გავლილი. გარდა „უბის წიგნაკის“ ჩანაწერებისა, ჩვენ მიერ გიორგი შატბერაშვილის ბიოგრაფიის შესწავლა და მისი სულიერი პორტრეტის წარმოჩინება ემყარება მწერლის მეუღლის, ნათელა ქეშელაშვილის მოგონებებს. ქართული მწერლობის ტრადიციებით ნასაზრდოებ გიორგი შატბერაშვილს შეეძლო ეფიქრა, რომ თუ ის მისია, რაც მამულმა, ხალხმა დაგაკისრა და პირნათლად შეასრულე, შენი წვლილი შეიტანე საქვეყნო საქმეში, მაშინ სიკვდილის არ უნდა გეშინოდეს. გ.შატბერაშვილი არ ჩაბლაუჭებია ცხოვრებას, იგი ისეთად მიიღო, როგორიც იყო თავისი განზომილებითა და აღსავსე მრავალი წინააღმდეგობებით.

ასეთია ბიოგრაფიული ცნობები ამ საინტერესო მწერლისა და პიროვნების ცხოვრებიდან. გიორგი შატბერაშვილი გამოკვეთილი ინდივიდუალობის მქონე მოღვაწე-შემოქმედია, რომლის სამოქალაქო და პოეტური ცხოვრება, სამსახურებრივი საფეხურები შინაარსიანად წარიმართა.

სახელოვანი მწერლის და ამასთან, რთულ ცხოვრებაგამოვლილი კაცის ბიოგრაფიის დაწერა რამდენადმე ძნელი, შრომატევადი საქმეა. ცნობილი მეცნიერის გრიგოლ კიკნაძის აზრით, „როდესაც დიდსა და ღრმა პოეტთან გვაქვს საქმე, ჩვენ მაინც სულ იმის ცდაში ვართ, რომ გარეგნულადაც შესამჩნევი გავხადოთ მისი ცხოვრების პირობათა სირთულე. ამნაირი ცდის დროს სრულიადაც არ არის მოულოდნელი შეცდომა, რამდენადაც გარეშე თვალისთვის ძალიან ძნელია მიგნება და გამოყოფა იმ თვისებებისა, რომლებიც ნამდვილად განსაზღვრავენ პოეტის სიდიადეს...“ (კიკნაძე, 1989:312-313). გრიგოლ კიკნაძის სიტყვები, ჭეშმარიტად ესადაგება „მკვდრის მზის“ ავტორის პირად ცხოვრებას, საზოგადო ღვაწლსა და რაც მთავარია, მის ლიტერატურულ საქმიანობას.

თავი II

გიორგი შატბერაშვილის პოეზიის ძირითადი ტენდენციები

ჭეშმარიტი პოეზია მაღალი ესთეტიკური ღირებულებებისა და იდეების გამომხატველია. იგი საზოგადოებაში განამტკიცებს სამშობლოს სიყვარულს, აღძრავს სიკეთის ქმნის სურვილს, ადამიანებს უნერგავს უკეთესი მომავლის რწმენას. ლექსი, რომელიც მაღალი იდეებით საზრდოობს, უეჭველად მოქმედებს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაზე, ადამიანთა გონებაზე, მათი სულიერი სამყაროს

ფორმირების პროცესზე. რუსი ლირიკოსი, ნიკოლოზ ასეევი (1889-1963) წერილში „რა არის პოეზია“ წერს: „პოეზია არის პოეზია. იგი არც მეცნიერებაა და არც ხელობა. მეცნიერება ხელმძღვანელობს ზუსტი ცოდნით, ხელობა შემოიფარგლება ხელსაქმით. პოეზია არ მუღავნდება მხოლოდ ლიტერატურულად, მის განსაკუთრებულ სახედ, მას შეუძლია არსებობა მოსწრებულ სიტყვებში, ანდაზებსა და ანდაზურ გამოთქმებში, იმ სახელდახელო გამოთქმებში, რომლებიც განუმეორებელია და ხშირად არ გამოიყენება ხელმეორედ“ (ასეევი, 1990 : 396).

გიორგი შატბერაშვილი ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია გასული საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში მოსულ მწერალთა იმ თაობისა, რომელმაც განვითარების ახალი გზა დაუსახა თანამედროვე ქართულ პოეზიას. მის პიროვნებაში ორგანულად გამოვლინდა ქართული ეროვნული შემოქმედებითი ენერჯია. იგი ეკუთვნის მწერალთა იმ კატეგორიას ვისი პოეზიაც ზნეობრივად აყალიბებს და ზრდის ახალგაზრდა თაობებს. შემოქმედებითი მოღვაწეობა მან, ქართველ მწერალთა უმეტესი ნაწილის მსგავსად, ლექსების წერით დაიწყო და შემდეგში არაერთი მშვენიერი ლირიკული ქმნილებით გაამდიდრა ეროვნული პოეზია. მომავალმა პოეტმა პირველ სტრიქონებშივე გამოამუღავნა საკუთარი გზების ძიების უნარი, ღირსეულად გააგრძელა ქართული პოეტური კულტურის მდიდარი ტრადიციები და შეეცადა მაღალფარდოვნებას მოკლებული ენით ეწერა. გ.შატბერაშვილისთვის პოეტური ფორმების ძიება თვითმიზანი როდი იყო, არამედ მასალა იდეური ჩანაფიქრის მხატვრულ სახეებში წარმოსაჩენად. ლექსების წერა გიორგი შატბერაშვილმა თხუთმეტი წლის ასაკში დაიწყო, როცა შექმნა პირველი ლექსი „აკაკის საფლავს“ 1925 წელს.

1930 წლამდე დაწერილ ლექსებს არ მოჰყოლია სერიოზული გამოხმაურება, რაც სავსებით ბუნებრივია და ლოგიკური, მაგრამ მისმა მოხდენილად ნათქვამმა მხატვრულმა სიტყვამ მკითხველი საზოგადოების მცირე ნაწილის ყურადღება, მაინც მიიპყრო.

პირველი შემოქმედებითი ნაბიჯებით გიორგი შატბერაშვილმა იმდროინდელი საქართველოს პარტიულ ხელმძღვანელთა ყურადღებას მიიქცია, ოღონდ არა როგორც იმედისმომცემმა, ნიჭიერმა პოეტმა, არამედ როგორც ანტისაბჭოთა მწერალმა. საინტერესოა, რით აიხსნებოდა ახალგაზრდა გ.შატბერაშვილის ანტისაბჭოურობა, რის გამოც თავს დაატყდა პარტიულ კრიტიკოსთა რისხვა და შემდეგ გადასახლება. ვფიქრობთ, საქმე ისაა, რომ გიორგი შატბერაშვილი ეკუთვნოდა ქართველ მწერალთა იმ თაობას, ვინც ლიტერატურული მოღვაწეობა გასული საუკუნის 30-იანი წლების დამდეგს, კომუნისტური რეჟიმის დროს დაიწყო. რელობიდან გამომდინარე, მწერალი უნდა ყოფილიყო საბჭოთა სისტემის მეხოტბე, ვინაიდან, სხვანაირად ვერ მოახერხებდა ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლას. მაგალითად, 1932 წელს გ.შატბერაშვილმა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტს“ უძღვნა ლექსი „აგიტატორი“, რომელიც შევიდა პირველ პოეტურ კრებულში „ლექსები“ (1932, ტფილისი). ლექსში ვკითხულობთ:

„შენს სტრიქონებში ქარიშხალივით
გადმოდიოდა სუნთქვა ძნელადის,
მოლაღატეთა ფიქრები მყრალი
არ დარჩენილა გაუცვლავი... ” (შატბერაშვილი, 1932:33).

ახალგაზრდა პოეტს არც კომკავშირი გამორჩენია მხედველობიდან:

„აქ ყველას თვალები უღიმის
ნაბიჯი და სუნთქვა ხშირია,
მოდიან მხედრული ქუხილით
-ეს კომკავშირია! “ (შატბერაშვილი, 1932:35).

ეს სტრიქონები მართალია, არ გამოირჩევა არანაირი მხატვრული ღირსებით, მაგრამ ყურადღებამისაქცევია მათი იდეური არსი, ტონალობა. ისინი საბჭოთა საზოგადოების ერთგულებითაა ნასაზრდოები, თუმცა ავი დროის გამო მწერალს სხვანაირად არ შეეძლო მოქცეულიყო. „აგიტატორი“ მოიწონეს პარტიულმა კრიტიკოსებმა, მაგრამ

1932 წელსვე დაწერილი ვრცელი ლექსი „წერილი ახალგაზრდებს“ დაიწუნეს და ანტისაბჭოურად შერაცხეს. ნათელი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ ლექსზე, მოვიყვანოთ რამდენიმე სტროფა:

„ჩვენ ვართ შტოები გაზაფხულისა,
ჩვენ ვართ ლაჟვარდის პირველი ქება,
ჩვენ ვართ რიჟრაჟი სიჭაბუკისა,
წინ რომ მიუძღვის დაჭარმაგებას!
ჩვენ ვართ ქუხილის შემდეგ მოსული
ვარდ- მაისობის შხაპუნა წვიმა,
ჩვენ თავგანწირვის უდიდეს სურვილს
და აღტაცებას გაუტაცევართ!
დავდივართ ქვეყნად, შევცქერით ზეცას,
გზა გაშლილია არა ვარდების,
არა დაფნების, როგორც ოდესღაც
ხატავდა სიყრმის შარავანდედი“ (შატბერაშვილი, 1970:134).

ზოგადად, „წერილი ახალგაზრდებს“ აღინიშნება მხატვრული სრულყოფით და გამსჭვალულია ოპტიმიზმით. ერთი შეხედვით, ლექსი მარტივია, მაგრამ სათქმელი სხვაა, ღრმა აზრის გამოხატვის მცდელობაა. ჩვენი აზრით, შეიძლება სწორედ, ამან განაპირობა მისი პოპულარობა, რომელიც გამოქვეყნებისთანავე დაიმსახურა. მიუხედავად წარმატებისა, ლექსისა და მისი ავტორის მიმართ, პარტიულ კრიტიკოსთა მხრიდან წამოვიდა უკმაყოფილო ხმები, დაიწერა ცილისმწამებლური წერილები, რომელთა სათაურები შინაარსობრივად ცხადყოფდნენ, რომ გიორგი შატბერაშვილი უკვე განწირული იყო. კრიტიკოსი ვანო წულუკიძე წერილში „სკეპტიციზმის შხამით მოწამლული“, წერდა: „თამამად შეუძლიათ მომავალ განწირულ კლასების ნაშთებს ეს ლექსი თავის სასარგებლოდ გამოიყენონ, რადგან დღეს ამ ენით ლაპარაკობს და ხშირად თავის მფარველად მისტიურ სულებს--

აჩრდილებს მოუხმობს ის, ვისაც ოქტომბრის გრიგალმა მართლაც რტოები დაამტვრია და ძირფესვიანად მოთხარა” (ჩხარტიშვილი, 1993:240). „არიან ზოგიერთი მწერლები, - წერდა მეორე პარტიული ფუნქციონერი კარლო ორაგველიძე, რომლებიც ფიქრობენ, რომ შესაძლებელია საბჭოთა მწერლის მანდატი იქონიო და ანტისაბჭოთა პროპაგანდა აწარმოო მხატვრული სიტყვის მეშვეობით. ეს ისეთი მწერლებია, რომლებიც შეგნებულად გამოხატავენ რა კლასური მტრების ნებასურვილებს, ცდილობენ აწარმოონ ფარული ბრძოლა ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების წინააღმდეგ” (ჩხარტიშვილი, 1993:245).

გიორგი შატბერაშვილის „წერილი ახალგაზრდებს” ასევე მკაცრად გააკრიტიკეს საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მალაქია ტოროშელიძემ და „ლიტერატურული გაზეთის” რედაქტორმა პლატონ ქიქოძემ. ამ შეურაცხმყოფელი წერილების გამოქვეყნების შემდეგ გავიდა წლები და დრომ დაადასტურა ვაიკრიტიკოსთა სიყალბე, რადგან გ.შატბერაშვილის პოეზია პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოებამ ობიექტურად შეაფასა. თუმცა, მაინც საინტერესოა, რატომ მიიჩნიეს „წერილი ახალგაზრდებს” ანტისაბჭოურად. ამ ფაქტის შესახებ საყურადღებო მოსაზრებას გამოთქვამს აკაკი ბაქრაძე: „საქმე ის გახლავთ, რომ მაშინ მთავრდებოდა ე.წ. კოლექტივიზაცია. ამ პერიოდში მილიონობით მშრომელი გლეხობა გადაასახლეს ციმბირში. მათ კატორღაში ამოხადეს სული. კომუნისტები ცეცხლითა და მახვილით ამკვიდრებდნენ „ბედნიერ საკოლმეურნეო ცხოვრებას” და ვინც გაბედავდა ოდნავ წინააღმდეგობას, არ ასცდებოდა კატორღაში წამებით სიკვდილი... ამ ტანჯულ-წამებულ ადამიანებს უწოდეს კომუნისტებმა კულაკები და აკვიატებული კლასობრივი ბრძოლის სახელით, მუსრი გაავლეს. ამის გამო მიიღეს პოეტის სიტყვები მწარე ყვედრებად “ (ბაქრაძე, 1990:146). ე.წ. კოლექტივიზაციის სახელით განხორციელებული ანტიხალხური ქმედებების წინააღმდეგ ხმის ამოღება დიდ მოქალაქეობრივ გამბედაობას მოითხოვდა. გიორგი შატბერაშვილმა,

მართალია, შეფარვით, მაგრამ მაინც გამოხატა მცირე პროტესტი არსებული რეალობის წინააღმდეგ:

„კატორღის გზებზე, ციმბირის გზებზე...

საღლაც ნაპოვნი, გამხმარი ქალა-

ჩვენ შემოგვცქერის... ვჩერდებით დიდხანს,

მისი თვალები ჯერ არ ჩამქრალან...”(შატბერაშვილი, 1970:135).

და კიდევ:

„ახ, მეგობარო ცხელ უდაბნოში,

ჩამარხულ ჩონჩხის ჩამქრალი სწრაფვა,

მოგვაგონებდეს სულს შეშფოთებულს,

სულს-ამბოხებულს და მიუსაფარს!...” (შატბერაშვილი, 1970:135).

„ამბოხებულ სულზე” საუბარი არ ეჭაშნიკათ კომუნისტებს და პოეტის ეს სიტყვები ანტისაბჭოურ პროპაგანდად მიიჩნიეს. ამის გამო წერდა გაცხარებით „ლიტერატურული გაზეთის” რედაქტორი პლატონ ქიქოძე: „გიორგი შატბერაშვილი მთელი ლექსის მანძილზე ცდილობს დამალოს და არ გახსნას მისამართი იმისი „ვინც მიუძღვოდა სულით მისგვარ ახალგაზრდებს... კატორღის გზებზე”, ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ უფრო მეტ კონკრეტულობას...” (ბაქრაძე, 1990:146). როგორც ვხედავთ, პარტიული ლიტერატურისთვის ნართაულად ნათქვამი მიუღებელი იყო. იმ შემთხვევაში, თუ მკითხველი ლექსს სხვაგვარად გაიაზრებდა, მაშინ ის ვერ იქნებოდა საბჭოური, ამიტომ ავტორს უფრო ზუსტად უნდა გადმოეცა სათქმელი, კონკრეტულად უნდა მიეთითებინა თუ ვისი მისამართით იყო ლექსი შეთხზული. როდესაც ცრუკრიტიკოსებმა გიორგი შატბერაშვილის ლექსში წაიკითხეს:

„ვინც სახრჩობელას არ დაერიდა

და ეშაფოტზე იდგამდა გვირგვინს...”(შატბერაშვილი, 1970:135),

იმთავითვე აღეძრათ ეჭვი, ავტორი სოციალისტურ სამშობლოს არ უნდა უმღეროდესო და კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს. ცდებოდნენ ყალბისმქნელნი, თავადაც იცოდნენ რომ ცდებოდნენ, მაგრამ არც მათ ძალუძდათ სხვანაირად.

ყოველ შემთხვევაში, მათი გამოისობით 25 წლის გიორგი შატბერაშვილი ხელისუფლებამ დააპატიმრა და შუა აზიაში გადაასახლა.

მიუხედავად ყველაფრისა, მიგვაჩნია, რომ 30-იანი წლების ეპოქის შემეცნების თვალსაზრისით, გ.შატბერაშვილის პოეტურ თხზულებათა შორის, ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტად, მაინც დარჩება ლექსები “წერილი ახალგაზრდებსა” და “დასაწყისი განთიადისა”.

გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ (1936წ.), გიორგი შატბერაშვილმა კვლავ ნაყოფიერად გააგრძელა შემოქმედებითი მოღვაწეობა. მისმა პოეტურმა ხმამ ახალი ელფერი შეიძინა. აშკარად გამოიკვეთა, რომ სინამდვილის მხატვრული დაუფლებისთვის ბრძოლამ სრულყოფილი სახე მიიღო. მკითხველს ხიბლავდა გიორგი შატბერაშვილის პოეზიაში ჭეშმარიტი შემოქმედის თვალთ დანახული მოვლენები და ლამაზი პოეტური ხილვები. მისი ლექსი თანაბრად გასაგები გახდა სხვადასხვა ესთეტიკური გემოვნების მქონე მკითხველისთვის. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება აღიარებდა გიორგი შატბერაშვილს, მის პოეზიას, იგი მაინც მოკრძალებით აცხადებდა:

„მე ვინა მთქვა სიტყვის მთქმელად,
ვინ დამარქვა ლექსის მთქმელი?
რა ხანია ვეჭიდები, ვერ ავხადე-
გულს სარქველი...”(შატბერაშვილი, 1959:57).

ვფიქრობთ, პოეტს გარდა ხალასი ნიჭისა, თავმდაბლობაც უნდა ამშვენებდეს და რაოდენ საგულისხმოა, როცა ამის შესახებ თავად ლაპარაკობს. გიორგი შატბერაშვილი პირველი პოეტური სტრიქონებიდანვე არ ღალატობს ქართული ლექსისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს. იგი ტრადიციათა ერთგული დამცველია, თუმცა ახლის ძიებათა შეუპოვარი სურვილი ერთი წუთითაც არ განელებია. სამწერლო ასპარეზზე გამოსვლიდან ორი ათეული წლის შემდეგ, მან მკაცრად შეათვასა თავისი პირველი ლექსები, ბევრი მათგანი არ მოეწონა და

მომდევნო კრებულებში აღარ შეიტანა, ამით პოეტმა საკუთარ თავს ერთგვარი განაჩენი გამოუტანა. ნათქვამმა მეტი დამატერებლობა რომ შეიძინოს, მოვიყვანო 1946 წელს დაწერილ ლექსს „ძველ ლექსებს“, რომელმაც ვკითხულობთ:

„მე ის ლექსები ვინ მაპატიოს,
გონჯად ნაშობნი სიჭაბუკეში,
ცხოვრების ღამე სად გაათიონ,
ჩემგან განწირულთ ვინ სცეს ნუგეში?..
შენ, უღლეურო, გონჯო სტრიქონო,
არ მენანები დასალენადა,
ვაგლახ, ამ გულმა რაღა იღონოს,
თუ ვერ თქვა ენამ, როგორც მენადა!..“ (შატბერაშვილი, 1956:24).

“ძველი ლექსების” ავტორს ღრმად ჰქონდა გააზრებული მხატვრული სიტყვის ძალა და მნიშვნელობა, ამიტომ სიტყვასთან მუდამ შეუპოვარ ჭიდილს ამჯობინებდა. სწორედ, ამ ჭიდილში იბადებოდა ჭეშმარიტი პოეტური სტრიქონები და მხატვრული სახეები.

გიორგი შატბერაშვილი ქართული ლექსით ცოცხლობდა და სუნთქავდა, ლექსი იყო მისთვის ცხოვრების ძირითადი საზრდო და წერდა კიდევ ამის შესახებ: „ნამდვილი პოეტისთვის ყველაზე ბედნიერი ის წუთია, როცა იგი საუკეთესო ლექსს ამთავრებს... პოეტის ოცნება ისეთი ლექსის დაწერა უნდა იყოს, რომ მისი მარჯვენა მოკვეთის ღირსი გახდეს. ნურავის შეაშინებს ეს ნათქვამი!.. ამას მემურნეთაგან და ბოროტთაგან ხელის ფიზიკურ მოკვეთაზე არ ვამბობ... აქ ადამიანის ძლიერი მარჯვენა და მისი სვეტიცხოვლის სიმაღლეზე ატანა იგულისხმება“ (შატბერაშვილი, 1975:150).

როგორი ადამიანური თვისებებიც გააჩნია მწერალს, დაახლოებით ისეთივეა მისი მხატვრული შემოქმედების შინაარსი და მიმართულება. ამის დასტურია გიორგი

შატბერაშვილის ცხოვრება და პოეტური მემკვიდრეობა. იგი პირად ცხოვრებაში მოკრძალებითა და თავმდაბლობით გამოირჩეოდა. მას გან-საკუთრებული პოეტური გემოვნება ჰქონდა, რომლის მიხედვით შეგვიძლია გავიაზროთ მისი სულიერი ცხოვრება. ლიტერატურის კრიტიკოსები თვლიან და სრულიად სამართლიანად, რომ ყოველი პოეტის ცხოვრების თავისებურ ანარეკლს, მისი პოეზია წარმოადგენს. რაც უფრო ობიექტურად არის ასახული მოვლენები, შემოქმედმა პირად ცხოვრებაში რომ განიცადა, მით უფრო სრულყოფილი და ნათელია მისი პოეზია.

გიორგი შატბერაშვილის პოეტური შემოქმედების შესწავლა საინტერესოა იმ მხრივ, რომ საშუალება გვძლევს წარმოვიდგინოთ ის გარემო, რომელშიც პოეტი დაიბადა და აღიზარდა, რომელმაც მის სულიერ სამყაროზე კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა.

გ.შატბერაშვილის მრავალფეროვანი პოეტური მემკვიდრეობის ძირითადი არსია ეროვნული საკითხი, ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსული, სატრფიალო და საყმაწვილო ლირიკა. ასევე საყურადღებოა ბუნების სურათების აღწერა, სადაც პოეტი პეიზაჟების ლამაზი სურათებით გვხიბლავს, მიძღვნილი ლექსები და სხვ. გიორგი შატბერაშვილის პოეზიაში საგანგებო მოვლენაა პოემა „ზაფხულის ღამის ქრონიკა“ (1962წ.), რომელშიც სევდიანი ფერებით აღწერილია თორმეტი წლის გოგონას ტრაგიკული აღსასრული. პოემაში ერთხელ კიდევ გაცხადდა ავტორის დამოკიდებულება ცხოვრების სინამდვილისადმი, ასევე საინტერესო პოეტური მიგნებები.

გ.შატბერაშვილის ლექსები აქტუალურ და მეტად საჭირობოროტო საკითხებს დასტრიალებენ თავს. ისინი ხაზგასმით მიუთითებენ პოეტის მართებულ ეროვნულ ორიენტაციასა და მოქალაქეობრივ გამბედაობაზე, მის ორიგინალურ სახეობრივ აზროვნებაზე. ლექსების უმრავლესობა გამოირჩევა მკვეთრი ევფონიით, ინტონაციური სიმდიდრით, მოულოდნელი თქმებით. პოეტს ხელეწიფება საგნებსა და მოვლენებს შორის მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი დამოკიდებულება დაამყაროს, რაც

საკუთარი პოეტური ხელნერის საფუძველია. ამიტომ, რომ გიორგი შატბერაშვილი სამართლიანად იკავებს ადგილს იმ პოეტების გვერდით (გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, ირაკლი აბაშიძე, გრიგოლ აბაშიძე, იოსებ ნონეშვილი, მურმან ლებანიძე, მუხრან მაჭავარიანი, შოთა ნიშნიანიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი), რომლებმაც დახვეწეს და ახალ სიმაღლეზე აიყვანეს მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პოეზია.

§.1. გიორგი შატბერაშვილის პოეზიის ეროვნული ხასიათი

ქართულ პოეტურ კულტურას, რომელსაც მდიდარი ტრადიციები გააჩნია არასოდეს უღალატია მაღალმოქალაქეობრივი მრწამსისთვის. იგი ყოველთვის იყო ღრმად ეროვნული, ესთეტიკური თვალსაზრისით მოხდენილი და ამალღებული. ამ მხრივ, არც გიორგი შატბერაშვილის პოეზიაა გამონაკლისი, რომელიც ლამაზი გამოვლინებაა ქართული პოეტური ხელოვნების.

გიორგი შატბერაშვილის პოეტურ მემკვიდრეობაში ერთი ძირითადი იდეა, სამშობლოს იდეა ბატონობს. სამშობლო მისი მხატვრული შემოქმედების მთავარი ხერხემალია, ხოლო სხვა ყოველივე მასთანაა დაკავშირებული. გ.შატბერაშვილის პოეტური შთაგონების წყარო საქართველოა, მშობლიური ფუძე და ჩვენი ქვეყნის სიმშვენიერე ბოლომდე ნათელ სხივად გასდევს მის ლიტერატურულ მემკვიდრეობას. სამშობლო პოეტისთვის უმაღლესი, უნმინდესი ცნებაა, როგორც თავად ამბობს: „მისი უღლის ალალი ხარია” (შატბერაშვილი, 1970:23). ეროვნული გრძნობის გამოხატვაში გიორგი შატბერაშვილის პოეტური შთაგონება დაუპრეტელი და დაუღლეელია, რაზეც მისი ლექსები მიუთითებენ. პოეტმა სამშობლოს სადიდებლად შექმნა სიყვარულით გამთბარი მრავალი ლექსი, მოთხრობა, გამოკვლევა. გ.შატბერაშვილის პატრიოტული ლირიკის უმთავრესი თვისება საქართველოს აწმყოს სწორი გააზრება და მომავლის ოპტიმისტური ხედვაა. პოეტური ქმნილებებიდან საყურადღებოა „საქართველოს ცას”, „საქართველო”, „ქართლის ველზე”, „ქართლი”, „მეც მესხი ვიყავ”, „იბერის ლექსი”,

„ერეკლე მეფის ანდერძი“, „მამა-პაპათა საფლაფზე“ და სხვ. გიორგი შატბერაშვილის ეროვნული ლირიკის მომხიბვლელი იმ უბრალო საიდუმლოებაშია, რომელიც ყველა ჭეშმარიტი შემოქმედისთვის თანაბრად ნათელი და სავალდებულოა, ეს არის უსაზღვრო სიყვარული მამულისადმი, მშობელი ხალხისადმი. სამშობლოს სიყვარულით სულდგმულობს პოეტის თითოეული ლექსი, სამშობლოა მისთვის მთავარი საზრუნავი. საგულისხმოა, რომ მწერალმა თავისი ქვეყანა ლექსში „საქართველო“, ვენახთან გააიგივა:

„შენ ხარ უკვდავი ვენახი,
გჩეხეს და მაინც ვენახობ,
ნატრობდნენ მამა-პაპანი:

აყვავებულიმც გვენახო!..“ (შატბერაშვილი, 1956:37).

გიორგი შატბერაშვილი გულით დაატარებდა მამულის სიყვარულს და ცდილობდა ღირსეული ხოტბა შეესხა მისი ცისა და მიწისთვის. ამის დასტურია ლექსი „საქართველოს ცას“ (1939წ.), რომელიც პატრიოტული ლირიკის შესანიშნავი ნიმუშია:

„საქართველოს ცას თვალს ვერ ვაშორებ,

თუ მოვაშორებ, წამსვე მაჟრჟოლებს...

მე მისი ეშხით ვარ წამეხარი,

ვარ მისი უღლის ალალი ხარი“ (შატბერაშვილი, 1956:67).

პოეტი საქართველოსთვის არც სიკვდილს უშინდება და აცხადებს:

„თუკი ავდარი მოაფდრებია,...

მისთვის სიკვდილიც მომნატრებია...“ (შატბერაშვილი, 1956:67).

გულწრფელად ნათქვამ ამ სტრიქონებში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. ლექსის ავტორისთვის სამშობლო უკვდავია. დრო იცვლება და მასთან ერთად თაობებიც, ხოლო მამული მარადიულია და უბერებელი. თავისი ქვეყნისადმი მოკრძალებას პოეტი ყოველთვის ღრმა შთაბეჭდილებით გამოხატავდა და ცდილობდა ლამაზი

პოეტური სტრიქონებით ემღერა მისთვის, გულმართალი და პურადი ქართველი ხალხისთვის.

ბავშვობისა და ყრმობის უმეტესი წლები გიორგი შატბერაშვილმა ქართლის სოფელ თავალდში გაატარა. აქედან შეიცნო სამყარო თავისი განუმეორებელი მრავალფეროვნებით, აქვე ისწავლა მეგობრობის, სიკეთისა და მამულიშვილობის ფასი. გიორგი შატბერაშვილის სიყვარულზე მშობლიური სოფლისადმი მიუთითებს მწერალი გიორგი ხორგუაშვილი: „ გიორგი შატბერაშვილს ძალიან უყვარდა მშობლიური სოფელი, თვალადი, კავთისხევი ანუ როგორც იქაურები იტყვიან ხოლმე, საკავთისხევი, აქაურ მზეში ამოვლებული ვერ ელფოდა კავთურის ხეობას, ნიადაგ სოფლისკენ მიუწევდა გული, ვერ ელფოდა მამა-პაპეულ ძველ სახლს. გადასაკეთებლადაც კი ეაფსუსებოდა, ნირი არ შეიცვალოსო, ეშხი არ დაეკარგოსო” (ხორგუაშვილი, 1990:185).

გიორგი შატბერაშვილი თავის პოეტურ სამყაროში ცოცხალი ფერებით ცხადყოფს თბილ დამოკიდებულებას მშობლიური თვალადის მიმართ, სოფელი მისი შემოქმედებითი შთაგონების ერთი ძირითადი წყაროა. პოეტი არაერთ ლექსში ხატოვნი სტრიქონებით ამკობს სოფლის სურათებს, მის ყოველდღიურ საზრუნავს. მშობლიურ სოფელზე მიძღვნილი ლექსების ციკლიდან გამოირჩევა “თვალადური რთველი” (1940წ.). ეს ლექსი საყურადღებოა იმით, რომ ჭეშმარიტი მხატვრული გემოვნებითაა შექმნილი და მკითხველში სასიამოვნო განცდას იწვევს. მწერალი ერემია ქარელიშვილი წერილში ”სიცოცხლე გრძელდება”, გიორგი შატბერაშვილის დამოკიდებულებაზე მშობლიურ კუთხესთან წერს: “სოფელი შემოქმედებითად მუხტავდა, სოფლის ბუნების სილამაზით ხარობდა და გლეხის გულუბრყვილობამდე მისული ადამიანური უშუალოებით იხიბლებოდა. თემატიკურადაც და ტკივილ-სიხარულის მოტივებითაც მწერალს სოფელი კვებავდა. სამშობლოზე შეყვარებული პოეტის მუზა უჩვეულო ეშხს იძენდა, როცა ქართლის სანახებს, მის მოხატულ მთებსა და ველებს გასცქეროდა, ქართლის ისტორიულ ძეგლთა სიუხვეში მთელი

საქართველოს წარსულის დიდებასა და მშვენიერებას ჭვრეტდა... განსაკუთრებულ სიამოვნებას ანიჭებდა მამა-პაპათა სავანე - თვალადი. ეს სიყვარული სულ სხვა ინტიმით სუნთქავდა. თვალადის სანახებს თვალს რომ გააყოლებდა ხოლმე, ამბობდა: „- აი, რამ გააღვიძა ჩემში პოეზიის ნაღვერდალი, მშვენიერების შეგრძნება...” (ქარელიძევილი, 1980:174).

გიორგი შატბერაშვილის პატრიოტული ლირიკის განუყოფელი ნაწილია საქართველოს ისტორიული წარსული, ქართველი ხალხის თავგადასავალი საუკუნეთა მიღმა. ზოგადად, ისტორიული წარსული, ლეგენდად ქცეული გმირთა სახეები, თითქმის ყველა ქართველი მწერლის შემოქმედების ერთ-ერთ მთავარ საზრდოს, ამოუწურავ თემას წარმოადგენდა და წარმოადგენს. ისტორიული წარსულის სიყვარული გ.შატბერაშვილისთვის ის გრძნობაა, რომლითაც გაჟღერებულია მისი მრავალი ლექსი. პოეტის სიამაყე თავისი ქვეყნის გმირული წარსული და სწამს მისი ნათელი მომავლის. წარსულისა და მომავლის გონივრულ კავშირში ხედავს იგი ადამიანთა კეთილგონიერებას და წერს: „ადამიანის ყველაზე დიდი სიბრძნე წარსულთან და მომავალთან გონივრული კავშირის დამყარებაში მდგომარეობს. წარსულის ახსნა და მომავლის გათვალისწინება არის ის გზაჯვარედინი, სადაც ბევრი ადამიანი იბნევა და გაურკვეველობის უღრანში მიაბიჯებს, ცდება და იტანჯება” (შატბერაშვილი, 1975:86).

გიორგი შატბერაშვილი პატრიოტული ხასიათის ლექსებით ისწრაფოდა გაელვინებინა და გაეძლიერებინა ქართველი კაცის შეგნებაში სამშობლოს სიყვარული. წარსულის დეტალებს პოეტი ხშირად იყენებს ამა თუ იმ მხატვრული სახის შესაქმნელად. ისტორიული წარსულის განცდითაა დაწერილი ის ლექსები, რომელთა სტრიქონებს გმირი წინაპრების თაყვანისცემის კულტი რომ განსაზღვრავს. ამ ასპექტით, საინტერესოა „მეც მესხი ვიყავ”, „ერეკლე მეფის ანდერძი”, „მამა-პაპათა საფლაგზე”, „აკაკის ფანტაზია” „იბერის ლექსი” და სხვ. პოეტი ალტაცებით იხსენებს გარდასულ დროს, პატივს მიაგებს სახელოვან მამულიძევილთა ღვანლს

ერისა და ქვეყნის წინაშე, ხოტბას ასხამს მათ საგმირო საქმეებს. წარსულის რომანტიკული ხედვითაა დაწერილი ლექსი „საქართველო“ (1947წ.), რომლითაც მკითხველის მესხიერებაში ცოცხლდება წინაპართა სახეები, მათი გმირული თავგადასავალი. ლექსში ვკითხულობთ:

„მათ გამოზარდეს დავითი
დიდი გორგასლის იერიით,
მან დარუბანდის კარები
შეხსნა მარჯვენით ძლიერით.
მათ გამოზარდეს თამარი
და ხელში მისცეს ვარძია,
ის დედა იყო დედათა,
აკვანი მანაც არწია!“ (შატბერაშვილი, 1970:30).

გიორგი შატბერაშვილმა ისტორიული თემის პოეტური ქმნილებებით თანამედროვე საზოგადოებას მხატვრული ფერებით აღუწერა თუ როგორ იღვწოდნენ ჩვენი წინაპრები და როგორი რუღუნებით ინახავდნენ მამულის სიყვარულს. ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ლექსს „იბერის ლექსი“ (1946), რომელიც მკითხველში აღძრავს ეროვნული სიამაყის განცდას. „იბერის ლექსი“ საინტერესოა ემოციური თვალსაზრისით, მასში ნათლად იკვეთება პოეტის სიყვარული საქართველოს ისტორიული წარსულის მიმართ. „ჩვენი მამაცი იბერნი, - წერდა გიორგი შატბერაშვილი, იბრძოდნენ და ღვრიდნენ სისხლს, რომ მომავალ თაობებს არ დაეწიებოდათ ენა ქართული, არ დაეწიებოდათ მამული. ჩვენი აწმყო მამა-პაპათა მხრებზეა დამკვიდრებული... ჰოდა, არავის არ გვაქვს უფლება გამოვიჩინოთ სულმოკლეობა და ვუღალატოთ მათ“ (შატბერაშვილი, 1975 : 203). აი, როგორი სიყვარულით იგონებს მწერალი „მამაც იბერებს“, მათ საოცარ თავგადასავალს:

„ოდეს მამაცი იბერი,

ცისა და ქვეყნის ასაკის,
ლალი და თვალეცისფერი,
მცხეთის მახლობლად დავსახლდი;
წელს ხმალი მერტყა ხალიბის,
ხელში გუთანი მეჭირა,
ქვის ტახტზე ვინეყ ყარიბი,
ვარსკვლავების ქვეშ მეძინა...
მივდექ, დასისხლულ თითებით
მცხეთას ავაგე ტაძარი,
გალმა მთას ჯვარი შევაბი,
არმაზს ვაფრქვევ ნაცარი..." (შატბერაშვილი, 1970:55).

როდესაც ვმსჯელობთ გიორგი შატბერაშვილის პოეზიის თავისებურებებზე, ვიხსენებთ გმირი წინაპრების ღვაწლს, არ შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ ლექსზე, რომელსაც „მამა-პაპათა სათულავზე“ ჰქვია. (1945). ლექსში ავტორი გარდაცვლილთა აჩრდილებს ესაუბრება. მისი აზრით, წინაპართა სათულავებს ყოველთვის მზის სხივები უნდა დანათოდეს:

„მზის სხივით ხომ არ გაშუქდა
წინაპართ ძვალშესალავი“ (შატბერაშვილი, 1970:47).

პოეტი ალტაცებულია სახელოვანი წინაპრებით და ცდილობს რეალისტურად წარმოაჩინოს ჩვენი ქვეყნის წარსული თავისი გმირებით. უნდა აღვნიშნოთ, რომ მწერლის ეროვნული გრძნობა თვისობრივად განსხვავებული ხასიათისაა. პოეტის მიერ ამ ასპექტით შექმნილ ლექსებში ცხადდება დღევანდელი ხალხისა და წარსულის სიყვარული, კავშირი ძველსა და ახალს შორის:

„პაპებს ვახარეთ...
ყიჟინით სასათულაოზე გავედით,
ჩავძახეთ,

ავახშიანეთ დადუმებული შავეთი
გაიგეთ ბერიკაცებო,
მამულს სწვევია დიდება!
ვაშად მოვედით, ბებერ ძვლებს
ელდის არ შეეშინდებათ!”(შატბერაშვილი, 1970:46).

გიორგი შატბერაშვილის ეროვნულ თემაზე დაწერილი ლექსებიდან საგანგებო ყურადღებას იმსახურებს „მეც მესხი ვიყავ“, „ერეკლე მეფის ანდერძი“, „ქართლის ველზე“, „ქართლი“ და „როგორ, როდის, საიდან“. თითოეული მათგანი მნიშვნელოვანი ლიტერატურული ღირებულებისაა, როგორც მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხებით, ასევე შინაარსით. მათი საერთო თემაა სამშობლოს სიყვარული, წინაპართა საგმირო საქმეების პატივისცემა და ისტორიული წარსულის წარმოჩენა.

ლექსი „მეც მესხი ვიყავ“ (1943წ.) გიორგი შატბერაშვილმა ისტორიულ მესხეთს უძღვნა. მან იცის, რომ ეს კუთხე არაერთი ქართველი მწერლის პოეტური შთაგონების წყაროა. მწერალმა 1938 წლის ზაფხულში იმოგზაურა მესხეთში და მისი სიძველენი მოინახულა. როგორც ჩანს, ნანახმა და განცდილმა თავისი გაიტანა და პოეტური აღმატრენით ლექსად გამოიხატა. მესხეთით დაინტერესება გ.შატბერაშვილისთვის არ ყოფილა შემთხვევითი, თვით ლექსის სათაურია ამის დასტური. შატბერაშვილები წარმოშობით მესხეთიდან იყვნენ და შემდეგ, ისტორიული ავბედობის გამო ქართლში გადასახლებულან. პოეტი მუდამ ამაყობდა მესხეთით, თავისი მესხური წარმომავლობით:

„მეც მესხი ვიყავ, განთქმული
მარჯვენით, ხმლით და ნაბადით,
ფესვი იქა მაქვს გადგმული,
გახლავართ იქ დანაბადი.
ლხინში მოლხენა ვიცოდი,

ჯამებზე ჯამის ჯახება,

მხედრულის შემოძახება,

შებმა და შეჯავახება!”(შატბერაშვილი, 1956:70).

გამუდმებული რბევა-ანოკების გამო შატბერაშვილებმა იძულებით დატოვეს მესხეთის მიწა, ძირძველი სამკვიდრო და ქართლისკენ „ბარბაცით გამოიკვლიეს გზა”:

„ცეცხლით გადამწვარ მიწაზე

ბარბაცით გზას მოვიკვლევდი,

მტრის ჩეხვით გამოვიტაცე

შატბერდს ნაწერი წიგნები...”(შატბერაშვილი, 1956:70).

პოეტის წინაპრები სასწაულებრივ გადაურჩნენ მტრის მსახვრალ ხელს, მაგრამ ქართლში გადმოხვეწილებს მესხეთის მონატრება, მასზე ფიქრი დიდხანს არ ასვენებდათ:

„აქა ვარ, მაგრამ ის მიწა

ისევ მეძახის, მიმელის!

მე თქვენი სისხლის, მისხის ვარ,

ძმა ამერის და იმერის...

წამოღით, წინ წაგიძღვებით,

მე ღროშის ჭერა მიყვარდა,

ჩანგის კვრა, მკლავი მრისხველი,

მესხობა მით გამიგვარდა!”(შატბერაშვილი, 1956:71).

მკვეთრი ინდივიდუალობის მქონე ყოველი პოეტი, თუნდაც პროზაიკოსი, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების გამოყენებისას საკუთარ ხელწერას ამჟღავნებს. ამ მხრივ, ბუნებრივია, გიორგი შატბერაშვილის ლექსებიც უხვ მასალას იძლევა. მაგალითად, “მეც მესხი ვიყავ” ამის კონკრეტული დასტურია, სადაც ალიტერაციის საუკეთესო ნიმუშს ვხვდებით:

“ლხინში მოლხენა ვიცოდი,

ჯამებზე ჯამის ჯახება,

მხედრულის შემოძახება,

შებმა და შეჯავახება!” (შატბერაშვილი, 1956:70).

აქ ერთ გარემოებას უნდა გავუსვათ ხაზი: ლექსის დასასრულს გვხვდება სიტყვა “შეჯავახება”, რომელიც მესხური დიალექტური ფორმაა და გულისხმობს შერკინებას, დაპირისპირებას. იგი დღესაც გამოიყენება ცოცხალ-სასაუბრო მეტყველებაში, განსაკუთრებით ხანდაზმულებში.

ვინ არ მოუხიბლავს ქართველთა საამაყო მეფე ერეკლე მეორეს, რომელმაც სრულიად ჭაბუკმა შეიბა მახვილი და მამულის საკეთილდღეოდ ქარქაშში დიდხანს აღარც ჩაუგია. 75 წლის მოხუცი მეფე გაათრებთ ებრძოდა კრწანისში ალა-მაჰმად-ხანის ველურ ურდოებს, მაგრამ რენეგატ ქართველთა გამოსობით ამ გაათრებას გამარჯვება არ ეწერა. მადლიერმა ერმა თავის სათაყვანებელ გმირს სამუდამო განსასვენებელი სვეტიცხოვლის ტაძარში მიუჩინა და დიდი მწუხარებით დაიტირა. მაგალითად, ცნობილია მეფის ერთგული ქვეშევრდომის, სახელმწიფო მოღვაწისა და დიპლომატის- სოლომონ ლიონიძის (1754-1811) “მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის ერეკლეს, ნეტარების ღირსისა”. ერეკლე მეფე შთამომავლობას ასე მიმართავს ლექსში, რომელსაც გიორგი შატბერაშვილმა „ერეკლე მეფის ანდერძი” უწოდა (1944წ.):

„არ მიყვარდა მუსაიფი,

შაირების, ზმების ტყორცნა,

მტრების სისხლმა ეს მარჯვენა

ხმლის ვადასთან შეახორცა...

საქართველოს ამაყ მხედრებს

ჩვენს ტკბილ მიწას ვაფიცებდი,

ასე ვზარდე მე ვაჟკაცნი

არაგველნი, ასპინძელნი!..”(შატბერაშვილი, 1970:163).

ერეკლე მეფე არც სახელოვან წინაპარებს ივინყებს და ეამაყება, რომ მათი შთამომავალია:

„ასე მზრდიდნენ პაპისპაპა –

დავითი და გორგასალი,

ამ სიმღერით მოვიარე

ინდოეთი, ხორასანი.

ეს ხმა არის ჩემი ტკბილი

დიდიდედის თამარისა,

ამ ქართულით გავხდი ღირსი

სვეტიცხოვლის სამარისა!..”(შატბერაშვილი, 1970:164).

“ერეკლე მეფის ანდერძი” ცხადყოფს გ.შატბერაშვილის ემოციურ დამოკიდებულებას წარსულის მოვლენებთან და თვით ერეკლე მეფესთან. საქართველო ავბედითი ისტორიის გამო, სანუკვარ თავისუფლებასა და ღირსებას, მხოლოდ თავისი აღზრდილი გმირების დაღვრილი სისიხლის ფასად ინარჩუნებდა. ამიტომაც, რომ ეროვნული სულისკვეთება არასოდეს დაუკარგავს ჩვენს ერს, ჩვენს ლიტერატურას. გიორგი შატბერაშვილის აზრით, ისტორიული გმირებისადმი სადიდებლად შექმნილ ლექსებში მწერალი მხოლოდ მათი ხოტბით არ უნდა დაკმაყოფილდეს, არამედ ისინი დამაჯერებელ მხატვრულ სახეებად უნდა აქციოს. სწორედ, მაშინ იქონიებს ლექსი მკითხველზე კეთილისმყოფელ გავლენას.

გიორგი შატბერაშვილის პოეზია საგანგებო ყურადღებას იმსახურებს თემატური მრავალფეროვნებით. აქედან საგულისხმოა მიძღვნილი ხასიათის ლექსები, რომელიც ერთი ძლიერი შენაკადია მისი პოეზიისა. მიძღვნილი ლექსების წერა ჩვენი აზრით, რთული საქმეა, ვინაიდან, ამ შემთხვევაში ყურადღება გამახვილებულია ადამიანის პიროვნულ თვისებებსა და ხასიათების თავისებურებებზე ვის მიმართაც არის შექმნილი კონკრეტული ლექსი. ცხადია, რომ მიძღვნილი ლექსებში ავტორის

შემოქმედებითი ფანზატია რამდენადმე ლოკალურია. გიორგი შატბერაშვილი ამ შემთხვევაში ადვილად ძლევს აღნიშნულ პრობლემას ლექსებში - „ნატო ვაჩნაძე“, „არსენას ლექსი“, „იეთიმ გურჯი“, „ალ.ჯაფარიძის ეპიტაფია“, „ჭავჭავაძიანთ ბანზე“, „აკაკის ფანტაზია“, „გურამიშვილის საფლავზე“, „ტიციან ტაბიძის გახსენება“ და სხვები, რომლებიც საუკეთესოდ გამოხატავენ ავტორის სიყვარულსა და მოკრძალებას საზოგადოებისთვის ცნობილი სახეების მიმართ. ბევრ ლექსში ზუსტად არის დახატული მათი შთამაგონებელი პორტრეტები, რომელშიც სრულყოფილადაა წარმოჩენილი გიორგი შატბერაშვილის პოეტური აზროვნება. მაგალითად, საინტერესოა „ალსარება“, „ნატო ვაჩნაძეს“, „ტიციან ტაბიძის გახსენება“, „რუხის ციხესთან“, „მიძღვნა მამა-პაპათა“. თითოეული მათგანი მნიშვნელოვანი მხატვრული ღირებულებისაა, როგორც პოეტური სრულყოფით, ასევე შინაარსით. მიძღვნილი ხასიათის პოეტური მემკვიდრეობიდან აღსანიშნავია ლექსი „ალსარება“ (1939წ.), რომელშიც აწმყოდანაა დანახული გარდასული დრო და სამშობლოსთვის თავდადებულთა ღვაწლი. ლექსის იდეას განსაზღვრავს წინაპრებისადმი თაყვანისცემა:

„ყველა სათქმელი უკვე თქვეს სხვებმა,
მე მათი სევდა შემყვარებია,
მე მათ სინაზეს თუ განრისხებას
როგორც ხის ჩრდილებს
შევფარებივარ...“ (შატბერაშვილი, 1956:139).

პოეტი ცდილობს მიჰბადოს წინაპრებს და სურს, რომ მათი დანყებული საქმე ღირსეულად გააგრძელოს, თუმცა ეს მძიმე ტვირთია:

„მათ შრიალს ვუსმენ, მათ ფესვებს ვნატრობ,
მათ ნაფუძარზე ამოსვლას ვცდილობ,
იქნებ საწუთრომ არც მე დამაზროს,
ვინ იცის ერთ მგზავრს მეც

მოვეჩრდილო!” (შატბერაშვილი, 1956:139).

წინაპრებს სათაყვანებლად მხოლოდ სამშობლო ჰქონდათ, მასზე ზრუნვასა და ფიქრში თაობები იცვლებოდა. წუთისოფელი ათასგვარ ჭირ-ვარამს მიაგებდა მათ, მაგრამ მაინც ეთაყვანებოდნენ:

„სიყვარულის და სამშობლოს გარდა
რამდენი დარდი ჰქონიათ ძველად,
გმობდნენ საწუთროს და თან უყვარდათ
ჩვენზე ხანგრძლივად
და ჩვენზე მწველად!”(შატბერაშვილი, 1956:139).

სიყვარულთან ერთად ღალატიც, შურიცა და მტრობაც უნახავთ ჩვენს წინაპრებს, არც სამშობლოდან იძულებითი გადახვეწა იყო უცხო მათთვის. მიუხედავად ისტორიული ბედუკუღმართობისა, სულით არ დაცემულან, სასონარკვეთას არ მისცემიან, მათ ყოველთვის სწამდათ თავიანთი ქვეყნის ნათელი მომავლის.

მეოცე საუკუნის 30-იანი წლების რეპრესიებმა, განსაკუთრებით 1937 წელმა ქართველი ინტელიგენციის სოლიდური ნაწილი იმსხვერპლა: ათასები ადგილზე მოსპეს, ათეულ ათასობით ადამიანი გადაასახლეს, მშობლებსა და შვილებს მოაშორეს, მაგრამ დარჩენილებსაც დიდხანს უწამლავდა სიცოცხლეს სამშობლოს მოღალატის სახელი და რეპრესირებული ახლობლების ბედზე წუხილი. დახვრიტეს მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე, სანდრო ახმეტელი, ევგენი მიქელაძე, პაოლო იაშვილმა სასტიკი რეჟიმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად თავი მოიკლა. გიორგი შატბერაშვილი სევდიანი ლირიზმით იგონებს იმ განუკითხაობის მსხვერპლთ, რომელთაგან ერთ-ერთი ტიციანი იყო. პოეტმა “ცისფერყანწელთა” თეორეტიკოსს შესანიშნავი ლექსი უძღვნა - „ტიციან ტაბიძის გახსენება” (1965 წ.), რომელშიც ვკითხულობთ:

„მას რუსთაველზე სცნობენ ჩიტებიც,
თვალს აყოლებენ ღიმილით გავლილს...

მიდის, ისწორებს გრძელი თითებით
ამ დილით გულზე დაბნეულ ყვავილს...
იმ ნაზ ყვავილქვეშ, გულის ჯიბეში,
ახალი ლექსი ყოველთვის ედო,
სიყვარულის და სამშობლოს ეშხით,
ტკბილი სიცოცხლის საალავერდოდ!" (შატბერაშვილი, 1956:114).

აქ გვინდა დავსვათ კითხვა: მაინც რა არის გიორგი შატბერაშვილის ეროვნული ლირიკის ძირითადი არსი, ან საერთოდ, რა არის მისი პოეზიის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი? ჩვენი აზრით, გ.შატბერაშვილის პოეტური მემკვიდრეობის, კერძოდ, ეროვნული მოტივისთვის ნიშანდობლივია საქართველოს ისტორიული წარსულის ასახვა, მისი ყოველმხრივ გააზრება და გარდასულ მოვლენათა ობიექტური შეფასება. გიორგი შატბერაშვილი ცდილობს გაანალიზოს ისტორიული წარსული და მხატვრულად წარმოაჩინოს ჭეშმარიტება. ეს თავის მხრივ, მის პოეზიას შინაარსობრივად აღრმავებს და უფრო სრულყოფილს ხდის. მწერალი ეროვნულ თემაზე შექმნილ მემკვიდრეობაში წარმოგვიდგენს მებრძოლი სულისკვეთებით გამსჭვალულ გმირებს, რომლებიც საუკეთესოდ გამოხატავენ თავიანთი ავტორის ისტორიული წარსულისადმი დამოკიდებულებას. ეს ერთი მხარეა იმ მთლიანობისა, რის გამოც აღიარებდა სალიტერატურო კრიტიკა გიორგი შატბერაშვილის პოეზიის ეროვნული ხასიათის სრულყოფილებას.

როგორც ვხედავთ, ეროვნულ პრობლემებს განსაკუთრებული ადგილი უკავია გიორგი შატბერაშვილის პოეზიაში. მან შეძლო ამ ტრადიციული საკითხისა და სათქმელის ორიგინალურად ასახვა. პატრიოტული ლირიკა ძირითადად ორი თემატური რკალით წარმოგვიდგება: წარსულის გაცოცხლება და საქართველოს აწმყოს გააზრება. წარსულისა და დღევანდელობის ერთმანეთთან დამოკიდებულებით მწერალი ღრმად სწვდება ეროვნულ ტრადიციათა ფესვებს,

რომლის გაუთვალისწინებლად ძნელია გავიაზროთ მისი შემოქმედების ნამდვილი არსი.

გიორგი შატბერაშვილი მუდამ იყო ერის ჭირისუფალი. ჯერ კიდევ ახალგაზრდობისას, როცა ფეხს იკიდებდა ქართულ მწერლობაში, შეძლებისდაგვარად მოუწოდებდა საზოგადოებას გაეხედა და აეხსნა საბჭოთა იმპერიული ტყვეობის ბორკილები მაშინ, როცა ქართველი საზოგადოების უმეტეს ნაწილს შორეულადაც ვერ წარმოედგინა ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენა. ამას ნათელყოფს 30-იანი წლების დამდეგს დაწერილი ლექსები „დასაწყისი განთიადისა“ (1932წ.) და “წერილი ახალგაზრდებს” (1934წ.). სწორედ ამ ლექსების გამო იწვინა პოეტმა რეპრესიების სუსხი.

ამდენად, გიორგი შატბერაშვილის ეროვნულ თემაზე დაწერილ ლექსებში მულავნდება გრძნობათა სინრფელე, საქმე გვაქვს მაღალი ესთეტიკური ღირებულების პოეზიასთან და არა ხელოვნურად შექმნილ, გაზვიადებულ მხატვრულ სამყაროსთან.

§2. გიორგი შატბერაშვილის სატრფიალო ლირიკა

გიორგი შატბერაშვილის პოეტური ხედვა თითქმის ყოველთვის ამალღებულია, თუმცა პოეტური ხმა განსაკუთრებით სრულყოფილია, როდესაც სატრფიალო მოტივს ასახავს. მრავალფეროვანია, მისი პოეზიის თემატიკა, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაწილი სატრფიალო ლირიკას ეთმობა. თავისი მოცულობით, მხატვრული წარმოსახვით, იგი არ ჩამოუვარდება მისივე სხვა შინაარსის ლექსებს, თუნდაც პატრიოტულს, ეს იმიტომ, რომ გ.შატბერაშვილმა რაღაც ორიგინალური შემოიტანა სატრფიალო ლირიკაში. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მის პოეზიაში სიყვარული თანაბრი სიმძაფრით მულავენდება როგორც ადრინდელ, ისე ბოლო დროს დაწერილ ლექსებშიც, რომლებშიც კიდევ ერთხელ დასტურდება გ.შატბერაშვილის პოეტური სულის სიჭაბუკე. ქალი თავისი სინაზითა და მომხიბვლელობით პოეტის ლირიული ხედვის მთავრი ობიექტია. გიორგი შატბერაშვილის სატრფიალო ლირიკა წმინდა და ამალღებულ სიყვარულს ეძღვნება, ხოლო ამ კუთხით შექმნილი ლექსები მეტი სინატივით გამოირჩევიან. მწერლის აზრით, სატრფიალო პოეზია ლირიკის მნიშვნელოვანი მხარეა, რომელშიც მკათიოდ ცხადდება შემოქმედის სულიერი სამყარო. გ. შატბერაშვილის სატრფიალო ლექსები არაა ქვეტექსტის მქონე, აქ ყველაფერი პირდაპირ და ნათლადაა ნათქვამი. სატრფიალო ლექსებში პოეტის მიერ შექმნილი ლირიკული სახეები საკმაოდ ორიგინალურია. გიორგი შატბერაშვილმა სიყვარულის თემაზე დაწერილი მრავალი ნიმუში დაგვიტოვა, რომლებიც მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების გარდა, თავისი უშუალოდობითა და გრძნობათა სინრთველით მკითხველის ყურადღებას ადვილად იმსახურებენ. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ”მინდა გიმზერდე”, “საკალმასო”, “გვიანი ყვავილები”, “თითქმის მუხამბაზი”, “სიყვარულსა მალვა უნდა”, “ისეთი დღეა”, “უცხად ნათქვამი”, “მე მსურდა მეთქვა”, “სიყვარული” და სხვ. ამ ლექსებში პოეტის მიერ გამოვლენილი

სიყვარულის განცდა ზოგჯერ მძაფრია, მაგრამ ზომიერების ფარგლებს არ სცილდება. ქართული მწერლობის ერთი საყურადღებო თვისებაა მჭიდრო ურთიერთობა ხალხურ შემოქმედებასთან. ფოლკლორული მოტივების გამოყენება განსაკუთრებით დამახასიათებელია სატრფიალო ლირიკისთვის. ამ მხრივ, აღსანიშნავია, გიორგი შატბერაშვილის მიერ ხალხურ კილოზე განწყობილი სატრფიალო ლექსები “ა იმ მთაზე თოვლიანზე”, “სამაია”, “ტივის ხე”, “თეთრო შინდო” და “შინდოდი, გინდოდი”. გიორგი შატბერაშვილის სატრფიალო ლირიკა ქალისადმი უნაზესი დამოკიდებულებით გამოირჩევა. მწერლის სატრფიალო ლექსებში ხან სიყვარულის დიდი აღტაცება გამოსჭვივის, ხან განვლილი წლებით გამონვეული სევდა. პოეტის სიყვარულს ზომიერება და მომხიბვლელობა ასაზრდოებს. სიყვარულის განცდით დაწერილ პოეტურ ქმნილებებში მწერალი არ ღალატობს მგრძნობიარე შემოქმედის თვისებებს და შეგვახსენებს, რომ სიყვარულის გარეშე კაცობრიობის არსებობა აზრს დაკარგავს, რომ ადამიანების სიცოცხლე არ იქნება მიმზიდველი და საინტერესო. გიორგი შატბერაშვილი სატრფიალო ლირიკაში ხელმძღვანელობს ბრძნული ხალხური შეგონებით “სიყვარულსა მალვა უნდა,” (გეგეჭკორი...1984:44). პოეტი თვლის, რომ ქალ-ვაჟს ფარული ტრფიალი უნდა ამშვენებდეს, მათ სიყვარულში არავის აქვს უფლება ჩაერიოს. ამის დასტურია ხალხურ კილოზე აჟღერებული ლექსი “სამაია” (1955წ.):

“ან შენ სად, ხარ ერთო ქალო,
უმჯობესო ქალთაგანა,
რად გაგყარე სიყრმის სწორნი,
რად გვატარე განდაგანა?
სიყვარულის სამაია

არ იქნება სამთაგანა...” (შატბერაშვილი, 1970:179).

როგორც აღვნიშნეთ, გიორგი შატბერაშვილი იცავდა ხალხურ სიბრძნეს “სიყვარულსა მალვა უნდა...” (გეგეჭკორი... 1984:44), მაგრამ ზოგიერთ ლექსში ამ

სიბრძნეს თავად არღვევს ამაღლებული გრძნობით გატაცებული და სურს, რომ მისი სიყვარულის თანაზიარი ყველა და ყველაფერი იყოს, თვით ნიავექარიც კი. ერთ-ერთ ლირიკულ ლექსში “სიყვარულსა მალვა უნდა” (1960წ.) ვკითხულობთ:

“შე ტრფობა ვერ დავფარე
ვერც შენი და ვერც სხვისა,
რჩევა არ გამომადგა –
რჩევა ვინმე მესხისა...
ის მკვდარია რაც გულში
წლობით მინამქრულია,
თუ ნიავემაც არ იცის –
ის რა სიყვარულია!” (შატბერაშვილი , 1970:98).

გიორგი შატბერაშვილმა მრავალი შესანიშნავი ლექსით გაამდიდრა ქართული სატრფიალო პოეზია. ძირითადი სათქმელის ხატოვნად გადმოცემა გვაფიქრებინებს, რომ პოეტის დაინტერესება სატრფიალო ლირიკით არაა შემთხვევითი. ერთ-ერთი ლექსის “სიყვარულის” მიხედვით, რომელიც პოეტს თავის დაბადების დღეს დაუწერია 14 აპრილს, 1938 წელს, სიყვარული არის ისეთი გრძნობა, რომელიც უხმობს ყველა სულდგმულს ერთმანეთის სათაყვანებლად. იგი ელდაა, უეცარი ელდა და მარადიული სიმღერა:

“ოჰ, ელდაო, სიყვარულის
ზარდამცემო ელდავ,
შენ მარადი სიმღერა ხარ
ეშხით დაუწველთა” (შატბერაშვილი, 1970:182).

გიორგი შატბერაშვილი იმავე ლექსში სიყვარულს იანვარში თოვლის ფიფქების ცვენასა და გაზაფხულობით ნუშის აყვავებას ადარებს:

“მოვა როგორც იანვარში
თოვლის ფიფქის ცვენა,

როგორც ნუში დაამშვენოს

კვირტის გამოჩენამ” (შატბერაშვილი, 1970:181).

პოეტი სიყვარულს კეთილი ნების ნიჭად აღიქვამს, რომელიც კაცთათვის ღვთისგანაა ბოძებული, ამ მიზეზის გამოა იგი უკვლავი. აქ ერთ გარემოებაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება: გიორგი შატბერაშვილის მიერ სიყვარულის გრძნობის გააზრება სულიერად ენათესავება ქართული მხატვრული პროზის კლასიკოსის ვასილ ბარნოვის სიყვარულის თეორიას. ბარნოვისეული სიყვარულის კონცეფციის შესახებ ვახტანგ ინაური წერს, რომ “ტრფობა წამებულის” ავტორისთვის: “უმაღლესი ბედნიერება სიყვარულის განხორციელებაა. ადამიანი ბედნიერებასა და ნეტარებას სიყვარულში პოუვებს. იგი მაშინ აღწევს ამ მიზანს, როდესაც იპოვის გულისსწორს, რომელშიც მისივე სულის ნაწილს ხედავს და მისი სიყვარულითაა მოცული” (ინაური, 1993:6). როგორც ვასილ ბარნოვის, ანალოგიურად გიორგი შატბერაშვილის აზრით, სიყვარული სიკეთის სათავეა, იგი ყოველთვის თრგუნავს პატივმოყვარეობასა და ყველა ბოროტ საწყისს. ამის დასტურია ვასილ ბარნოვის ისტორიული რომანები, ხოლო გიორგი შატბერაშვილის პოეზიაში სატრფიალო ლირიკის ნიმუშები - “გვიანი ყვავილები”, “თამარის დაკარგვა ვარდის ქალაქში” და სხვ. წმინდა სიყვარული ლამაზად, ხატოვნად თქმის სურვილს ბადებს ადამიანში, შეაყვარებს ლექსს, იგი პოეზიის თაყვანისცემის პირველმიზეზია. გიორგი შატბერაშვილის ერთ-ერთ უსათაურო ლექსში ვკითხულობთ:

“როცა ვერ გხედავ, მინდა გიმზერდე,

გიმზერდე ჩუმად, სევდით ფარულით,

ავივსო შენით და ლექსებს ვწერდე

ხან მწუხარებით, ხან სიხარულით...” (შატბერაშვილი. 1956:150).

ყველაფერი იცვლება ამ ქვეყანაზე, ძველდება ან არარაობად იქცევა გარდა სიყვარულისა. პოეტი გულისტკივილით შენიშნავს, რომ თითქოს დააგვიანდა თავის სიყვარულს და დროულად ვერ მოჰკიდა ხელი კალამს მის სადიდებლად:

“გულმა როდის დაიყეფა
სულ პირველად, აღარც მახსოვს,
მაგრამ გვიან გამოვედი
სიყვარულის საკალმასოდ!...
მაგონდება შენი სახე...
მახსოვს, მახსოვს, აღარც მახსოვს,
ეს რა გვიან გამოვედი
სიყვარულის საკალმასოდ!” (შატბერაშვილი, 1970:184-185).

სიყვარულის ლამაზი განცდითაა დაწერილი ლექსი “გვიანი ყვავილები”, რომელიც გიორგი შატბერაშვილის შემოქმედების გვიანდელ პერიოდს ეკუთვნის (1964წ.). გარდა იმისა, რომ ლექსი ამალღებულ სიყვარულს რომანტიკულად ასახავს, ამავე დროს საყვედურნარევი მიმართვაა სატროფოსადმი. პოეტმა სხვისადმი სიყვარული ამოიკითხა თავისი გულისწორის თვალეებში:

“შენ ვიღაც გიყვარს... მაგ დიდ თვალეებში
მისი თვალეები მე დავინახე,
შენ მისთვის გინდა შენი ალერსი,
შენ ღიმილი და შენი სახე” (შატბერაშვილი,1970:195).

სიყვარულის გრძნობით გამსჭვალული ლექსის ლირიკული გმირისთვის ყველაფერი მომხიბლავია: გაზაფხული, აპრილი, მზე. ყველაფერს საოცარი ხიბლი და ელფერი დაჰკრავს, გული სიმღერადაა გადაქცეული:

“ქუჩაში თბილი აპრილის დღეა,
სული კვამლივით მალღღება ცამღე,
მე ისევ ვმღერი, გული მაქვს ღია,
მინდა მიყვარღღეს და მინდა მწამღღეს” (შატბერაშვილი,1970:197).

“გვიანი ყვავილები” ავტორის აზრით, ადამიანს სიყვარულზე დიდი სინმინღღე არ გააჩნია და თუ ამ სინმინღღეს შებღღალავს, მისთვის სხვა რამ ძვირღღასი აღარ

იარსებებს. ლექსის მიხედვით, სიყვარული თავისთავად ყველაფრის მიზეზია – ზნეობრივი ამაღლების, სულგრძელობის, სიკეთის ქმნის, მანდილოსნის თაყვანისცემის:

“და მიხარია, რომ შენ დაბადე
ეს ლექსი, ეს დღე, ფერები ზღაპრის
ის პარასკევი, ეს ორშაბათი,
რომელიც სხვისთვის
უნდოდა აპრილს” (შატბერაშვილი, 1970:197).

ადამიანის სიცოცხლეს აზრი მანამდე აქვს ვიდრე ის ბედნიერებას ეძებს, ვიდრე ის სიყვარულით სუნთქავს, მხოლოდ ნამდვილი სიყვარულით შეიძლება მოპოვება ადამიანური ბედნიერების. დიდმა სიყვარულმა დიდი მონატრება იცის:

“დღეს აღარ ვფიქრობ, რომ ვიღაც გიყვარს,
სული კვამლივით მალღდება ცამდე,
და მენატრები... ისევ კარგი ხარ,
მინდა მიყვარდე და მინდა მწამდე!” (შატბერაშვილი, 1970:197).

გიორგი შატბერაშვილის სატრფიალო ლირიკის საუკეთესო ნიმუშია “თითქმის... მუხამბაზი”, რომელიც ღრმა სულიერებითა და სიუაქიზით აღინიშნება. იგი პოეტს ერთ-ერთი ლექსის “სიყვარულის” მსგავსად თავის დაბადების დღეს, 14 აპრილს დაუნერია 1939 წელს. ვფიქრობთ, ამ გარემოებას სიმბოლური დატვირთვა აქვს: აპრილი პოეტის დაბადების თვეა და მეორეც, გაზაფხული სიცოცხლის განახლებისა და აყვავების დროა, რომ იგი თავისთავად წარმოშობს ამაღლებულ განწყობას, აღრმავებს სიცოცხლის ხალისსა და სიყვარულის განცდას, სრულიად ახალ ფერებს მატებს ბუნებას. მისი აზრით, “გაზაფხული სიყვარულის დროა... შეიძლება ითქვას ყველა სიყვარული გაზაფხულზეა ჩასახული. აბა, გაიხსენეთ... გალხვება თუ არა ყინული, ძალას მოიციმს თუ არა მზე, ადამიანის გულიც თითქოს კანს იცვლის, ახლად გამოსული კვირტივით ცდილობს გამომღერებას და აყვავილებას. სიყვარული

ეძახის გულს” (შატბერაშვილი, 1972:138). გაზაფხულის სიმშვენიერით აღტაცებული პოეტი წერს:

“გაზაფხულდა... გულს ისევ აუშენდა
სიყვარული, იმედები, დარდები,
ბაღში ვწევარ ათეთრებულ ნუშებთან,
გულს მაყრია იები და ვარდები...” (შატბერაშვილი, 1956:140).

“თითქმის... მუხამბაზის” სტრიქონებში ასახულია ღრმა განცდა, რომლითაც გამსჭვალულია პოეტის გული. ლექსი გამორჩეული ლიტერატურული ფასეულობისაა და მხატვრული სრულყოფის საუკეთესო ნიმუში. მასში მკაფიოდ იკვეთება გიორგი შატბერაშვილის პოეზიისთვის დამახასიათებელი ისეთი თავისებურებანი როგორცაა განცდათა სისპეტაკე და ნაზი მელოდიურობა. ლექსში წარმოჩენილია პოეტის გატაცების საგანი – წმინდა სიყვარული. მას ერთი დღეც არ შეეძლო ეცხოვრა უსიყვარულოდ, სიყვარული მისთვის სულის ზეიმია:

“უცნობი ხარ, უცნობადვე დარჩები,
პოეტი ვარ, აშული თუ მეთარე,
შენ რა გინდა, ოღონდ ატმის ფარჩებით,
ნუშის კაბით, მოდი გამომეღარე” (შატბერაშვილი, 1956:140).

პოეტი თავმდაბლობას იჩენს სატრფოს წინაშე და მოკრძალებით მიმართავს:

“ღე, იწვიმოს, მე ავსილი ოცნებით –
გულისცემით ჩამოვიგლეჯ საყელოს,
მე ვინა ვარ, ალბათ, ნაღდი მგოსნებიც
გწერენ ლექსებს, ლამაზს და უსახელოს!” (შატბერაშვილი, 1956:141).

გიორგი შატბერაშვილის მიერ აღწერილ სიყვარულს ზოგჯერ განცდის ნაზი ბურუსი ახლავს, მაგრამ მაინც ორიგინალურად გვიხსნის თავის სათქმელს და ამით მკითხველში ინტერესს აღძრავს, უსმინოს მთელი გულისყურით. მწერლის

სატრფიალო პოეზიაში საყურადღებოა ლექსი “მე მსურდა მეთქვა” (1943 წ.), რომელშიც სატრფოსადმი გაუმხელელი სიყვარულია ასახული. სტრიქონებში ნათლად ჩანს პოეტის სევდიანი განწყობა. იგი თითქოს გულში ღრმად ჩაფლულ საიდუმლოს უზიარებს თავის გულისსწორს:

“როგორ ვიტანჯე, ვით ავაგე ტრფობის ტაძარი,
შენთვის ძვირფასო, იმ საღამოს
მე მსურდა მეთქვა” (შატბერაშვილი, 1970:106).

“მე მსურდა მეთქვა” მშვენიერი პოეტური შთაგონებითაა დაწერილი, მაგრამ ვერ ვიქნებით ობიექტური თუ ვიფიქრებთ, რომ აქ გამხელილი იყოს მხოლოდ პირადი განცდები და გრძნობები. პოეტი ადამიანებისთვის დამახასიათებელ გრძნობებზე გვესაუბრება. იგი სხვის ტკივილსა და სიხარულს ისე განიცდის როგორც პირადულს და როდესაც შემოქმედი ასეთ სიღიადეს აღწევს, ეს, მის დიდსულოვნებაზე მიუთითებს. “შენი არც მწუხარება, არც სიხარული სრული არ არის, - წერს გიორგი შატბერაშვილი, თუ მას სხვა არ იზიარებს მხოლოდ მაშინ იღებს ეს გრძნობა შენს გულში სრულყოფას, როცა სხვაც გაიგებს და შეიცნობს” (შატბერაშვილი, 1975:306). ლექსში “მე მსურდა მეთქვა” საინტერესო სახე – სიმბოლოები, ეპითეტები და შედარებებია ჩაქსოვილი. მაგალითად, “სულის დარდი”, “სიონის მონყენილო მტრედო”, “გულის ხატი” და სხვ. ასევე მოხერხებულადაა გამოყენებული რითმები: “ყველაზე კარგო –სად დავიკარგო”, “წამების ჯვარო-ქვეყნად საჯაროდ”, “გულის ფეთქვა- მსურდა მეთქვა”. აღნიშნული მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების გამო ლექსი სასიამოვნო უღერადობისაა და კარგ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე, თუმცა აქვე გასათვალისწინებელია მისი შინაარსიც:

“...ვერ ითქვა იგი, ქვეყანაზე ყველაზე კარგო,
დარდო სულისაგ, მონყენილო სიონის მტრედო,
ვრცელთა მინა, საით წავიდეთ, სად დავიკარგოთ,

ამ ქვეყანაზე როგორ გავძლოთ უერთმანეთოდ?” (შატბერაშვილი, 1970:106).

სიყვარულის მარადიულობას ეძღვნება ლექსი “არა”, რომელიც გიორგი შატბერაშვილს ახალგაზრდობის წლებში (1937წ.) დაუწერია. ლექსი ელევგიური ხასიათისაა: მთვარით განათებულ ხეივანში წყნარად მიაბიჯებენ წყვილები და ერთმანეთს სამუდამო ერთგულებას ეფიცებიან. ირგვლივ სინყნარეა. მათ ჩურჩულს მხოლოდ ხეების ფოთოლთ შრიალი უერთდება:

„ჩვენ მივდიოდით ბილიკზე წყნარად
და სიზმარს ჰგავდა ოცნება ჩვენი,
შენ ჩუმად, შენთვის ამბობდი არას
და თითქოს არას ამბობდნენ ხენიც...” (შატბერაშვილი, 1956:148).

გიორგი შატბერაშვილის კალამას ეკუთვნის კიდევ ერთი სატრფიალო ლექსი „ისეთი დღეა” (1964წ.), რომელშიც კვლავ დასტურდება ავტორის გულწრფელობა, მისი მრწამსი და შეხედულება სიყვარულზე. გიორგი შატბერაშვილს სიყვარული, ადამიანის მორალური საფუძვლის განმამტკიცებელ, მისთვის შინაგანი თავისუფლების მომნიჭებელ ძალად აქვს წარმოსახული. მოცემულ ლექსში ადამიანურ მოვალეობასა და შიშველ ვნებას შორის დაპირისპირებისას მწერალმა უპირატესობა, ცხადია, ადამიანურ ღირსებას მიანიჭა, რითაც გამოხატა ზნეობრივი სიმალლე და სიყვარული ადამიანების მიმართ. ლექსში „ისეთი დღეა” გაზაფხულის სასიამოვნო სუნთქვასთან ერთად, სიყვარულითა და მზით გამთბარი გულის საამაყო ძვერა იგრძნობა:

„გაზაფხულია და შენი მკერდი...
და შენი მკერდი აფრენას ნატრობს.
მიდიხარ, არვინ მიგყვება გვერდით,
შენ რუსთაველზე დადიხარ მარტო.
და თითქოს ქუჩაც შეხარის ამინდს,
ისეთი დღეა, მართლაც, კეთილი,
გული ხმამალლა აყვირდეს ლამის,

სიყვარულით და მზით გაჟღენთილი” (შატბერაშვილი, 1970:212).

გიორგი შატბერაშვილი ერთგულად აგრძელებს ქართული სატრფიალო ლირიკის მდიდარ ტრადიციებს. შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი ლექსი „უცხად ნათქვამი” (1939წ.) პირველთაგანია, რომელმაც გიორგი შატბერაშვილის სახელი როგორც მგრძნობიარე პოეტისა, უფრო აამაღლა. ნათქვამმა მეტი დამაჯერებლობა რომ შეიძინოს, ლექსს მთლიანად მოვიხმოთ:

„მონყდა ვარსკვლავი, გულზე დამეცა...

მომჯარებიან სევდა, დარღები.

დაგელოდები მე ამ ღამესაც

და მერე სადმე გადვიკარგები.

შენ ხარ ლამაზი, ზეცის ვარსკვლავი,

მოხატული ხარ შენ მინანქართ...
მოდის, დატოვებ ცის ლაჟვარდები,

როგორც მთიები მოსწყდის ვარსკვლავეთს,
დაკრიფე ცაში ლურჯი ვარდები

და დაესვენე ჩემს გაშლილ მკლავებს!” (შატბერაშვილი, 1970:214).

გარდა იმისა, რომ გიორგი შატბერაშვილი ჩინებული პოეტი და პროზაიკოსია, იგი ქართული ფოლკლორის შემკრები და მკვლევარიცაა. ხალხურმა ზეპირსიტყვიერებამ მის მხატვრულ შემოქმედებაზე კეთილმყოფელი გავლენა იქონია. ხალხურ კილოზეა განწყობილი მწერლის სატრფიალო ლექსები „ტივის ხე”, „ა იმ მთაზე, თოვლიანზე”, „თეთრო შინდო”, „მინდოდი, გინდოდი” და „სამაია”. ხალხურ კილოზე დაწერილმა სატრფიალო ლექსებმა გიორგი შატბერაშვილს იმთავითვე მოუპოვეს არა მარტო მგრძნობიარე პოეტის, არამედ ხალხური სასაუბრო მეტყველების სრულყოფილად მცოდნის სახელი. მისი დაინტერესება ხალხური შემოქმედებით არაა შემთხვევითი: მწერალს ყრმობის ასაკიდანვე ჰქონდა გაგონილი და შეთვისებული ქართლის სოფლებში, ხალხში გაბნეული ლექსები, ლეგენდები თუ

სხვადასხვა თქმულებები. იგი ხალხურ შემოქმედებასთან მუდამ ახლოს იდგა, ხალხური ენიდან შეითვისა ყოველივე ძვირფასი, რაც ქართულ ზეპირსიტყვიერებას გააჩნდა. ამის გამოა, რომ გიორგი შატბერაშვილის პოეტური მემკვიდრეობისა და მათ შორის სატრფიალო ლირიკის ერთ მასაზრდოებელ წყაროს ხალხური სიტყვიერება წარმოადგენს.

ხალხურ კილოზეა დაწერილი ლექსი „ტივის ხე“ (1956 წ.), რომელშიც დაკარგული სიყვარულით გამოწვეული სევდა და ნალველია ასახული, თუმცა ახლობელი ადამიანის მონატრებაც აშკარაა. ლექსში ვკითხულობთ:

„მას შემდეგ, რაც ჩვენ დავშორდით,
წყალს მივდეგ დაუდგრომელსა,
ორთაყვირები დამემსხვრა,
გულზე მდინარე მომეცა...
ტივი დაშლილა, წყალს მიაქვს
ორთაყვირების ნამტვრევი,
ვიხსენებ შენსა ღიმილსა,
ხანდახან მომენატრები“ (შატბერაშვილი, 1964:69).

გიორგი შატბერაშვილის ხალხურ კილოზე შექმნილ ლექსებში ასახვის მთავარი საგანია წრფელი სიყვარული. პოეტი ცდილობს მის შესამკობად გამოიყენოს ტროპული მეტყველების ხერხები, რომლებიც ცხადად წარმოაჩენენ მწერლის განწყობას, განცდებს. ასეთი ლექსები ჩვეულებრივ, მუსიკალური უღერადობისაა. გიორგი შატბერაშვილის ხალხურ კილოზე დაწერილ რამდენიმე ლექსში ნათლად იკვეთება ავტორის ღრმა განსწავლულობა, ქართული ენის ბუნების არსში წვდომის უნარი. აქ მხედველობაში გვაქვს არა მხოლოდ პოეტური ლექსიკის სიმდიდრე, არამედ ენის ხალხური არსის შეგრძნება. ამის გამოა, რომ გიორგი შატბერაშვილი არ არის ენის ტრადიციულ ფორმათა უბრალო დამყოლი, პირიქით, იგი ტრადიციულ ფორმათა რეფორმატორია და განმანახლებელი. „გიორგი

შატბერაშვილი, - წერს ზურაბ ჭუმბურიძე, ხალხური პოეზიის ბრწყინვალე მცოდნე იყო და მშვენივრად გამოიყენა ხალხური მოტივები ისეთ ლექსებში, როგორცაა: „სამაია“, „ა იმ მთაზე“, „ლექსის მარილი“, „თეთრო შინდო“ და სხვანი“. (ჭუმბურიძე, 1975:26). ლექსში „ა იმ მთაზე თოვლიანზე“ (1955წ.) პოეტი თავის ოცნებას, შეხვდეს გულიანსწორს თოვლით დაფარულ მთაზე, დიდი სიხარულით აღგვიწერს:

„...ერთხელ კიდევ აგვერბინოს
ა იმ მთაზე თოვლიანზე...
ვერ გაგესწროს, წინ დაგიხვდე,
თოვლზე იად დაგებნო,
თუ გაგესწროს, ვარდად ვიქცე,
თოვლში ვარდი გაგკრეფინო“ (შატბერაშვილი, 1970:175).

გიორგი შატბერაშვილის სატრფიალო ლირიკა გამოირჩევა საყვარელი ადამიანისადმი ნაზი დამოკიდებულებით, იგი შორსაა ხორციელ ვნებათა აპოლოგიისაგან. სიყვარული მის პოეზიაში ადამიანების ამამალლებელ, გამაკეთილშობილებელ გრძნობად წარმოგვიდგება. უნდა აღვნიშნოთ, რომ გიორგი შატბერაშვილის სატრფიალო ლირიკაში გვხვდება შედარებით მარტივი ლექსებიც, განსაკუთრებით უსათაურო, ერთსტროფიანები, რომელთა შესახებ თვითონ პოეტი წერდა: „უსათაურო ლექსები მოუნათლავ ლექსებს გვანან, ისინი დაუკმაყოფილებლობის გრძნობას იწვევენ ჩემში, თითქოს დაუმთავრებელნი და უდღეურნი არიან, რალაც დიდი აკლიათ. ამას ლექსებიც გრძნობენ თითქოს“ (შატბერაშვილი, 1975:302). როგორც თავად მწერალი უწოდებს, „მოუნათლავ და უდღეურ“ ლექსებში ამალლებული სიყვარულის ნაცვლად გრძნობათა პრიმიტიულობა ჩანს, მაგრამ ისინი გიორგი შატბერაშვილის სატრფიალო ლირიკას, მაინც ვერ ჩრდილავენ. ამ შემთხვევაშიც მწერლის სასიყვარულო განცდა ზოგჯერ ნაზი შუქითაა შემოსილი, ზოგჯერ პირიქით, გრძნობებს თითქოს, განზრახ ბურუსით მოსაფხ. მან კარგად იცის, რომ სიყვარული კაცობრიობას გაჩენის დღიდან მოსდევს, ის

მარადიული გრძნობა და გადაშენება არ უნერია. ამ თვალსაზრისით, გიორგი შატბერაშვილი ქართული კლასიკური სატრფიალო ლირიკის ერთგული მიმდევარია. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გიორგი შატბერაშვილის სატრფიალო ლექსების აღრესატი თითქმის არასოდეს არაა ვინმე კონკრეტული ქალი. მისი ხოტბის საგანია ყველა ის ქალი, ვინც მშვენიერია.

გიორგი შატბერაშვილის სატრფიალო ლირიკის შესწავლის შემდეგ უნდა დავასკვნათ: ქართული სატრფიალო ლირიკის განვითარების მრავალსაუკუნოვანმა ტრადიციამ თავისებური ასახვა ჰპოვა მეოცე საუკუნის 50-60- იანი წლების ეროვნულ პოეზიაში, მათ შორის გიორგი შატბერაშვილის შემოქმედებაშიც. სატრფიალო ლექსებმა მწერალი უფრო დაახლოვა მკითხველთან, რომელმაც გაითავისა გ. შატბერაშვილის ღმა განცდებით მდიდარი და მხატვრულად სრულფასოვანი პოეზია. „გვიანი ყვავილების“ ავტორი როდი ჰგავს იმ პოეტებს, ვინც მარტივად გამოხატავენ სიყვარულს. სატრფოს სახეში პოეტი ჩვენი აზრით, მხოლოდ ქალს როდი ხედავს, არამედ მთელ საყაროს ჭვრეტს. პოეტის წარმოსახვაში სიყვარული შენივთებულია სამშობლოსთან, ბუნებასთან და საერთოდ, ადამიანების სიყვარულთან. სატრფიალო ლირიკაში გიორგი შატბერაშვილის მიერ გამოვლენილი ჭეშმარიტი ლირიზმი, სულიერი სიფაქიზე და პოეტური სინატიფე ეჭვს არ იწვევს.

§.3. გიორგი შატბერაშვილის 1941-45 წლების პოეზია

მეორე მსოფლიო ომმა დაწყების დღიდანვე არსებითად შეცვალა ჩვენს ლიტერატურაში მანმადე არსებული თემატიკა, რაც სავსებით ბუნებრივი მოვლენა იყო. ხალხს მტერზე გამარჯვების რწმენას შთააგონებდა სიმონ ჩიქოვანის, რევაზ მარგიანის, გრიგოლ აბაშიძის, იოსებ ნონეშვილის, გიორგი ლეონიძის, გალაკტიონისა და სხვათა ლექსები. ბევრმა მწერალმა, მათ შორის მირზა

გელოვანმა, გიორგი ნატროშვილმა, ალექსანდრე გომიაშვილმა, შალვა ამისულაშვილმა, მურმან ლებანიძემ, ალექსანდრე საჯაიამ, დემნა შენგელაიამ, ნიკა აგიაშვილმა და სხვებმა ჯარისკაცის ფარაჯა ჩაიკვეს და ფრონტს მიაშურეს. სამწუხაროდ, ზოგიერთი მათგანი – მირზა გელოვანი, გიორგი ნაფეტვარიძე, ვლადიმერ უბილავა, ველარ დაუბრუნდნენ სამშობლოს. ქართველმა მწერლებმა თავიანთ თხზულებებში ასახეს მტრის წინააღმდეგ მებრძოლთა სახეები, წარმოაჩინეს მათი თავგანწირვა ომის მრისხანე დღეებში. მკვლევარი – ისტორიკოსი ევგენი ბართაია წერს: „არ იყო არც ერთი ქართველი მწერალი, რომელსაც ესა თუ ის შემოქმედებითი მუშაობა არ ეწარმოებინოს... და თავისი შემოქმედებითი წვლილი არ შეეტანა ამ დიად ბრძოლაში, რომელსაც ჩვენი ხალხი აწარმოებდა. ამ მხრივ ქართული პოეზიის თემატიკა სავსებით შეეფერებოდა ჩვენი ქვეყნის მაშინდელ ცხოვრებას” (ბართაია, 1967:12). ომის მრისხანე დღეები და მებრძოლთა იქ გამოჩენილი სიმამაცე მთავარ შთაგონების წყაროდ იქცა იმდროინდელი ქართველი მწერლებისთვის. 1941-45 წლებში დაიწერა და გამოქვეყნდა მრავალი ლექსი, მოთხრობა, მხატვრული ნარკვევი ფრონტული ცხოვრების შესახებ. ომის პირველი დღეებიდანვე მძლავრად გაისმა ქართველი პოეტების საპროტესტო მონოდება და ამ მონოდებაში ერთ განსაკუთრებულ ხმად გიორგი შატბერაშვილის ლექსებიც ერია: „გმირის სურათთან”, „ქართული ნანა”, „ნანა მეშვიდევ”, „მამა-პაპათა საფლავზე”, „ომგადახდილს”, „მარცხენა ხელით ნაწერი”, რომლებიც გამსჭვალულია სამშობლოს დაცვის კეთილშობილური გრძნობითა და გამარჯვების რწმენით. მოვეუსმინოთ კვლავ ევგენი ბართაიას, რომელიც გიორგი შატბერაშვილის შესახებ წერს: „რამდენიმე კარგი ლექსით გამოეხმაურა ომს პოეტი გიორგი შატბერაშვილი (ბართაია, 1967:125).

1941-45 წლებში ქართულ მწერლობაში ძირითადად შეიქმნა ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც ეპოქის სულს გამოხატავდნენ და ობიექტურად აფასებდნენ ხალხის გამარჯვების კანონზომიერებას. ქართველი მწერლების თხზულებებში ძირითადად აისახა ხალხის ზნეობრივი სიმტკიცე, უკეთესი მომავლის რწმენა. ამგვარი პათოსითაა

გამსჭვალული გიორგი შატბერაშვილის ამ პერიოდში დაწერილი არა მარტო ლექსები, არამედ მოთხრობებიც და რამდენიმე პიესა. მეორე მსოფლიო ომის თემაზე შექმნილი ლექსების სიუხვით პოეტი თავს ვერ მოიწონებს, მაგრამ ეს არსებითი როლია. მან მოკრძალებული წვლილი შეიტანა ამ ეპოქის ქართულ პოეზიაში. ლექსებში- „გმირის სურათთან“, „მარცხენა ხელით ნაწერი“, - ნათლად ჩანს ომის საშინელება. სურათები, რომლებსაც გიორგი შატბერაშვილი მუქი პოეტური ფერებით ხატავს, დრამატულია, მაგრამ სინამდვილით ნასაზრდოები. მწერალი 1941-45 წლებში დაწერილ ლექსებში ძირითადად ორ გრძნობას გამოხატავს: სიყვარულს სამშობლოსი და მისი გმირი დამცველებისადმი, ხოლო სიძულვილს მტრის მიმართ. პოეტის დამოკიდებულება ომთან მკაფიოდაა ასახული ლექსში, „გმირის სურათთან“ (1943წ.), რომლის შინაარსი ასეთია: ქართველ დედას ერთადერთი ვაჟი ომში დაეღუპა. უსაზღვროა დედის მწუხარება, მაგრამ თავს იმით იმხნევეს, რომ მისი აღზრდილი – გმირია, სამშობლოსთვის და თავისუფლებისთვის მებრძოლი გმირი:

„ის ვაჟუცაცია,
არ მოკვდება... არც უნდა ქება,
დარიალიდან არწივივით აფრინდა ცაში
და ახლაც იქნებ,
მტრის ურდოებს მიერეკება!“ (შატბერაშვილი, 1970:50).

ომის ქარცეცხლიანმა დღეებმა შვილს აღარ დააცალა უკანასკნელად ეხილა მოხუცი დედა და ნუგეში ეცა, მას ღიმილი მხოლოდ სიკვდილის წინ ერგო:

„ის იღიმება...
მას მჩქეფარე სიცოცხლე სურდა,
ახლაც მოილტვის
ამქვეყნიურ გუგუნისადმი,
და ეს ღიმილი

მის ბაგეებს შერჩება მუდამ,

ან და მარადის, უკუნითი უკუნისამდის” (შატბერაშვილი, 1970:51).

გიორგი შატბერაშვილმა მწვავედ განიცადა ომის სუსხი. ომით გამოწვეული ტკივილების გამოცდილია ლექსი „მარცხენა ხელით ნანერი”(1943 წ.), რომელშიც წარმოჩენილია მეომრის მებრძოლი სული. მან მარჯვენა ხელი დაკარგა, მაგრამ სულიერად არ დაცემულა. ლექსის სტროფები გამსჭვალულია ცივილიზებული კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული საშინელების – ომის დიდი სიძულვილითა და ამავე დროს, საბოლოო გამარჯვების რწმენით.

გიორგი შატბერაშვილის 1941-45 წლებში ომის თემაზე შექმნილი პოეტური რკალიდან საყურადღებოა ლექსი „ნანა, მეშვიდევ” (1943წ.). ერთი შეხედვით, ლექსი არ უნდა ეხმიანებოდეს ომის თემას, მაგრამ მხოლოდ გარეგნულად ჩანს ასე. ჩვენი აზრით, მთავარია, მისი აზრობრივი დატვირთვა. ლექსის მიხედვით, ქართველი დედა, რომელსაც ექვსი შვილი აღუზრდია მამულისთვის, ახლა აკვანთან ზის და მეშვიდეს ტკბილად უმღერის იავნანას:

„იმღერის ნანას, თან აკვანს არწევს,

მზეა გარეთაც და მზეა შინაც” (შატბერაშვილი, 1956:65).

დედას უხარია შვილთა სიმრავლე, თუმცა დროდადრო სევდაც შემოეპარება ომში წასული მეუღლის გამო. იგი გაბმულად უმღერის იავნანას აკვანში მწოლიარე ყრმას და არც სევდიანი ფიქრები ასვენებენ. ქართველი ქალისთვის მეომარი მეუღლე გმირია და სურს მეშვიდე შვილიც მამის კვალობაზე აღზარდოს:

„ექვსი შენსავით ვზარდე ნანაო,

ვარდო, გაყრია ცრემლები ნამის,

შერჩეს სამშობლოს შენისთანაო,

ნანა, მეშვიდევ, ფარ-ხმალო მამის!” (შატბერაშვილი, 1970:63-64).

„ნანა, მეშვიდევ” ოპტიმისტური სულისკვეთებითაა დაწერილი. პოეტი გვარწმუნებს, რომ ქვეყნის კეთილდღეობისთვის აუცილებელია შვილთა სიმრავლე.

მეორე მსოფლიო ომის დასასრულსა და მის შემდეგ ახლო ხანების ქართულ მწერლობაში საგრძნობლად შეიცვალა თემატიკა, იდეური არსი. ლირიკულ თხზულებებთან ერთად იქმნებოდა ფრონტისა და ზურგის ერთიანობის ამსახველი სიუჟეტური ლექსები. ამ მხრივ, არც გიორგი შატბერაშვილის პოეზიაა გამონაკლისი. ომის დამთავრების შემდეგაც არ გამქრალა პოეტის გონებში მისი ექო. მწერალი მწუხარებით იგონებს დაღუპულ გმირებს და თანამედროვეებს მოუწოდებს სამუდამოდ შეინახონ მათი ნათელი ხსოვნა. ომის შემდეგი პერიოდი გიორგი შატბერაშვილისთვის ის დროა, როცა დამთავრდა „დუმილის ათი წელი“ (1935-44 წლები), როგორც თავად იტყოდა და პოეტი მისთვის დამახასიათებელი ენერჯით კვლავ აქტიურად ჩაება სამოქალაქო და ლიტერატურულ საქმიანობაში.

მოზარდი თაობის აღზრდა ზნეობრივი თვალსაზრისით ყოველთვის იყო ცხოვრების აქტუალური თემა. ადამიანთა სულიერი ფორმირების პროცესში გადამწყვეტი როლი ხელოვნების ისეთ დარგებს ეკუთვნის, როგორცაა ლიტერატურა, ხოლო მოზარდი თაობისთვის საყმაწვილო ლიტერატურა. დიდი ქართველი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის აზრით, „საყმაწვილო ლიტერატურას დიდი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში, მის წარმატებაში. ეს არის საუკეთესო საძიკველი, რომელზედაც შენდება მთელი ლიტერატურა და მეცნიერება ხალხისა. გონებით მოძრაობა ერისა ქვიშაზეა აშენებული, თუ იგი ღარიბია საყრდნით ნაწარმოებით, საყმაწვილო ლიტერატურით. იგი მაგრად ადგამს ნაბიჯებს წინ, მკვიდრს წარმატებაში შედის მხოლოდ მაშინ, როდესაც მის მოზარდ თაობას უხვად ეძლევა გონებითი საზრდო, როდესაც მისი ყრმანი გარემოცულნი არიან მრავალი ნიჭიერი ნაწარმოებით” (გოგებაშვილი, 1954:10).

ქართულმა მწერლობამ მოყოლებული XVII-XVIII საუკუნეებიდან მოზარდი თაობისთვის შექმნა უხვი ლიტერატურული მემკვიდრეობა. საბავშვო მწერლობამ განსაკუთრებით სრულყოფილი სახე მიიღო მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ მწერლობაში. საყოველთაოდაა ცნობილი ვაჟა-ფშაველას (რომელმაც 1900-1915 წლებში 40-მდე საბავშვო მოთხრობა შექმნა), იროდიონ ევდოშვილის, იოსებ გრიშაშვილის, ირაკლი და გრიგოლ აბაშიძეების, ანა ხახუტაშვილის, მარიჯანის (მარიამ ალექსიძე), ილია სიხარულიძისა და სხვა მრავალთა მიერ საგანგებოდ ბავშვებისთვის დაწერილი ლექსები თუ მოთხრობები. თითოეულ მათგანში ახალგაზრდა თაობის სიყვარული ჩანს, ფიქრი და ზრუნვა მათ ხვალისდელ დღეზე. საყმაწვილო ლიტერატურის შესახებ ვლადიმერ გაგუა წერს: „განსაკუთრებული დანიშნულება აქვს საბავშვო ლიტერატურას, რომელიც ბავშვებისა და მოზარდების უპირველესი სულიერი საზრდოა. მოზარდი თაობის სრულყოფილი გონებრივი

განვითარება წარმოუდგენელია როგორც მსოფლიო, ისე ეროვნული საბავშვო ლიტერატურის შეთვისების გარეშე” (გაგუა, 1991:123).

საყმაწვილო ლიტერატურით დაინტერესდა გიორგი შატბერაშვილიც. მისი აზრით, ვინც თავისი ქვეყნის ხვალისდელ დღეზე ფიქრობს, ყურადღება უნდა გაამახვილოს მომავალი თაობის მორალურ აღზრდაზე. გიორგი შატბერაშვილის ფიქრი სამშობლოს ხვალისდელ დღეზე, ბუნებრივად ექსოვება ახალი თაობის იდეური და ესთეტიკური აღზრდის ურთულეს პრობლემას. მწერლის საყმაწვილო პოეზიაში მკაფიოააა წარმოჩენილი ახალგაზრდების მისწრაფებები და სურვილები, თუმცა მისი საბავშვო ლექსების ღირსება მხოლოდ ამით არ განისაზღვრება. პოეტის ლექსები ბავშვებს აყვარებს სამშობლოს, აფართოებს მათი ცოდნის ჰორიზონტს. გიორგი შატბერაშვილს, რომელსაც ოსტატურად ეხერხება ყმაწვილთათვის საინტერესო თემების შერჩევა, ფაქტებისა და მოვლენების შემოქმედებითად წარმოსახვა, პატარა მკითხველზე ნათელი აზრებითა და ცოცხალი სურათების აღწერით ახდენს ზემოქმედებას. პოეტს არ უყვარს განყენებული მსჯელობა, გაჭიანურებული, ხელოვნურად გაგრძელებული თხრობა და მხოლოდ მშრალი დარიგებების მიცემა.

ბავშვს საგნებისა და მოვლენების განსაკუთრებული აღქმის უნარი აქვს და ცხოვრების შეცნობის განსხვავებული მარტივი ხედვა გააჩნია. ამიტომ საბავშვო თხზულებები დაწერილი უნდა იყოს ბავშვის ცხოვრების მიხედვით და დამრიგებლურ-დიდაქტიკური შეგონებით. გიორგი შატბერაშვილი ყოველთვის სიყვარულით წერდა ლექსებსა და მოთხრობებს ბავშვებისთვის. მწერალი დარბაისლური კილოთი მოგვითხრობს შრომისა და სწავლისმოყვარე ახალგაზრდებზე, რომლებიც ამშვენებენ ჩვენს ქვეყანას. გ.შატბერაშვილი მხატვრული ოსტატობით ასახავს მათ სიყვარულს სამშობლოსადმი, პატივისცემას მშობლებისა და საერთოდ, უფროსების მიმართ. მწერალი საყმაწვილო თხზულებებში ძირითადად, ისეთ სახეებს ხატავს, რომლებშიც ჩანს ახალგაზრდა თაობის საუკეთესო თვისებები. საყმაწვილო ლექსები „პირველი დღე სკოლაში“, „მოვდივართ, მოგვიხარია“, „სამზადისი“, „პატარა კი არ გეგონოთ“,

„ ვინ იცინის, ვინ ტირის”, „ქართველ ქალებს ასახელებს”, „წერილი კლასის დამრიგებელს” შინაარსიანია და ხატოვანი. ლექსებში იგრძნობა მწერლის სიყვარული იმ პატარა გმირებისა, რომლებსაც უყვართ სწავლა და პრომა, პატივისცემა და თავდადება მეგობრებისთვის. გიორგი შატბერაშვილი ბავშვებისთვის საგანგებოდ დაწერილ ლექსებში მოვლენებს რეალისტურად ხატავს. უბრალოება და ბუნებრიობა გიორგი შატბერაშვილის საყმაწვილო პოეზიის ერთი დამახასიათებელი ნიშანია. აქ შეიძლება დავასახელოთ სკოლის თემაზე დაწერილი რადმენიმე ლექსი - „პირველი დღე სკოლაში”, „ვინ იცინის, ვინ ტირის”, „წერილი კლასის დამრიგებელს” და „ჯერ ისწავლოს, იბეჯითოს”. ისინი კარგად გამოხატავენ შთაბეჭდილებებს, რომლებსაც ბავშვები იღებენ სკოლაში სწავლის დაწყების პირველი დღეებიდან. ეს შთაბეჭდილება და ბავშვის უშუალო განცდაა გამოხატული ლექსში „პირველი დღე სკოლაში” (1946წ.). აქ მარტივადაა წარმოჩენილი პირველკლასელის მღელვარება და სიხარული:

„მოდიოდა ჩანთით ხელში

თვალეგაბრწყინებული,

ბენდიერი, მხიარული,

მხნე და დამშვიდებული” (შატბერაშვილი, 1970:233).

ლექსში ავტორის ჩანაფიქრია, ასახოს არა მარტო პირველკლასელთა შთაბეჭდილებები, არამედ აღძრას ინტერესი და სიყვარული სკოლისა და მასწავლებლის მიმართ. პატარა მკითხველისთვის ასევე საინტერესოა ლექსი „ვინ იცინის, ვინ ტირის” (1946წ.). მწერალმა ლექსში ერთმანეთს დაუპირისპირა ბეჯითი და ზარმაცი მოსწავლე. პოეტის აზრით, მთავრი როლია სკოლაში შეხვიდე, არამედ უნდა იბეჯითო და კარგად ისწავლო, იმუყაითო, რომ ყველას მოსაწონი და მისაბაძი გახდე. გიორგი შატბერაშვილი ლექსში „ვინ იცინის, ვინ ტირის” ყმაწვილებს ასწავლის, რომ ბეჯითი მოსწავლე ყოველთვის მიაღწევს სასურველ მიზანს, ხოლო უქნარა და ზარმაცი – ვერასოდეს. ზარმაცის დანახვა არავის უხარია, არც არავის

სურს მასთან მეგობრობა, იგი მუდამ ჩამორჩენილი და შერცხვენილია. მსგავსად სხვა საბავშვო ლექსებისა, მწერლის აზრი აქაც სავსებით გასაგებია და ნათელი. პოეტი თვლის, რომ ყმანვილმა შრომისმოყვარეობა სკოლაშივე უნდა გამომაუღავენოს და გულმოდგინედ დაეუფლოს ცოდნას. გიორგი შატბერაშვილი სწავლას რომ დიდ უპირატესობას ანიჭებს, აშკარად ჩანს ლექსში „ჯერ ისწავლოს, იბეჯითოს“ (1945წ.), რომელშიც მწერალი ყმანვილებს მოუნოდებს ცოდნის დაუფლებისკენ. მართალია, გართობა და დასვენება სასურველია, მაგრამ პირველ რიგში, აუცილებელია სწავლა:

„დააცადე, იბეჯითოს,

ნავარდი და თამაშის დრო

უკეთესად იცის თვითონ!” (შატბერაშვილი, 1970:237).

გიორგი შატბერაშვილი ლექსში „წერილი კლასის დამრიგებელს“ (1946წ.) აღგვინერს მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობას. მწერალმა იცის, რომ მოზარდი თაობის აღზრდა-განათლების პროცესში დიდია მასწავლებლის როლი, ამიტომ უნდა გაუფრთხილდეთ მის ღვაწლს. (ბიოგრაფიიდან ვიცით, რომ პოეტი თავადაც მასწავლებლობდა 1938-43 წლებში კასპის სოფლებში - ქვემო ჭალასა და კავთისხევში, როცა იმდროინდელი ხელისუფლებისგან აკრძალული ჰქონდა თბილისში ცხოვრება; ი.გ.). ცოდნის დაუფლების პარალელურად, მოზარდი ფიზიკურ შრომასაც უნდა შეეჩვიოს და შემდეგ შინაარსიანად დაისვენოს. ყმანვილთა შრომისა და დასვენების თემაზეა დაწერილი ლექსი „მოვდივართ, მოგვიხარია“ (1946წ.).

გიორგი შატბერაშვილის საყმანვილო პოეზიაში რამდენიმე ლექსი ეძღვნება სკოლამდელი ასაკის ბავშვებს, კერძოდ , „პატარა კი არ გეგონოთ“, „აი, მზიას კარ-მიდამო“, „ქართველ ქალებს ასახელებს“, „სამზადისი“ და სხვ. სკოლამდელი ასაკის ბავშვი, ცხადია, ვერ ერკვევა ვერც თავისი და ვერც თანატოლების ყოფა-ქცევაში, მას ჯერ კიდევ ვერ გაუცნობიერებია კარგი და ცუდი. იმისთვის, რომ ყმანვილი გაერკვეს ავ-კარგში, მწერალზე ბევრი რამაა დამოკიდებული. გიორგი შატბერაშვილი ითვალისწინებს ამ გარემოებას და ცდილობს საყმანვილო ლექსებით დაეხმაროს

ბავშვებს. მისი პატარა გმირები ხალასი და ყმანვილური გონებამახვილობით გამოირჩევიან. ლექსში „პატარა კი არ გეგონოთ“ (1946წ.), გადმოცემულია გულუბრყვილო ბავშვის სახე. პატარას, რომელსაც შვიდი წელი არ შესრულებია გაკვირვებული კითხულობს:

„პატარა კი არ გეგონოთ,
შევსრულდები მალე შვიდის,
რად მარიგებს, ნეტავ, დედა
სამსახურში როცა მიდის?!“ (შატბერაშვილი, 1970:224).

სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვისაა განკუთვნილი ლექსი „სამზადისი“, სადაც გ.შატბერაშვილი უბრალო პოეტური ენით მოგვითხრობს თუ როგორ საქმიანობს პატარა გოგონა, როგორ ხალისიანად შრომობს.

გიორგი შატბერაშვილის მიერ შრომის თემაზე შექმნილი საბავშვო ლექსების დედააზრი, ყოველთვის მარტივ ფორმებშია ასახული. მწერალი პატარა გმირებს თავს არ ახვევს პირად აზრსა და შეხედულებებს, პერსონაჟთა მოქმედება თავისუფალია და მოკლებული მოსაწყენ რჩევა-დარიგებებს. ამაშია ჩვენი აზრით, გ.შატბერაშვილის საყმანვილო პოეზიის ერთ-ერთი მხატვრული ღირსება.

მწერლის საყმანვილო პოეზიაში საინტერესო მოვლენაა ვრცელი ლექსი „ხილთა ქება“, რომელიც 1948 წელს არის დაწერილი. ქართულ მწერლობაში ამ უანრის თხზულებები „ალორძინების“ ეპოქიდან მომდინარეობს, მისი ფუძემდებელია XVII საუკუნის ცნობილი ლიტერატორი გარსევან ჩოლოყაშვილი. ამ თემაზე ლექსები უწერიათ თეიმურაზ მეორეს, დავით რექტორს, პაპუნა ორბელიანს. აღნიშნულთან დაკავშირებით კორნელი კეკელიძე წერს: „თემატიკურად „ხილთა ქება“ სულ ახალ მოვლენას წარმოადგენდა იმდროინდელ ლიტერატურაში. გარსევანმა ამ თხზულებით საფუძველი ჩაუყარა ახალ უანრს, რომელიც მის შემდეგ პოპულარული ხდება“ (კეკელიძე, 1981:627).

„ხილთა ქება” იშვიათი თემა როდი იყო შემდგომი დროის ქართულ პოეზიაში, ამის დასტურია მეოცე საუკუნის პოეტების სიმონ ჩიქოვანისა და გიორგი შატბერაშვილის დაინტერესება ამ კუთხით. გიორგი შატბერაშვილი ლექსის დასაწყისში მკითხველს მოუთხრობს საქართველოს სხვადასხვა მხარეში მოგზაურობის შესახებ:

„ფეხდაფეხ შემოვიარე
ამერ-იმერი, მთა-ბარი,
გაოცებული ვკითხულობ
ქვეყანაა თუ ზღაპარი?” (შატბერაშვილი, 1970:251).

ლექსი რომ საგანგებოდ ბავშვებისთვისაა განკუთვნილი, ამას ავტორი პირდაპირ გვამცნობს:

„ვაშლის, ნარინჯის, ყურძენის
მეც უნდა დავყვე ნებასა,
მათი სურვილით, ბავშვებო,
დაგინერთ ხილთა ქებასა” (შატბერაშვილი, 1970:252).

„ხილთა ქებაში” მხატვრულად ასახულია ოცდარვა სახეობის ხილის ბიოლოგიური თვისებები. პირველ სიტყვას ამბობს შინდი, შემდეგ ტყემალი, მარწყვი და ყურძენი. მწერლის საგანგებო ყურადღება გამახვილებულია ვაზზე და არცთუ უსაფუძვლოდ: ქართველ კაცს ვაზის სიყვარული ძველთაგანვე მოსდევს, რაც დასტურდება სხვადასხვა წეს-ჩვეულებებში. ჩვენი წინაპრები აღმერთებდნენ ვაზს და მსხვერპლს წირავდნენ. გივი ახვლედიანის აზრით, „უძველესი დროიდანვე ვაზი იყო ნაყოფიერების, სიუხვის, მარადიული სიცოცხლის სიმბოლო. ქართულ ზეპირსიტყვიერებაში დღემდე შემონახულია მითოლოგიური ლექსები და გადმოცემები, რომლებშიც ვაზის კულტთან დაკავშირებული მაგიურ-რელიგიური წარმოდგენებია ასახული” (ახვლედიანი, 2004). გიორგი შატბერაშვილი ბავშვებისთვის გასაგები პოეტური ხერხებით ამკობს ნესვს, ვაშლს, კომშს, საზამთროს, ბაღს, ატამს,

ბრონეულს. კამათში ასევე ჩაბმულნი არიან მსხალი, თუთა, ხურმა და ციტრუსები. პოეტი „ხილთა ქებაში“ საბოლოო სიტყვას ასწლოვან კაკლის ხეს ათქმევინებს, როგორც ერთიანობისა და ძლიერების სიმბოლოს:

„იზარდეთ, ტკბილად დამწიფდით,
ქართველი კაცი ახარეთ,
ოქროს და ლალის ნაყოფი

ჩვენს მიწას გადააყარეთ!“ (შატბერაშვილი, 1970:258).

საყმაწვილო ლიტერატურის საკითხთა მკვლევარი ანა ღვინიაშვილი ერთმანეთთან ადარებს გარსევან ჩოლოყაშვილისა და გიორგი შატბერაშვილის „ხილთა ქებას“ და მართებულად შენიშნავს: „თუ შევადარებთ გარსევან ჩოლოყაშვილისა და გიორგი შატბერაშვილის მიერ სპეციალურად ბავშვებისთვის დაწერილ „ხილთა ქებას“, შევამჩნევთ, რომ ორივე პოეტს ბიოლოგიური თვისება თითქმის ერთნაირად აქვთ გადმოცემული, ხოლო გ.შატბერაშვილის „ხილთა ქება“ პოეზიის დიდ სიმალღემდე არის აყვანილი, თუმცა გარსევან ჩოლოყაშვილის „ხილთა ქება“ უფრო სრულყოფილია იმ მხრივ, რომ ხილის ავ-კარგიანობას ზუსტად ხატავს. გარსევან ჩოლოყაშვილის შემეცნებითი ხასიათის „ხილთა ქება“ და გიორგი შატბერაშვილის პოეტური „ხილთა ქება“ ერთმანეთს ავსებენ და ჩვენი საბავშვო ლიტერატურისათვის კარგი შენაძენნი არიან“ (ღვინიაშვილი, 1972:208). გიორგი შატბერაშვილის „ხილთა ქება“ მოზარდ თაობაზე ისეთივე კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს, როგორც ყოველი ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოები.

გიორგი შატბერაშვილის საბავშვო პოეზიის ანალიზმა მიგვიყვანა შემდეგ დასკვნამდე: მწერლის საბავშვო ლექსები ლაკონურია, მათში ბავშვებისთვის განკუთვნილი ბევრი საინტერესო საკითხია წამოჭრილი და რაც მთავარია, დაწერილია ადვილად ასათვისებელი ენით. გ.შატბერაშვილის საყმაწვილო პოეზიის ენა სადაა, ბუნებრივი და გამართული. პოეტის ოცნება და ფიქრი ყმაწვილებს დასტრილებს თავს.

§.5. ბუნების მხატვრული გააზრება გიორგი შატბერაშვილის პოეზიაში

ბუნების სურათების ასახვა ყოველთვის წარმოადგენდა ქართული პოეზიის ერთ მთავარ თემას. პოეტის ჭეშმარიტი შესაძლებლობები მულავენდება იმითაც, თუ როგორ ახერხებს ბუნების სურათების ცოცხლად გადატანას ლირიკულ ქმნილებებში, რამდენად ახერხებს დაამყაროს კავშირი საზოგადოებასა და ცოცხალ ბუნებას შორის. გიორგი შატბერაშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებული როლი ენიჭება ბუნებისა და ბუნებრივი მოვლენების ჩვენებას. აქ ბუნება ერთი მთლიანობაა, განუყოფელი და ამდენად, მხატვრული ნაწარმოებების არსებითი დამახასიათებელი ნიშანი. უნდა აღვნიშნოთ, რომ გიორგი შატბერაშვილის ლექსები, რომლებშიც ბუნების სურათებია ასახული, გამოირჩევიან პოეტური ელფერიითა და მომხიბვლელობით, მკაფიო უღერადობით, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების სიუხვით. გ.შატბერაშვილის მიერ აღწერილი ბუნების სურათები არაა თვალისმომჭრელი. იგი ბუნების იდეალიზაციას როდი ეწევა, პეიზაჟების ასახვა მწერალს ესჭიროება თავისი განწყობის გადმოსაცემად და თხზულებებში იდეური ჩანათვიქრის განსახორციელებად.

გიორგი შატბერაშვილმა ბავშვობის უმეტესი წლები ქართლის სოფელ თვალადში გაატარა (კასპის რაიონი), თუმცა არც შემდეგ გაუნწყვეტია მასთან კავშირი. აქ გატარებულმა წლებმა მომავალ პოეტს ბევრი რამ ასწავლა, გააცნო სამყარო, შეაყვარა ბუნება თავისი მრავალფეროვნებით. ყრმობის ასაკში ნანახმა და განცდილმა თავისი გამოხატულება შემდეგ პოეტურ სტრიქონებში ჰპოვა. გიორგი შატბერაშვილი მშობლიური ქართლის სანახებს, მის ველ-მინდვრებს რამდენიმე ლექსში ხატავს. მწერალს არც ბუნებრივი მოვლენების აღწერა ავიწყდება, იგი ასევე ოსტატურად აცოცხლებს წელიწადის ყველა დროს. მკითხველისთვის შთამბეჭდავია გიორგი შატბერაშვილის თვალთ დანახული ლაუჯარდოვანი ცა, ხასხასა ჭეჭილი, სპეტაკი თოვლი და ა.შ. პოეტი ბუნებას განიცდის, როგორც სულიერ მეგობარს, როგორც ახლობელს. ერთ-ერთ ლექსში „არსენა ყაჩალი“, რომელიც გიორგი შატბერაშვილს ჭაბუკობის წლებში (1931წ.) დაუწერია ვკითხულობთ:

„ახლა მთები უჩადროა, ხართვალა მოჩანს.

ჯერ აღრეა, ბრწყინავს ზეცა – ვარსკვლავების ხონჩა.

ისფერი ეკიდება თრიალეთის ლაუჯარდს,

ნისლის ჩოხებს ეზიდება

ცისფერ გარიჟრაჟთან...”(შატბერაშვილი 1970:41).

მოყვანილ სტროფში გარდა იმისა, რომ პოეტი შთამბეჭდავად აღწერს თრიალეთის მთების ფონზე გარიჟრაჟის სურათს, გვთავაზობს მშვენიერ პოეტურ სახეებს. მკითხველს ხიბლავს სახე-სიმბოლოები: „უჩადრო მთები“, „ვარსკვლავების ხონჩა“, „ისფერი ლაუჯარდი“, „ნისლის ჩოხა“, „ცისფერი გარიჟრაჟი“. უნდა აღინიშნოს, რომ ერთ სალექსო სტროფში რამდენიმე პოეტური ფორმის თავმოყრა ნათელი დასტურია მისი ავტორის მხატვრული შესაძლებლობებისა. როგორც ვთქვით, გიორგი შატბერაშვილმა ყრმობის წლები უმეტესად სოფელ თვალადში გაატარა. მომავალი პოეტი სოფელს უფრო ხშირად ზამთრობით სტუმრობდა და იხიბლებოდა მისი თოვლიანი პეიზაჟებით. ბავშვობის დროინდელი მოგონებები მას

არც სიჭაბუკეში დავიწყებია და წერდა: “კარგია ზამთრობით სოფელი. უთოვლო ზამთარი არ მახსოვს. იქნებ იყო, მაგრამ მუდამ თოვლიანი მესახება ჩემი თვალადი” (შატბერაშვილი, 1975:300). სოფლის პეიზაჟთან დაკავშირებით განსაკუთრებით შთამბეჭდავია ლექსი “ზამთრისპირს ჩემი სოფელი” (1945წ.), რომელშიც პოეტური განცდა სადა ფერებითაა წარმოსახული. სასიამოვნო სანახავია ზამთრის თეთრ საბურველში გახვეული სოფელი, ფერდობზე შეფენილი, დათოვლილი სახლები და ბუხრებიდან ცამდე აწვდილი იისფერი კვამლი:

“მთიდან ჩამოდის ზამთარი,
ჩამოთოვლილან ქედები,
ღრუბლებში შეცურებულან
ვით მარმარილოს სვეტები” (შატბერაშვილი, 1962:68).

ბუნების სურათები, მისი მოვლენები და ფერისცვალება ახარებდა მწერალს. ზამთრის პეიზაჟების მსგავსად, პოეტი ასევე ხატოვნად აღწერს გაზაფხულის სურათს ლექსში “თებერვალი” (1948წ.) : ზამთარი მიიწურა თებერვლისა და მარტის ქარებმა გადაიქროლეს, დამზრალი მინა ნელ-ნელა გალღვა, მთვლემარე დედამიწამ თვალი გაახილა:

“იხურება ზამთრის კარი,
გაზაფხულის დაჰქრის ქარი,
კიდევ ერთხელ მღერის გული:
მოდის, მოდის გაზაფხული!” (შატბერაშვილი, 1970:217).

“თებერვლის” მხატვრული გაგრძელებაა ლექსი “აპრილი”, რომელშიც საგაზაფხულო ფერისცვალება გიორგი შატბერაშვილის მიერ ლამაზი პოეტური ფერებითაა ასახული.

გიორგი შატბერაშვილი სიცოცხლის ბოლომდე ერთგული დარჩა ქართულ პოეზიაში ერთი ძირითადი თემის, ბუნების სურათების აღწერისა. იმის დასტურად, რომ პოეტს არასოდეს უღალატია ბუნების მხატვრული გააზრებისთვის, შეიძლება

დავასახელოთ ბოლო წლებში შექმნილი ლექსები: “გაზაფხული მუხრანის ველზე”, “გაიმინდვრა”, “თიბათვე”, “მკათათვე” და სხვ. უნდა ითქვას, რომ მაშინ, როდესაც პოეტის განცდისა და ფიქრის სათავე იყო ცხოვრების რომელიმე აქტუალური მოვლენა, იგი, მაინც ბუნებაში ეძებდა ლექსის შექმნის შთამაგონებელ წყაროს, ბუნების სურათების აღწერით მწერალი ცდილობდა სრულად გამოეხატა თავისი სათქმელი.

გიორგი შატბერაშვილის პოეზიაში, კერძოდ, ბუნების სურათების აღწერისას, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების მხრივ სჭარბობს პოეტური შედარებები, ეპითეტები და მეტაფორები. მწერალი ხშირად მიმართავს სიტყვებს, ფრაზებსა და ზოგჯერ სალექსო სტრიქონთა წინასწარ განზრახულ გამეორებას. პეიზაჟების აღწერისას ბევრ ორიგინალურ რითმასთან ერთად, გვხვდება არასრულყოფილი რითმებიც.

§.6. გიორგი შატბერაშვილის პოემა „ზაფხულის ღამის ქრონიკა“

გიორგი შატბერაშვილის პოეტური შემოქმედებიდან აღსანიშნავია პოემა „ზაფხულის ღამის ქრონიკა“ (1962წ.). თხზულებამ გამოქვეყნებისთანავე მკითხველი საზოგადოება დააინტერესა, თუმცა ქართულმა სალიტერატურო კრიტიკამ მის მიმართ ვერ გამოიჩინა სათანადო ყურადღება და ვერ შეათვასა მისი მხატვრული ღირსება. თხზულების ავტორი თითქოს, წინასწარ გრძნობდა კრიტიკოსთა მისადმი დამოკიდებულებას და პოემის შესავალში წერდა:

„შენ, კრიტიკოსო, შუბლს ნუ შეიკრავ,
უცებ ნუ ასტეხ დავიდარაბას...
ნუ ჩაჰკირკიტებ ცალკე სტრიქონებს,

ნუ მიშლი ოხვრას, გულის მიმოხრას

წაუკითხავად ნუ მიწყებ ძრახვას,

კეთილი არის ჩემი განზრახვა” (შატბერაშვილი, 1966:147).

„ზაფხულის ღამის ქრონიკის” მიმართ კრიტიკოსთა უყურადღებობა 70-იან წლებშიც გაგრძელდა, რაზეც მიუთითებდა ზურაბ ჭუმბურიძე: „ქართულ კრიტიკას სათანადოდ ჯერაც არ შეუფასებია გიორგი შატბერაშვილის პოემა „ზაფხულის ღამის ქრონიკა”, რომელიც „მკვდრის მზის” შემდეგ არის დაწერილი. ამ პოემაშიც, ისევე როგორც „მკვდრის მზეში”, ავტორი სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულ თემას დასტრიალებს” (ჭუმბურიძე, 1975:26-27).

პოემა კომპოზიციურად არაა მჭიდროდ შეკრული. იგი ლირიკული ხასიათისაა, სადაც მიმდინარეობს გულდია საუბარი როგორც მკითხველთან, ისე საკუთარ თავთან. როდესაც ადამიანი მართო რჩება და მის ირგვლივ სიჩუმე ისადგურებს, უნებლიეთ, ხმამაღლა იწყებს ფიქრს, რაიმე მოვლენის განსჯას. „სიჩუმე ფიქრის დედაა, - წერს გიორგი შატბერაშვილი, ფიქრი ადამიანს არა ჰგავს. ადამიანს ხმაური აღვიძებს, ფიქრებს – სიჩუმე. მოვა თუ არა სიჩუმე, ფიქრები იღვიძებენ და ადამიანის ირგვლივ იწყებენ სიარულს” (შატბერაშვილი, 1975:303). პოემაში თითქოს, პოეტის ხმამაღლა ფიქრობს და მკითხველი მონაწილე ხდება მისი ფიქრთა დინების:

„დღეიდან ვიწყებ ქრონიკის წერას,

ჩემი ფიქრების ქრონიკის წერას” (შატბერაშვილი, 1966:149).

„ზაფხულის ღამის ქრონიკაში” ავტორი სევდიანი ფერებით აღწერს თორმეტი წლის გოგონას ტრაგედიას, პოემაც ამ გოგონას ხსოვნას ეძღვნება, რაც გაცხადებულია ეპიგრაფში - „პატარა თამარ ულენტის ხსოვნას”. გიორგი შატბერაშვილი, ვიდრე გოგონას მხატვრულ სახეს შექმნიდეს, წინასწარ გვაფრთხილებს მოსალოდნელი უბედურების შესახებ:

„შენ ჩემო ცრემლო, უკვდავთა საფლავს

დასადინარო და დიდო ცრემლო,

იშვილე, შერთე შენს მღვრიე ტალღებს
ეს ერთი ცრემლიც, ანკარა ცრემლი,
მცირე, უცნობი და უსახელო...”(მატბერაშვილი, 1966:143).

„ზაფხულის ღამის ქრონიკა” ამ სტრიქონებით იწყება და ვგრძნობთ, რომ პოეტი შეშფოთებულია თამარის ტრაგედიით. იგი მწვავედ განიცდის ნორჩი სიცოცხლის შეწყვეტას. გიორგი შატბერაშვილმა უბრალო პორტრეტული შტრიხებით, მცირე ბიოგრაფიული დეტალებით გააცოცხლა გოგონას მხატვრული სახე, დაგვიხატა მისი შინაგანი ბუნება, აქცია იგი ბავშვური სინმინდის სიმბოლოდ. ბავშვები ალამაზებენ ადამიანთა ცხოვრებას, აზრს მათებენ კაცობრიობის არსებობას. ამიტომაც, რომ პატარა თამარ ჟღერის დაღუპვამ მწვავე განცდები აღძრა პოეტის გონებაში:

„მაგრამ ვაი, რომ ის აღარ არის,

უეცრად გაჰქრა პატარა ქალი” (მატბერაშვილი, 1966:158).

გამქრალიყო სიცოცხლე უმწეო, გოგონასი, რომელმაც მწერალს გაზაფხულის ერთ ღამეზე დღეს:

„გალიმებით და სიტყვის უთქმელად,

ისამნის რტო გამოუწოდა” (მატბერაშვილი, 1966:157).

საინტერესოა, რომელ პროფესიას დაეუფლებოდა თამარი სიცოცხლე რომ დასკლოდა. შეიძლება იგი ხელოვანი ყოფილიყო, ან ექიმი და ისევე ებრძოლა ადამიანთა სიცოცხლის გადასარჩენად, როგორც მისი მკურნალი ექიმები იბრძოდნენ. პატარა გოგონა ამ ყველაფერის გარდა, აუცილებლად კარგი დედა იქნებოდა, ვინც ღამეზე შვილებს აღუზრდიდა სამშობლოს. გიორგი შატბერაშვილი, როგორც მოქალაქე და პოეტი აღშფოთებულია მომხდარით, თუმცა რწმენას კვლავ ადამიანთა შორის ეძებს და ფიქრობს, რომ ნუთუ არ შეიძლებოდა საშველის გამონახვა, რომელიც სასიკვდილოდ განწირულ ბავშვს გადაარჩენდა. მწერალი „ზაფხულის ღამის ქრონიკაში” პირდაპირ არ მიგვანიშნებს იმ მიზეზზე, რომელმაც გოგონას

სიცოცხლე შეიწირა, მაგრამ დაკვირვებული მკითხველი მისი სტრიქონებიდან ამოიცნობს, რომ თამარის მომაკვდინებელი ავადმყოფობა საშიში ნივთიერებით იყო გამონვეული. პოეტის ფიქრები მოულოდნელად სწვდება ატომს, რომელიც გამუდმებით ემუქრებოდა გოგონას სიცოცხლეს:

„...და გამახსენდა უეცრად ღმერთი,

ცეცხლი რომ უზის თვალთა მშუქებრად –

ბოროტი ღმერთი, ატომის ღმერთი” (მატბერაშვილი, 1970:272).

„ზაფხულის ღამის ქრონიკის” ძირითადი იდეა სიცოცხლეზე ზრუნვაა. ის მძიმე ამბავი, რომელიც პოემაშია გაშლილი, მიმართულია იქითკენ, რომ კაცობრიობას მოუწოდოს სიკეთისკენ, ადამიანებზე ზრუნვის აუცილებლობისკენ. სამწუხაროდ, ადამიანებმა ვეღარ უშველეს გოგონას, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ გაეცნობიერებინა საკუთარი თავი. პატარა თამარს სჯეროდა ადამიანების, მათი გონიერების, მოთმინებით იტანდა ტკივილებს, გვერდით დედა ჰყავდა, ექიმებიც თავგანწირვით ებრძოდნენ „ბოროტ სენს”, მაგრამ ამაოდ:

„-მოკვდა... გაისმა ქუჩის ძახილი.

ვეღარ გაუძლო დუმილს და ლოდინს,

ძახილი მისწვდა პატარა ეზოს,

დაბალი სახლის ღია ფანჯარას,

და იასამნის შეირხა ტოტი” (მატბერაშვილი, 1970:297).

დედას მოუშუშებელ ტკივილად ექცა თორმეტი წლის შვილის სიკვდილი, მისი გული სამუდამოდ გაიბზარა. დრო მიდიოდა, ირგვლივ ყველაფერი იცვლებოდა, მხოლოდ აღარ ისმოდა თამარის ხმა, იგი მთელ ქუჩას ენატრებოდა.

როგორც აღვნიშნეთ, პოემის ძირითადი იდეა სიკვდილ-სიცოცხლის ურთიერთობის მარადიული პრობლემაა. ამიტომ, რომ გარდა თამარ ულენტის ტრაგედიისა, თხზულებაში მხატვრულადაა ასახული ისეთი სახელოვანი ადამიანების უცნაური სიკვდილი, როგორებიც იყვნენ გალაკტიონი, ერნესტ ჰემინგუეი და გურამ

რჩეულიშვილი. მათ აღსასრულს გიორგი შატბერაშვილი ოსტატურად უხამებს პატარა გოგონას სიკვდილს. კერძოდ, თამარის დაღუპვას ენაცვლება გალაკტიონის უცნაური „სიკვდილი ცაში“:

„ასევე უცებ – ორი წლის წინათ,
პოეტმა სცადა ცისკენ გაფრენა,
ცაში სიკვდილი, თავის განირვა,
გაღეგენდება და გაზღაპრება...” (შატბერაშვილი, 1966:162).

პოემაში ვკითხულობთ, რომ გალაკტიონმა სიკვდილის წინ საკვირველი ჩვენება იხილა და შემდეგ სცადა „ცისკენ გაფრენა”, რათა სამუდამოდ შერთვოდა მარადისობას. პოეტს სიცოცხლეშივე ერგო უკვდავება, მას პატივს მიაგებდა სრულიად საქართველო. ამიტომ შეძრწუნდა და გაოგნდა საზოგადოება „ლურჯა ცხენების” ავტორის მოულოდნელი ნაბიჯით, ხოლო გიორგი შატბერაშვილი წერდა:

„აღბათ, სხვა არის...სიკვდილი ცაში,
მიუწვდომელი, გაუგებარი.
ის სიცოცხლეზე უკეთესია,
პოეტისათვის კარგი სიკვდილი
უკანასკნელი კარგი ლექსია!” (შატბერაშვილი, 1966:163).

პოემაში გალაკტიონ ტაბიძის უცნაურ აღსასრულს წინ უსწრებს ამერიკელი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატის ერნესტ ჰემინგუეის (1899-1961) სიკვდილი:

„შორს, აიდაჰოს მშენიერ შტატში
მოულოდნელად გავარდა თოფი –
ტყვიაში თურმე სიკვდილს ეძინა...
მან გაიღვიძა და მოჰკლა კაცი” (შატბერაშვილი, 1969:160).

„ზაფხულის ღამის ქრონიკაში” გიორგი შატბერაშვილი ასევე აღწერს თავისი მეგობრის გურამ რჩეულიშვილის დაღუპვას (1934-1960). პოემის სიუჟეტის მიხედვით, გურამი მედგრად ერკინებოდა აბობოქრებულ ზღვის ტალღებს, თუმცა გრძნობდა,

რომ უკვე განწირული იყო. ნაპირზე მისი მეგობრები იდგნენ, მაგრამ საოცარი ის იყო, რომ ჭაბუკი შველას არავის სთხოვდა:

„და იგი ისე დაიღუპა,

არ თქვა – მიშველეთ...“

ასეთია ბედი ამაყთა” (შატბერაშვილი, 1970:281).

აქ მთავრდება „ზათხულის ღამის ქრონიკა“, რომლის უმეტესი ნაწილი დაწერილია ურითმოდ, თუმცა ამან მნიშვნელოვანი გავლენა ვერ იქონია პოემის მხატვრულ ღირებულებაზე.

„ზათხულის ღამის ქრონიკა“ სინამდვილის მხატვრული ასახვით საყურადღებო მოვლენაა არა მარტო გიორგი შატბერაშვილის შემოქმედებაში, არამედ მეოცე საუკუნის 60-იანი წლების ქართულ პოეზიაში. მწერალმა „ზათხულის ღამის ქრონიკას“ მოუძებნა შინაგანი უწყვეტი ხაზი, სინამდვილისადმი სუბიექტური დამოკიდებულება ლოგიკურად განავითარა და პოეტურად წარმოსახულ სურათებს მეტი შთამბეჭდაობა მიანიჭა. მართალია, სიუჟეტის განვითარება არ მიმდინარეობს სწორხაზოვნად (ანალოგიური მდგომარეობაა მოთხრობაში “მკვდრის მზე”, ი.კ.), მაგრამ გ. შატბერაშვილის ჩანაფიქრი პოემის ეპილოგში, მაინც იღებს გამოკვეთილ სახეს. პატარა თამარის მძიმე თავგადასავლის აღწერითა და იდეის ორიგინალური წარმოჩინებით ნაწარმოებს დასრულებული სახე ეძლევა, ხოლო თავად ავტორი მხატვრული სიტყვის ოსტატად წარმოგვიდგება. მიუხედავად ამისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გასული საუკუნის 60-70-იანი წლების ქართულმა სალიტერატურო კრიტიკამ სათანადოდ ვერ შეაფასა გიორგი შატბერაშვილის პოემა, რასაც თავისი მიზეზი უნდა ჰქონოდა. კერძოდ, „ზათხულის ღამის ქრონიკაში“ აღწერილი გოგონას ტრაგედია როგორც ჩანს, გამოიწვია ადამიანთა მიერ შექმნილმა ტექნიკურმა ცივილიზაციამ, კერძოდ, ატომის წარმოებამ: „...და გამახსენდა ბოროტი ღმერთი, ატომის ღმერთი” (შატბერაშვილი, 1970:272), რომელიც საფრთხეს უქმინდა კაცობრიობას, ადამიანების ჯანმრთელობას. ცხადია, იმდროინდელი კომუნისტური

რეჟიმის ხელისუფალნი ცდილობდნენ რეალობა შეენიღბათ და ატომის თემამზე საუბარს ტაბუ დაადეს როგორც საზოგადოდ, ასევე პრესაში და მწერლობაშიც. მიუხედავად ცენზურისა, გიორგი შატბერაშვილმა მკითხველს ნართაულად წარმოუჩინა ტაბუირებული თემა. მწერალმა „ზაფხულის ღამის ქრონიკაში“ თამარ ულენტის სიკვდილით მიუთითა ატომის საშინელებაზე, მავნე ნივთიერებებისგან გამონწვეულ სენზე, რომელმაც გოგონას სიცოცხლე იმსხვერპლა. საბჭოთა ლიტერატურის კრიტიკოსებმა როდესაც წაიკითხეს „ზაფხულის ღამის ქრონიკა“, არ მოეწონათ მისი იდეური არსი და არც ავტორის მოქალაქეობრივი გამბედაობა. აკრძალულ თემამზე შექმნილი თხზულება პოეტს განზრახ დაუნუნეს და კიდევ ერთხელ შეაქციეს ზურგი, როგორც 1935-36 წლებში.

თვით პოემის სათაურის გააზრებაა, მისი შინაარსით არის შესაძლებელი. გ.შატბერაშვილი თხზულებაში აღგვიწერს რამდენიმე დღის სევდიან ამბავს ანუ ქრონიკას, რომელიც რეალურად მოხდა 1961 წლის ზაფხულში, თბილისის ძველ უბანში – ვერაზე. ამდენად, „ზაფხულის ღამის ქრონიკაში“ ასახული ტრაგედია არაა მხოლოდ მხატვრულ-გამონაგონი. არაგვის ქუჩაზე, სადაც გიორგი შატბერაშვილი ცხოვრობდა, მისი მეზობლები იყვნენ მეუღლეები, გივი ულენტი და თინათინ ფარჯანაძე. მათი ასული თამარი, 12 წლის ასაკში მძიმე და უცნაური სენით დაავადდა. მშობლებმა ძალისხმევა არ დაზოგეს შვილის გადასარჩენად, მაგრამ გოგონა მაინც დაიღუპა. სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე მწერალი და თამარ ულენტი დამეგობრდნენ, ქუჩაშიც ხშირად დასეირნობდნენ ერთად. ხოლო შემდეგ, როცა ბავშვი დიდხანს აღარ გამოჩნდა, პოეტმა შინ მიაკითხა და გაირკვა, რომ უმანკო სიცოცხლე უღმობელ სენს შეეწირა. მამამ შვილის სახელის უკვდავსაყოფად მიმართა მწერალ აკაკი ბელიაშვილს, მხატვრულად აღეწერა მათი ტრაგედია, მაგრამ აკაკი ბელიაშვილმა იგი უარით გამოისტუმრა. გივი ულენტმა შემდეგ, თხოვნით მიმართა გიორგი შატბერაშვილს და ასე დაინერა პოემა 1962 წელს,

რომელსაც მართალია, სევდიანი ფერები ახლავს, მაგრამ მასში ნათლად იკვეთება მწერლის დიდი ჰუმანიზმი.

პოემის სათაურის შესახებ საყურადღებო მოსაზრებას გამოთქვამს ზურაბ ჭუმბურიძე: “უნდა ითქვას, რომ მოთხრობას “მკვდრის მზეს” ქვესათაურად აქვს “ამბავი წუთისოფლის დიდი დღისა“. მოთხრობის ეს ქვესათაური და პოემის ქვესათაური ცხადია, შემთხვევით არ ეხმაურებიან ერთმანეთს და წუთისოფლის გრძელი დღე, ზაფხულის მოკლე ღამესთან შეგნებულად არის დაპირისპირებული” (ჭუმბურიძე, 1975:27). “ზაფხულის ღამის ქრონიკა” გაზეთმა “ლიტერატურულმა საქართველომ” (1965.№17), გიორგი შატბერაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გამოსათხოვარ წერილში “გიორგი შატბერაშვილი,” ასე შეაფასა: “გიორგი შატბერაშვილის ლირიკული პოემა “ზაფხულის ღამის ქრონიკა”, ამალღებული და გულში ჩამწვდომი სიმღერაა სიცოცხლისა, სიყვარულისა და სილამაზისა” (“ლიტერატურული საქართველო” 1965). სარგის ცაიშვილის აზრით, პოემა რთული შინაგანი სტრუქტურისაა და მრავალფეროვანი ინტონაციებით გამორჩეული. იგი სრულიად ახალი მოვლენაა 60-იანი წლების ქართული პოემის. „ქრონიკა“, როგორც ფორმით, ისე შინაარსით, -წერს სარგის ცაიშვილი, ამკარად ახალი სიტყვა იყო იმ დროის არა მხოლოდ გიორგი შატბერაშვილის შემოქმედებაში. პოემისთვის ნიშანდობლივია რთული შინაგანი სტრუქტურა, ასოციაციების თანამედროვე ხერხები, ინტონაციათა მრავალფეროვნება და რაც მთავარია, ცალკეულ თემატიკურ მოტივთა დამორჩილება მხატვრული ლოგიკის მკაცრ საფუძველზე.

სამწუხაროდ, „ზაფხულის ღამის ქრონიკა“, ერთი უკნასკნელი პოეტური ქმნილება აღმოჩნდა, მისი ავტორი კი კვლავაც რამდენ ახალ სათქმელს ატარებდა ალბათ, მომავალი პოეტური აღსარებისათვის” (ცაიშვილი, 1986:196). საგულისხმოა, რომ პოეტს განზრახული ჰქონდა დაეწერა „ზამთრის ქრონიკა“:

„მოვა ზამთარი, პირველი თოვლი.

მოვა და დავწერ ზამთრის ქრონიკას”(შატბერაშვილი, 1966:188).

„სწრაფად, თვალმოუკრავად მიჰქრის წლები – წერდა გიორგი შატბერაშვილი, შარშან „ზაფხულის ღამის ქრონიკა” დავწერე, ვცადე გულწრფელად დამენახა ის, რაც ხდება ჩემში და ჩემს ირგვლივ. „ქრონიკა” დამთავრებული არ არის, რადგან ცხოვრების დიდი წელიწადი ჯერ არ გასულა. მალე „ზამთრის ქრონიკასაც” გამოვაქვეყნებ” (შატბერაშვილი, 1964:8), მაგრამ „ზამთრის ქრონიკის” დაწერა ვეღარ მოასწრო პოეტმა, იგი მოულოდნელად გარდაიცვალა.

• • •

როდესაც ახლოს ვეცნობით გიორგი შატბერაშვილის პოემიას ვრწმუნდებით, რომ ყოველი ფრაზა თუ ხატოვანი გამონათქვამი გულიდან მომდინარეობს, რომ ეს ყოველივე მისი სულიერი სამყაროს ერთი პატარა კუთხეა და მისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი. მწერლის მრავალფეროვანი პოეტური მემკვიდრეობა რამდენადმე განსხვავებულია მისივე თანამედროვე თანამოკალმეებისაგან. განსხვავებულია მისი პოეტური ხედვა, ლირიკული განწყობა, ხოლო ლექსებში აღძრული პრობლემები სრული სახით წარმოაჩენენ თვითონ პოეტს და გვაძლევენ საშუალებას განვიხილოთ და შევაფასოთ მისი პოემია იმ კუთხით, იმ საზომით, როგორ გარემოშიც იქმნებოდა იგი.

გიორგი შატბერაშვილი ქართულ პოეზიაში დამკვიდრებულ ლიტერატურულ ტრადიციათა ერთგული მიმდევარია, თუმცა ახალი პოეტური ფორმათა ძიების სურვილი არასოდეს განელებია. იგი ყოველთვის დიდი პასუხისმგებლობით ცდილობდა ღირსეულად ეტარებინა ქართველი პოეტის სახელი. ერთ-ერთ ლიტერატურულ ნარკვევში „ლექსი და სახლი” (1958წ.) გიორგი შატბერაშვილი წერს: „არაერთი დამწყები მწერალი ჯიუტად თხოულობს ასეთ კითხვაზე პასუხის გაცემას:

გამოვა თუ არა რამე ჩემგან? ეს კითხვა ბუნებრივად ებადება ყველას, ვის კალამსაც წინააღმდეგობა შეხვდება.

ეს კითხვა ქვეყნად პირველი შემოქმედის გაჩენიდან არსებობს და აწვალებს ადამიანის მაძიებელ სულს. უამკითხვოდ თვით დიდ შემოქმედებსაც კი არ უცხოვრიათ. რა პასუხი უნდა გავცეთ ამ კითხვაზე?” (შატბერაშვილი, 1975:146). მწერლის ამ კითხვას ვფიქრობთ, მისივე პოეტური მემკვიდრეობა პასუხობს: გიორგი შატბერაშვილი ყოველთვის ახერხებს სრულყოფილად გადმოსცეს თავისი სათქმელი. მის პოეზიაში გვხვდება ბევრი ისეთი ლექსი, რომელიც მკითხველს ხიბლავს შთამაგონებელი ძალით, პოეტური მიგნებით და რაც მთავარია, საინტერესო მხატვრული აზროვნებით.

მდიდარია გიორგი შატბერაშვილის პოეტური ლექსიკის მარაგიც. იგი კარგად ფლობს ქართულ სალიტერატურო ენასა და ცოცხალ სამეტყველო ქართლურ დიალექტს. მწერალი არ ეკუთვნის შემოქმედთა იმ კატეგორიას, ვისთვისაც არსებობს მხოლოდ ტრადიციული პოეტური, ან არაპოეტური ლექსიკა. გ.შატბერაშვილი ყოველ სიტყვაში პოეტურ შინაარსს, მხატვრულ თავისებურებებს ეძებს, იგი არ ცდილობს გამოიყენოს გავრცელებული და ყოველდღიურ ხმარებაში არსებული ფრაზები. მიგვაჩნია, რომ ამ ასპექტით პოეტი უზადო ლიტერატურულ გემოვნებას ამჟღავნებს, რომ სწორედ, ამით არის გამოწვეული მისი პოეზიის ცხოველმყოფელობა.

გიორგი შატბერაშვილს თავისი პოეტური ხელწერა აქვს, მას ხელწინფება იქონიოს ახლებური, ორიგინალური დამოკიდებულება საგნებთან და მოვლენებთან. პოეტი ჩინებულად ახერხებს ფორმისა და შინაარსის ბუნებრივ ურთიერთკავშირს, რასაც ნათელ ყოფს მისი არაერთი ლექსი.

საგანგებო აღნიშვნის საგანია გიორგი შატბერაშვილის პოეტური ენის საკითხი, რომელიც მხატვრული თვალსაზრისით რთული მოვლენაა. მიუხედავად იმისა, რომ პოეტური ნაწარმოების შექმნას დიდი ძალისხმევა და შემოქმედებითი ნიჭი სჭირდება,

მაინც განსაკუთრებული ყურადღება პოეტურ ენას ეთმობა. თავისთავად, პოეტი ვერ შექმნის მხატვრული ღირსებით აღბეჭდილ ნაწარმოებს თუ არ გამოიყენა, არ მიმართა ცოცხალ სამეტყველო ენას, დიალექტს, ლინგვისტურ ენას. ამდენად, გატბერაშვილის პოეტური ენისთვის უცხო როდია ხალხური მეტყველება, დიალექტები და თვით ლინგვისტური აზროვნება. პოეტი ლექსის წერის ტექნიკაში საგანგებო ყურადღებას ამახვილებს ლინგვისტურ ენაზე, ფრაზების, სტრიქონების, სტროფების მორფოლოგიურ და სინტაქსურ წყობაზე. პოეზიაში ლინგვისტური ენის გამოყენება დასაშვებად მიაჩნდა რუს ლიტერატურათმცოდნეს მიხეილ ბახტინს (1895-1975), როდესაც წერდა: “პოეზია ტექნიკურად იყენებს ლინგვისტურ ენას სრულიად სხვაგვარად. ენა სჭირდება პოეზიას მთლიანობაში, ყოველმხრივ და ყველა მომენტში, პოეზია არ არის გულგრილი ლინგვისტური სიტყვის არც ერთი ნიუანსის მიმართ” (ბახტინი, 1986:65).

XX საუკუნის ქართული პოეტური კულტურის სიტყვათწარმოებაში დიდი როლი გალაკტიონ ტაბიძესა და გიორგი ლიონიძეს ეკუთვნით. სახელოვანი მწერლების მემკვიდრეებიდან სხვა პოეტების გვერდით შეიძლება დავასახელოთ გიორგი შატბერაშვილიც, რადგან მან ზოგიერთი ძირეული სიტყვისგან შექმნა ახალი ფორმისა და შინაარსის სიტყვა. მაგალითად, ხელი-ავხელი (ქერდი), წყალი-წყალძვირი (ძუნწი), ქართული-გადაქართულება (გადავიწყება), გვარი-გვართხელი და გვარმრავალი (მცირე გვარი და დიდი გვარი), საღამო – დაისღამე, კაცი-კაცნახევარი (მაღალი), იმედი-გაიმედება და ა.შ. უფრო მეტიც, მწერალმა დიდი შრომის ფასად შეადგინა საინტერესო სიტყვა-თქმების კრებული „თვალადური ქართულის ჭაშნიკი“.

ამრიგად, გიორგი შატბერაშვილის პოეტური მემკვიდრეობა ერთი მთლიანი მხატვრული სამყაროა, სადაც მოტივების, განწყობილებების, მხატვრული ასახვის ნაირგვარობაში ნათლად ჩანს მისი მწერლური პოზიცია, მრწამსი და მსოფლმხედველობა.

თავი III

გიორგი შატბერაშვილის მხატვრული პროზის სპეციფიკა

მწერლის შემოქმედებითი ნიჭი სინამდვილის მხატვრულად გარდასახვაში მუდავნდება. ჭეშმარიტია შემოქმედი, ვინც ობიექტურად ასახავს რეალობას, მაგრამ გვერდს ვერ აუვლის მხატვრულ სინამდვილეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მხატვრული ნაწარმოები მშრალ, დოკუმენტურ სახეს მიიღებს და თავის დანიშნულებას დაკარგავს, ვერ დააკმაყოფილებს საზოგადოების ესთეტიკურ მოთხოვნებს. ცხოვრების სინამდვილიდან მომდინარეობს მხატვრული სინამდვილე, მაგრამ იგი შემოქმედებითი და პიროვნული თვისებებითაც საზრდოობს. მხატვრული რეალობის შექმნაში დიდ როლს ასრულებს მწერლის მსოფლმხედველობა. ეს აზრი ჰქონდა მხედველობაში ცნობილ ესთეტიკოსს და ლიტერატურათმცოდნეს იური ბორეცს, როცა წერდა: „მხატვრული რეალობა – მხატვრული სახეების სისტემა – გამსჭვალულია მსოფლმხედველობისა და პიროვნების მხატვრული კონცეფციით, იგი ემორჩილება ამ კონცეფციას და წარმოადგენს მის სახეს, პლასტიკურ ხორცშესხმას” (ბორევი, 1988:143).

ცხოვრების სინამდვილითაა ნასაზრდოები და შთაგონებული გიორგი შატბერაშვილის მხატვრული პროზა. მწერალი ცხოვრების სინამდვილიდან იღებს უფრო ხელშესახებ, კონკრეტულ მასალას და შემდეგ მხატვრული ფერებით გარდასახავს. ხოლო ის ფაქტი თუ გარდასახვის როგორი ხერხებით სარგებლობს

იგი, მისი მოთხრობები მიუთითებენ, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან სიუჟეტური განვითარების ხაზით, კომპოზიციური მთლიანობით, იდეური ჩანაფიქრით, გამომსახველობითი საშუალებებით.

გიორგი შატბერაშვილის მხატვრული ოსტატობა სწორედ, პროზაში გამოვლინდა. მწერლის საინტერესო თხრობის უნარის ჩამოყალიბებას ხალასი ნიჭის გარდა, ხელი შეუწყო ცხოვრებისეულმა სინამდვილემ. გიორგი შატბერაშვილის პირველი მოთხრობები ლირიულ განწყობას იწვევს, რაც სავსებით ბუნებრივია. ლირიზმმა, რომლითაც გამსჭვალულია მწერლის პოეტური მემკვიდრეობა, ნელ-ნელა პროზაშიც გადაინაცვლა. გიორგი შატბერაშვილი პროზაშიც სცდიდა კალამს, თუმცა თავის მოწოდებას, პოეზიას არ ღალატობდა, ამიტომ გამოჰყვა მის ჭაბუკობისდროინდელ მოთხრობებს პოეტური ინტონაციები. მიუხედავად იმისა, რომ გ.შატბერაშვილის პირველი მოთხრობების შექმნას მეორე მსოფლიო ომის მძიმე დრო დაემთხვა, დრო რომელსაც წერის სხვა სტილი შეეფერებოდა და სინამდვილის სხვაგვარი მხატვრული ასახვა, მწერალს ერთი წუთითაც არ დაუკარგავს ჭეშმარიტი შემოქმედის ბუნებრივი ხმა. გარე ფაქტორებს განვითარების თავის გზა ჰქონდა, ხოლო გიორგი შატბერაშვილის მხატვრულ შემოქმედებას თავისი. მწერლის მეგობარი ოთარ ჩხეიძე წერს: „გ.შატბერაშვილის პირველივე მოთხრობებში, მკაფიოდ მოჩანს შინაგანი სწრაფვა, სწრაფვა ბუნებრივი, ხასიათების გამკვეთრებისა და გამძაფრებისაკენ.“ (შატბერაშვილი 1970:13).

მწერლის ფსიქოლოგია და შემოქმედებითი მუშაობის თავისებურებები რთული და საინტერესო საკითხია. აქ არ არსებობს რაიმე დოქტრინული თვალსაზრისი, რადგან იგი ინდივიდუალურია, ხშირად, მწერლის სუბიექტურ თვისებებსა და ხასიათების თავისებურებებზე დამოკიდებული. გიორგი შატბერაშვილის პროზა მისი შემოქმედებითი მუშაობის ლოგიკური შედეგია. მისი მოთხრობები გამოირჩევა უბრალოებით, სისადავით, თუმცა მათ სისადავეში ვლინდება აზრის სიღრმე და ცხოვრებისეული სიბრძნე, რომელიც ნამდვილ შემოქმედს გამოარჩევს სხვათაგან.

მწერალი ცდილობდა შეექმნა დასრულებული მხატვრული სახეები და ამით მკითხველის ყურადღება მიეპყრო, მოეხდინა დიდი გავლენა მათ გონებასა და გრძნობაზე. გიორგი შატბერაშვილის პროზა არ არის გადატვირთული, ხელოვნურად დამძიმებული, მეორეხარისხოვანი და შინაარსსმოკლებული ეპიზოდებით, ან დეტალებით.

გიორგი შატბერაშვილის მოთხრობები იმთავითვე გახდა ლიტერატურული კრიტიკის ყურადღებისა და განსჯის საგანი. ოთარ ჩხეიძის გარდა, მწერლის მხატვრული შემოქმედება, განსაკუთრებით მისი მოთხრობები, ერთ-ერთმა პირველმა შეათვასა მწერალმა შალვა აფხაიძემ: „გ. შატბერაშვილი იმ მწერალთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც ბეჭითად და თავგამოდებით მუშაობენ სიტყვაზე, იბრძვიან იმისთვის, რომ სიტყვას მისცენ მეტი გამომსახველობითი ძალა...“

გ. შატბერაშვილს ეხერხება მოკვეთილი, ლაკონური წერა, იგი მცირე მოცულობის მოთხრობებშიც მოხერხებულად აგებს და მხატვრული დამატებლობით ავითარებს სიუჟეტს. მას აქვს აგრეთვე თხრობის შესანიშნავი უნარი. მისი თხრობა აღბეჭდილია ბუნებრივობითა და შინაგანი მღელვარებით”. (აფხაიძე, 1959:246-247). გიორგი შატბერაშვილი პროზაულ თხზულებებში წარმოგვიდგება როგორც პერსონაჟთა ხასიათების გამოკვეთისა და ფსიქოლოგიურად წარმოჩინების ოსტატი. მისი გმირები მუდამ სანიმუშო ყოფაქცევით გამოირჩევიან. აქ ერთ გარემოებას უნდა გაუსვათ ხაზი: მწერალი ზოგჯერ ამჟღავნებს ტენდენციურობას და მხოლოდ დადებით პერსონაჟებს ხატავს, რითაც ზოგიერთ მოთხრობას აკლია სიუჟეტური დაძაბულობა. მიუხედავად ამისა, იგი რამდენიმე მოთხრობაში დაუნდობლად ამხელს სამშობლოს მოღალატეებს, მთელი სიცხადით კიცხავს მათ. მაგალითად, გუზან ტაოსკარელის მოღალატური საქციელი გამოაშკარავებულია მოთხრობაში „მრუდე ხის ჩრდილი“, ასევე მკაცრად არის მხილებული იმერეთის მეფის სოლომონ I –ის მოღალატე ბიძა ლევან აბაშიძე და მასთან ერთად რაჭის ერისთავი-როსტომი (მოთხრობა „სამეფო ბეჭედი“, 1946წ.). გიორგი შატბერაშვილი არც ზარმაც და უქნარა, კოლმეურნეობის

თავმჯდომარეს ინდობს („მამალხინეს ბიჭი“, 1952წ.) და არც ქურდ მენისქვილე დათას („ქორით ფევილი“, 1959წ.). მწერალს კარგად ეხერხება თანაბარი ძალისხმევით წარმოაჩინოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი გმირები. მისი პერსონაჟები ხშირად გულუბრყვილონი არიან, იუმორის გრძნობით სავსენი, მაგრამ იუმორთან ერთად არ აკლიათ სიბრძნე და გონიერება. ოთარ ჩხეიძე წერს: „ჰო, ასეთები იყვნენ მისი პერსონაჟები- კეთილნი, მგრძნობიარენი, ამტანნი, შეგუებულნი, არაფერს შეიცხადებდნენ, არ წაელუნებოდნენ არაფერსა, წამოეკიდათ თავიანთი ცხოვრების ტვირთი და მიჰყვებოდნენ წუთისოფლის ბრუნვასა“ (შატბერაშვილი, 1970:12).

გიორგი შატბერაშვილის პროზა თემატური თვალსაზრისით მრავალფეროვანია. მწერალმა რამდენიმე მოთხრობასა („მრუდე ხის ჩრდილი“, „სამეფო ბეჭედი“, „შავი ღილები“) და დაუმთავრებელ რომანში „აბოს წამების ათი დღე“ (1960წ.) მხატვრული ფერებით წარმოაჩინა ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსული. ასევე რეალისტურად ასახა მეორე მსოფლიო ომისდროინდელი ქართული სოფლის ყოველდღიური ცხოვრება. გიორგი შატბერაშვილი ომის თემამე დაწერილი მოთხრობებიდან გადავიდა მშვიდობიანი ცხოვრების აღწერაზე და ამ კუთხით რამდენიმე თხზულება შექმნა („უკვდავი ფესვი“, 1946 წ; „მამალხინე“, 1947 წ; „ოქროს მარჯვენა“, 1950 წ; „ხეჯალა“, 1952წ.).

საინტერესოა, გიორგი შატბერაშვილის საბავშვო პროზა. მწერალი ყოველთვის სიყვარულით წერდა ლექსებსა და მოთხრობებს ბავშვებისთვის. გ.შატბერაშვილი მოგვითხრობს სწავლისა და პრომისმოყვარე ახალგაზრდებზე, მათ სიყვარულზე სამშობლოს მიმართ. ბავშვებისთვის დაწერილი თხზულებები გამოირჩევა შემეცნებითი მნიშვნელობით, რადგან ყმანვილებს გარკვეულ ცოდნას აძლევს, გონებრივ ჰორიზონტს უფართოებს. მწერალს სიცოცხლეში რამდენიმე წიგნი აქვს გამოცემული პატარა მკითხველებისთვის, რომელთაგან პირველია „მერცხლის ბუდე“ (1955წ.). გ.შატბერაშვილის გარდაცვალების შემდეგ (1965წ.), საგანგებოდ ბავშვებისთვის გამოიცა კრებულები: „ქორი გადაყლაპა“ 1969წ; „მტკვრის სათავისკენ“, 1976 წ;

„სათაფლია“, 1988წ; და ა.შ. აღნიშნული გამოცემები ქართული საბავშვო პროზის საუკეთესო შენაძენად ითვლება.

გიორგი შატბერაშვილი ქართულ მწერლობაში საკუთარ გზას იკვლევდა. ამ კვლევაში ყალიბდებოდა მისი მოქალაქეობრივი პოზიცია, მსოფლმხედველობა, შემოქმედებითი ფანტაზია. მან მრავალი საინტერესო მოთხრობა შექმნა მოყოლებული 1942 წლიდან 1965 წლამდე (ამ წელს გარდაიცვალა), ხოლო პირველი პროზაული კრებული სახელწოდებით „უკვდავი ფესვი“ 1949 წელს გამოსცა. გიორგი შატბერაშვილის პროზა ყოველთვის იდგა მონინავე იდეების პოზიციაზე და ცხოვრების მიერ წამოჭრილ კითხვებს პასუხობდა.

§.1. ისტორიული წარსული გიორგი შატბერაშვილის პროზაში

საქართველოს ისტორიული წარსული მრავალ მწერალს იზიდავდა თავისი საინტერესო ამბებით. ძნელად მოიძებნება მწერალი, რომელსაც ისტორიაში არ გადაეხედოს და არ ესინჯოს თავისი შემოქმედებითი ძალა ამ მიმართულებით. ისტორიული წარსულის მართებული შეფასება ისტორიკოსებთან ერთად მწერლების ვალიცაა. მხატვრული სიტყვის ოსტატნი ვალდებულნი არიან ობიექტურად ასახონ გარდასულ ეპოქათა რეალობა. ისტორიულ თემებზე შექმნილი მხატვრული ნაწარმოებები პასუხობენ თანამედროვეობის მწვავე პრობლემებსაც ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ წარსულის სოციალურ-პოლიტიკური, ან იდეურ-ეთიკური საკითხები თანამედროვეობის პრიზმაშია გადაჭრილი. წარსულის ასახვა ეროვნული გრძნობის გაღვივებას, სამშობლოსთვის თავდადების იდეას უნდა ემსახურებოდეს.

ქართულ ლიტერატურას მუდამ ჰქონდა შესაძლებლობა ჩვენი ქვეყნის უძველეს ისტორიაში მოენახა თანამედროვეობისთვის საინტერესო მასალა და აესახა მხატვრულად ისე, რომ რეალობა არ შეებღალა. წარსულის სინამდვილის ასახვისას მწერალმა იცის, რომ ისტორია არ საჭიროებს შელამაზებას და არც გაყალბებას.

გიორგი შატბერაშვილის დამოკიდებულება ისტორიული წარსულისადმი ზოგჯერ რომანტიკოსი მწერლის მანერას წააგავს, თუმცა ამ კუთხით დაწერილ პროზაულ ნაწარმოებებში ვხვდებით სინამდვილით ნასაზრდოებ სურათებს. გიორგი შატბერაშვილის ისტორიული პროზა უაღრესად ეროვნულია, ხოლო პერსონაჟები-ცნობილი ისტორიული პირები, რომლებმაც ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში დიდი როლი შეასრულეს.

გიორგი შატბერაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობის ერთი ძირითადი თემა სწორედ, საქართველოს ისტორიული წარსულის ჩვენებაა. მისი დამოკიდებულება ამ საკითხთან დაკავშირებით ასეთია: მწერალი არ აიდეალებს ჩვენი ქვეყნის ისტორიულ წარსულს და არც მხოლოდ უარყოფით მოვლენებზე ამახვილებს ყურადღებას. იგი ისტორიულ სინამდვილეში ხედავს კარგსაც და ცუდსაც, თუმცა მიზნად არ ისახავს გარდასულ ეპოქათა მოვლენებისა და ფაქტების ზედმინევიან ალწერას. მისთვის არსებითია გვიჩვენოს რომელიმე კონკრეტული ეპოქის განმსაზღვრელი თავისებურებანი. მიუხედავად ამისა, გ. შატბერაშვილის ისტორიულ თემაზე შექმნილ თხზულებებში მკაფიოდ იკვეთება ძველი საქართველოს წარმატებები და ნაკლოვანებები, ქართველი ხალხის სიხარული და მწუხარება. ეროვნული განცდით დაწერილი ისტორიული ხასიათის მოთხრობები არ შეიცავს რაიმე გადასაჭრელ პრობლემას, მწერლისთვის მთავარია თანამედროვეებს უჩვენოს წინაპრების თავდადება სამშობლოსთვის.

გიორგი შატბერაშვილი ახალგაზრდობაშივე გაიტაცა ისტორიულმა თემამ და მხატვრული შესაძლებლობები სრულყოფილად, ამ კუთხითაც გამოავლინა. სარგის ცაიშვილი წერს: „მრავალფეროვანია გიორგი შატბერაშვილის მხატვრული პროზა. იგი ჩვენი ისტორიის უბადლო მცოდნე იყო და ხელშესახებად გააცოცხლა კიდევ წარსულის სურათები” (ცაიშვილი, 1986:197). მწერალმა საქართველოს ისტორიული წარსული ასახა რამდენიმე მოთხრობაში, მაგრამ მთლიანად არ მოექცა გარდასულ ეპოქათა ტყვეობაში და არც ისტორიული ხასიათის თხზულებები დაუმსგავსებია

მხოლოდ მშრალი მათიანესთვის. გიორგი შატბერაშვილმა საინტერესოდ გააცოცხლა ჩვენი ქვეყნის წარსულის სურათები. მან ქართლის ერისთავის ნერსეს („აბოს წამების ათი დღე“), თამარ მეფის („მრუდე ხის ჩრდილი“), ვახტანგ მეექვსის („ვახტანგიანის ახლად აღმოჩენილი ხელნაწერი“), იმერეთის მეფის სოლომონ I-ის („სამეფო ბეჭედი“), გიორგი სააკაძის („გიორგი სააკაძე ხალხის ხსოვნაში“), გიორგი მეთერთმეტის („გიორგი მეფის სამძიმარი“), ილია ჭავჭავაძის („საუკუნო საგზალი“), ეპოქათა დახატვით მომავლის სწორი განჭვრეტა უკარნახა მკითხველს, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობას.

გიორგი შატბერაშვილის მიერ გაცოცხლებული ისტორიული გმირები, როგორც ლიტერატურულ თხზულებებში, ისე გამოკვლევებში, ახლებურ სიცოცხლეს იძენენ და თანამედროვეთა სამსახურში დგებიან. ისინი საზოგადოებას ჩააგონებენ წარსულისადმი პატივისცემის გრძობას, ერისა და ქვეყნის სიყვარულს.

გიორგი შატბერაშვილი ჩვენი ქვეყნის ისტორიის ერთი რომელიმე ეპოქით როდია დაინტერესებული. მისთვის ქართველი ხალხის ცხოვრების ყველა დრო თანაბრად საინტერესოა, დაწყებული VIII-IX საუკუნეებიდან XIX საუკუნის ჩათვლით. მისი შემოქმედებითი ფანტაზია ყველა საუკუნეს ეხმიანება, რაშიც მწერალს საქართველოს ისტორიის საფუძვლიანი ცოდნაც უწყობს ხელს. ჯერ ერთი, რომ იგი პროფესიით ისტორიკოსია (1932წ. დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკულტეტი) და მეორეც, გ. შატბერაშვილი ახლოს იცნობს მდიდარ ისტორიულ მასალას საქართველოს წარსულის ცალკეული ეპოქების შესახებ. მისი აზრით, ერის არსებობისთვის აუცილებელი პირობაა წარსულის ღრმად შესწავლა, ერმა თავისთავადობა რომ არ დაკარგოს, თანამედროვე ცნობიერება წარსულზე უნდა ააგოს და მასთან გონივრული კავშირი დაამყაროს. ამ კავშირით ერმა თავისი მომავალიც უნდა განსაზღვროს. ერის ჭეშმარიტი შვილი ის არის, ვისაც შეუძლია აწმყოს დაკავშირება წარსულის საუკეთესო ტრადიციებთან. გიორგი შატბერაშვილი წერს: „ადამიანის ყველაზე დიდი სიბრძნე წარსულთან და მომავალთან გონივრული

კავშირის დამყარებაში მდგომარეობს. წარსულის ახსნა და მომავლის გათვალისწინება არის ის გზაჯვარედინი, სადაც ბევრი ადამიანი იბნევა და გაურკვევლობის უღრანში მიაბიჯებს, ცდება და იტანჯება,, (შატბერაშვილი, 1975:86).

გიორგი შატბერაშვილი ისტორიულ თემაზე შექმნილ თხზულებებში მხატვრული ოსტატობით აღწერს საქართველოს წარსულის სხვადასხვა მონაკვეთს. მისთვის ყველა დრო თანაბრად საინტერესოა. მწერლის გონება ადრეფეოდალურ საქართველოს სწვდება, რომლის ნიმუშია დაუმთავრებელი რომანი „აბოს წამების ათი დღე,, (1960წ.). უცხო ტომის შვილის – არაბი აბოს თავდადება საქართველოსთვის და ქრისტიანული სარწმუნოებისთვის, რომელიც მხატვრული ოსტატობითაა ასახული აღნიშნულ თხზულებაში, კიდევ ერთხელ გაახსენებს მომავალ თაობას ჩვენი ქვეყნის შორეულ წარსულს, მის სინამდვილეს. როგორც ვთქვით, ნაწარმოები არ არის სრული სახის, იგი დაუსრულებელია. „აბოს წამების ათი დღე” იწყება პირველი კარით, რომლის ქვეთავია „პირველი დღე”. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ გიორგი შატბერაშვილს განზრახული ჰქონდა მომავალი რომანი რამდენიმე კარისგან შეედგინა, სადაც აბოს საპყრობილეში ყოფნის ცხრა დღე თანმიმდევრობით იქნებოდა ასახული, თუმცა მწერალმა ჩანაფიქრი ვერ განახორციელა, იგი მოულოდნელად გარდაიცვალა. ამ საკითხთან დაკავშირებით მწერალი გიორგი ხორგუაშვილი წერს: „ვრცელ რომანად განზრახული „აბოს წამების ათი დღიდან” ერთი დღის დახატვაც ვერ მოასწრო. რამდენი შრომა დახარჯა ამ სარომანე მასალების შეგროვებასა და შესწავლისათვის, ფაქტიურად შექმნილი ჰქონდა ზეპირად, მხოლოდ ქალაქდღმე გადატანა იყო საჭირო. ერთი რიგიანი ჩაჯდომა, ერთი რიგიანი შეტევა და უძვირფასესი რომანი დაიბადებოდა, მაგრამ ვაგლახ, რომ ის ერთი შეტევა ვეღარ მოასწრო...” (ხორგუაშვილი, 1990:120). მწერალ ოთარ ჩხეიძის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ „აბოს წამების ათი დღე”, არაა დამთავრებული, ერთი საინტერესო თხზულებაა მეოცე საუკუნის 60-იანი წლების ქართულ პროზაში, რომელშიც აბოს წამებასთან

ერთად აღწერილია VIII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს რთული პოლიტიკური მდგომარეობა არაბთა ბატონობის დროს: „წინ ედო აბო თბილელის ამბავი, კიდევ ერთი საჯილდაო ქვა ედო წინა, წინ ედო და დასტანებოდა...საძიებელი აღარათფერი ჰქონდა, დასტანებოდა ევიკოსის მკლავებითა. თურმე დამთავრება აღარ ეწერა აბოს რომანსა. დარჩა რამდენიმე ფრაგმენტი, დაიკარგა ახლებურად გააზრებული ხასიათი, დაიკარგა დიდი ფიქრი ადამიანზე, რომელიც აღამალლა რწმენამ” (შატბერაშვილი, 1970:17-18).

„აბოს წამების ათი დღის” მიხედვით, VIII საუკუნის აღმოსავლეთი საქართველოს მოსახლეობა გაუსაძლის მდგომარეობაშია, არაბთაგან დაპყრობილი ქართველობა სულიერი გადაგვარების გზაზე იდგა, როგორც „აბო ტფილელის წამების” ავტორი იოანე საბანისძე შენიშნავს: „შიშითა განილევნიან და ირყევიან ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა” (ყუბანიშვილი, 1946:57). ასეთ გარემოებაში ტფილისში გამოჩნდა ეროვნებით არაბი და სარწმუნოებით მაჰმადიანი აბო, რომელსაც გული ქრისტეს სიყვარულით უცემდა. ირკვევა, რომ ბაღდადიდან მოსული აბოსთვის არათფერს ნიშნავდა მშობლიური ქვეყნისა და ახლობლების მიტოვება თუ სხვაგან უფრო შეძლებდა ჭეშმარიტ სარწმუნოებასთან ზიარებასა და მისდამი თავდადებულ სამსახურს. იოანე საბანისძის მსგავსად გიორგი შატბერაშვილის ნაწარმოებში მოხსენებულია რამდენიმე ისტორიული პირი: ქართლის ერისთავი ნერსე, მისი დისწული სტეფანოზი და „აფხაზეთის” მთავარი. ასევე აღსანიშნავია მწერლის მიერ შექმნილი მხატვრული პერსონაჟები. ყურადღებას იპყრობენ სოფ. მუხათგვერდელი ძმები, შიო და ქუცნა უკანბერიძეები, რომელთაგან უფროსი შიო, ჭეშმარიტი ქრისტიანია, ხოლო ქუცნა მოლაღატეა, მაჰმადიანობა აქვს მიღებული და არაბების სამსახურში დგას: „შიოს უმცროს ძმას, ქუცნა უკანბერიძესაც ქართული ჩოხა აცვია, მაგრამ ურჯულოების კაცია. საქმე ის არის ჩოხის ქილებქვეშ რა გული უცემს კაცსა” (შატბერაშვილი, 1972:526).

გიორგი შატბერაშვილი აღწერს იმ ისტორიულ სინამდვილეს, რომელიც VIII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოსთვის აშკარაა. მართალია, ქართველნი „ირყევინ ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“ (ყუბანიშვილი, 1946:57), მაგრამ რამდენადმე მაინც უწევენ წინააღმდეგობას არაბ დამპყრობებს. მტრის წინააღმდეგ პროტესტის ფორმა გამოვლინდა ხალხის თანადგომაში მარტვილი აბოს მიმართ. ნათქვამმა მეტი დამაჯერებლობა რომ შეიძინოს, საკმარისია, აღვნიშნოთ „აბოს წამების ათი ღღის“ ერთ-ერთი პერსონაჟის, შიო უკანბერიძის თავდადება მისთვის სრულიად უცხო ჭაბუკისთვის, რომელიც ურემზე დამალა და სცადა ქალაქიდან გაეპარებინა. შიომ, არაბი აბო გადაარჩინა შეპყრობას, მაგრამ თვითონ აღმოჩნდა დილეგში, რომლის ზედამხედველი თავისი ძმა, გამაჰმადიანებული ქუცნა იყო. იოანე საბანისძის თხზულებიდან ცნობილია, რომ დილეგში აბოსთან ერთად ისხდნენ სხვა ქრისტიანი პატიმრები, თუმცა მათი ვინაობა გაურკვეველია. გიორგი შატბერაშვილი „აბოს წამების ათ ღღეში“ ხატავს ამ პატიმართა სახეებს. ისინი არარეალური, გამოგონილი პერსონაჟები არიან. იაბერა სოფ.წილკნიდანაა, ფანდრე – სოფ.კავთიანიდან, ხოლო მოხუცი ლაზარე, სოფ.თელეთიდან. მათი საერთო საზრუნავი მშობლიური ქვეყანაა, არაბთა ბატონობისგან თავის დაღწევაა. გ.შატბერაშვილი დაწვრილებით აღწერს აბოს წამების უკანასკნელ მეთავე ღღეს, მის თავგანწირვას ქრისტიანული სარწმუნოებისთვის და ბოლოს, მონამეობრივ აღსასრულს.

იოანე საბანისძის თხზულებისგან განსხვავებით, გიორგი შატბერაშვილი სხვაგვარად ხატავს აბოს დასჯის სცენას, რომლის მიხედვით, ჯალათმა მახვილი არა კისერზე, არამედ ზურგში აძგერა. სიკვდილის წინ მარტვილს მხრებზე ჯვარი გამოესახა, რამაც უფრო შთამბეჭდავი გახდა მისი აღსასრული. გ.შატბერაშვილის რომანის მიხედვით, აბო მეგობრობდა ქართლის ერისმთავრის – ნერსეს ვაჟთან (თხზულებაში არ ჩანს მისი სახელი), რომელსაც ტფილისის ამირა მძევლად უპირებდა გაგზავნას ბაღდადში. აბომ ერისმთავრის ძე იხსნა განსაცდელისგან და

ქალაქიდან გააპარა, რითაც ყოფილი თვისტომნი განარისხა. „აბოს წამების ათ დღეში” აბოს სიკვდილის დასჯის ერთ-ერთი მიზეზი გარდა გაქრისტიანებისა, ნერსეს ვაჟთან მეგობრობაცაა. გიორგი შატბერაშვილი გაოცებულია აბოს გმირობით და წერს: „რა ვუყოთ, რომ მისი სიჭაბუკე გათავდა...სამაგიეროდ მისი სახელი მისწვდება მთელს ქართლსა და კოლხეთს, ტაოს და კლარჯეთს...მისი ამბავი მისწვდება გრიგოლ ხანძთელის ყურს...მაგალითად იქცევა” (შატბერაშვილი, 1972:555).

გიორგი შატბერაშვილისთვის არაა მთავარი წარმოაჩინოს მხოლოდ აბოს პიროვნება ან მისი ტრაგიკული აღსასრული და ამით დაკმაყოფილდეს. მისთვის არსებითია, ახსნას არსი და მნიშვნელობა აბოს მარტვილობის. სწორედ ეს მიზანი ამოძრავებდა მწერალს, როცა წერდა: „საკმარისია მხატვრის ძლიერი და ჭიუტი სურვილი, ხელის ერთი გაბედული მოქნევა და ამ წამებული წმინდანის სხეულს უმაღლ მოშორდება თალხი, რომელიც ეკლესიამ მის მაღალ მხარბეჭს მოახვია...აბო გაშიშვლდება და ჩვენს თვალწინ აღიმართება ათლეთური აღნაგობის ჭაბუკი, ახოვანი სულით და ხორციით, რომელსაც ცხრა დღე და ღამე წამების შემდეგ, სანამ თავს მოჰკვეთდნენ, სამგზის აძგერეს მახვილი, ეგებ სამიოდ სიტყვა ეთქმევიანებინათ, მაგრამ ამაოდ...იგი ქვის კაცი... „დუმილით მხნედ მიითუალვიდა მახვილსა...” (შატბერაშვილი, 1972:555).

ჭეშმარიტი მწერალი თავისი ღრვის მხატვარია, მაგრამ მისთვის ასევე არსებითია ერის წარსული, მისი ისტორია. ამიტომაც, რომ ისტორიული თემა მუდამ აქტუალური იყო ქართული ლიტერატურისთვის. გიორგი შატბერაშვილი წარსულის ქრონიკებს ხშირად იყენებს რომელიმე ისტორიული პირის ან საზოგადო მოღვაწის წარმოსაჩენად. მისი მიზანია, რეალისტურად ასახოს წინაპრების თავდადება ერისა და ქვეყნის წინაშე, თუმცა არ ერიდება ამხილოს სამშობლოს ორგულები და მოღალატენი, მხოლოდ პირადი ინტერესებისთვის მეოცნებე ფეოდალები. მოთხრობაში „მრუდე ხის ჩრდილი” (1943წ.), მხილებულია თამარის სამეფო კარის ერთ-ერთი წარჩინებულის, აბულასანის ძე, გუზან ტაოელი.

თხზულებას ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს თამარ მეფის უცნობი ისტორიკოსის სიტყვები – „მე არა მიძლავს აჩრდილისა მრუდისა ხისასა განმართვად“ ... (შატბერაშვილი, 1960:203). მოთხრობის მოკლე შინაარსი ასეთია: თამარის სამეფო კარის ერთ-ერთი დაუძინებელი მტერი, განდგომილი ფეოდალი გუზან ტაოელი, შვიდი დღე-ღამის განმავლობაში დაეხეტებოდა ვარძიის ახლო სოფლებში. იგი მესხმა მთიბავებმა შეიპყრეს და ტყვედქმნილი დავით სოსლანს მიჰგვარეს ვარძიაში, რომელსაც ვერ გადაეწყვიტა სასტიკად დაესაჯა თუ არა უკვე რამდენჯერმე შეწყალებული გუზანი: „სანამ სისხლის სუნი ტრიალებს, უნდა დაისაჯოს განდგომილი, ბილწი გუზანი. დრო რისხვას აქრობს, ცეცხლს ანელებს, ჭრილობებს აშუშებს... ვაი თუ კიდევ შეუნდოს თამარმა? ეხლავ უნდა მიეზღოს საკადრისი მოლალატეს“ (შატბერაშვილი, 1960:267). დავით სოსლანის ბრძანებით გუზანს თვალები დაუშანთეს და დილეგში ჩაავდეს. თავად დავითმა მოახსენა ისანში მდგომ მეუღლეს გუზანის შეპყრობის ამბავი. ჩაფიქრდა თამარ, წუთით გაახსენდა ბავშვობა, გუზანთან გატარებული სიყმაწვილე, მაგრამ საქვეყნო საქმე უფრო მალლა იდგა. “უნდა წარიკვეთოსო ხე მრუდი, რათა განქრეს აჩრდილიც მისი “ (შატბერაშვილი, 1960:208) – ბრძანა თამარმა. „მრუდე ხის ჩრდილის“ ძირითადი იდეა ქვეყნის ერთგული სამსახური, მეფისადმი თავდადებაა. ამას ნათელყოფს მესხი გლეხების საქციელი, როცა შემთხვევით უმასპინძლეს მოლალატე გუზანს და შეიცნეს თუ არა, შეიპყრეს. დაუფასა თამარმა ამაგი ერთგულ ყმებს: „-ეზოდოთ აზნაურობა და გუზანის მიწა-წყალი, კეთილ არს წყალობა მეფეთა ერთგულთა ზედა!“ (შატბერაშვილი, 1960:207).

საქართველოს ისტორიული წარსულის საინტერესო ფურცელი იშლება მოთხრობაში „სამეფო ბეჭედი“ (1946 წ.). თხზულებას პირველად „სახელმწიფო ბეჭედი“ ერქვა და ამ სახელწოდებით გამოქვეყნდა გიორგი შატბერაშვილის მოთხრობების კრებულში 1954 წელს (იხ. გ. შატბერაშვილი „მოთხრობები“, თბ., 1954, გვ. 252). ამ გამოცემის შემდეგ მწერალმა მოთხრობას სათაური შეუცვალა და „სამეფო ბეჭედი“ უწოდა. ნაწარმოებში ასახულია XVIII საუკუნის მეორე ნახევრის იმერეთის

მეფის სოლომონ I –ის (მეფობდა 1752-1784 წლებში) ბრძოლა ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ. მოქმედება ვითარდება 1757 წლის ხრესილის ომის ფონზე. ეს ის დროა, როცა იმერეთის სამეფო ხელისუფლება საკმაოდ გაძლიერდა და მიზნად დაისახა ქვეყნის გათავისუფლება ოსმალთა ბატონობისგან. იმერეთის სამეფოს პოლიტიკური აღმავლობა მოსვენებას არ აძლევდა ოსმალეთის ხონთქარს და 1757 წელს დიდი მხედრობა წარმოგზავნა ქართველი მეფის წინააღმდეგ. გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა ხრესილის ველზე (დღევანდელ ტყიბულთან; ი.გ.), სადაც მტერი სასტიკად დამარცხდა. იმერეთის მეფის სოლომონ I-ის მცდელობამ და ქართველთა თავდადებამ ოსმალეთი აიძულა ხელი აეღო დასავლეთ საქართველოს საბოლოო დაპყრობასა და განადგურებაზე. „სამეფო ბეჭედს“ საინტერესო ეპიგრაფი აქვს წამძღვარებული, სადაც ვკითხულობთ: „ცნობილია სოლომონ მეფის ორი სახელმწიფო ბეჭედი. ერთს აწერია: „მონა ღვთისა, ყმა ხონთქრისა“... ხოლო მეორეს: „დავითის ნორჩი, ღვთით მტერს მოვრჩი, მეფე სოლომონ...“ (მატებრაშვილი, 1954:255). იმერეთის მეფე თხზულებაში წარმოგვიდგება, როგორც ერისა და ქვეყნის მოამაგე, შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი. სწორედ სოლომონი იყო პირველი, ვინც წინ აღუდგა დასავლეთ საქართველოში ტყვეთა სამარცხვინო ვაჭრობას. მეფემ იცის, რომ მტრის გარემოცვაში მყოფი სამშობლო სავალალო მდგომარეობაშია. ერის მძიმე ხვედრით შეწუხებულ მეფეს გ.მატებრაშვილი ათქმევინებს: „-რაღა ვართ, -წაიდუღუნა სოლომონმა- ჩიად ვიქცეით... იქ ერეკლეს აწამებენ სპარსნი, აქ ჩვენ თურქნი...ქუთაისსა, ბაღდადსა, შორაპანსა და ცუცხვათში თურქთა რაზმები დგას, ქვეყანას მიოხრებენ, ქალ-რძალსა და ლამაზ ვაჟებს მტაცებენ, მტერიც შინ მიზის და მოლაღატეც... როსტომ, დავითი და ბიძაჩემი ლევან აბაშიძე ტახტს მირყევენ... რაღა ვართ, რაღა?“ (მატებრაშვილი., 1954:255). „სამეფო ბეჭედში“ სოლომონ I-ის გვერდით დგას და იბრძვის მისი ერთგული ქვეშევრდომი ოქრომჭედელი ბეშქენი. ისინი სიყრმიდანვე თანმებრძილი და განუყრელი მეგობრები არიან. მიუხედავად სხვადასხვა სოციალური წარმოშობისა და მდგომარეობისა, მეფე და ქვეშევრდომი

მოქმედებენ ერთიანი პრინციპით „მითხარ ყოველთვის მართალი“ (შატბერაშვილი, 1954:254), თუმცა იციან, რომ „სიმართლე ზოგჯერ საწყენია, გულს შხამით ავსებს, ასევდიანებს...“ (შატბერაშვილი, 1954:254). ოქრომჭედელი გულმოგდინედ ადევნებს თვალყურს მეფის თითოეულ ნაბიჯს, მის გადაწყვეტილებებს და ცდილობს სწორი არჩევანის წინაშე დააყენოს. ბეშქენი ჭეშმარიტი ოპტიმისტია, სჯერა, რომ თავისი სამშობლო დაიხსნის თავს მაჰმადიანური წარღვნისგან. ამის დასტურად ბეშქენმა ხრესილთან ომამდე საგანგებოდ მეფე სოლომონისთვის ჩამოასხა ახალი სამეფო ბეჭედი წარწერით „დავითის ნორჩი, ღვთით მტერს მოვრჩი, მეფე სოლომონ“ (შატბერაშვილი, 1954:261). ბეშქენმა სამეფო ბეჭედი დიდხანს ატარა ჩოხის საიდუმლო ჯიბით, თუმცა მის გადაცემას პატრონისთვის არ ჩქარობდა: „-მაგის დროც დადგება... საჩუქარს თავის დროზე მიიღებთ, ოღონდ მალე დაგედალოთ მტერთა და მოღალატეთა ზურგი“ (შატბერაშვილი, 1954:254). გიორგი შატბერაშვილი თხზულებაში აღწერს სოლომონ I-ის მიერ ლაშქრის დალოცვას ბრძოლის წინ, ხოლო შემდეგ ომის ბატალურ სურათებს წარმოგვიდგენს. მხატვრული ოსტატობითაა ნაჩვენები ქართველი მხედრების თავდადება ბრძოლაში, თვით მეფის ფიცხელი ომი მეტოქესთან, ბრძოლა მოღალატე რაჭის ერისთავ – როსტომთან, თურქთა სარდალ ალი თაშასთან. მოთხრობაში ვკითხულობთ: „ირველივ ბრძოლაა, ისმის ხმლის ჩახაჩუხი, დაჭრილი ცხენების ჭიხვინი, ვაჟკაცთა ყივილი... თურქთა ილ-ალაჰ, ქართველთა ყიჟინა“ (შატბერაშვილი, 1954:256). ამაღელვებელია ბეშქენის თავგანწირვა მეფისთვის, როცა მტრის ნასროლ ტყვიას მკერდით აეთარა და ბავშვობის მეგობარი გარდაუვალი სიკვდილისგან იხსნა: „ბეშქენმა ხელი იტაცა მკერდზე და პირქვე დაეცა. რომ გამოფხიზლდა და თავი ასწია, აღარც მეფე ჩანდა, აღარც თურქი ... გადარჩა ალბათ, გადარჩა მეფე. მისთვის დამიზნებული ტყვია წვავს ახლა ერთგული ყმის სიცოცხლეს“ (შატბერაშვილი, 1954:257). მწერალი აღტაცებულია ქართველთა გმირობით, თუმცა იქვე დაუნდობლად ამხელს მოღალატეებს, რაჭის ერისთავს - როსტომს და სოლომონ I-ის ბიძას ლევან აბაშიძეს. ხრესილის ველზე

სოლომონმა სასტიკად სძლია მტერს, ხოლო მოლაღატე ლევან აბაშიძე მესხმა გეგელა თევდორაძემ განგმირა, რითაც საქვეყნოდ გაითქვა სახელი. უფრო მეტიც, მეფემ მესხ ჭაბუკს აზნაურობა უბოძა, რაც ბეშქენ ოქრომჭედლის მიერ ახალადჩამოსხმული ბეჭდით დაამტკიცა: „მეფემ ბრონეულის ყვავილისფერ ხავერდში გახვეული რამ ჩამოართვა მხედარს. მიხვდა. გულმა უგრძნო, გახსნა...უცხო, ჩინებული ოქროს ვარაყით შემკული სამეფო ბეჭედი შერჩა ხელში. დაამტერდა. გულის თრთოლვით ამოიკითხა ერთგული ოქრომჭედლის ნახელავი: „დავითის ნორჩი, ღვთით მტერს მოვრჩი, მეფე სოლომონ...“ (შატბერაშვილი, 1954:261).

„სამეფო ბეჭედი“ საინტერესო შინაარსის, ისტორიული წარსულის ამსახველი მოთხრობაა, თუმცა მისი ღირსება მხოლოდ ამით არ ამოიწურება. აქ მთავარია, რომ ავტორის იდეური ჩანაფიქრი სავსებით შეეფერება თხზულებაში აღწერილ ამბავს და თვით თხრობის მანერას, ხოლო როგორც კრიტიკოსი ვლადიმერ ჭიბუტი აღნიშნავს, „თუ ფორმა შეესატყვისება იდეას და იდეა გამოთქმულია ნათელი ფორმით, მაშინ ნაწარმოები შესანიშნავია მომავალი თაობის თვალსაზრისითაც“ (ჭიბუტი, 1973:110).

გიორგი შატბერაშვილის აზრით, სოლომონ I როგორც პიროვნება და როგორც მეფე, სამაგალითო იყო ხალხისთვის, პირველ რიგში, ქართველი მხედრობისთვის. ხალხმა თავდადებული მეფის ღვანლი ღირსეულად დაათვასა, მისი ხსოვნა სამუდამოდ ჩაიმარხა გულში, ხოლო სახელი საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის დროშად აქცია.

§2. გიორგი შატბერაშვილის 1941-1945 წლების პროზა

მეორე მსოფლიო ომის დროს ქართველმა ხალხმა თავისი ფიქრი, გონება და პრომითი საქმიანობა მტერზე გამარჯვების იდეას დაუკავშირა. სწორედ ამ ფიქრის, პრომითი საქმიანობისა და ბრძოლის ასახვა ერგო წილად ქართულ მწერლობას. 1941 წლიდან ქართულ ლიტერატურაში გაჩნდა და დამკვიდრდა ახალი თემა, რომლის მთავარი მიზანი იყო ომის მძიმე წლების მხატვრული ასახვა, რაც სავსებით ბუნებრივია. ქართველი მწერლებისთვის ომის თემა ერთ-ერთ ძირითად თემად იქცა და მშობლიური ლიტერატურა ახალი თხზულებებით გაამდიდრა. იმ დროს ომის შესახებ დაინერა არაერთი ლექსი, პოემა, მოთხრობა, რომანი. 1941-1945 წლებში ქართულ პოეზიასა და პროზაში გამოჩნდა ალექსანდრე აბაშელის, ირაკლი აბაშიძის, იოსებ გრიშაშვილის, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, რევაზ მარგიანის, გიორგი შატბერაშვილის თხზულებები, მათ ომის თემის დამკვიდრებით შემოიტანეს ახალი მხატვრული აზროვნება. ომის თემაზე წერა არ იყო ადვილი ახალგაზრდა მწერლებისთვის. თუმცა მიუხედავად ასაკისა, ახალგაზრდობას აღმოაჩნდა იმდენი შემოქმედებითი ენერჯია, რომ ომის პირველ დღეებშივე შექმნა ჭეშმარიტი მხატვრულობით აღბეჭდილი ნაწარმოებები, მათ შორის იყო გიორგი შატბერაშვილიც.

1941-1945 წლების პროზაში, კერძოდ, „ჩემს ძველ სახლში“ (1942წ.), „გიორგი დევსურაშვილის სეხნია“ (1942წ.), „მეცხრე კიბე“ (1943წ.), „კარგი ბიჭი“ (1944წ.), „უკვდავი ფესვი“ (1946წ.), „თავზე“ (1946წ.) და სხვა, გიორგი შატბერაშვილი უბრალო ამბების აღწერით გვიხატავს ადამიანთა სულიერ სამყაროს. მართალია, აქ ჩამოთვლილ თხზულებებში მოქმედება არ მიმდინარეობს ბრძოლის ველზე (გარდა „მეცხრე კიბის“, ი.გ.), მაგრამ მწერალი შთამბეჭდავად აცოცხლებს ომის მძიმე დღეებს, იმდროინდელი ქართული სოფლის ცხოვრებას, ხალხის თავდადებულ პრომას, რაც აუცილებელი იყო მტერზე გამარჯვებისთვის.

გიორგი შატბერაშვილის მოქნილი თხრობა, თუნდაც ომის თემას ასახავდეს, მშვენიერების განცდას ბადებს მკითხველში. მოთხრობა „ჩემს ძველ სახლში“ ამის დასტურია. ნაწარმოები მცირესიუჟეტიანია, ავტორი არ მისდევს ამბის გადაბმულად თხრობის გავრცელებულ ხერხს. აქ ძირითადად აღწერილია ის ადამიანური სიხარული, რომლის მიზეზი ომის დროს ფრონტიდან გამოგზავნილი ბარათია. ავტორის წარმოსახვაში როგორც ამ მოთხრობის ერთ-ერთი გმირისა, ნელ-ნელა ლაგდება მომავლის სცენები. იგი წინასწარ გრძნობს მოვლენების განვითარებას, მშობლებთან შეხვედრას, წერილის მიღებით გამოწვეულ სიხარულს. მან იცის, რომ „დიდი ელდა, დიდი სიხარულისა წუთით გააშუქებს მოხუცთა თვალებს, როგორც ბნელ ღამეს საშინელი ელვა“ (შატბერაშვილი, 1960:147). მოთხრობაში იშვიათი ოსტატობითაა აღწერილი წარმოსახვითი სცენები, რომლებიც მალე რეალობად იქცნენ. მოთხრობის გმირი ამ წარმოსახვის შემდეგ ნამდვილად უახლოვდება ძველ სახლს და მკითხველიც რწმუნდება, რომ ყოველივე ისე წარიმართა როგორც იყო განზრახული: „ოჰ, ძველ სახლს გაუმარჯოს, ჩემს ძველ სახლს, მოასწროს შევარდნების დაბრუნება, მათი ყვილი, მათი ჩაბუდება და გამრავლება! ამ თვიქრით შევდივარ ჩემს ძველ სახლში“ (შატბერაშვილი, 1960:147).

1941-1945 წლებში დაწერილი მოთხრობებიდან ყურადღებაამისაქცევია „კარგი ბიჭი“ (1945). ნაწარმოებში ავტორი ხატავს ომისდროინდელ ქართულ სოფელს, მის ცხოვრებას. ომის დროს არც ბავშვებს დაჰკლებიათ მძიმე ფიზიკური შრომა, მათ შეგნებული ჰქონდათ შრომის ფასი, ამიტომ თავგამოდებით ეხმარებოდნენ უფროსებს და თან სწავლაში ბეჭითობდნენ. მოთხრობაში ვეცნობით თორმეტი-ცამეტი წლის პატარა ზაქროს, რომელსაც საალერსო მეტსახელი „კარგი ბიჭი“, „თვითონ ნინო მასწავლებელმა დაარქვა ამ რამდენიმე წლის წინათ სამაგალითო სწავლისა და საქციელისათვის“ (შატბერაშვილი, 1962:454). ნინო მასწავლებელს თავისი შვილები არ ჰყავდა, მაგრამ მოსწავლეები საკუთარ შვილებად მიაჩნდა. ნინოს ომის დროს მეტი საზრუნავი გაუჩნდა, მძიმე ტვირთად დაანვა სოფლის გასაჭირი. იგი ხშირად

მიდიოდა მოსწავლეებთან სახლში, სწავლობდა მათი ცხოვრების პირობებს, ამხნევებდა და არიგებდა. მიუხედავად მძიმე დღეებისა და უკიდურესი გაჭირვებისა, სოფელი კვლავ მხნედ და იმედიანად ცხოვრობდა. ზაქროს მამა დათა, ომის შემდეგ მშვიდობით დაუბრუნდა ოჯახს, მთელ სოფელს. „კარგი ბიჭის“ ფაბულა მარტივია, მაგრამ თხრობის სიმძაფრისთვის აქვს საჭირო კვანძი. ნაწარმოები არაა გადატვირთული მოქმედი გმირებით. მთავარი პერსონაჟების (ზაქრო, ნინო მასწავლებელი) გარდა, ყველა გმირი (თავმჯდომარე, ზაქროს დედა, სკოლის დირექტორი) კალმის ერთი მოსმითაა დახატული, თუმცა, მაინც ბევრს გვეუბნება მათი მეტყველი სახეები.

გიორგი შატბერაშვილის მიერ ომის თემამზეა დაწერილი მოთხრობა „შოთა გამცემლიძე“, რომელშიც ასახულია ქართველი მეომრის შოთა გამცემლიძის გმირობის ამბავი. მამაცმა მეომარმა გამცემლიძემ წელზე ხელყუმბარები შემოირტყა და მტრის ჯავშანტეფნიკას ქვეშ შეუვარდა. მართალია, თვითონ დაიღუპა, მაგრამ მოწინააღმდეგე შეაჩერა. ასეთმა თავგანწირვამ აღაფრთოვანა თანამებრძოლები, ხოლო ერთმა მათგანმა წამოიძახა: „ჩვენ ვიცოცხლებთ, მაგრამ თუ სიკვდილი მოგვინევს, მოგვკვდებით ისე, როგორც მოკვდა შოთა გამცემლიძე“ (შატბერაშვილი, 1955:83). ეს მოთხრობა ცხადყოფს, რომ გიორგი შატბერაშვილი ერთი ეპიზოდის ლაკონურად გადმოცემის ოსტატია, ხოლო ეპიზოდი მაშინ არის მიმზიდველი, როცა რეალურ ამბავს ეყრდნობა. თუმცა, არც ეს წყვეტს პრობლემას: აქ მთავარია, ერთი ეპიზოდის გადმოცემის როგორი უნარი გააჩნია მწერალს. ამ შემთხვევაში გიორგი შატბერაშვილის თხრობა ბუნებრივია, მაგრამ საკმაოდ სიტყვაძუნწი, რაც მისი წერის სტილის ერთ თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ. „შოთა გამცემლიძე“ სამშობლოს სიყვარულის პათოსითაა დაწერილი, ხოლო აქ აღწერილი ამბავი რეალურად მომხდარი ფაქტებისაგან შედგება. მიუხედავად თხზულების დოკუმენტური ხასიათისა, მწერლის თხრობა საინტერესოა და მიმზიდველი.

მოთხრობა „მეცხრე კიბე“ (1943წ.) გიორგი შატბერაშვილის პროზაში ერთადერთია, რომელშიც ფრონტისპირა სოფლის ტრაგედიაა ასახული. ნაწარმოებში მოქმედება უშუალოდ ფრონტის ხაზზე მიმდინარეობს და ამდენად, ცხადად ვგრძნობთ ომის სისასტიკეს, მტრის გარემოცვაში მოქცეული უკრაინული სოფლის უბედურებას. „მეცხრე კიბეში“ უბრალო, სხვათაგან არათურით გამორჩეული პერსონაჟები მოქმედებენ, მაგალითად, იანკა კაშევი, მისი მოხუცი მამა-თევდორე, იანკას და – მარი, ქართველი ოფიცერი და სხვები. მათ მიმართ მწერალი მეტ ყურადღებას ამჟღავნებს. ეს გმირები ავტორის შემოქმედებითი ფანტაზიის ნაყოფია, თუმცა ისინი ნამდვილად არსებული ადამიანების პროტოტიპები უნდა იყვნენ, რომლებმაც საკუთარი მხრებით გადაიტანეს მეორე მსოფლიო ომის მთელი სიმძიმე. „მეცხრე კიბის“ გმირები ისე განიცდიან, აზროვნებენ და სწუხან, როგორც ომის ნამდვილი მონაწილეები. ამიტომაც, რომ მათი თავგანწირვა მეტ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. მოთხრობაში მხოლოდ ერთი ამბავია აღწერილი, მაგრამ ამ აღწერაში მუღავნდება ადამიანების მტკიცე სულიერი სამყარო, სამშობლოს სიყვარული. გიორგი შატბერაშვილი თანმიმდევრულად ხატავს მოხუცი თევდორე კაშევის თავგანწირვას ქართველი ოფიცრის გადასარჩენად, ამიტომაც მისი მხატვრული სახე ღრმად იჭრება მკითხველის მეხსიერებაში. ამ გამხდარი, ფიზიკურად უმწეო კაცის არსებაში ჭეშმარიტად შეუდრეკელი სულია ჩაბუდებული. მოთხრობის ერთ-ერთი გმირია იანკას მეგობარი ქართველი მეომარი, რომლის ვინაობა თხზულებაში არ ჩანს. იგი განსაცდელისგან მოხუცმა თევდორემ იხსნა და ძველი შენობის სხვენში დამალა, სადაც ასვლა მორყეული კიბით იყო შესაძლებელი. უფრო მეტიც, კიბის მეცხრე საფეხური ჩატეხილი და სახიფათო იყო, რომელიც მხოლოდ თევდორემ იცოდა. მისი აზრით, თუ გერმანელი პატრულები სხვენის გაჩხრეკვას შეეცდებოდნენ, მეცხრე საფეხური ჩამოინგრეოდა და ქართველი ოფიცერი გადარჩებოდა. მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი ამბავი: მტერმა თვითონ თევდორე წაიმძღვარა მეგზურად. როცა თევდორე მეცხრე საფეხურზე

ადგამდა ფეხს - „ერთხანს თითქოს შეეყოყმანდა, შეჩერდა, ჯერ ხალხს გადახედა, მერე იანკას... შემდეგ მშვიდად გაელიმა, ბებრულად, მოხუცებმა რომ იციან, მაშინ როცა სიკეთეს თესენ... ამოიოხრა და მეცხრე კიბეზე გაბედულად შედგა ფეხი. კიბემ დაიგრიალა. მისი ქვედა ნაწილი მოსწყდა ზემოს და დაიმსხვრა. თევდორე შეტორტმანდა და მოედნისკენ გადავარდა... ქვეებზე გულაღმა დავარდნილი მოხუცი სიკვდილს ებრძოდა.“ (შატბერაშვილი, 1972:304-305). გიორგი შატბერაშვილი მოთხრობაში ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „მეცხრე კიბის“ პერსონაჟები არაფრით გამოირჩევიან თანასოფლელებისგან, არ არიან განსაკუთრებული თვისებებით აღბეჭდილნი, ისინი არაფერს აკეთებენ უჩვეულოს, რაც სხვებისთვის მიუწვდომელია.. თევდორე კაშვეოის სახეში მწერალმა ოსტატურად განასახოვნა საზოგადოების ერთიანი სულისკვეთება, ერთგულება და სიყვარული ადამიანთა მიმართ. გიორგი შატბერაშვილი გარდა მოხუცი თევდორესი, ეპიზოდურ სახეებსაც ქმნის, მაგრამ მოთხრობის მთავარ ამბავს მაინც- იანკა კაშვეოისა და ქართველი მეომრის ურთიერთობა განსაზღვრავს. მწერალი ძუნწად, მაგრამ ცოცხალი შტრიხებით ხატავს მათ სახეებს. ორი ჯარისკაცი ომმა შეახვედრა და დაამეგობრა, თუმცა ისევ ომმა დააშორა ერთმანეთს - იანკა კაშვეოი მოულოდნელად დაიღუპა. ქართველი მეომარი დიდი წვალეებით, მაინც შეუერთდა თავის სამხედრო ნაწილს, თუმცა ფიქრი თევდორესი და მისი ვაჟისა მუდამ თან სდევდა: „მაინც, რა საკვირველი ხალხია... მტკიცე, ქვეყნის მოყვარული და დაუმორჩილებელი. მას მტერი ვერ გასტეხს...“ (შატბერაშვილი, 1972:306).

1941-45 წლების ქართული სოფლის სინამდვილეა ასახული მოთხრობაში „უკვდავი ფესვი“ (1946წ.). ნაწარმოების ექსოვილში თანდათან მულავნდება სურათები, რომელშიც მკაფიოდ ჩანს პერსონაჟთა მტკიცე ხასიათი, მათი სულიერი სამყარო. როსტომი უბრალო, თავმდაბალი ადამიანია, სოფლის მასწავლებელი. იგი სიკეთესა და სიყვარულს თესავდა ირგვლივ. ამ პერსონაჟის საქმიანობა არაფრითაა განსაკუთრებული, მაგრამ ნაკლებად საინტერესო როდია მისი ცხოვრების გზა. მოხუც

მასწავლებელს წლების სიმძიმემ ვერ ჩაუკლა ზნეობრივი სისპეტაკე, სიკეთის ქმნის სურვილი. როსტომის ერთადერთი ვაჟი, არჩილი ომში დაიღუპა, თუმცა სასონარკვეთას არ მისცემია, მას სახლში მომავლის იმედად ფეხმძიმე რძალი ჰყავდა. როცა ოჯახს შვილიშვილი შეეძინა, უზომოდ გაიხარა პაპამ, სიხარულის ცრემლებს ვეღარ იკავებდა. „პატარა, სულ პატარა, ქინძისთავისოდენა ბუსუსიანი ხალი გამოჰყოლოდა ვაჟუკაცს მამის სახსოვრად...ეს ხალი როსტომის მამა-პაპათა ხალია, ძველისძველი, დაუსაბამო და უსასრულო წერტილი დიად, განუსაზღვრელ სამყაროში” (შატბერაშვილი, 1962:362).

სოფლელებმა ადრევე იცოდნენ არჩილის დაღუპვის ამბავი ვიდრე როსტომი გაიგებდა, ამიტომ ფარულად თანაუგრძნობდნენ და კრძალვით ექცეოდნენ. საყოველთაო გაჭირვებამ სოფელი უფრო გააერთიანა, ერთი ოჯახის სატკივარი მთელი სოფლის ტივილად იქცა. „უკვდავი ფესვის” ფაბულა მარტივია, თხრობა მხატვრულობასაა მოკლებული, მაგრამ საყურადღებოა მწერლის იდეური ჩანაფიქრი სიცოცხლის მარადიულობის შესახებ. მოთხრობა საინტერესო აპოთეოზით მთავრდება: იმ საღამოს, როცა როსტომმა შვილის სიკვდილი გაიგო, საშინელი ქარიშხალი ამოვარდა, ატყდა ჭექა-ქუხილი, ქარიშხალმა ძირფესვიანად მოთხარა ხეები. ძლიერმა ქარმა როსტომის ეზოშიც დიდი ჭადარი მოგლიჯა და ძირს დასცა. მეორე დღეს მოხუცმა შენიშნა რომ ტოტებდალენილ ხის ძირში „უკვდავ ფესვზე ამოსული თამამი ყლორტი ისევ უვნებლად იდგა, დილის ნიავს ეალერსებოდა, ამომავალ მზის სხივებს უცინოდა”(შატბერაშვილი, 1962:363).

გიორგი შატბერაშვილის 1941-45 წლების პროზაში ძირითადად აისახა ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი რთული ცხოვრება, თანამედროვეობის სულიერი სამყარო. მწერალმა ზედმინევით დახატა ფრონტის მიღმა დარჩენილ ადამიანთა ყოველდღიურობა, გულისგამაწვრილებელი ლოდინი ომში წასული ახლობლების. მართალია, მოთხრობათა უმრავლესობის შინაარსი მარტივია, მაგრამ საინტერესოა

სიუჟეტური განვითარებით. მწერალი განზრახ როდი ართულებს მოვლენების თხრობას, არ ქმნის ყალბ, არაბუნებრივ ეპიზოდებს.

§.3. გიორგი შატბერაშვილის 50-იანი წლების პროზა

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ 50-იანი წლების ქართულ მწერლობაში გამოიკვეთა სრულიად ახალი თემა, ომგადახდილი ქართული სოფლის სინამდვილის მხატვრული ასახვა. იგი ბუნებრივი და კანონზომიერი მოვლენა, იყო ვინაიდან, ახალი თემა ხშირ შემთხვევაში იქმნება საზოგადოებრივი ფორმაციის შედეგად. გიორგი შატბერაშვილმა იმ პერიოდში დაწერა მოთხრობების მთელი ციკლი, რომელებშიც ლამაზი კოლორიტით ასახა სოფლის ყოველდღიური ცხოვრება თავისი გამრჯე, მართალი და პატიოსანი ადამიანებით. მოთხრობები „ოქროს მარჯვენა“ (1950წ.), „ხექალა“ (1952წ.), „უკვდავება“ (1952წ.), „მამალხინეს ბიჭი“ (1952წ.), „ნახევარი დედა“ (1954წ.), „უმძრახი წყალი“ (1956წ.), „ტყის ძახილი“ (1956წ.) და სხვები გამოირჩევიან ავტორის რეალისტური ხედვით. აღნიშნულ თხზულებებში მწერალი შემოქმედებითად ხატავს ქართულ სოფელს, მის სიხარულსა

და ნუხილს, მის საზრუნავს. გიორგი შატბერაშვილისთვის სოფლის თემა ცხოვრებისეულია და კარგად ნაცნობი. მწერალი, ყოველთვის ცდილობდა სოფლის სურათების ასახვასთან ერთად, შეექმნა ხალხის ცხოვრების ამსახველი თხზულებები. ამ ასპექტით, საინტერესოა, მწერლის 50-იანი წლების პროზა, რომელშიც მკაფიოდ ჩანს განსაკუთრებული დაინტერესება უბრალო ადამიანების ყოფით. ამ ათწლეულში შექმნილი მოთხრობების გმირები ძირითადად ახალგაზრდები არიან, სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები. ისინი არ გამოირჩევიან თავიანთი საზოგადოებრივი, სოციალური მდგომარეობით, ან მოქმედების ფართო არეალით, მაგრამ, მაინც განსაკუთრებული და დასამახსოვრებელი მხატვრული სახეებია. გიორგი შატბერაშვილი მოთხრობებში „ტყის ძახილი“, „ნახევარი დედა“, „უმძრახი წყალი“ და სხვა, სწვდება ცხოვრების მოვლენებს, რომლებშიც გამოკვეთილად იხატება ადამიანთა სულიერი სამყარო, მათი ხასიათების ძლიერი და სუსტი მხარეები. რომელ თემასაც არ უნდა ასახავდეს გიორგი შატბერაშვილი, ომის ტრაგიზმით აღსავსე წლები იქნება თუ ომის შემდეგი ცხოვრება, ყოველთვის აინტერესებს ადამიანების სულის მიმოხვრა, მათი ზნეობრივი მხარე. გიორგი შატბერაშვილის 50-იანი წლების პროზისთვის დამახასიათებელია კიდევ ერთი თავისებურება - შრომის პათოსი, რომელიც იმდროინდელი ცხოვრების სინამდვილითაა ნასაზრდოები. საერთოდ, შრომის თემა გიორგი შატბერაშვილის მხატვრულ შემოქმედებაში ერთი გამორჩეული თემაა, რომლის დამუშავებას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. მწერალი ადამიანებში ყველაზე მეტად შრომისმოყვარეობასა და სიკეთეს აფასებს. მისი აზრით, ვისაც შრომა უყვარს, ის იბრძვის საზოგადოების საკეთილდღეოდ, ხოლო თავდადება საზოგადოებრივი ინტერესებისთვის ზოგადადადამიანური საუკეთესო თვისებების გამომხატველია.

საინტერესოა გიორგი შატბერაშვილის მოთხრობების რკალი მხატვრული პერსონაჟის - მამალხინეს შესახებ. ეს მოთხრობებია „მამალხინე“ (1947წ.), „მამალხინეს ბიჭი“ (1952წ.), „მამალხინეს სიკვდილი“ (1965წ). თხზულებებში

ყოველდღიური ცხოვრების ის მოვლენებია მხატვრულად ასახული, რომლებიც ადამიანებში, რაღაც კარგსა და საგულისხმოს ტოვებენ. მამალხინე, რეალური პიროვნების, სანდრო ქვლივიძის პროტოტიპია, რომელიც გიორგი შატბერაშვილის მამიდის, მარიამ შატბერაშვილის მეუღლე იყო და რომელიც ავტორმა საინტერსო მხატვრულ პერსონაჟად აქცია. მამალხინე ჭირში გაუტეხელი და გულმართალი კაცია. იგი უბრალო პორტრეტული შტრიხებითაა აღწერილი: „მისი ჭალარა თმაწვერი, ოდნავ პირქუში სახე, ზოგჯერ ღიმილითაა დამშვენებული“ (შატბერაშვილი, 1972:172). მალალი ზნეობა და ჭეშმარიტი ადამიანური მორალი მხოლოდ საზოგადოებრივ მოვლენებთან კავშირში არ ჩანს. იგი თანაბრად მუღავნდება დიდსა თუ პატარა, სულ უმნიშვნელო ფაქტებსა და მოვლენებში. მამალხინე ადამიანია, ვისაც არ უფიქრია დიდ საქმეებზე. მისი ცხოვრება ერთფეროვნად მიედინება, მაგრამ ნათლად ჩანს ალალ-მართალი კაცის სახე, მისი პატიოსანი სულიერი სამყარო.

გიორგი შატბერაშვილი წლების მანძილზე ქართლის სოფლებში აგროვებდა და იწერდა ხალხურ სასაუბრო მეტყველებაში შემორჩენილ სიტყვებს, გონივრულ გამოთქმებს, მწერალმა ბევრი მათგანის მნიშვნელობა სამზეოზე გამოიტანა. სწორედ, მათ კვალობაზე შექმნა ლექსიკონი „თვალადური ქართულის ჭაშნიკი“, რითაც ნათელყო თუ რა ამოუწურავ შესაძლებლობებს შეიცავს ხალხის ცოცხალი მეტყველება. ლექსიკონის შედგენაში გარკვეული წვლილი შეიტანა მამალხინემ. მან მწერალს არაერთი სიტყვა ჩააწერინა და თავისი მნიშვნელობაც აუხსნა. „მამალხინემ ენის არქეოლოგად მაქცია, - წერს გ. შატბერაშვილი, იტყვის რაღაცას და მერე უნდა მიჰყვე, მისდით, თხარო...რა არის, რას ნიშნავს, ვისგან გაიგონა? უნდა გადაფურცლო სქელტანიანი ლექსიკონები, შეადარო, გადაქექო საუკუნოვანი მტვერი, პირველი ფერი დაუბრუნო სიტყვას...მამალხინე ცოცხალი ლექსიკონია თქმისა და სიტყვის, მისი ნათქვამი ლურსმანივით იჭედება ხსოვნაში. აბა, სცადე და დაივიწყე!“ (შატბერაშვილი, 1972:177).

მოხუცმა მამალხინემ ერთადერთი შვილი ომში გაგზავნა, თვითონ კი ოჯახს ყურადღებას არ აკლებს, თან ნატრობს: „ოღონდ ბიჭი დამიბრუნდეს და...იანვარიც იყოს როველში დაგპატიუებ, ვენახში შეგიყვან, ჩხებს ავაჭრევენებ!“ (შატბერაშვილი, 1972:177). მამალხინე შვილზე დიდ იმედს ამყარებდა და ხუმრობით „სამამულე რქას“ ეძახდა. იგი გამრჯე და შრომისმოყვარეა, საერთო საქმის ერთგული, ამიტომ აირჩიეს სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.

მამალხინე ჩვეულებრივი გლეხკაცია, ხალხის წიაღში აღზრდილი და კარგად იცნობს ხალხურ სიბრძნეს, რასაც ადასტურებს მის მიერ ხშირად ნათქვამი ანდაზები ან ხატოვანი გამოთქმები. მამალხინეს ყოველ მოქმედებას გარკვეული მნიშვნელობა აქვს. მამალხინე ნარმართავს, იგი მუდამ ინარჩუნებს სულიერ წონასწორობას. გიორგი შატბერაშვილი თავადაა მოხიბლული თავისი გმირის თვისებებით, მოსწონს მისი სულიერი სინწინდე, მისი მოქალაქეობრივი შეგნება. მოხუცი მამალხინე, საზოგადოებასთან ერთად, ავტორის სიყვარულს იმსახურებს, როგორც სიკეთით სავსე და თბილი ადამიანური ურთიერთობებით გამორჩეული პიროვნება. გიორგი შატბერაშვილი წერს: „არა, ვერ დავივიწყებ...თვალწინ გიდგება მისი ჭროლა, ოდნავ მონუსხული თვალები, ჭადარა წვერ-ულვაშში ტყვიისფერად გამომკრთალი ხორციანი ტუჩები და ჩამძივული, ჯერ კიდევ სალი კბილები“ (შატბერაშვილი, 1972:177-178). მამალხინე იუმორის შესანიშნავი ნიჭითაა დაჯილდოებული. იგი ყველაგან სასურველი სტუმარია. თვითონ სუფთა სინდისით სავსე, დაუნდობლად ამხელს სხვის უზნეო საქციელს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს ეკიდება ფრთხილად. „ქილიკობს, ენაკვიმატობს და ხუმრობს მამალხინე, სადაც არ უნდა იყოს, ვისთანაც არ უნდა იჯდეს...თითქოს ვიღაცას დაუვალებია, კეთილი, ეშხიანი სიტყვა სთესე ამ დედამიწაზე“ (შატბერაშვილი, 1972:178). მამალხინეს სახით კიდევ ერთხელ ახლებურად გამოჩნდა XX საუკუნის 50-იანი წლების ქართულ პროზაში ქართველი კაცის ხასიათი, მისი შინაგანი ბუნება.

მამალხინე რომ ნამდვილად გიორგი შატბერაშვილის მამიდის მეუღლის, სანდრო ქვლივიძის პროტოტიპია, დასტურდება მოთხრობით „მამალხინეს სიკვდილი“ (1965წ.). ნაწარმოები ლირიკული სევდითაა გამსჭვალული, იგი სანდრო ქვლივიძის მოსაგონარს ეძღვნება. „მამალხინეს სიკვდილი“ მწერალ ოთარ ჩხეიძის აზრით, „სხვა რამ გახლავთ, ნატეხი დიდი ეპოსისა, მადლიანი ნატეხი“ (შატბერაშვილი, 1970:14). მამალხინე სიცოცხლეში უცნაური კაცი იყო და სიკვდილის წინ უცნაური ანდერძიც დატოვა: ჭირისუფლებს მკვდარი მამალხინე სოფლის გარშემო უნდა შემოეტარებინათ და თავის სახლის ეზოში დაესაფლავებინათ. მისმა სიკვდილმა ბევრს გული დასწყვიტა, „ბევრს ცრემლიც წასცადა, კენტი, ალალ-მართალი ცრემლი, დაუკითხავად რომ იცის მოსვლა“ (შატბერაშვილი, 1972:190). მოთხრობა მცირე მოცულობისაა, თუმცა მამალხინეს საინტერესო ხასიათის შესაცნობად სავსებით საკამრისი.

შრომისმოყვარე მამალხინეს გვერდით, გიორგი შატბერაშვილი პროგრესული პოზიციებიდან აკრიტიკებს თანამედროვე ცხოვრების უარყოფით მხარეებს, უსაქმურ ადამიანებს. ნათქვამის საილუსტრაციოდ კმარა მოთხრობა „მამალხინეს ბიჭი“, სადაც მხილებულია და გაკიცხული კოლმეურნეობის უსაქმური თავმჯდომარე. იგი საკმაოდ მარტივად დახატული, უარყოფითი პერსონაჟია, უქნარაა და ამჰარტავანი, შუა ზატეხულში ნადირობით ერთობა და მოვალეობას თავს არიდებს. მწერალი დაუფარავად ამხელს მის მერყევ ბუნებას: „ერთი, ნიავს აყოლილი კაცია, შემოუქროლებს ნიავი – აჰყვება, ჩადგება- ეგვეც გაჩერდება, მუდამ დინებას მისდევს“ (შატბერაშვილი, 1972:183).

ადამიანის სიცოცხლე მხოლოდ განვლილი წლები არაა. სიცოცხლე ადამიანური ბედნიერების ძიების რთული პროცესია, ხოლო ბედნიერება ამაღლებულ სიყვარულში განსახოვნდება. ადამიანი მაშინ აღწევს მთავარ მიზანს და ბედნიერია მაშინ, როცა იპოვნის გულისსწორს, როგორც თავისი სულის ერთ მთავარ ნაწილს. ლამაზი სიყვარული სიკეთის სათავეა და ყველა ბოროტ სანყისს თრგუნავს. ირკვევა,

რომ სიყვარული გიორგი შატბერაშვილისთვის ორი თვალსაზრისით არის საინტერესო, ცხოვრებისეული და ფილოსოფიური. მწერალს ღრმად სჯერა, რომ სიყვარულის გარეშე სიცოცხლე მიმზიდველობას დაკარგავს, ამიტომ ეხმაურება თავის შემოქმედებაში ამ გრძობას ასე მკვეთრად და თანმიმდევრულად. პროზაული ნაწარმოებები, რომლებშიც გიორგი შატბერაშვილმა ასახა სიყვარული მაღალი პათოსით, არის „შავი ღილები“ (1947წ.), „ნიშნობის წინ“ (1948წ.), „ხეცალა“ (1952წ.), „ტყის ძახილი“ (1956წ.).

„შავი ღილები“ მესხეთში გავრცელებული ლეგენდის მიხედვით შექმნილი მოთხრობაა, სადაც ქალ-ვაჟის სიყვარულის ტრაგიკული ამბავია მხატვრულად ასახული. მოქმედება XVIII საუკუნის მესხეთში ვითარდება, როცა საქართველოს ეს უძველესი კუთხე თურქი დამპყრობლების მიერ დიდი ხნით იყო მონყვეტილი დედასამშობლოს. „შავი ღილების“ მთავარი პერსონაჟია გამაჰმადიანებული დიდგვაროვანი, ვისთვისაც აღარაფერს ნიშნავს ერისა და ქვეყნის სამსახური. ერთგულების გამო, თურქებმა მას ბეგის თანამდებობა უბოძეს და ხერთვისის ციხის შემოგარენი ჩააბარეს. შთამბეჭდავია მოთხრობის გმირის, ფიქრიას მხატვრული სახე. იგი ხერთვისელი ბეგის ერთადერთი ასულია, რომელსაც გატაცებით უყვარს ქართლიდან გადმოხვენილი, მომღერალი ბარამ-გურჯი. უფრო მეტიც, ფიქრია მზად იყო მამის ნების წინააღმდეგ ბარამს გაჰყოლოდა ქართლში. „შეყვარებული ქალის გული თურმე ყველა გზას კაფავს, ამ გულზე დასობილი მჩხვლეთავი ეკლები სიამის აღმძვრელნი არიან: ნაჩხვლეთებზე სიყვარულის უჭკნობი ყვავილები ამოდიან, და თუ ხშირად ისინი ტანჯვის გვირგვინად შეიკრებიან, რა ვქნათ, განა ყველა ძლიერ სიყვარულს წამების გზაზე არ შემოღამებია?“ (შატბერაშვილი, 1967:342). ქალ-ვაჟის ურთიერთობას წინ აღუდგა მრისხანე ბეგი, რომელმაც მზაკვრული გამოცდა მოუწყო გამიჯნურებულ წყვილს: ბარამ-გურჯს იმდენ ხანს უნდა ემღერა, რომ სატრფოს კაბაზე დაბნეული შავი ღილები ამწყდარიყო. მიხვდა ბარამი ბეგის ჩანათიქრს, მაგრამ სიყვარულით გამსჭვალულს დიდხანს აღარ უფიქრია და: „უცებ სიმღერა

გაისმა. სიმღერა კი არა, განწირული გულის უკანასკნელი ამოხვერა” (მატბერაშვილი, 1967:357). სიმღერამ ხალხი გააოგნა, მათ შორის ბეგიც. იგი „ჯერ განრისხდა, შემდეგ განცვიფრდა, უცებ სირცხვილმა აიტანა, თავი ჩალუნა, სადღაც გულის ხვეულებში მიძინებულმა მშობლიურმა გრძნობამ შეათრთოლა. მის ხსოვნაში ჯერ კიდევ ცოცხლობდა გაგონილი თუ ნახული, რაღაც მშობლიური და ნათესაური, მაგრამ რჯულგაყიდულის ერთგულება აქრობდა გაღვიძებულ სხივს” (მატბერაშვილი, 1967:358). ბარამ-გურჯი დიდხანს მღეროდა, თუმცა ფიქრის გულისპირზე ერთი ლილიც არ შეტოკებულა. ჭაბუკი უკანასკნელ ძალებს იკრებდა, მაგრამ მოულოდნელად შეტორტმანდა, მძლავრად ამოიოხრა და უსულოდ დაეცა. ქალი საზარელი კვილით დაემხო მიჯნურს, შემდეგ მრისხანე თვალებით ამოხედა მამას და ელვის სისწრაფით დანა დაიცა გულში. გიორგი მატბერაშვილი აქ ამთავრებს ამბის თხრობას, მაგრამ მესხური ლეგენდა, უფრო ვრცელია. გ.მატბერაშვილი წერს: „არა, ხალხი ასე არ ამთავრებს ამ სიყვარულის დაუვიწყარ ამბავს. ხალხის გული უფრო წმინდა და ღრმაა, ვინემ გვეჩვენება. რასაც კაცის გული გაითავისებს და მერე სხვას გადასცემს, ის უკვდავია” (მატბერაშვილი, 1967:359).

მოთხრობისგან განსხვავებით, განსხვავებულია ლეგენდის დასასრული, რომელიც სიყვარულის უძლეველობაზე მიუთითებს: ბარამ-გურჯის სიმღერამ ცოტა ხნით მონყვიტა ფიქრის კაბას შავი ლილები, გამარჯვებაც ახლოს იყო, მაგრამ ანაზღად გაჩენილმა ცეცხლმა შთანთქა იგი, ცეცხლი ფიქრისასაც მოედო და ფერფლად აქცია. შემდეგ, „ხერთვისის ხეობიდან მოვარდნილმა ქარმა დაჰქროლა, ... შეყვარებულთა ფერფლი მოხვეტა, ჰაერში დაატრიალა, გაიტაცა და ძველი მესხეთის მიდამოებს მოჰფინა. ასეთია ამ უცნაური სიყვარულის თქმულება. ასე უმღერის ხალხი სიყვარულს. შეუმუსრავია სიყვარულის ძალა. ასე ყოფილა დასაბამიდან სოფლისა” (მატბერაშვილი, 1967:362). „შავი ლილების” იდეა ლეგენდის მსგავსად, სიყვარულის უძლეველობაა, მან როდი იცის წოდებრივი განსხვავება ან წარმომავლობა. მოთხრობა შეგვაგონებს, რომ წინააღმდეგობა სიყვარულსა და საზოგადოებრივ

მდგომარეობას შორის ადამიანთა ტრაგედიის მიზეზი ხდება. აღსანიშნავია „შავი ღილების“ მხატვრულობა, თხრობა მიმზიდველია, ხოლო შიგ ჩართული ბუნების სურათები ფერთა ჰარმონიას ქმნიან. მოთხრობის დასაწყისში ვკითხულობთ: „გაზაფხული იდგა – აპრილი ასულიყო ზურმუხტის ტახტზე და მბრძანებლობდა. ენძელები, იები, ზიზილები ჰყვოდნენ, მათრობელა სურნელს ატრქვევდნენ და მათი ფშვენა უერთდებოდა ფუტკრის ზუზუნს“ (შატბერაშვილი, 1967:346).

გიორგი შატბერაშვილის 50-იანი წლების პროზაული თხზულებებიდან გვინდა ყურადღება გავამახვილოთ მოთხრობაზე “ხექალა” (1952წ.), რომლის ერთ-ერთ პერსონაჟს - დარეს (დარეჯანს), მეტსახელად „ხექალა“ მეზობლებმა შეარქვეს, თუმცა არ თაკილობდა. მიუხედავად იმისა, რომ მოთხრობაში სიუჟეტის განვითარება სწორხაზოვნად მიმდინარეობს, გაურკვეველია როგორ მოხიბლა მითო თანდაშვილმა ახალგაზრდა ქალი, ან რამ აუფორიაქა დარეს მეოცნებე გული და რატომ მიანიჭა უპირატესობა მისთვის სრულიად უცნობ ჭაბუკს, ვიდრე თანშემზრდილ გიგას. ვაჟს გატაცებით უყვარს ხექალა, მაგრამ ისე მოკრძალებულია მისი გრძნობა, რომ ვერ ახერხებს გულისნადების გამხელას. იგი კეთილშობილი, ღრმა განცდების ადამიანია, ფიზიკურად სუსტი, ამიტომ მისი დაპირისპირება ძლიერ მითო თანდაშვილთან თანაგრძნობას იწვევს საზოგადოებაში. გიგას სულიერი მღელვარება უკიდურესობამდე მიდის, დამუხტულია და რაღაც ისეთი უნდა მოიმოქმედოს, რომ დამშვიდდეს. სწორედ, ამ მიზნით შეერკინა თანდაშვილს საჭიდაო მოედანზე. ამის შემდეგ მოქმედების განვითარება კულმინაციას აღწევს: გიგამ შემთხვევით სძლია მონინალმდეგეს, თუმცა ეს გამარჯვება არ ახარებს. მას გული სტკივა, რომ დარეს სიყვარულში შეეცილნენ, შეულახეს ძვირფასი გრძნობა და „ნარ-ეკალივით ამოსული“ (შატბერაშვილი, 1967:151). უწოდეს. აქ გიორგი შატბერაშვილი კიდევ ერთხელ ასახავს გმირის ემოციურ განწყობას და გვიჩვენებს ადამიანების რთულ ბუნებას.

გიორგი შატბერაშვილი ხშირად იმ ადამიანებს და მათ სულიერ სამყაროს ხატავს, ვინც მონოდებულია იცხოვროს მაღალმოქალაქეობრივი შეგნებით. ამ აზრითაა

გამსჭვალული მოთხრობა „პირველი ბიჭის სადღეგრძელო“, რომელიც ადამიანური სიტბოთი ხიბლავს მკითხველს. ნაწარმოების გმირები სიკეთით სავსენი არიან, იბრძვიან პროგრესული იდეების დამკვიდრებისთვის და მზად არიან უანგარო დახმარება აღმოუჩინონ სრულიად უცნობ ადამიანებს. ახალგაზრდა ქალ-ვაჟი მანქანით ქორწილში აპირებდა გამგზავრებას, მაგრამ როცა გაიგეს მეზობლის, სინო ლაცაბიძის ფეხმძიმე მეუღლის მდგომარეობა, დაუფიქრებლად მისკენ გასწიეს. ეს ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ მთავარია ის გულისხმიერება, რომელიც მათ გამოიჩინეს.

გიორგი შატბერაშვილის 1950-იანი წლების პროზიდან ერთ-ერთ მოთხრობას „უკვდავება“ ეწოდება (1952წ.). მისი შინაარსი მარტივია, მაგრამ საინტერესო, იგი სიცოცხლის მარადიულობაზე მიუთითებს. ოთხმოც წელს გადაცილებულმა პაპა თედომ ათწლეულები პროზაში გაატარა. როდესაც გარდაიცვალა და ტანისამოსის გამოცვლა დაუპირეს, ხალათის ჯიბიდან ატმის კურკები გადმოსცვივდა. თედო პაპა როგორც ყოველთვის, ახლაც, სიკვდილის მოახლოებისას, შვილების მომავალზე ფიქრობდა და ატმის კურკებს აგროვებდა. მას სწამდა სიცოცხლის უკვდავებისა. სწორედ, ამიტომ ჰქვია მოთხრობას „უკვდავება“. მოხუცს ძალიან უყვარდა ბაღში მუშაობა და ახლა, ამ მიწაზე მისი დარგული ხეები დარჩა, დარჩა მისი ოჯახი, ხოლო დანარჩენს შვილიშვილები გააგრძელებენ, ასეთია ბუნების გარდაუვალი კანონი. მოთხრობას ლამაზი დასასრული აქვს. გიორგი შატბერაშვილი დროულად ამთავრებს ნაწარმოებს და მკითხველს მხოლოდ ფიქრილა რჩება, რომელსაც ყველაზე ფაქიზი გრძნობა აღვიძებს, ეს სიცოცხლის სიყვარულის, მისი მარადიულობის შეგრძნებაა.

გიორგი შატბერაშვილი ხშირ შემთხვევაში მოთხრობის ფაბულისთვის რომელიმე კონკრეტულ ამბავს ან შემთხვევას არ იყენებს, არამედ თავად ქმნის მხატვრულ სინამდვილეს ისე, რომ ეს სინამდვილე არსებულ რეალობად წარმოგვიდგეს. ნათქვამს ასაბუთებს მოთხრობა „ტყის ძახილი“ (1956წ.), რომელიც საყურადღებოა

სახეობრივი აზროვნებით და რომლის მხატვრულ ქსოვილში მწერალი ოსტატურად იყენებს პოეტური ხედვის ხელოვნებას. „ტყის ძახილი“ შესანიშნავი ექსპოზიციით იწყება: „გაზაფხული სიყვარულის დროა...შეიძლება ითქვას, ამ ქვეყნად ყველა სიყვარული გაზაფხულზეა ჩასახული. აბა, გაიხსენეთ... გალხვევა თუ არა ყინული, ძალას მოიციმს თუ არა მზე, ადამიანის გულიც თითქოს კანს იცვლის, ახლად გამოსული კვირტივით ცდილობს გამომღერებას და აყვავილებას. სიყვარული ეძახის გულს”. (მატბერაშვილი, 1967:47). გაზაფხულის მომხიბლავ ბუნებას ნაწარმოების გმირის, თერას ამაღლებული განწყობა უერთდება ვინაიდან, სწორედ, გაზაფხულზე ჩაისახა მის გულში სიყვარულის ლამაზი გრძნობა. ადამიანის რთული ბუნება ბევრ ღირსებასთან ერთად უარყოფით თვისებებსაც ატარებს. იგი სულიერი სამყაროთი მუდამ ცვალებადია, ამიტომ ძნელია მისი შეცნობა. ასეთი პერსონაჟია მეტყვევ ილო. იგი გულკეთილია, მეგობრული, მაგრამ ცვალებადი ხასიათისაა და ფაქიზ გრძნობებს მოკლებული. თერას გულწრფელად უყვარს ილო, მაგრამ ვაჟი ამ სიყვარულს ღირსეულად ვერ აფასებს, ვერ გრძნობს მისდამი თერას დამოკიდებულებას. მისი მერყევი ბუნება ნათლად ჩანს პირისპირ დარჩენილ ქალიშვილთან, როცა ქალმა მოულოდნელად შეხედა, მოეჩვენა რომ თითქოს „ვაჟის თვალების ნათელი შემღვრა, წელანდელი ალალი ღიმილი სადღაც გაქრა...ბოროტი, ყვითელი ნაპერწკალი ვაკრთა ცისფერ ჭავლში (მატბერაშვილი, 1967:58). ვინ უნდა ამოუდგეს გვერდში თერას თუ არა მისი აღმზრდელი დიდედა, რომ შეუმსუბუქოს ნაღველი. ეს მორალური თანაგრძნობა წინაა წამოწეული მოთხრობის დასასრულს, თუმცა ახალგაზრდა ქალს გული კვლავ ტყისკენ მიუწევდა იქ, სადაც გულისსწორი ეგულებოდა. „ტყე ეძახდა თერას. თერა მღეროდა ისე, რომ ტყისკენ არც იხედებოდა. ტყე კი, სადღაც შორს, ჯადოსნურ სიმშვიდეში განაბული ტყე წყნარად შრიალებდა და ეძახდა” (მატბერაშვილი, 1967:65) „ტყის ძახილი“ გიორგი მატბერაშვილის მოთხრობების იმ რიგს ეკუთვნის, სადაც სიყვარული ამაღლებულ გრძნობადაა წარმოდგენილი, სადაც ნათელია მწერლის დამოკიდებულება მის

მიმართ. მოთხრობის მიხედვით, სიყვარულს ზომიერება და მომხიბვლელობა ასულდგმულებს. „ტყის ძახილი“, რომელიც საგულისხმოა მხატვრული თვალსაზრისით, დასაწყისშივე ქმნის შთაბეჭდილებას, რომ სიყვარულის თემაზეა დაწერილი. მწერალ ოთარ ჩხეიძის აზრით, „მოთხრობაში „ტყის ძახილი“ პოეტური სახეებია, პოეტურად ამღერებული ქალიშვილია თერაი – მოთხრობა პასტორალს ჰგავს, ჰგავს კი არა, მართლაც პასტორალია, სიმღერაა პატიოსანი, ალალი სიყვარულისა, ბუნების სინმინდისა და გრძნობის სინმინდისა“ (შატბერაშვილი, 1970:14).

„ტყის ძახილის“ სახეობრივი გაგრძელებაა მოთხრობა „უმძრახი წყალი“ (1956წ.). აქ თერა უკვე სხვა ვინმეა, დედაა. თერას არ გაუმართლა სიყვარულში, იძულებული გახდა მიეტოვებინა მეუღლის ოჯახი და მშობლიურ კერას, აღმზრდელ მოხუცებს დაბრუნებოდა. პაპა მისა თერას ყოფილ ოჯახში მიდის აკვნის მოსატანად. მისი აზრით, „როგორც საფლავის შეცვლა არ შეიძლება, ისე აკვნისა!“ (შატბერაშვილი, 1972:143). იკვეთება აზრი, რომ გიორგი შატბერაშვილს მოთხრობის ფაბულად აღებული უნდა ჰქონდეს რეალურად მომხდარი ამბავი. აქვე ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ გარემოებასაც, თხზულებაში ავტორი ქართლის სოფლებში გავრცელებულ საინტერესო ხალხურ სიბრძნეს იშველიებს საფლავისა და აკვნის შეუცვლელობის შესახებ. ეს ფაქტი მიუთითებს, რომ მწერალი ახლოს იცნობს ხალხის ცხოვრებას, მის ადათ-წესებსა და ტრადიციებს.

§.4. გიორგი შატბერაშვილის საბავშვო პროზა

საბავშვო ლიტერატურით დაინტერესება ყოველთვის წარმოადგენდა მთავარ საკითხს ქართული მწერლობისთვის. XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი მწერლები ვაჟა-ფშაველა, შიო მღვიმელი, რაფიელ ერისთავი და ეროვნული პედაგოგიური აზროვნების ფუძემდებელი იაკობ გოგებაშვილი, თვითონ ქმნიდნენ რა საინტერესო თხზულებებს, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდნენ მოზარდი თაობის გონებრივ განვითარებაზე, მათი სულიერი სამყაროს ფორმირებაზე.

მოზარდის ჩამოყალიბება ნამდვილ მოქალაქედ, საზოგადოების სრულფასოვან წევრად მეტად ხანგრძლივი, რთული პროცესია, რაშიც მნიშვნელოვანი როლი საყმანვილო ლიტერატურას ეკუთვნის. გიორგი შატბერაშვილის მხატვრული შემოქმედების შესახებ მსჯელობა სრულყოფილი არ იქნება თუ გვერდს აუვლით მის საბავშვო პროზას, მოთხრობებს რომელთა თემა აღებულია მოზარდი თაობის ცხოვრებიდან. გიორგი შატბერაშვილის საბავშვო თხზულებებში ნათლად ჩანს მისი ესთეტიკური გემოვნება, ყმანვილთა ხასიათების, შინაგანი ბუნების ცოცხლად გადმოცემის შესანიშნავი უნარი. მწერალი ბავშვებისთვის განკუთვნილ მოთხრობებში ოსტატურად ძერწავს მხატვრულ პერსონაჟებს და მოქმედების ფართო ასპარეზზე გამოჰყავს. გ.შატბერაშვილი საბავშვო პროზაში იყენებს როგორც ლიტერატურულ, ისე ცოცხალ სასაუბრო ენას, განსაკუთრებით ქართლურ დიალექტს, თუმცა გარკვეულ ზომიერებას იჩენს, რომ კუთხური გამოთქმები ორგანულად შეუხამდეს პერსონაჟთა მეტყველებას. მწერალი აზრის ლაკონურად გადმოცემის ოსტატია და მცირე მოცულობის მოთხრობებშიც მოხერხებულად ავითარებს სიუჟეტს. გიორგი შატბერაშვილის საბავშვო პროზას ახასიათებს კომპოზიციური მთლიანობა, სტილის

სისადავე. აქ თითქმის არ არსებობს ზედმეტი დეტალი სიუჟეტურ ქარგას რომ ამძიმებდეს. თხრობა, როგორც აღვნიშნეთ, ლაკონურია და ხატოვანი. მწერლის მსუბუქი იუმორი მხატვრულ სახეთა აღქმა-გაგებას აადვილებს და შემეცნებითი პროცესი ხალისიანი ხდება. გამომსახველობითი ხერხების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, მკვეთრად არის გამოხატული სწრაფვა დიალოგისკენ, რაც თხრობის ერთი თავისებური ფორმაა. ეს ხერხი მეტ უშუალობას მატებს საყმაწვილო თხზულებებს და ამავე დროს განწყობასაც ახალისებს. პატარა მკითხველი თავისუფლდება ზედმეტი დატვირთვისგან, იგი საუბრის მონაწილედ გრძნობს თავს, რაც სასიამოვნო განცდას უქმნის და ეხმარება სამყაროს შემეცნებაში.

გიორგი შატბერაშვილის საბავშვო თხზულებების შესახებ სხვადსხვა დროს გამოითქვა მოსაზრებები და შენიშვნები. აღსანიშნავია მწერლების ოთარ ჩხეიძის, შალვა აფხაიძის, საბავშვო ლიტერატურის მკვლევრების ანა ღვინიაშვილისა და თინა კობალაძის შეხედულებები. შალვა აფხაიძე წერს: „გიორგი შატბერაშვილის პროზაული ნაწარმოებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მოთხრობები, რომელთა თემა ბავშვების ცხოვრებიდან არის აღებული. თითქმის ყველა ეს მოთხრობა აღბეჭდილია ავტორის ნიჭიერებით, მხატვრული გემოვნებით, ადამიანის ხასიათის, ბუნების ცოცხალი გადმოცემის უნარით“ (აფხაიძე, 1959:246). 1955 წელს „საბლიტგამმა“ გამოსცა გიორგი შატბერაშვილის საბავშვო მოთხრობების პირველი კრებული „მერცხლის ბუდე“, რომელშიც 39 ნაწარმოები შევიდა. მის შესახებ ანა ღვინიაშვილმა 1958 წელს ჟურნალში „მნათობი“ (№9) გამოაქვეყნა წერილი „გიორგი შატბერაშვილის „მერცხლის ბუდეს“ გამოცემის გამო“. წერილის შესავალში ვკითხულობთ: „თანამედროვე ქართველ მწერალთა შორის გ.შატბერაშვილი გამოირჩევა საკუთარი თემატიკით. მის შემოქმედებას ანოციერებს უკეთილშობილესი იდეები. გ.შატბერაშვილის მოთხრობებში მთავრი მოქმედი პირი ადამიანია, ეს ადამიანი უბრალო მაყურებელი როდია, იგი ბუნების მოვლენებზე მუყაითი დამკვირვებელი და უმწნოთა მფარველია“ (ღვინიაშვილი, 1958).

საყმაწვილო მოთხრობების შექმნას განსაკუთრებული შრომა და სიფრთხილე სჭირდება. მწერალი ვალდებულია თითოეულ სიტყვას, წინადადებას მეტი მნიშვნელობა მიანიჭოს, რომ პატარა მკითხველი დააინტერესოს და მიიზიდოს. ვლადიმერ გაგუას აზრით, „ბავშვები თავიდანვე უნდა დავაინტერესოთ საბავშვო მოთხრობებითა და ლექსებით, ზღაპრებით, იგავებით. ამით უნდა იღვიძებდნენ და საზრდოობდნენ მოზარდი თაობის ინტელექტუალური ძალები. ამიტომ აღზრდის ერთ-ერთი მოვალეობაა, ადრე, ბავშვობიდანვე საბავშვო ლიტერატურისადმი ინტერესების განვითარება. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ლაპარაკი ახალგაზრდობის სრულყოფილი განვითარების პერსპექტივაზე” (გაგუა, 1991:124).

გიორგი შატბერაშვილი საბავშვო მოთხრობების წერის დროს დიდ სიფრთხილეს ამჟღავნებს, მისი პატარა გმირები ხალასი და უშუალო ბავშვური გონებამახვილობით გამოირჩევიან. მწერალი ყმაწვილთა ცხოვრებიდან ისეთ ეპიზოდებს იღებს, რომლებიც მხოლოდ მათთვისაა დამახასიათებელი. გიორგი შატბერაშვილის ფიქრი და ოცნება ბავშვებს დასტრიალებს, რაც გაცხადებულია მოთხრობებში „კარგი ბიჭი” (1944წ.), „მტკვრის სათავისკენ” (1949წ.), „მერცხლის ბუდე” (1955წ.) და ა.შ. აღნიშნულ თხზულებებში (და არა მარტო აქ) იგრძნობა ბავშვების სიყვარული, ხოლო მხატვრული სახეები ბუნებრივობით გამოირჩევიან. ეს სახეები გარკვეულწილად გამოხატავენ გიორგი შატბერაშვილის მსოფლმხედველობის ერთ მხარეს, მოზარდი თაობის სულისკვეთებას. მწერალს, არ უყვარს გაჭიანურებული, ხელოვნურად გაზრდილი თხრობა და მშრალი დიდაქტიკური რჩევა-დარიგებების მიცემა. გ. შატბერაშვილი პატარების სულიერი სამყაროს ასახვისას ხშირად იყენებს ტროპული მეტყველების სახეებს, ასევე ხალხურ გადმოცემებს, ანდაზებს, გამოცანებს.

გიორგი შატბერაშვილის საყმაწვილო პროზის გმირები ძირითადად დადებითი თვისებების მქონე ბავშვები არიან. ზაქრო („კარგი ბიჭი“), სოსო („ჩხირკედელა“), ელგუჯა („ჭიბის სანათი“), დათა („თადარიგო“), გიგლა („ერთ ზაფხულს“) და სხვები თითქოს სადღაც გვინახავს, თითქოს ჩვენ თვალწინ იზრდებიან. მწერალი

მონოდებულია, რომ ბავშვებმა გამოიმუშაონ მოქალაქეობრივი შეგნება, ნებისყოფა, ისწავლონ შრომისა და ცოდნის სიყვარული. იგი პატარა მკითხველებს ისეთი თვისებების გმირებს აცნობს, როლებიც სამაგალითონი არიან და გამორჩეული თანატოლებში. ზაქრო („კარგი ბიჭი“) შრომისმოყვარე და გამრჯეა, ასევე გიგლაც („ერთ ზაფხულს“), რომელმაც უკვე იცის ოჯახის მოვლა-პატრონობა, შრომის ფასი. თადარიგოს იგივე დათას („თადარიგო“) ფეხბურთთან ერთად სწავლაც უყვარს და შრომაც. ზაქრო, გიგლა, თადარიგო, ელგუჯა და მათი მეგობრები არ შეიძლება, რომ მომავალში ჩვენი ქვეყნის ღირსეული მოქალაქეები არ გახდნენ. საერთოდ, შრომისა და სწავლის თემა ერთ-ერთი წამყვანია გიორგი შატბერაშვილის საყმაწვილო პროზაში. მწერალი ოსტატურად ძერწავს შრომისმოყვარე ბავშვების სახეებს, არ იშურებს ლამაზ ფერებს მათი საქმიანობის, სიბეჭითის წარმოსაჩენად. მოთხრობები „ნიკო და სიკო“, „კარგი ბიჭი“, „ერთ ზაფხულს“, „ოქროს მარჯვენა“, მოზარდ თაობას თავიდანვე აყვარებს ფიზიკურ შრომას და უნერგავს უფროსებისადმი პატივისცემის გრძნობას. გიორგი შატბერაშვილი ბავშვებს პირდაპირ ესაუბრება იმ შედეგების შესახებ, რომელიც შეიძლება მოჰყვეს შრომისადმი გულგრილ დამოკიდებულებას. მართალია, იგი უფრო ხშირად დადებითი გმირების მხატვრულ სახეებს ქმნის, მაგრამ ამასთანავე არ ივინყებს ცუდი ყოფაქცევის ბავშვებს. გამრჯე და ბეჭითების გვერდით, ზარმაცსა და უქნარასაც ვხვდებით. ჭიჭიკო („თადარიგო“), გიგლა („თანდას სტვირი“), შოთა („რაც მოგივა დავითაო“), ვასო („ბოლოს სინანული“) ამპარტავნები და დაუფიქრებლები არიან. ისინი ანგარიშს არ უწევენ თავიანთ მოქმედებას, მეგობრებს აბუჩად იგდებენ, ზარმაცობენ. მწერალი ყველას თავისას მიუზღავს: კარგს აქებს, ზარმაცებს კი უწყრება. მისი აზრით, სიზარმაცე და ამპარტავნობა ყველაზე დიდი სენია, ისინი ყმაწვილობაშივე უნდა ავაცილოთ მოზარდებს, თორემ სამომავლოდ ვერც საკუთარ თავს და ვერც საზოგადოებას მოუტანენ სიკეთეს.

როგორც ვხედავთ, შრომის თემა ერთ-ერთი აქტუალურია გიორგი შატბერაშვილის საყმანვილო პროზაში. მის მიერ ასახული ბავშვების სულიერი სამყარო შრომითი საქმიანობის დროს ყალიბდება, მწერალი შრომას მიიჩნევს მოზარდების მორალური გაჯანსაღების პირველწყაროდ. გიორგი შატბერაშვილმა ჯერ კიდევ 1944 წელს დაწერილ მოთხრობაში „კარგი ბიჭი“ მკვეთრად გამოხატა, რომ მშრომელი ახალგაზრდა ყველგან დაფასებულია. შრომის აპოლოგიაა მწერლის ერთ-ერთი უკანასკნელი მოთხრობა „ნიკო და სიკო“ (1954წ.), რომელიც გამთბარია ლამაზი იუმორით. მოთხრობის პატარა გმირები ნიკო და სიკო ბიძაშვილები არიან, ისინი ერთმანეთისგან საგრძნობლად განსხვავდებიან ხასიათებით: სიკო უფრო ღიანი და მორჩილია, ხოლო ნიკო ცელქი და დაუდევარი. ბიჭები მთელი ზაფხული გულმოდგინედ ეხმარებოდნენ ძია შიოს, თუმცა ერთხელ შეუფერებლად მოიქცნენ. ბავშვები საბოლოოდ, მიხვდნენ ჩადენილ დანაშაულს და იმით გამოისყიდეს თავიანთი საქციელი, რომ ყველაფერი გულწრფელად აღიარეს.

გიორგი შატბერაშვილის საბავშვო პროზაში შრომისა და სწავლის გვერდით ასახულია მეგობრობის თემა. მეგობრობის საკითხის სწორი გადწყვეტა მხატვრული ლიტერატურის ერთი სერიოზული თემაა, ამიტომ აუცილებელია საბავშვო მწერლობამაც მაღალი მხატვრული აზროვნებით გადმოსცეს ადამიანთა მეგობრობის ხასიათი, მისი თავისებურება და ცხადია, დაგმოს ცრუ და ყალბი მეგობრობა. საბავშვო მწერლობაში მეგობრობის თემის აქტუალობაზე ლიტერატურის კრიტიკოსი, ვლადიმერ ჯიბუტი მიუთითებს: „მეგობრობის თემა საბავშვო ლიტერატურის დიდმნიშვნელოვანი თემაა. ბავშვს მეგობრის სიყვარული მთელი ცხოვრების მანძილზე უნდა გაჰყვეს. ამიტომ საჭიროა ამ თემის განსაკუთრებით ღრმად და მთელი მრავალფეროვნებით აღწერა“ (ჯიბუტი, 1973:16). მწერალმა, როდესაც საბავშვო მოთხრობებში ასახავს მეგობრობის თემას, პირველ ყოვლისა, მკითხველის ყურადღება უნდა მიიპყროს, იმოქმედოს მის ემოციურ სამყაროზე. ეს შესაძლებელია მაშინ, როცა დასრულებულადაა გამოკვეთილი რომელიმე კონკრეტული მხატვრული

სახე. ბავშვიც სწორედ ასეთ მხატვრულ სახეს შეიგრძნობს. გიორგი შატბერაშვილის მოთხრობები, რომლებშიც მეგობრობის თემაა წამოწეული („ხვალაც მოვალთ, ხვალაც“, „კარგი ბიჭი“, „ჭიბის სანათი“), იმიტომ ახდენენ გავლენას ბავშვების გრძნობებზე, რომ ისინი სრულყოფილ მხატვრულ ნაწარმოებებს წარმოადგენენ. საბავშვო მოთხრობების გმირთა მოქმედების არეალი ფართოა: მათ ვხვდებით ქალაქებსა თუ სოფლებში, ოჯახებსა თუ სკოლებში. მოთხრობაში „კარგი ბიჭი“ მოქმედება სოფლის ცხოვრების ფონზე იშლება, ხოლო მოთხრობა „საბოლოო სინანული“, ქალაქელი ბიჭის თავგადასავალს ასახავს. გიორგი შატბერაშვილის საბავშვო პროზაში ქალაქთან შედარებით ფართოდ, სოფლის ცხოვრების თემაა მხატვრულად გაშლილი. მას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ასევე საყმაწვილო პოეზიაშიც. მოთხრობებში „ოქროს მარჯვენა“, „ერთ ზაფხულს“, „მერცხლის ბუდე“, „ნიკო და სიკო“, „თანდას სტვირი“ და სხვა, ვხვდებით სოფლის ლამაზ სურათებს, რომლებიც განსაკუთრებით იზიდავს ბავშვებს. გიორგი შატბერაშვილი კარგად იცნობს სოფლელი ბავშვების ხასიათს, მათ მისწრაფებებს, დამოკიდებულებას უფროსებთან, ამიტომ ოსტატურად ასახავს იმ რეალობას, რაც თავად ნახა და განიცადა. ამრიგად, მწერალი ყოველი კუთხით წარმოგვიდგენს ბავშვების მრავალფეროვან ცხოვრებას, ხატავს მათ სახეებს როგორც სწავლის დროს, ისე ლაღი ბუნების ფონზეც.

სიუჟეტის განვითარების მხრივ საყურადღებოა ვრცელი მოთხრობა „მტკვრის სათავისკენ“ (1949წ.), რომელიც რამდენიმე თავისგან შედგება. იგი ფართო ამბების შემცველი ნაწარმოებია, ხოლო ეს ამბები ცალკე თავებადაა გამოყოფილი. თხზულებაში გიორგი შატბერაშვილი მხატვრულად წარმოაჩენს თევზების ცხოვრებას, ხოლო დასასრულს კი მწერალი ბავშვებს მოუთხრობს მესხეთის მძიმე წარუსლის შესახებ. მანმადე თევზებს მდინარის ნაპირებიდან სევდიანი ქართული სიმღერა ესმოდათ: „მაგრამ ეს სიმღერა არ იყო. ეს იყო გულსაკლავი და ჟრუანტელის მომგვრელი მოთქმა. ვილაც თავის უკუღმართ ბედს უჩიოდა ამ გაბმული სიმღერით. ეს სიმღერა კვნესას უფრო ჰგავდა, ვიდრე სიმღერას“ (შატბერაშვილი, 1976:88-89).

თევზები ხედავდნენ როგორ იტანჯებოდნენ თურქეთში დარჩენილი ქართველები, ესმოდათ მოხუცი მწყემსისა და მისი შვილიშვილის საუბარი, თუ რას წარმოადგენდა ძველ დროში საქართველო და როგორ დაიპყრეს მისი ერთი ნაწილი თურქებმა: „- ეჰ, შვილო, რა გითხრა. მას შემდეგ, რაც დედა საქართველოს მოგვწყვიტეს, ყველაფერი წახდა, დაიქცა. განა ასეთი იყო ეს ხეობა? მტერმა აჩეხა ვენახები, გაკათა ბაღები და დიდებული ტყეები, დაანგრია ჩვენი ციხე-კოშკები, განყვიტა ხალხი, წაგვიბილწა ენა, დაგვიმონა...” (შატერაშვილი, 1968:92). გიორგი შატერაშვილი ოსტატურად ახერხებს მძიმე სურათის დახატვით, შეაყვაროს პატარა მკითხველებს თურქეთში დარჩენილი ქართველები. სიბრალულთან ერთად გაუღვივოს ბრძოლის სურვილი. ჩვენი ამრით, სწორედ, ესაა თხზულების მთავარი იდეა.

მოზარდს ფაქიზი სულიერი სამყარო აქვს. იგი ადვილად ხვდება სიცრუეს და მცირედი შეცდომის გამო შეიძლება უარყოფითად განეწყოს მწერლის მიმართ, ამიტომ საყმაწვილო თხზულებებს მეტი დამაჯერებლობა და მიმზიდველობა უნდა ახასიათებდეს. ნაწარმოების კარგი იდეა თავისთავად ყველაფერს არ ნიშნავს. მთავარია, ბავშვმა გულთან ახლოს მიიტანოს წაკითხული. ეს გაცნობიერებული აქვს გ.შატერაშვილს და მოთხრობაში პატარა მკითხველისთვის ბუნებრივად და საინტერესოდ ხატავს თევზების თავგადასავალს. მოთხრობაში “მტკვრის სათავისკენ”, გარდა ამბების ორიგინალურად განვითარებისა, საინტერესოდაა დახატული პერსონაჟებიც. თხზულებაში ავტორი მიმართავს პერსონიფიკაციას, თევზების ადამიანებად გარდასახვას, მათი ზნე-ჩვეულებების აღწერას. უნდა აღვნიშნოთ, რომ მოთხრობა ქართული ფოლკლორის მკვლევარს ფიქრია ზანდუკელს მიაჩნია როგორც ხალხური ეპიკური უანრის კვალობაზე დაწერილი: „ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა გიორგი შატერაშვილის საბავშვო მოთხრობები: „მტკვრის სათავისკენ” და „ხორბალა”, რომლებიც ხალხური ეპიკური უანრების სტილების მიხედვით არის დამუშავებული. ამ მოთხრობებისადმი ინტერესი მრავალი

მომენტითაა შეპირობებული, განსაკუთრებით კი – ახლებური იდეური დატვირთვით” (ზანდუკელი, 1974:113).

გიორგი შატბერაშვილის საბავშვო პროზაში საყურადღებოა მოთხრობები, რომლებიც განკუთვნილია სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის. მწერალი თანაბარი სიყვარულით ხატავს როგორც უფროსი ასაკის პერსონაჟებს, სკოლის მოსწავლეებს, ისე მცირეწლოვნებს. იგი ახლოს იცნობს პატარების ფსიქოლოგიას და დარბაისლური კილოთი ასახავს მათ გულუბრყვილობით აღსავსე ოცნებებს. ნათქვამს ასახულებს მოთხრობები „ქორი გადაყლაპა“, „ჩიტმა ტყუილი არ იცის“, „ბუტიას კერძი ტკბილია“, „ასე ტკბილად დამიბერდი“ და „მაიას ყვავილნარი“. ამ ნაწარმოებებში ბავშვების განცდები გადმოცემულია სადა, მარტივი ენით, მაგრამ ისეთი მიმზიდველობით, რომ პატარები დააინტერესოს. „ნაკადულმა“ 1969 წელს საგანგებოდ სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის გამოსცა გიორგი შატბერაშვილის მოთხრობების კრებული “ქორი გადაყლაპა”. კრებულს განსაკუთრებული მხატვრული ღირებულება არ გააჩნია, თუმცა შემეცნებითი მნიშვნელობისაა და ყმანვილებს გარკვეულ ცოდნას აძლევს. მოთხრობების პატარა გმირები უფროსებს ბაძვენ, ცდილობენ დამოუკიდებლად იმოქმედონ, რასაც ზოგჯერ მარცხი მოსდევს. მათ ბავშვურ გონებამახვილობაზე მიუთითებს მათივე საქციელი, ისინი ოცნებობენ სკოლაზე, ბეჭითად სწავლაზე. მართალია, გიორგი შატბერაშვილის ყველა საყმანვილო მოთხრობა არ დგას თანაბარ მხატვრულ სიმაღლეზე, ზოგი ნაძალადევია, მოდუნებული და ტრაფარეტული, მაგრამ მათი უმრავლესობა გვიჩვენებს, რომ ავტორი ყმანვილების სულიერ სამყაროს კარგად იცნობს და მათი მომავლითაა დაინტერესებული.

გიორგი შატბერაშვილის საბავშვო პროზის ღირსება ისაა, რომ აქ ასახულია მისთვის ნაცნობი გარემო, ბავშვთა ყოფა-ცხოვრების სურათები. მწერლის თხრობა ლაღია და გამსჭვალულია ხალისიანი იუმორით. თხრობის პროცესში ზოგიერთ ადგილზე მოხდენილად არის ჩართული ენობრივად კარგად განყობილი

დიალოგები. აქ ჩამოთვლილი თავისებურებები გ.შატბერაშვილის საბავშვო თხზულებების უმრავლესობისთვისაა დამახასიათებელი. იგი არ იძლევა ზედმეტ, რჩევა-დარიგებებს, არამედ უბრალოდ ჰყვება საინტერესო ამბებს, ცხოვრებისეულ მოვლენებს აღიქვამს და აფასებს ბავშვის თვალითა და გონებით. გიორგი შატბერაშვილის საბავშვო პროზის გმირთა მოსაზრებები, მოქმედების ხასიათი ხშირ შემთხვევაში მომდინარეობს მათივე ასაკიდან, თუმცა ზოგჯერ ბავშვები ასაკისთვის უჩვეულოდ, საღად აზროვნებენ, რაც მათ მეტყველებაში მჟღავნდება.

გიორგი შატბერაშვილის საბავშვო მოთხრობების გმირები არ ჰგვანან ერთმანეთს, თითოეული მათგანი განსხვავებულად აზროვნებს. ასევე განსხვავებულია მათი წარმოდგენები საგნებსა და მოვლენებზე, მაგრამ ყველაზე მთავარი ისაა, რომ მწერალი არ წერს წინასწარ შემუშავებული სქემით. მის მიერ მოთხრობილ ფაბულაში დიდაქტიკა შეუმჩნევლადაა შემოსული, ამიტომ შინაარსი ვითარდება საინტერესოდ და აზრის გაგებაც თავისთავად არ წარმოადგენს დიდ სირთულეს.

მწერლის საბავშვო მოთხრობებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მისი მიზანი არაა ყმანვილები დატვირთოს გაურკვეველი, ბუნდოვანი აზრებით. იგი არც დაძაბულ სიტუაციებს ქმნის, რადგან მისი აზრით, კონფლიქტები თვითონ წარმოიქმნებიან ბავშვების შინაგან სამყაროში და მათი ხელოვნური გამძაფრება უარყოფითად იმოქმედებს მათ ზნეობრივ განვითარებაზე. გიორგი შატბერაშვილი ასევე მომაბეზრებელი დიდაქტიკური შეგონებებით როდი ცდილობს მოაწესრიგოს და გამოასწოროს ყმანვილთა ნაკლოვანი მხარეები, არამედ თავად ბავშვებს უბიძგებს გააცნობიერონ ჩადენილი საქციელი და გამოასწორონ. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვმა დამოუკიდებლად გაიაზრა თავისი საქციელი და შეიგნო, ასეთ ყმანვილს აღარ სჭირდება ზედმეტი დარიგება. გ.შატბერაშვილის საბავშვო პროზის გმირებს ახასიათებთ გულწრფელობა, უყვართ სიმართლე, რაც მათ მთავარ ღირსებად უნდა ჩაითვალოს.

§.5. გიორგი შატბერაშვილის „მკვდრის მზე“

გიორგი შატბერაშვილის თხრობის ორიგინალური ხერხი და მთავარი იდეის მხატვრულ ფორმებში ასახვა სრულყოფილად გამოვლინდა მოთხრობაში „მკვდრის მზე“(1959წ.). „სამი წელია ორმოცდაათს გადავცდი, - წერდა მწერალი, დიდი დრო გასულა... ორმოცდაათის დამდეგს დავამთავრე ვრცელი მოთხრობა „მკვდრის მზე“, რომელსაც სხვანაირად წუთისოფლის დიდი დღის ამბავი დავარქვი. მართლაც, სწრაფად თვალმოუკრავად მიჰქრის წლები” (შატბერაშვილი, 1964:8). „მკვდრის მზეს“ თავის დროზე ვერ გამოეხმაურა ქართული სალიტერატურო კრიტიკა და ვერ შეაფასა მისი მხატვრული ღირებულება. აღნიშნულის თაობაზე ზურაბ ჭუმბურიძე შენიშნავდა: „გიორგი შატბერაშვილის შემოქმედების გვირგვინი და საერთოდ,

ქართული მწერლობის მშვენიერებაა ვრცელი მოთხრობა „მკვდრის მზე“, ცხოვრებისეული სიბრძნით სავსე, ღრმად ალევგორიული, მრავალმხრივ საყურადღებო ნაწარმოები. სამწუხაროდ, ქართულ კრიტიკას უმნიშვნელო როლი ეკუთვნის ამ შესანიშნავი მოთხრობის პოპულარიზაციის საქმეში. მან უფრო ადრე მოიპოვა სიყვარული და აღიარება მკითხველთა შორის, ვიდრე სალიტერატურო კრიტიკა მიუჩენდა ღირსეულ ადგილს. უფრო მეტიც, თავდაპირველად, კრიტიკა ამ მოთხრობას საკმაოდ სუსხიანად შეხვდა” (ჭუმბურიძე, 1975:26).

„მკვდრის მზე“ მრავალნახნაგოვანი თხზულებაა, მისი გააზრება სხვადასხვა კუთხით შეიძლება. სწორედ, ეს გახდა იმის მიზეზი, რომ მოთხრობის შესახებ მართალია, მოგვიანებით, მაგრამ, მაინც გამოითქვა რამდენიმე საყურადღებო მოსაზრება ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში. გიორგი შატბერაშვილის მოთხრობას ერთ-ერთი პირველი გამოცხმაურა გიორგი ხუხაშვილი წერილით „მკვდრის მზე“ (1962წ.), რომელშიც ვკითხულობთ: „ახალს, ორიგინალურს, ნიჭიერად დაწერილ ნაწარმოებს ლიტერატურულ ცხოვრებაში თავისებური მღელვარება, გამოცოცხლება შეაქვს. იგი ახალ, მძლავრ ფაქტორად იქცევა არა მარტო გამარჯვებული ავტორის შემოქმედებითი განწყობილებისთვის, არამედ სხვებისთვისაც, ვისაც აღელვებს ჯერ კიდევ განუხორციელებელი ჩანათფიქრი, ვინც ეძებს ახალ სიღრმეებს სიტყვიერი ხელოვნების სფეროში. ბოლო ხანებში ერთ-ერთ ასეთ ნაწარმოებად გამოჩნდა ჩვენში გიორგი შატბერაშვილის „მკვდრის მზე“ (ხუხაშვილი, 1962:105).

თხზულების შესახებ გაზეთმა „ლიტერატურულმა საქართველომ“ მხოლოდ მწერლის გარდაცვალების დღეებში გამოთქვა აზრი: „მკვდრის მზე“ მწერლის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია. ამ ვრცელმა მოთხრობამ ლიტერატურული საზოგადოებისა და მკითხველების დიდი გამოხმაურება და ინტერესი გამოიწვია. მწერალმა თავისი მოთხრობის გმირივით ამ ნაწარმოებით მალლა ასწია საჯილდაო ქვა და გამარჯვებული წარუდგა მკითხველს. ამ მოთხრობით უკვე ცნობილი

პროზაიკოსი ახალი და თავისებური სახით მოგვევლინა, მოგვხიბლა თხრობის ძალდაუტანებელი ბუნებრივი მდინარებით, ენის სილალით და სიმდიდრით, სიუჟეტის მომხიბვლელიობითა და დიდი იდეური შთაგონებით” („ლიტერატურული საქართველო”, 1965).

„მკვდრის მზისთვის” უცხოა სიუჟეტის სწორხაზოვანი განვითარება, იგი არათანაბრად მიმდინარეობს და ახალი ამბებით, პარალელური ნაკადებით მდიდრდება. გიორგი შატბერაშვილი არ მისდევს შინაარსის გადაბმულად თხრობის გავრცელებულ ხერხს. მოთხრობის თითოეული ნაწილი „დილა”, „შუადღე” და „სალამო” დასრულებული სახისაა, თუმცა მათ შორის გაბმულია მოქმედების ერთიანი და მთავარი ხაზი. საგულისხმოა, რომ მწერალი არაა გულგრილი თავისი გმირების ბედის მიმართ. იგი ზოგჯერ თვითონ ერევა მათ ცხოვრებაში და მათი თავგადასავლის მონაწილე ხდება. ყოველივე ეს აცხოველებს მოთხრობის შინაარსს და უფრო საინტერესო საკითხავს ხდის. მოთხრობაში ვკითხულობთ: „...მანც თქვენზე ვფიქრობ-თენგო ბიჭო და უსახელო ხიზამბარელო..., ეს ფიქრი თუ მიშველის...ვგრძნობ, როგორ ვიქანცები, როგორ მტანჯველად შრიალებს ფიქრი, როგორ ყოველდღიურად მაკლდება თვალისჩინი, როგორ ბნელდება ირგვლივ. ვბრმავდები, ვერაფერს ვხედავ...თქვენ კი უფრო ცხადად, უფრო გარკვევით მეხატებით” (შატბერაშვილი, 1972:97). ეს ეპიზოდი გვიქმნის შთაბეჭდილებას, რომ გიორგი შატბერაშვილს განსაკუთრებით უყვარს თავისი გმირები, ქვის მთლელი ოსტატი – ხიზამბარელი და ჯერ სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ ცხოვრებისგან დაბრძენებული – თენგო კობაიძე. მწერალი მოხიბლულია მათი გმირული სულისკვეთებით, სულიერი სიმტკიცით. მიუხედავად იმისა, რომ „მკვდრის მზის” გმირები ხიზამბარელი და თენგო ბიჭი უჩვეულო ძალ-ღონეს ფლობენ, სხვებისგან მანც თავმდაბლობით, უბრალოებით გამოირჩევიან, ისინი ქართული პროზის სრულიად ახალი სახე-ხასიათების პერსონაჟები არიან. მათ ყოველ ქცევაში, სიტყვა-პასუხში ნათლად ჩანს ალალის და ძლიერი ნებისყოფის ადამიანების ფსიქოლოგია.

ამ ორი გმირის გარდა, თხზულებაში გიორგი შატბერაშვილი შთამბეჭდავად ხატავს დანარჩენ პერსონაჟთა სახეებს, მათ თავგადასავალსა და დამოკიდებულებას სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულ პრობლემასთან, რომელიც მწერლის აზრით, ასეთია: „წუთისოფელი სიცოცხლისა და სიკვდილის ჭიდილია...სადაც სიკვდილი არ შეაბოტებს, იქ ხომ არც სიცოცხლეა. აბა, სიკვდილმა ვის უნდა მოუქნიოს თავისი ცელი? სიკვდილი მხოლოდ ამონყვეტილ ოჯახში არ შედის...ან რა ესაქმება იქ? ამონყვეტილი ოჯახი სიცოცხლესაც მოსძულებია და სიკვდილსაც” (შატბერაშვილი, 1972:30).

„მკვდრის მზის” მთავარი იდეა სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული დაპირისპირებაა. მწერლის სიტყვებით რომ ვთქვათ, გასავლელი გზა აკვნიდან სასაფლაომდე. საგულისხმოა, რომ ამ გზას მოთხრობის გმირები ხიზამბარელი და თენგო კობაიძე დაუმარცხებლად მიუყვებიან, მიუყვებიან, რათა გმირულად შეხვდნენ თავიანთი სიცოცხლის ავბედით დასასრულს. ხიზამბარელიც და თენგო ბიჭიც გაბედულად ერკინებოდნენ იმ საჯილდაო ქვას, რომელიც მათთვის საბედისწერო აღმოჩნდა. მოთხრობაში საჯილდაო ქვას პირველად ვხედავთ ქართლის ერთ-ერთ სოფელ შუბათის ეკლესიის ეზოში, სადაც მას ხიზამბარელი შეეჭიდა. მან თარხნიშვილის დავალებით შუბათის საყდარი შეაკეთა და იქვე საგანგებოდ გამართულ შეჯიბრებაზე საჯილდაო ქვის აწვეით ისახელა თავი. ამ ეპიზოდის შემდეგ საჯილდაო ლოდი დიდი ხნით უჩინარდება თხზულების ფაბულიდან, რადგან გიორგი შატბერაშვილი გადადის სხვა ამბების აღწერაზე და თხრობა სხვა გზით მიჰყავს. მოთხრობაში აქედან წინა პლანზე წამოწეულია დანარჩენი გმირების – გიორგი კობაიძის, მისი დედის – დაროს, გიორგის მეუღლის ხახატოს, შავდათუას ამბები და ბუნებრივია, ვაჟკაცობის თემა ან სიკვდილ-სიცოცხლის ურთიერთობის პრობლემა მეორეხარისხოვანი ხდება. ახალი ამბების აღწერით თხზულებაში ადგილს იკავებს საყოფაცხოვრებო, ყოველდღიური ურთიერთობები, თუმცა მწერალი არ ივინწყებს მოთხრობის ძირითადი შინაარსის გადმოცემას.

„მკვდრის მზეში“ ფსიქოლოგიური კუთხითაა ახსნილი გიორგი კობაიძის (თენგოს მამის), შავდათუას, ხახატოს ხასიათები. ასევე დეტალურადაა წარმოსახული გიორგის ჩხუბი დედამისთან, დამეგობრება შავდათუასთან და დედის ჯიბრით შეუხედავი, ყრუ ხახატოს ცოლად შერთვა. ამ შემთხვევაში მოთხრობა გადატვირთულია სხვა მოვლენებით, რის გამოც მთავარი თემა დიდი ინტერვალით წყდება მომღვეწო ამბებს.

გიორგი შატბერაშვილმა „მკვდრის მზეში“ გვიჩვენა წუთისოფელთან ჭიდილის არა მარტო ფიზიკურად თვალსაჩინო ეპიზოდები, არამედ შინაგანი ღრმა სულიერი წინააღმდეგობები, რომლებიც თავმოყრილი იყო ერთ ადამიანში – გიორგი კობაიძის ფსიქიკაში. ამ პერსონაჟის დახატვით მწერალმა მიგვანიშნა ადამიანებში მიმდინარე რთულ სულიერ ბრძოლაზე, კეთილი და ბოროტი სანყისების დაპირისპირებაზე, მათ კონფლიქტზე. გიორგი შატბერაშვილის აზრით, სულიერი კრიზისების გადატანა ისევე ახასიათებს წუთისოფლის გზას და ისევე აუცილებელია ადამიანების ცხოვრებაში, როგორც სიძნელეებთან ფიზიკური ჭიდილი. უფრო მეტიც, ფიზიკური სიძნელეების გადატანა გაცილებით ადვილია, ვიდრე სულიერი ტკივილების. საინტერესოა, ნაწარმოების კომპოზიციური მთლიანობა. საერთოდ, რომელიმე თხზულების კომპოზიცია, ლიტერატურისმცოდნის მიხეილ ბახტინის აზრით, „შეიძლება განისაზღვროს როგორც მხატვრული შთაბეჭდილების ფაქტორების ერთობლიობა“ (ბახტინი, 1975: 9). ამდენად, როდესაც ვსაუბრობთ „მკვდრის მზის“ კომპოზიციური მთლიანობის შესახებ, უნდა გავითვალისწინოთ მისი მხატვრული თავისებურებები. როგორც აღვნიშნეთ, გიორგი შატბერაშვილი „მკვდრის მზეში“ არ მისდევს ამბის გადაბმულად თხრობის ტრადიციას და ფრაგმენტულად ალაგებს თხზულების პერსონაჟთა ტრაგიკული ცხოვრების ეპიზოდებს. სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემის უკეთესად წარმოჩინების მიზნით, გ.შატბერაშვილმა დახატა იმ ადამიანთა ცხოვრება, რომლებსაც წილად ერგოთ უსიხარულო სიცოცხლე და რომლებმაც საკუთარი ხასიათისა თუ მარცხის წყალობით სიკვდილამდე როგორღაც მიიტანეს ტკივილიანი

სულები. გიორგი კობაიძემ, მარტოსულად ქცეულმა კაცმა, გაორებული გულითა და ჯიუტი შეუპოვრობით განვლო სიცოცხლე, ხიზამბარელმა გამარჯვების სიხარულთან ერთად სიკვდილის მსახვრალი ხელიც შეიგრძნო. ჯერ უიღბლო ქალიშვილობა ხვდა წილად ხახატოს და შემდეგ უბედური დედობა, საფალავნო ლოდმა გათელა მოთხრობის ერთ-ერთი მთავარი მხატვრული პერსონაჟი თენგო კობაიძე. ასეთი ტრაგიკული ბედის მქონე ადამიანების ცხოვრება უდევს საფუძვლად „მკვდრის მზის“ ძირითად შინაარსს, რომელსაც უფრო სევდიანი ფერები ახლავს, ვიდრე ნათელი სურათები. პერსონაჟთა უიღბლო ცხოვრების აღწერით, თხზულებაში „უმთავრესად ისმის სევდიანი მუსიკა, შენელებულია ჰეროიკული უღერადობა, ადამიანები, პეიზაჟები მელანქოლიური ნისლითა და უღიმღამო ნათელით არის გარემოცული. სადღაც გაგიეღვებთ ამ მოთხრობის კითხვისას ხალხური გენიალური სტრიქონები: „ბინდის ფერია სოფელი, უფრო და უფრო ბინდდება“. აქ სადღაც არის გარდაუვალი აღსასრულის, სიკვდილის შემამფოთებელი განცდა”(ხუხაშვილი, 1962:108).

მოთხრობის მთავარი პერსონაჟი გიორგი კობაიძე ისეთი ადამიანია, რომელიც მუდამ გრძნობდა სიკვდილის სიახლოვეს და ამიტომ გაჰყავდა გზა სასათლაოსკენ, რომელსაც სოფლები „გიორგის გზას“ ეძახდნენ. მან იცოდა, რომ ამ გზას გვერდს ვერავინ აუვლიდა. გიორგის არსებაში სიკვდილიც ისე იყო ჩასახლებული, როგორც სიცოცხლე, სიკვდილი მას აკვაცობისკენ ეწეოდა, ხოლო სიცოცხლე მამობრივი მზრუნველობისკენ. გიორგისთვის სიცოცხლე არ იყო მხოლოდ სიკვდილის მოლოდინი, მას გაცნობიერებული ჰქონდა წუთისოფლად ყოფნის ფილოსოფია, რომ სიცოცხლე ღირსებისთვის ბრძოლაა, ჭიდილია ქვეყანასთან, საკუთარ თავთან და საკუთარ შვილთანაც კი. აქ კვლავ უნდა მივუბრუნდეთ სატილდაო ქვის ამბავს. მანმადე აუცილებელია აღვნიშნოთ: გიორგი შატბერაშვილის დაინტერესება სატილდაო ქვით არაა შემთხვევითი, მას „მკვდრის მზის“ შექმნამდე შესწავლილი ჰქონდა საფალავნო ქვის ისტორია და საგანგებო წერილიც

გამოქვეყნებული „სათალავნო ქვა“ (1959წ.). გიორგი შატბერაშვილის აზრით, სიმძიმის დაძლევის, ქვის აწევის სპორტი ქართული მითოსიდან მომდინარეობს: „ამირან სულკალმახის ძე პირველთაგანი იყო, ვინც სათალავნო ლოდს შეეჭიდა და შთამომავლობას ვაჟკაცური შემართებისა და ფიზიკური ტანჯვის უდრტვინველად გადატანის მაგალითი მისცა. ხევსურული ფოლკლორის ტიტანები და „ღვთის შვილები“ - „ხთის კარზე მდგარი“- იახსარი და კოპალა, ამირანის შთამომავლები არიან, რომლებიც „სამოცლიტრიანი“ და „ასლიტრიანი“ რკინის აწევით ცდილობენ სახელის მოპოვებას“ (შატბერაშვილი, 1975:191-192).

საჯილდაო ქვის შესახებ საინტერესოა, პოეტ ზაქარია შერაზადაშვილის წერილი „საჯილდაო ქვა“, რომელშიც აღწერილია საქართველოში ძველი დროიდან გავრცელებული ამ სახალხო სპორტის ისტორია. შ.შერაზადაშვილი წერს: „ეს მრგვალი ქვა განა მძიმეა, სრულებითაც არა! მთელი საიდუმლოება მის სიმრგვალებაში მდგომარეობს. ხელი არ ეკიდება! და რადგანაც ხელი არ ეკიდება, ამდენად, მის ასაწევად მარტო ფიზიკური ძალა არ კმარა, საჭიროა საკმაოდ დიდი დაოსტატება და გამოცდილება“ (შერაზადაშვილი, 1953:20). „მკვდრის მზის“ ავტორისთვის საჯილდაო ქვა არაა ჩვეულებრივი, იგი სიკდილ-სიცოცხლის ურთიერთობის აზრის ამხსნელია და არა მარტო ფიზიკური ღონის წარმომჩენი. ვიზუალურად იგი ასე გამოიყურება: „მოლურჯო ლოდი ერთი შეხედვით ძველისძველი კუთხეებგადაღესილი და დამრგვალებული საფლავის ქვა გეგონებათ, მაგრამ თუ გამოიკითხავთ ან კარგად დააკვირდებით, მიხვდებით, რომ ეს ასე არ არის... ლოდს მოლურჯო-მომწვანო ფერისმჭამელა თუ ხავსის მინამგვანი ხაო მოსდებია და ოდესღაც გულდაგულ გამოყვანილი წარწერა დაუფარავს. ასოები ალაგ-ალაგ ჩანს. მათი უმრავლესობა ამოცვეთილია და გადაღესილი, ზოგი დროის, ზოგი კაცის ხელით. მხოლოდ ერთგან დაკვირვებული თვალი ძლივს ამოიკითხავს ორ ერთმანეთზე მიჯრილ სიტყვას: „სიკდილითა სიკვდილისა...“ (შატბერაშვილი, 1972:5-6). საინტერესოა, რატომ წააგავს საჯილდაო ქვა განსაკუთრებით საფლავის

ქვას. ეს მსგავსება შემთხვევითია თუ რაიმე სიმბოლური აზრის გამომხატველია? ამ კითხვაზე პასუხს თავად „მკვდრის მზის“ შინაარსი იძლევა: საჯილდაო ქვა, როგორც ვაჟკაცობის სიმბოლო, ძეგლის სახით ღვეს იმ კაცის საფლავთან, ვინც ერთი წუთით მაინც სძლია სიკვდილს, გაუძლო ამქვეყნიურ ჭირ-ვარამს და საკუთარი სიცოცხლის ფასად სამუდამო დიდება დაიმკვიდრა. სწორედ, სახელისთვის ბრძოლა და მისთვის სიკვდილი არის ერთი საინტერესო საკითხი მოცემული თხზულებისა. ამ საკითხს კიდევ უფრო აძლიერებს საჯილდაო ქვაზე ამოკვეთილი სიტყვები „სიკვდილითა სიკვდილისა...“, რომელიც საინტერესო ფილოსოფიაა სიკვდილის ძლევაზე, სიცოცხლის საფასურად მოპოვებულ სახელსა და დიდებაზე. ამდენად, „მკვდრის მზის“ ფაბულაში საჯილდაო ქვა ცენტრალური მოვლენაცაა და იდეური საფუძველიც, რომელზეც აგებულია გიორგი შატბერაშვილის მხატვრულ-ინტელექტუალური მრწამსი. თუ კვლავ ჩავუღრმავდებით საჯილდაო ქვაში ჩადებულ სიმბოლურ აზრს წუთისოფელზე, დავინახავთ, რომ ადამიანის არსებობა მართლაც, სახელისთვის ბრძოლა ყოფილა. ეს აზრი თავისებური ინტერპრეტაციაა რუსთაველის ბრძნული აფორიზმისა „სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა!“ (რუსთაველი, 1963:157) და მაინც, საჯილდაო ქვის სიმბოლური აზრი სრულყოფილად ვერ ხსნის სახელისთვის ბრძოლის პრობლემას, ვერ იტევს ამ იდეას, რადგან „მკვდრის მზის“ მიხედვით ადამიანები ცალ-ცალკე დგანან, ისინი უპირისპირდებიან კიდევ ერთმანეთს. მათ შეგნებული აქვთ, რომ სახელი ერთეულების კუთვნილებაა, ხოლო მცდელობა და სურვილი ბევრის. აქ მეტის თქმაც შეიძლება: გიორგი შატბერაშვილის მოთხრობის გმირები ერთმანეთს ებრძვიან სახელის მოსაპოვებლად. თენგივ კობაიძე ეჭიბრება ხიზამბარელს ანუ აწმყო ეჭიბრება წარსულს, ახალი სახელი ცდილობს ჩრდილი მიაყენოს ძველს. სახელის მოპოვება მორალური თვალსაზრისით გამართლებულია და თანამედროვეებს თუ მომავალ თაობებს ვაჟკაცობისკენ უბიძგებს. სახელის ძიება ადამიანში ყოველთვის ბადებს სულიერი და ფიზიკური ძალების გამოვლინების სურვილს. ერთი ადამიანის გმირობა მაგალითის მიმცემია

მომავალი თაობისთვის და გულისხმობს ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებისთვის თავგანწირვას. სახელის ძიება ყოველთვის სცილდება ადამიანის ინდივიდუალური ცხოვრების სფეროს და ფართო მასშტაბს იძენს. ამდენად, სახელის ძიება მხოლოდ ვინმეს მიბაძვით, ან ვინმეს მეტოქეობით, ვერ ამოწურავს პრობლემას, ვერ დაიტევს ჰუმანიზმის ფილოსოფიას. „მკვდრის მზეში“ არის ასეთი ეპიზოდი: „მკვდარს ეჯიბრები? – გაიყინა ნინომ და ქოჩორში მისწვდა ჭაბუკს. თენგომ გაიღიმა და წინ გაიხედა. მან კარგად იცოდა, ვისაც ეჯიბრებოდა. „მკვდარსაც და ცოცხლებსაც“, უნდა ეთქვა, მაგრამ არათფერი ეთქვა...უნდოდა ეთქვა, რომ ეს ცხოვრება ცოცხალი ადამიანის მკვდართან შეჯიბრია, რომ ცოცხალი ადამიანი ცდილობს იმაზე მეტი გააკეთოს, რაც მის წინაპრებს გაუკეთებიათ” (მატბერაშვილი, 1960:110). ახლა კი მოვესმინოთ თენგოს მამას – გიორგის: „სათალავნო ლოდს ეხუმრებიან...ის კი არ იციან, სატილდაო ქვას მხოლოდ ღვთის ნათლულები თუ უზამენ ძვრასა! – ბევრისთვის მოუწყვეტია წელი იმ ლოდსა!...” (მატბერაშვილი, 1972:83). „მკვდრის მზეში“ სათალავნო ლოდი წარმოდგენილია როგორც ცხოვრებასთან ჭიდილის სიმბოლო. გმირული სულის ადამიანები, ქვასთან ჭიდილში ამუღავნებენ თავიანთ მრწამსს და ცდილობენ შეუპოვრად გადალახონ სახელის ძიებისკენ მიმავალ გზაზე არსებული ყველა ხილული თუ უხილავი დაბრკოლება. ახალგაზრდები ცდილობენ წინაპართაგან დაძლეულ სიმალღეებზე უფრო ამაღლებას. მათი მიზანია, საზოგადოებას მეტი და უფრო ახალი შესძინონ, ვიდრე წინამორბედმა თაობებმა. გმირული სულის მქონე ადამიანების გვერდით ცხოვრებაში არსებობენ ისეთნი, რომლებიც ეკრძაღვიან სათალავნო ლოდთან, ანუ ცხოვრებასთან ჭიდილს და ჩვეულებრივ მდინარებას მიჰყვებიან, უზრუნველ ყოფას ეძებენ. ისინი სკეპტიკოსები არიან, ხშირად ხელმოცარულნი რჩებიან და საზოგადოებაში უხერხულად გრძნობენ თავს. „მკვდრის მზეში“ გმირული სულის ადამიანები არიან ხიზამბარელი და თენგო კობაიძე, რომლებიც საუკეთესოდ გამოხატავენ თხზულების ძირითად იდეას, ხოლო მათ საპირისპიროდ დგანან გიორგი კობაიძე, შავდათუა და ვინმე ქონდრისკაცი.

სათვალაუნო ლოდის შინაარსი ახსნილი აქვს მერი ჭელიძეს წერილში „მკვდრის მზის“ ფილოსოფიური საზრისი“. მ. ჭელიძის აზრით, „საჯილდაო ქვის ძლევა ცხოვრების გმირის მიერ გზის გაკვლევაა ახლისაკენ, ეს არის სახელის დამკვიდრება და ამიტომ სიკვდილის დამარცხება ხდება სახელისა და საქმის გაგრძელების, მისი მარადაიულობის აუცილებლობის დადასტურებით“ (ჭელიძე, 1990:127).

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ საჯილდაო ლოდის აწევა მეტოქეობაა ახლისა-ძველთან, აწმყოსი-წარსულთან და უფრო მეტიც, შვილისა-მამასთან. ეს მეტოქეობა არაა უსაფუძვლო, მაგრამ საკითხავია – რისკენ არის იგი მიმართული და რამდენად შეიძლება იყოს ჰუმანური, ან აქვს თუ არა გამართლება თენგო კობაიძის ჭიდილს საჯილდაო ლოდთან, როგორც თავად ამბობს, შეჯიბრს „მკვდრებთან და ცოცხლებთან!“ ვიდრე ამ კითხვებს პასუხს გავცემდეთ, კვლავ უნდა დავუბრუნდეთ ხიზამბარელის ამბავს. საინტერესოა, რამ აიძულა ნოსტელი კალატოზი შესჭიდებოდა ქვას და ესინჯა მკლავის ძალა. იქნებ თარხნიშვილის დაწესებულ ჭილდოს დახარბდა, ან სურდა თავისი სატრფოსთვის ეჩვენებინა საგმირო საქმე და ამით მეტი მოწონება დაემსახურებინა. ჩვენი აზრით, კალატოზს არც ერთი აინტერესებდა და არც მეორე. ჯერ ერთი, მან საყდრის შემკეთებისთვის საკმარისი ვერცხლის ფული მიიღო, მეორეც, თავისი გულისსწორი სოფელ შუბათიდან შორს იყო და ვერ დატკებოდა ხიზამბარელის ვაჟკაცობით. კალატოზს საჯილდაო ქვის აწევისკენ ერთმა გარემოებამ უბიძგა, ეს იყო ეკლესიის გალავანზე შემომჭდარი ქონდრისკაცის დამცინავი შეძახილი: „ბიჭებო, ტყუილად წელს ნუ მოინყვეტო, მაგ ლოდის ამწევი ბიჭი აკვანში დავტოვე!“ (შატბერაშვილი, 1972:9). მართალია, გიორგი შატბერაშვილი პირდაპირ არ მიგვანიშნებს, მაგრამ ცხადდება, რომ საყდრის შემკეთებელი ოსტატის გონებაში გაიღვიძა ლამაზმა სიამაყემ. ხიზამბარელი შეიპყრო არა პატივმოყვარეობის, არამედ თავმოყვარეობის გრძნობამ და შეეცადა დაემტკიცებინა თუ რა ძალა შესწევდა მას წინაპრებთან შედარებით. ეს იყო წინაპრებთან არა პატივმოყვარული, არამედ კეთილშობილური სურვილი. აქვე საყურადღებოა ის

მცირე დეტალიც, რომ ლოდთან შებმულ კალატოზს ვილაც კაცმა დაცინვით ჩასჩურჩულა: „ქაფჩით ასნიე, კალატოზო, შენი ქაფჩითა” (მატბერაშვილი, 1960:12). ახლა უკვე ხიზამბარელის გონებაში ცოცხლებთან მეტოქეობის გრძნობამ გაიღვიძა, რადგან მწვავედ იგრძნო ბოროტი დაცინვა. ამის შემდეგ მოხდა ის, რასაც არაფინ ელოდა: „ხიზამბარელმა ოდნავ დაინია, დადაბლდა, ლოდს ქვემოდან შეუდგა, მხარიც მიაშველა, ასნია, ცხენის ზურგს ააცილა, უკანასკნელი ღონით ამოიქმინა და ლოდი ცხენსზევით გადაადგო...” (მატბერაშვილი, 1967:384). ხიზამბარელის გამარჯვება, რომელიც აღწერილია მოთხრობის პირველ ნაწილში („დილა”), ორგანულად უკავშირდება მომდევნო ამბების თხრობას, თენგო კობაიძის საინტერესო თავგადასავალს. თენგო კობაიძეც წინაპრებთან გაჭიბრების ერთგვარი სურვილითა და მამასთან ჯიბრის გამო შეეცადა საჯილდაო ქვის აწევას. აქედან უკვე ღიად იჩინა თავი მამა-შვილს შორის აღრე დაწყებულმა ფარულმა დაპირისპირებამ, რომელიც ჩვენი აზრით, უფრო თაობათა დაპირისპირებას, რომ ჰგავდა. მოვლენები მას შემდეგ უფრო გართულდა, როცა ჰანტელებით მოვარჯიშე თენგოს მამამისმა ნიშნის მოგებით უთხრა: „-აბა, ეს თხილის მარცვლები რა სავაჟუკაცოა, აგერ ის ლურჯი ლოდი ასნიე, თუ ღონე გერჩისო!” (მატბერაშვილი, 1972:70) გიორგის სკეპტიკური დამოკიდებულება აქვს ახალი თაობისა და კონკრეტულად თენგოს მიმართ. „მკვდრის მზის” შინაარსის მიხედვით, მამა-შვილის მეტოქეობა ტრაგიკულად დამთავრდა: საჯილდაო ქვა თენგოს მკერდზე დაეცა და გასრისა. გიორგის გულში ჩასახლებულმა ხმამ „ის ლოდი ასნიე თუ ღონე გერჩისო” (მატბერაშვილი, 1972:70), სიკვდილთან შესაბამელად ნააქება შვილი და მას სიცოცხლე მოუსწრაფა. ჭაბუკის სიკვდილი მძიმე ლოგიკური შედეგი იყო შვილსა და მშობელს შორის იდეური მეტოქეობისა. კვლავ იბადება კითხვა – რატომ იყო თენგო კობაიძის თავგადასავალი მაინცდამაინც ტრაგიკული? მისი ისტორია გიორგი შატბერაშვილმა განზრახ ხომ არ წარმოგვიდგინა დრამატულად? „მკვდრის მზეში” ასეთი დრამატიზმი ვფიქრობთ, განპირობებულია იმით, რომ გიორგის ხასიათში ფესვგადგმული

ბოროტება ზეიმობდა. გიორგის გულსა და გონებაში დაფარული იყო მეორე პიროვნება – ავგიორგი, რომელსაც ასაზრდოებდა მთელ ცხოვრებაში დაგროვილი ღვარძლი, წუთისოფლის სხვადასხვა მანკიერებანი.

მწერლობაში მოქმედი გმირის გაორება, ორი „მე“-ს კონტრასტი მიღებული ლიტერატურული ხერხია, რომლის ფონზე წარმოჩინდება ადამიანებში ორი საწყისის – კეთილისა და ბოროტის დაპირისპირება და დომინანტის გამოვლენა. „მკვდრის მზის“ მთავარი გმირი გიორგი კობაიძე ამ ასპექტით, საინტერესო მხატვრული სახეა, იგი შინაგანი სამყაროთი ისეთი ადამიანია, ვინც თავის თავში აერთიანებს კეთილი და ბოროტი საწყისების ერთმანეთთან ჭიდილს. გიორგის შინაგანი „მე“ ერთდროულად ორ საპირისპირო მხარეს მოიცავს, წარმოქმნის წინააღმდეგობებს და ცდილობს ჩასწვდეს თავის სულიერ სამყაროს. იგი ცდილობს გაიაზროს თუ რომელი სჭარბობს მის შეგნებაში, სიკეთე თუ ბოროტება. ეს ბოროტება გამონწვეული იყო იმ ავი ბედისწერით, რომელიც მუდამ თან სდევდა ცხოვრებაში. გიორგი თავისი შეცდომების მსხვერპლია, იგი დედას მტრად გადაეკიდა და სამუდამოდ განუდგა, რითაც საკუთარ თავს ახალგაზრდობაშივე მკაცრი განაჩენი გამოუტანა. ამ შეცდომებმა გააბოროტეს და გახადეს იგი ჯიუტი და უკმეხი. მშვილმკვდარი გიორგისთვის ახალგაზრდობისდროინდელი შეცდომების გახსენება მხოლოდ წარსულის მოგონებას როდი ნიშნავს, იგი ყოველთვის მტკივნეულად აღიქვამდა მის შედეგებს და ცდილობდა გარკვეულიყო მათი წარმოშობის მიზეზებში. გიორგი თავის თავს ზოგჯერ მკაცრად აკრიტიკებდა, ეჭვის თვალთ უყურებდა პირადულ „მე“-ს, ხოლო მეორე მხრივ, თვითგამართლების გზებს ეძებდა და მეორე „მე“-ს ამართლებდა. ჩვენი აზრით, მისი შეცდომა თაობათა შორის დამოკიდებულებაში გამოიკვეთა. გიორგის მიაჩნდა, რომ ახალგაზრდები საჭიროდ არ თვლიდნენ უფროსების გამოცდილების გაზიარებას, რომ: „ძველების სიფრთხილე სიმხდალედ მიაჩნიათ ახლებს. ისინი სხვა თვალთ უყურებენ ცხოვრებას, ისე უყურებენ, როგორც ძველები უყურებდნენ სიჭაბუკეში...“ (შატბერაშვილი, 1972:62). თავის მხრივ, უფროსები

ვერ ვეგუებიან სიახლეს, არ ესმით შვილების და მოთხრობაში ძნელდება გარკვევა, თუ რომელი თაობაა მართალი. გიორგის სურდა ეპოვნა სიმართლე, მაგრამ ვერ მოახერხა, რამაც განაპირობა მისი შეცდომები და ცუდი ურთიერთობა შვილთან, ხოლო სიმართლე სრულიად მარტივი იყო: არავის აქვს უფლება დათრგუნოს სხვისი გრძნობები და მისწრაფებები. გიორგი კობაიძე წარსულის შეცდომებს სიბერეში უფრო მთელი სიმწვავეთ განიცდის, მისთვის შვილის დაღუპვა არ იყო მხოლოდ თავისი სისხლთაგანის დაკარგვა, გიორგისთვის თენგო არსებობის გაგრძელებაა, მომავლის იმედია. სწორედ შვილის დაღუპვამ აუხილა მას თვალი, დაანახა დაშვებული შეცდომების სიმძიმე და გაორებამდე მიიყვანა. მიუხედავად იმისა, რომ გიორგისთვის გულცივობა ჩვეულებრივ თვისებად იქცა, მასში, მაინც ცოცხლობს თბილი ადამიანური ურთიერთობის სურვილი, მას ფარულად უყვარს ახლობლები, თანასოფლელები და გულის სიღრმეში მალავს ამ გრძნობას.

თენგო კობაიძეს, როგორც შვილს, სხვებთან შედარებით უკეთესად ესმოდა მამის, იგი საჯილდაო ლოდთან შერკინების დიდი სურვილით იყო შეპყრობილი. ყოველივე ის, რაც მამაში დაფარულად იყო, შვილში ნათლად გამომჟღავნდა. გიორგი გრძნობს შვილის უპირატესობას, მაგრამ არ იმჩნევს. იგი გვიან მიხვდა, რომ საფრთხილოა ახალგაზრდა კაცში ოცნების გაღვიძება, რომ შვილი არ უნდა წაეჭებებინა – გასჯიბრებოდა ხიზამბარელს და მძიმე ლოდი აენია. მწერალ ოტია პაჭკორიას აზრით, თავის მხრივ, „თენგოს შინაგანი ბუნება შემზადებული იყო დიდ საქმეთათვის, იგი ისწრაფვოდა, ეზიდა ისეთი რაღაც, რაც მის ძალას აღემატებოდა“ (პაჭკორია, 1969:60).

მართალია, გიორგი კობაიძემ კარგად იცოდა სიკვდილ-სიცოცხლის, წუთისოფლის არსი, მაგრამ მას სხვანაირად უყურებდა და მხოლოდ მისდამი ჯიბრში ხედავდა გამოსავალს. მამის საწინააღმდეგოდ, თენგოს განსხვავებული მსოფლმხედველობა ჰქონდა: იგი თავისებურად აფასებდა წარსულს, უარყოფდა ყველაფერს მოძველებულს და ოცნებაში მომავალ, განახლებულ ცხოვრებას შესტრფოდა.

თენგოს, მამაშვილური ურთიერთობა უფრო სიყვარულით საესე წარმოედგინა, ვიდრე გიორგის და გაოცებული ამბობდა: „განა შეიძლება, მამას შვილი არ უყვარდეს, ან შვილს მამა?! არ ვიცი, არ ვიცი... ხანდახან მეც მიფიქრია ამაზე” (შატბერაშვილი, 1972:61). მას მამასთან თბილი ურთიერთობა მხოლოდ ბავშვობის წლებიდან ახსოვდა, რომელსაც შემდეგ სევდიანად იგონებდა: „ხელში ბავშვივით ამიყვანა და იცი რა ვიგრძენი? კი არ ჭიდაობდა ჩემთან, მეაღერსებოდა, ჩემად ფარულად... არ უნდოდა მივმხვდარიყავი, თუ ჩემი სიყვარულის ჟინს უთქმელად იკლავდა” (შატბერაშვილი, 1972:62). ეს ყველაფერი მხოლოდ წარსულში დარჩა, ახლა კი მამა-შვილის ურთიერთობა დრამატულად მიმდინარეობს. ისინი ვეღარ შეეთვისნენ ერთმანეთს სხვადასხვა თვალსაზრისის გამო და საპირისპირო მხარეს აღმოჩნდნენ. გიორგისა და მისი ვაჟის თენგოს დაპირისპირების ფონზე, ნათლად იკვეთება გიორგი შატბერაშვილის თვალსაზრისი ამქვეყნიურ ცხოვრებაზე, მამაშვილურ ურთიერთობებსა და ბოლოს, სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულ პრობლემაზე. გარდა გიორგისა და თენგოს მეტოქეობის დახატვისა, მწერალს უკეთესად რომ წარმოეჩინა თავისი დამოკიდებულება წუთისოფელთან, მოთხრობის მეორე ნაწილში („შუადღე”) ერთმანეთს დაუპირისპირა გიორგი კობაიძე თავის ორეულს ავგიორგის: „გიორგიმ თავის ასწია და გაიხედა, მის წინ, მეორე მომცრო ლოდზე თავჩაქინდრული კაცი იჯდა. გიორგის ჰგავდა, ჰგავდა კი არა, პირნავარდნილი გიორგი იყო, მისი ხატი და მსგავსი. ეგ არი უფრო პირქუში და შუბლშეკრული ჩანდა. ჭაღარა წარბქვეშ თვალები ბოროტად უელავდა...”

გიორგის არც შეშინებია, არც გაჰკვირვებია. მაშინვე იცნო, თუმცა პირველად ხედავდა... დიდი ხანია ამ კაცთან შეხვედრას და გულგახსნილ ლაპარაკს ნატრობდა... ის ავგიორგი იყო” (შატბერაშვილი, 1967:416). გიორგისა და ავგიორგის საუბარი დიდხანს გაგრძელდა. ეს იყო ჭიდილი გიორგი კობაიძისა საკუთარ თავთან, სადაც საბოლოოდ გაცხადდა მისი, როგორც სოფლისგან მოძულეებული და განზე გამდგარი, ჯიუტი კაცის წინააღმდეგობებით აღსავსე ფსიქოლოგია. გიორგის

დაპირისპირება ავგიორგისთან დაუზოგავი მხილებაა საკუთარი თავის, საკუთარი ნამოქმედარისა და განვლილი ცხოვრების გზის. უფრო მეტიც, ეს ეპიზოდი თვითმხილებაა გიორგი კობაიძის მხრივ საკუთარი ცოდვების. ამ პერსონაჟის სახე „მკვდრის მზეში“ შთამბეჭდავად არის წარმოდგენილი: „სოფელში არ უყვარდათ ეს უჩაათი კაცი. აუგი სიტყვა და ავი თვალი აქვსო, ამბობდნენ...იმასაც ამბობდნენ, გოროზი გული დედისა გამოჰყვაო. ზურგს უკან მეტსახელად ავგიორგის ეძახდნენ. მის სიტყვას ხვნასა თუ მკაში, ტირილსა თუ ლხინში ბევრჯერ გამოუწვევია შფოთი და მითქმა-მოთქმა“ (შატბერაშვილი, 1967:402).

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მოთხრობაში თენგივ კობაიძის თავგადასავალი დრამატულადაა ასახული, ასევეა მამამისისა და ხიზამბარელის ამბებიც. თხზულების ასეთ დრამატულ ხასიათს თავის მხრივ, განსაზღვრავს მისი სიუჟეტური აღნაგობა, კერძოდ, მომხდარი, დამთავრებული ამბიდან უკან დაბრუნება და სასაფლაოდან წუთისოფლის დანახვა. „მკვდრის მზეში“ დრამატიზმი ასევე განპირობებულია ცალკერძ – შინაარსით და ცალკერძ - გიორგი შატბერაშვილის დამოკიდებულებით ცხოვრებისეულ სინამდვილესთან, სიცოცხლისა და სიკვდილის გააზრებასთან. საგულისხმოა, რომ თხზულებაში სიცოცხლე სიკვდილიდანაა დანახული და არა პირიქით. სიცოცხლე და სიკვდილი ცხოვრებაში ყოველთვის ერთად, განუყრელად არიან. მათი დაპირისპირება თავად ადამიანებში მიმდინარეობს, სადაც გამორჩეულები იმარჯვებენ, სჩადიან საგმირო საქმეებს, რათა სამუდამოდ უკვდავყონ თავიანთი სახელი. „მკვდრის მზეში“ სიკვდილ-სიცოცხლის სიახლოვე, მათი განუყრელი თანაარსებობა მწერლის მიერ შემდეგნაირადაა დანახული: „ეზოებსა და სასაფლაოს შორის საზღვარი წაშლილიყო. სოფელი იზრდებოდა და სასაფლაოსკენ მიიწევდა. სასაფლაოც თანდათან იზრდებოდა და სოფლისკენ მიიწევდა. ახალი საფლავის ქვები უკვე ფერდობს აქეთ გაშენებულ ვენახებსა და ხილნარებშიც ჩნდებოდნენ. ამას მხოლოდ მოხუცები ამჩნევდნენ. ბავშვებისათვის ეს შეუმჩნეველი იყო, მათ სოფელი ამგვარად დაარსებული დახვდათ. არ აწუხებდათ

სიცოცხლისა და სიკვდილის საოცარი სიახლოვე” (შატბერაშვილი, 1960:26). ეს არის ცხოვრებისეული სინამდვილე, რომელსაც სევდიანი განწყობა ახლავს და რომელიც დამახასიათებელია „მკვდრის მზის” შინაარსისთვის. აღსანიშნავია, რომ გიორგი შატბერაშვილი არ ცდილობს ამ სინამდვილის შელამაზებას, რაც უფრო რეალისტი შემოქმედის სახელს უმკვიდრებს. მწერალმა თბულების დასასრულს, მზის მკრთალი სხივებით განათებულ სასაფლაოზე თენგოს სამარესთან განზრახ მიიყვანა ნინო, თენგო კობაიძის საცოლვე და ახლა უკვე მისი შვილის დედა, რითაც მიგვანიშნა სიცოცხლის მარადიულობაზე. ქალმა დიდიხანს ატარა საიდუმლო და ვერ გაუხედა გაემხილა სამამამთილოსთვის, რომ მისი შვილი, თენგოს შვილიც იყო. გიორგი კობაიძემ არ იცოდა, რომ ერთადერთი ვაჟის სიკვდილის შემდეგ ამქვეყნად კიდევ დარჩა გვარის გამგრძელებელი, არ იცოდა, თუმცა ქვეცნობიერად გრძნობდა მის არსებობას.

საინტერესოა „მკვდრის მზის” კომპოზიციური მთლიანობა. იგი სამი ნაწილისგან შედგება: „დილა”, „შუადღე” და „სალამო”. თბულების შემადგენელი ნაწილების ასეთი დასათაურება სიმბოლური აზრის გამომხატველია. ჩვენი აზრით, აქ ადამიანის მთელი სიცოცხლეა ჩატეული: „დილა – დაბადებაა, „შუადღე” – ცხოვრება, ხოლო „სალამო” – სიკვდილი. მათ კვალობაზე ნაწარმოებში მხატვრული ფერებითაა აღწერილი პეიზაჟები, გაზაფხულის სურათები, მზის მკრთალი სხივებით განათებული სოფელ შუბათის მიდამოები. „მკვდრის მზეში” პეიზაჟები მხატვრული ოსტატობითაა ასახული, სადაც ნათლად ჩანს გიორგი შატბერაშვილის შემოქმედებითი ნიჭი. მოთხრობაში ვკითხულობთ: „ჩანურული მზის სიყვითლეში გახვეულიყო შავრცხილის, თეთრ რცხილის და თრიმლის ბუჩქნარით დაფარული ფერდობი. ამ მოყვითალო სიმწვანეში ყაყაჩოსავით მოჩანდა თენგოს მაისური... იდგა დაისლამე. სოფელში დამკვიდრებული ბინდიც თანდათან ზევით იწევდა ფერდობის კალთებიდან, თითქოს ცდილობდა მოძრავ ყაყაჩოსფერ ლაქას წამოსწეოდა და შელამების მწუხრში გაეხვია” (შატბერაშვილი, 1967:69). მეტაფორული სახეები „მოყვითალო სიმწვანე” ან

„ჩადირული მზის სიყვითლე“, თხზულების განწყობის აღსაქმელი ძირითადი ფერებია, რომელთა ფონზე თენგოს წითელი მაისური ანუ „ყაყაჩოსფერი ლაქა“ სიცოცხლის ფერად უნდა გავიაზროთ.

თხზულებაში დაისლამე, მწუხრი, შემოღამება ავტორის მიერ გააზრებულია როგორც შავი ფერი, ეს უკანასკნელი კი სიკვდილის ფერია. ამ ფერთა გამაში ნათლად იკვეთება სიცოცხლისა და სიკვდილის გამუდმებული დაპირისპირება. „მკვდრის მზეში“ სიცოცხლის მარადიულობის კიდევ ერთი დასტურია იმავე ეპიზოდში თეთრკაბიანი ნინოს გამოჩენა. აქ თეთრი ფერი მსგავსად წითელი ფერისა, სიცოცხლის სიმბოლური გამომხატველია: „აი, ახლა თეთრკაბიანი შეუდგა აღმართს, ისიც სწრაფად გარბოდა, ისიც აჩქარებით უვლიდა გვერდს ერთმანეთში გადახლართულ, შედედებულ ბუჩქნარს...შელამების ბინდში გვირილასავით იელვებდა და მიქროდა ზევით, სულ ზევით...“ (შატბერაშვილი, 1972:50).

„მკვდრის მზეში“ გარკვეული ადგილი დათმობილი აქვს სიყვარულის გრძნობას, თუმცა თხზულებაში ძირითადი თემა არაა, მაგრამ ერთგვარ ლამაზ ფონს ქმნის ნაწარმოების საერთო ხასიათისთვის. იგი წარმოდგენილია თენგოს და ნინოს სიყვარულით და დრამატულად მიმდინარეობს. გიორგი შატბერაშვილს სიყვარული მოთხრობაში იმდენად აქვს შემოტანილი, რამდენადაც ამას გარემოება მოითხოვს. ეს ნიშნავს, რომ ნინოს და თენგოს ურთიერთობა საჭიროა გიორგი კობაიძის შთამომავლობის გასაგრძელებლად, რაც სიცოცხლის მარადიულობაზე მიუთითებს. გიორგის, რომელსაც კარავდ ესმოდა სიკვდილ-სიცოცხლის ავ-კარგი, თითქოს, წინასწარ გრძნობდა თავისი შვილის მოსალოდნელ ტრაგედიას. ძნელია ვირწმუნოთ რამდენად ჭეშმარიტია გიორგის ავი წინათგრძნობა, მაგრამ მისთვის ვინც ერთხელ უკვე „საიქიოში ნაყოფი“ (შატბერაშვილი, 1972:15) იყო, ეს წინათგრძნობა თითქოს ჩვეულებრივი უნდა ყოფილიყო. ავი წინასწარგანცდის შემოტანით გიორგი შატბერაშვილი „მკვდრის მზეში“ კიდევ ერთხელ აძლიერებს ფსიქოლოგიურ მომენტებს და დრამატულს ხდის მოთხრობის ფაბულას. გარდა ამისა, თხზულების

დრამატიზმს აღრმავებს გიორგის სიზმარი და საყდრის ეზოში მომხდარი ამბავი, როცა გიორგიმ საფალავნო ქვას თენგოს სავარჯიშო ჰანტელები შეანარცხა: „რკინის ზრიალმა თენგო შეაკრთო, ლოდისკენ მიახედა...სიჩუმე ჩამოვარდა, გრძელი და ნელი სიჩუმე. ეს უცნაური ღუმილი თითქოს იმ მძიმე ლოდივით დააწვა ყველას. თენგომ მამას თვალი გაუშტერა...სიჩუმეში ბერივით დაყუდებულმა საყდარმაც ყრუდ და უსიამოდ გაიმეორა... (შატბერაშვილი, 1972:70).

გიორგი შატბერაშვილი ხალხური სიბრძნის მცოდნე და დამფასებელია. მან მშვენივრად გამოიყენა ხალხური მოტივები როგორც პოეზიაში, ასევე პროზაში, ამის დასტურია მრავალი ლექსი და თვით „მკვდრის მზე“. შემთხვევითი როდია, რომ თხზულების ძირითადი ამბავი მწერალს ერთმა შუბათელმა ბერიკაცმა უამბო და იქვე განუმარტა მკვდრის მზის შინაარსი. გიორგი შატბერაშვილი მოთხრობის ეპილოგში წერს:

„მოდიოდა ღამე, ძლევის ქედის მწვერვალზე კი ისევ ენთო მკვდრის მზე...

მკვდრის მზე შემოღამების წინ სულ რამდენიმე წამით გააშუქებს ხოლმე მთათა მწვერვალებს და უმაღვე გაქრება.

საოცარია უკვე ჩასული, ქვეყნის კიდეს მიფარებული მზის ეს უკანასკნელი ამოსხივება, სულთმობრძავის აღსარებასავით გაუგებარი და სევდიანი...საოცარია მისი სახელიც – მკვდრის მზე” (შატბერაშვილი, 1960:164). თხზულების მიხედვით, მკვდრის მზე არ არის ჩვეულებრივი კოსმიური მოვლენა და არც ყველა მოკვდავთათვის ანათებს. იგი მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, რათა უკვდავყოს მათი სახელი და მარადიულობას აზიაროს.

მკვდრის მზის სემანტიკური მნიშვნელობა საინტერესოდ აქვს ახსნილი მერი ჭელიძეს წერილში „მკვდრის მზის“ ფილოსოფიური საზრისი“: „ გიორგი შატბერაშვილისთვის მკვდრის მზე გმირული სულის ადამიანის აღსასრულია და არა დასასრული. მზის ჩასვენება ადამიანის არსებობის ის მომენტია, როცა ძალ-ღონე გამოლეულს წინააღმდეგობის ძალა დაუკარგავს. მკვდრის მზეს ფერდაკარგული

შუქი აქვს...ასეთ მზეს თვალს ადვილად ვუსწორებთ, თამამად ვუყურებთ. იგი თვალს აღარა სჭრის. მთავარი ისაა, რომ მკვდრის მზე სიცოცხლის უკვდავების განსახიერებაა. მკვდრის მზე ყველა მოკვდავთათვის როდი ამოდის, ეს დაღლილი მზე იმათთვის აშუქებს, ვინც ღირსეულად კვდება” (ჭელიძე, 1990:128).

გიორგი შატბერაშვილმა „მკვდრის მზეში” სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემის გვერდით წინა პლანზე წამოსწია ადამიანად ყოფიერების არსი, რომელიც ქართული ლიტერატურისთვის მუდამ აქტუალური იყო. ეროვნული მწერლობის თხუთმეტსაუკუნოვან გზაზე მხატვრული სიტყვის ოსტატნი ცდილობდნენ აეხსნათ ადამიანის დანიშნულება, მისი მიზანი. ამ ასპექტით, მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობას შესანიშნავი მემკვიდრეობა ერგო. ნათქვამის საილუსტრაციოდ კმარა ქართველი რომანტიკოსების გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის მხატვრული მემკვიდრეობის გახსენება, ილია ჭავჭავაძის შემოქმედება და ა.შ. ქართველი მწერლები სხვადასხვა კუთხით მიდიოდნენ საერთო დასკვნამდე, რომ:

„სოფელი იმად არა ღირს, კაცი ნატრობდეს უამს გრძელსა,

თუ ფუჭი მისი სიცოცხლე ვერა რას არგებს მამულსა!..”

(ორბელიანი, 1989:192).

ან კიდევ:

„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,

იყოს სოფელში და სფლისთვის არა იზრუნოს!..”

(ბარათაშვილი, 1968:24).

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ქართულმა მწერლობამ ახლებურად სცადა ადამიანის დანიშნულების ახსნა და მხატვრულ ფერებში წარმოჩენა, რომლის ერთ-ერთი საინტერესო მაგალითია გიორგი შატბერაშვილის „მკვდრის მზე”. მწერალმა მოთხრობაში შესანიშნავად გადაჭრა ადამიანისა და ადამიანურობის პრობლემა. მისი აზრით, ადამიანები უნდა იღვწოდნენ არა ხანგრძლივი სიცოცხლისთვის, არამედ მარადიული სახელის დამკვიდრებისთვის, აქტიური პროგრესული იდეების

განხორციელებისთვის, რომელიც სიკეთეს მოუტანს ერსა და ქვეყანას. „მკვდრის მზის“ პერსონაჟები პირად ინტერესებს ივინყებენ და საზოგადოებრივს ემსახურებიან. ცდილობენ დარჩნენ სახელოვან წინამორბედებად მომავალი თაობებისთვის. მთავარი გმირი, გიორგი კობაიძე არ უშინდება სიკვდილს, არ ზოგავს სიცოცხლეს და გაოცებული ამბობს: „რათ უნდა დავზოგო? იმისთვის, რომ ცოცხალი მერქვას და ას წელიწადს უღონოდ მივათრევდე ლეშსა?!“ (მატბერაშვილი, 1972:91).

„მკვდრის მზეში“ ძირითად საკითხთან ერთად, აქტუალურია გიორგი კობაიძისა და მისი ვაჟის, ანუ მშობლისა და შვილის ურთიერთობის საკითხიც, რომელიც აღსავსეა კონფლიქტური სიტუაციებით და ბოლოს, ტრაგიკული დასასრულით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აქ უფრო იკვეთება თაობათა დაპირისპირების მარადიული პრობლემა, ვიდრე მამამშვილური ურთიერთობა. აქ ერთ გარემოებაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება: ქართულ მწერლობაში და ასევე ხელოვნების სხვა დარგებში შექმნილია მრავალი ნაწარმოები, რომლებშიც წინა პლანზეა წამოწეული მშობლებისა და შვილების ურთიერთობების საინტერესო სურათები („ხევისბერი გოჩა“, „ოთარაანთ ქვრივი“, კინოფილმი „უძინართა მზე“ და ა.შ.).

ირკვევა, რომ თვითონ სახელწოდება- მკვდრის მზე მომდინარეობს ძველი ხალხების (ბერძნები, ეგვიპტელები, ქართველები) მითოლოგიური წარმოდგენებიდან. მათი რწმენით, სამყარო ორ საპირისპირო მხარედაა გაყოფილი – ქვესკნელად და ზესკნელად. მართებულად მიუთითებს მწერალი თამაზ ჩხენკელი, როცა წერს, რომ: „მითოსური წარმოდგენების არქაულ წრეში სამყარო ორ ნაწილად იყო გაყოფილი: ზესკნელად და ქვესკნელად. შესაბამისად, ბუნებისა და ადამიანური არსებობის სხვადასხვა მოვლენებიც ორ საპირისპირო სახედ იყო განსახებული: ზაფხულად და ზამთრად, სიცოცხლედ და სიკვდილად“ (ჩხენკელი, 1989:4). სამყაროს ორად დაყოფა ხალხის რწმენით, დაკავშირებულია მზესთან, მის მოძრაობასთან. საინტერესოა, რომ ქვესკნელსა და ზესკნელს შორის მზის ბრუნვასთან დაკავშირებული ძველი ხალხების მითოლოგიური წარმოდგენები თითქმის იდენტურია. მათი საერთო აზრის თანახმად,

მზე ჩაიდიოდა „შავეთში“ ანუ „სულეთში“, რომ შემდეგ უფრო გაძლიერებული და განახლებული ამოსულიყო. საყურადღებო სიზუსტით ემთხვევა ერთმანეთს ქართველების (ფშავ-ხევსურები, სვანები, თუშები) და ძველი ბერძნების (თრაკიელები) მითოლოგიური წარმოდგენები „შავეთში“ ჩასული მზის შესახებ. ქართველთა აზრით, „შავეთი“ – საიქიოა, სადაც ე.წ. „მართალი სულეები“ ნათელში იმყოფებიან, ხოლო ამ ნათელს იქ ჩასული მკვდართა მზე გამოსცემს. ბერძენთა რელიგიური თვალთახედვით, საიქიოში („შავეთში“) არსებობენ „ნეტარი სულეები“, მართალი სულეები, რომლებსაც წითელი მზე, ანუ მკვდართა მზე უნათებს. საგულისხმოა, ისიც, რომ წითელი მზე მკვდრის მზესთან გაიგივებულია ცნობილ, ქართულ ხალხურ ლექსში „ხოგაის მინდი“, რომელშიც ვკითხულობთ:

„ხოგაის მინდი კვდებოდა,
მზე წითლდებოდა, ცხრებოდა,
ცა ჭებდა, მინა გრგვინავდა,
სული გვიანა ჰხდებოდა,
ჩამოდიოდა მასკვლავი,

მთვარეც უკულმა დგებოდა” (სიხარულიძე, 1975:33).

ლექსში დამცხრალი, წითელი მზე, ჩვენი აზრით, მკვდრის მზეს უნდა გულისხმობდეს, რადგან დამცხრალი მზე მკრთალი, მოყვითალო სხივებით ანათებს, რაც სიცოცხლის დასასრულთან ანუ სიკვდილთანაა ასოცირებული. უნდა შევნიშნოთ ერთი საინტერესო გარემოებაც, რომ მზის მოძრაობა ამქვეყნასა და იმქვეყნას შორის მითოლოგიური წარმოდგენების თანახმად, დაკავშირებულია ადამიანის სიცოცხლესთან. კერძოდ, მზის ამოსვლა – ადამიანის დაბადებას გულისხმობს, მისი მოძრაობა – ადამიანის ცხოვრების გზას, ხოლო ჩასვლა – ადამიანის სიკვდილს. ვფიქრობთ, სწორედ ამის გამოა, რომ „მკვდრის მზეს“ გიორგი შატერაშვილმა მეორენაირად „წუთისოფლის დიდი დღის ამბავი“ უწოდა. როგორც ჩანს, მწერალმა „წუთისოფლის დიდ დღეში“ ადამიანის სიცოცხლე გაიაზრა, ხოლო ეს სიცოცხლე

როგორც აღვნიშნეთ, მითოლოგიური წარმოდგენებით, მზის მოძრაობასთანაა დაკავშირებული. ასე, რომ მკვდრის მზე და წუთისოფლის დიდი დღე ერთმანეთისგან მომდინარეობს, ერთმანეთს უკავშირდებიან და ავსებენ. მიგვაჩნია, რომ თვითონ მოთხრობის სათაურიც - „მკვდრის მზე“ სავსებით ამართლებს გ.შატერაშვილის მხატვრულ – იდეურ ჩანაფიქრს და ზედმინვნით შეესაბამება იქ დასმულ პრობლემებს.

მკვდრის მზის მნიშვნელობა, ანუ როგორც სახელწოდების შინაარსი ახსნა ლიტერატურის კრიტიკოსმა თეოდორე შავიშვილმა „ფიგურალური სიტყვა-თქმების კრებულში“. მისი აზრით, მკვდრის მზე ესაა: „ძალაგამოლევული სხივებით რომ აშუქებს მთებს და მიდამოს“ (შავიშვილი, 1975:64).

ქართულ მწერლობაში ტერმინი – მკვდრის მზე, ვიდრე მას გ.შატერაშვილი გამოიყენებდა მოთხრობის სათაურად, რამდენჯერმე გვხვდება. მწერალ ალექსანდრე ქუთათელის რომანში „პირისპირ“ (წიგნი III), ერთ-ერთ თავს „მკვდრის მზე“ ეწოდება. ალ.ქუთათელი წერს: “მზე ჩადიოდა ცეცხლმოკიდებულ ღრუბლებში, საამური დაისი იდგა და ჰაერში ნაადრევი გაზაფხულის სიო იგრძნობოდა, ხოლო მთვარესავით მკრთალი მზის სხივები უცნაურად აშუქებდნენ ხის კენწეროებს. „მკვდრის მზე!-თქვა კორნელიმ“ (ქუთათელი, 1972:8). მკვდრის მზე ასევე ახსნილი აქვს ჭოლა ლომთათიძეს მოთხრობაში „თეთრი ღამე“, რომელშიც ვკითხულობთ: „ჩემი მზე მკვდრის მზეა. იცით თქვენ რას ჰქვია მკვდრის მზე? როცა მზე დინჯად და ლაღად ჩანვება ხოლმე შავ ზღვაში, ააშფოთ-აადუღებს იმის ზვირთებს და ოქროსფრად შეღებილ ნაშხეფებს ზეცას შესტყორცნის, მაშინ მზის ალმაცერი სხივები ეცემიან აჭარა-გურიის მთების მწვერვალებს, ფერმკრთალი და მიბნედილი სხივები. ამ სხივებს ეძახიან გურიაში მკვდრის მზეს. აი, რა არის მკვდრის მზე“ (ლომთათიძე, 1956:375).

მკვდრის მზის რაობის შესახებ ორიგინალურ მოსაზრებას გამოთქვამს მწერალი ოტია პაჭკორიაც: „მკვდრის მზე მაშინ ჩანს მოკვდავისათვის, როცა მზისქვეშეთის

უკანასკნელად ხილვის დიდი უამი დგება, რეალობას სახე ეცვლება, მკვეთრდება, საგნები თითქოს შიგნიდან ნათდება და რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ამ უკიდურესი ემოციური დაძაბვის დროს, ადამიანი ყოველთვის უფრო გონების თვალთ ჭვრეტს” (პაჭკორია, 1986:11).

ცნობილია, რომ ხელოვნების ნებისმიერი ნიმუშის, მათ შორის ლიტერატურული თხზულების შექმნას აუცილებლად ეპოქისეული მოთხოვნები და საზოგადოების ესთეტიკური გემოვნება განაპირობებს. ასე იყო გასული საუკუნის 60-იანი წლების ქართულ მწერლობაშიც, როცა ეროვნული ლიტერატურა განსაკუთრებით დაინტერესდა ეთიკური პრობლემებით და მორალურ-ზნეობრივი ასპექტებით. ამ კუთხით, მაშინ არაერთი ნაწარმოები დაინერა და გამოქვეყნდა, რომელთაგან საგანგებო ყურადღება სწორედ, გიორგი შატბერაშვილის „მკვდრის მზემ“ მიიპყრო. თხზულებაში აღძრული პრობლემატიკით, მოგვიანებით, 70-იანი წლების ქართული სალიტერატურო კრიტიკაც დაინტერესდა. მაგალითად, გურამ კანკავა წერილში „ეთიკური პრობლემატიკა უკანასკნელი წლების ქართულ პროზაში“ (1972წ.), საინტერესოდ მსჯელობს „მკვდრის მზის“ ეთიკური პრინციპების შესახებ და წერს: „გიორგი შატბერაშვილის „მკვდრის მზემი“ ავტორი აშკარად ეთიკური კატეგორიებით ეწევა ოპერირებას. ამბავი ზნეობრივი მაქსიმებისგანაა შემდგარი. თვითონ ნაწარმოების სათაურიც ერთ-ერთი ზნეობრივი ხასიათის არაკს შეიცავს. მკვდრის მზე ფოლკლორული მეტაფორაა და ავტორს ამგვარად აქვს გამოყენებული ის თავის მოთხრობაში“ (კანკავა, 1972:41). ასევე საინტერესოა მწერალ ნიკა აგიაშვილის მოსაზრებაც „მკვდრის მზის“ შესახებ: „იმასაც ვფიქრობ და ისიც მჯერა, რომ ამ ოცი-ოცდახუთი წლის მანძილზე ბევრი კარგი მოთხრობა დაინერა, მაგრამ გიორგი შატბერაშვილის „მკვდრის მზისთანა“ მოთხრობა კარგა ხანია არ დაწერილა ქართულ ენაზე. ასეთი გულისამაჩქარებელი ნაწარმოების დაწერა მხოლოდ მას ემარჯვება – ჩვენს გიორგის, ამის დამწერს უნდა ჰქონდეს სულ სხვანაირი სიმღერის

მადლით გაშუქებული გულისთქმა და ოქროს მარჯვენა. მას კი არც ერთი აკლია და არც მეორე” (აგიაშვილი, 1986:321).

„მკვდრის მზე” თავისი შინაარსიდან გამომდინარე, დინამიური ხასიათისაა. მასში აღწერილი მთავარი ამბავი ერთ სიუჟეტურ ხაზზე არაა განლაგებული და ვითარდება როგორც რეალურ სამყაროში, ისე გმირების წარმოსახვაში, რომელთა სულიერი განწყობილებანი განაპირობებენ ამა თუ იმ სურათების ასახვას. საინტერესოა თვითონ გიორგი შატბერაშვილის თხრობის ენაც, იგი ხშირად იყენებს ისეთ გამოთქმებს, რომლებიც იშვიათია ყოველდღიურ სასაუბრო მეტყველებაში. ისინი მწერლის მიერ ზომიერების გრძნობითაა ნახმარი და ბუნებრივად შეკავშირებული ნაწარმოების ტექსტთან. თითქმის, არსად ჩანს ძალდატანებული ხელოვნურობა, რომელსაც ინვესს ავტორის თვითმიზნური დამოკიდებულება სიტყვასთან. აღნიშნულთან დაკავშირებით კვლავ მოვიშველიებთ მწერალ ოტია ჰაჭკორიას თვალსაზრისს, რომ: “გიორგი შატბერაშვილის მოთხრობის ენა უაღრესად დახვეწილია, მრავალფეროვანი და მდიდარი. იგი დანერვილია დარბაისლური ქართულით და ნათელი ილუსტრაციაა იმისა, თუ რა ბუნებრივად იგუებს ქართული ენა თანამედროვე პროზისათვის დამახასიათებელ ზოგიერთ სპეციფიკურ თავისებურებათ, თუნდაც რიტმის, ლაკონურობისა და დიალოგთა აგების თვალსაზრისით” (ჰაჭკორია, 1969:63).



გიორგი შატბერაშვილის მხატვრული პროზის ანალიზის შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ: გიორგი შატბერაშვილმა ქართული მწერლობის ტრადიციებზე

დაყრდნობითა და თანამედროვე მწერლობის მიღწევების გათვალისწინებით, ახალი მხატვრული სახეებით გაამდიდრა ეროვნული ლიტერატურა. გიორგი შატბერაშვილის პროზა ძირითადად ემყარება მცირე ფორმის მოთხრობის შექმნის ტრადიციას, ამიტომ წარმოგვიდგება იგი პატარა მოთხრობების თხზვის საუკეთესო ოსტატად. მწერლის პროზაული ნაწარმოებები არაერთხელ გამხდარა კრიტიკოსთა და სპეციალისტთა მსჯელობის საგანი, რომელიც უთუოდ ანგარიშგასაწევია და, რომელიც გარკვეულწილად დაგვეხმარა კვლევის პროცესში.

გიორგი შატბერაშვილის მოთხრობების უმრავლესობა დინამიურია, განსაკუთრებით „მკვდრის მზე“, ხოლო მხატვრული სახეები სინამდვილით ნასაზრდოები. გიორგი შატბერაშვილი არასოდეს ღალატობს რეალიზმის პრინციპებს, რაც ჭეშმარიტი პროზაიკოსის სახელს უმკვიდრებს. მისი მოთხრობების თემა ცხოვრებისეულია, თანამედროვე. მწერალს სწამს სინამდვილის შთამაგონებელი ძალის, რომელსაც აქვს უნარი ჩვეულებრივ მოვლენებში დაინახოს სილამაზე და ღრმად განიცადოს იგი. აქ ხაზი უნდა გაესვას ერთ გარემოებას, გიორგი შატბერაშვილის მხატვრული სტილის ერთ თავისებურებას, როცა მწერალს სურს აღწეროს პერსონაჟთა ხასიათები, მათი სულიერი სამყარო, მაშინ მოვლენების განვითარების ექსპრესიულობა შენელებულია. ამ დროს მთელი ყურადღება გადატანილია ადამიანის ინდივიდუალური ხასიათის გახსნისკენ. მას ემსახურება ფაბულის თხრობა, სიუჟეტის განვითარება. ხდება პირიქითაც, როცა გიორგი შატბერაშვილს სურს ყურადღება შეაჩეროს რომელიმე მთავარ მოვლენაზე, ასეთ შემთხვევაში წინა პლანზე გადმოინაცვლებს ამბის თხრობა, მოვლენათა სწრაფი განვითარება. ამ დროს პერსონაჟთა ხასიათები ხსნიან მოვლენების არსს, ხოლო მოვლენების უკან ნათლად იკვეთება ადამიანთა ცხოვრების სურათები.

გიორგი შატბერაშვილი თავის მოთხრობებში გვიხატავს წუთისოფლის შუქჩრდილებს, ამიტომ ყოფითი წინააღმდეგობების ფონზე ავითარებს სოციალურ-ფსიქოლოგიურ საწყისებს, ადამიანთა ურთიერთობების მეშვეობით ახდენს ზნეობრივ

ფასეულობათა ანალიზს. გიორგი შატბერაშვილის თხზულებების გმირთა მოქმედების არეალი უმთავრესად ქართული სოფელია. ეს გმირები მონყვეტილნი არიან დიდ საქვეყნო საქმეებსა და სოფლური იდილიის სიმშვიდეში იღვნიან, მაგრამ შეხამებულნი არიან თავიანთი ცხოვრების ცივილიზაციასთან, სარგებლობენ მისი სიკეთით. გიორგი შატბერაშვილისთვის თვითმიზანი როდია თანამედროვე ადამიანის ყოფითი პრობლემების კვლევა. მის მოთხრობებში არ გვხვდება რაღაც განსაკუთრებული თვისებებით აღბეჭდილი გმირები, მწერალს უფრო უბრალო ადამიანები აინტერესებს, მათი სულიერი სამყარო ხიბლავს და იზიდავს. ცალკეულ თხზულებებში პერსონაჟების განსხვავებული ხასიათები სხვადასხვა ასპექტითაა წარმოჩენილი, მრავალნაირ ეპიზოდებში ნაჩვენები და საერთო ნიშნებით გამთლიანებული. გიორგი შატბერაშვილის მხატვრული პერსონაჟები თითქოს მისი სულიერი ნაწილებია. მათთან ახლოს მყოფი მწერალი მოგვითხრობს იმას, რასაც ხედავს, გრძნობს და განიცდის, ხოლო ეს მწერლის პროზას მეტ შთამბეჭდაობას ანიჭებს.

ამდენად, ასეთი ხერხებით ქმნიდა გიორგი შატბერაშვილი თავის მხატვრულ პროზას, რომელიც უაღრესად თვითმყოფადი და ღრმაშინაარსიანია. მწერლის პროზაში იკვეთება სრულიად განსხვავებული სტილის, საკუთარი ხელწერის, ორიგინალური ხმის მქონე შემოქმედის სახე, ინდივიდუალური ხედვის მწერალი.

თავი IV

გიორგი შატბერაშვილი – დრამატურგი

გიორგი შატბერაშვილი მრავალმხრივი შემოქმედია. იგი იყო არა მარტო პოეტი, პროზაიკოსი, არამედ დრამატურგიული ნაწარმოებების ავტორიც. იმდენად ღირებულია გიორგი შატბერაშვილის ღვანლი ქართული თეატრის წინაშე, რომ საჭიროდ მიგვაჩნია ყურადღება გავამახვილოთ მის პიესებზე, რომლებმაც გარკვეული როლი ითამაშეს ქართული დრამატურგიის განვითარებაში. მწერალმა შემოქმედებითი მოღვაწეობა, ძირითადად, ლექსების წერით დაიწყო, მაგრამ ახალგაზრდობაშივე სცადა კალამი დრამატურგიაშიც. პირველი პიესა „დუშმანი“ 1932 წელს დაწერა, 22 წლის ასაკში. მასში ასახული იყო მეოცე საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისის ქართულ სოფელში მიმდინარე სოციალურ გარდაქმნათა რთული კოლიზიები. პიესა რუსთაველის თეატრის სცენაზე დადგა სანდრო ახმეტელმა 1933 წლის 31 დეკემბერს, შალვა აღსაბაძის ხელმძღვანელობით. საზოგადოებამ სპექტაკლი მოიწონა, თუმცა პარტიულ კრიტიკოსთა უკმაყოფილება გამოიწვია, როგორც ანტისაბჭოთა ნაწარმოებმა. დაიწერა და გამოქვეყნდა არაკომპეტენტური, პიესისა და მისი ავტორის განზრახ დამამცირებელი რეცენზიები. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი ვაირეცენზენტი იყო სუკ-ის თანამშრომელი, ვინმე ივანე კიკნაძე, რომელიც ძალიან მალე დანიშნეს გიორგი შატბერაშვილის, როგორც ანტისაბჭოთა მწერლის საქმის გამომძიებლად. სწორედ, „დუშმანი“ გახდა ერთ-ერთი მიზეზი მისი ავტორის დაპატიმრებისა 1935 წელს. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, გიორგი შატბერაშვილი ქართულ დრამატურგიაში შედარებით გვიან გამოჩნდა, 40-იანი წლებიდან. ეს ის დროა, როცა ქართულ მწერლობასა და დრამატურგიაში აქტიურად წარიმართა სინამდვილის მხატვრულად ასახვის ახალი ფორმების ძიების პროცესი, პროცესი რომელსაც ობიექტურად უნდა წარმოეჩინა ცხოვრებისეული რეალობა. ამ გამონვევას თავიანთი შემოქმედებით მხარი აუბეს ქართველმა დრამატურგებმა-პოლიკარპე კაკაბაძემ, ვიქტორ გაბესკირიამ, გიორგი შატბერაშვილმა და სხვებმა.

ჭეშმარიტი დრამატურგიული ნაწარმოები, რომ ისეთივე კარგი წასაკითხია, როგორც კარგი ლექსი ან მოთხრობა, ამაში გვარწმუნებს გიორგი შატბერაშვილის პიესები,

რომლებმაც ჩქარა დაიმკვიდრეს ადგილი ქართული თეატრის სცენაზე. მწერლის დრამატურგიული თხზულებები „ფიქრის გორა“ (1945წ.) და „რკინის პერანგი“ (1947წ.), მეორე მსოფლიო ომის თემაზეა შექმნილი, „ძველი სახლი“ (1948წ.) ქართული სოფლის განახლებულ ცხოვრებას ასახავს, ხოლო „უცნობი ქალი“ (1945წ.) – ქართველი ინტელიგენციის სულიერ მხარეს. გიორგი შატბერაშვილის პიესები ყურადღებას იპყრობენ მოქმედ გმირთა გამოკვეთილი ხასიათებით, დახვეწილი დიალოგებით, რაც აუცილებელია სასცენო ნაწარმოებებისთვის. პიესებში ნათლად იკვეთება ავტორისთვის ნიშანდობილივი ლირიზმი, რომელიც მისი პოეზიიდან მომდინარეობს. ეს იმით აიხსნება, რომ გიორგი შატბერაშვილის შემოქმედებაში თითქმის ყოველთვის თანაარსებობს პოეზია და დრამატურგია, მათ შორის არსებობს თემატური კავშირიც (ქართული სოფლის სურათები, ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსული, 1941-45 წლების ომის თემა და ა.შ.). მწერალი ესწრაფვის, რომ ზედმინწევით მხატვრულად ასახოს თავისი ნაფიქრი როგორც პოეზიაში, პროზაში, ასევე დრამატურგიაში. შეიძლება ითქვას, იგი დრამატურგიულ თხზულებებში აგრძელებს იმის თქმას, რასაც პოეზიაში ან პროზაში ამბობდა. გიორგი შატბერაშვილის დრამატურგია გამოირჩევა თემის ორიგინალობითა და საკუთარი ხელწერით. მწერალი ყველა პიესაში თანამედროვეობის რომელიმე პრობლემას ეხება და აქედან გამომდინარე, ხატავს პერსონაჟების ხასიათებს. მის პიესებში „ფიქრის გორა“, „რკინის პერანგი“, „ძველი სახლი“ და „უცნობი ქალი“, ცხოვრობენ და მოქმედებენ საზოგადოების წინაშე მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობით გამსჭვალული ადამიანები, რომლებიც იბრძვიან ცხოვრების ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ. ასეთი გმირები არიან – შოთა, თამარი, არჩილი („ფიქრის გორა“), ბექა, შალვა, კახა („რკინის პერანგი“), დათა ხიზამბარელი, ნატო, ბიძინა („ძველი სახლი“), ნინო მინდიაშვილი, ქეთევან შარაშიძე, არჩილ მეტრეველი („უცნობი ქალი“). მწერალმა პიესებში ზედმინწევით გამოძერწა ეროვნული ხასიათები, ისინი ჩვენი ხალხის წიაღიდან მომდინარეობენ. გიორგი შატბერაშვილმა ცოცხლად

წარმოაჩინა თუ როგორი შეუპოვარია ბრძოლაში ქართველი ვაჟკაცი, როგორი სუფთაა მისი მორალი. ასეთი პერსონაჟია შოთა („ფიქრის გორა“), პროფესიით მხატვარი, რომელმაც ომში მარჯვენა ხელი დაკარგა, თუმცა სულიერად არ დაცემულა. მწერალი ასევე რეალისტური ფერებით ხატავს ქართველი ქალის სახეს, ხატავს თუ როგორი სიყვარული შეუძლია, რაოდენი სულიერი სილამაზეა მის არსებაში ჩაქსოვილი. ასეთი გმირია თამარი, ელიზბარის ქალიშვილი იმავე პიესიდან „ფიქრის გორა“, იგი რეალური განსახიერებაა ჭეშმარიტი მანდილოსნისა. საერთოდ, „ფიქრის გორა“ საინტერესო ხერხებითა და მეტყველი გამომსახველობითი საშუალებებით შესრულებული ნაწარმოებია. იგი ქართველმა მაყურებელმა პირველად 1945 წელს იხილა მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე და შემდეგ, ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა დიდი სცენა მოიარა. ამ პიესას მოჰყვა „რკინის პერანგი“ და „ძველი სახლი“, მათი დადგმაც იმავე მარჯანიშვილის თეატრში განხორციელდა 1947-48 წლებში.

„ფიქრის გორა“ ოთხმოქმედებიანი დრამაა. სიუჟეტი ვითარდება 1944-45 წლების თბილისში. შეყვარებული ქალ-ვაჟი, თამარი და შოთა ომის დაწყებამ დააშორა ერთმანეთს. ძნელი იყო ახალგაზრდა ქალისთვის ფიქრით აღსავსე ლოდინი. მიუხედავად იმისა, რომ თამარის წინაშე აღმართული იყო „მაღალი გორა განსაცდელისა და ფიქრისა“ (შატბერაშვილი, 1974:16), ბოლომდე ერთგული დარჩა ფრონტზე წასული ჯარისკაცის. უფრო მეტიც, იგი მამის ნებართვით გადავიდა საქმროს ოჯახში იმ იმედით, რომ შოთა უეჭველად დაბრუნდებოდა. სამხედრო ჰოსპიტალიდან გამოგზავნილ ბარათს მალე, თვითონ შოთაც მოჰყვა, მაგრამ დაჭრილი, ჭაღარაშერეული და მარჯვენამოკვეთილი. „ფიქრის გორაში“ ასახულია ომისგან გამოწვეული ტკივილები. შორეული ფრონტის ექო თბილისამდეც აღწევს, მაგრამ ადამიანები სულიერად არ ეცემიან, ფიქრობენ, შრომობენ და სჯერათ ნათელი მომავლის, რომლის მთავარი წარმმართველი ძალა იმავე პიესის მიხედვით, ამაღლებული სიყვარულია. პიესის შინაარსი მარტივია, 40-იანი წლების ქართული

მწერლობისთვის არცთუ უჩვეულო, მაგრამ საყურადღებოა გიორგი შატბერაშვილის ემოციური განწყობა და ცხოვრების სინამდვილის ობიექტურად გარდასახვის ორიგინალური ხერხი.

მეორე მსოფლიო ომის დროს კავკასიის მისადგომებთან ქართველმა ხალხმა ჭეშმარიტად დიდი გმირობა გამოიჩინა და თავისი წვლილი შეიტანა მტრის დამარცხების საქმეში. ეს ღირსეულად უკვდავყო გიორგი შატბერაშვილმა ხუმროქმედებიან დრამაში „რკინის პერანგი“ (1947წ.). პიესაში საინტერესო ამბავია ასახული, აქ მთელი სიცხადით მულავდება ადამიანების სულიერი სიმტკიცე, სამშობლოს სიყვარული. გიორგი შატბერაშვილი უბრალო პორტრეტული შტრიხებით აცოცხლებს მოხუცი მენისქვილის მამალხინეს სახეს, ასევე მოხუც ბექას, ისინი მტერს არ უშინდებიან და ახალგაზრდების მხარდამხარ მამაცურად იბრძვიან. ხასიათისა და ნებისყოფის სიმტკიცით გამოირჩევიან ბექას ვაჟი, გოდერძი და მისი მეგობარი, ობოლი კახა. მათ ახალგაზრდული მისწრაფებები აქვთ, თავიანთი მიზნები, თუმცა ომმა დროებით ხელი ააღებინა ჩანაფიქრზე. კახა მგრძნობიარე პიროვნებაა, მეოცნებე. მას გატაცებით უყვარს გოდერძის და-ლელა, მზადაა მისთვის სიცოცხლეც განიროს. ომის საშინელების ფონზე ლელას და კახას სიყვარული ავტორს საშუალებას აძლევს გვიჩვენოს, რომ ადამიანები დიდი გაჭირვების დროსაც ინარჩუნებენ სულიერ სილამაზეს და რაც მთავარია, ამაღლებულ ადამიანურ გრძნობებს.

1945-50 წლებში ქართული დრამატურგიისთვის მთავარ თემად იქცა ომის მძიმე დღეებში ქართველი ხალხის მიერ გამოვლენილი ჰეროიკულობის ასახვა. თბილისის თეატრის სცენებზე გამოჩნდა ომის ამსახველი სპექტაკლები – ილო მოსაშვილის „სადგურის უფროსი“ (1947წ.), „ჩაძირული ქუჩები“ (1949წ.); ლევან გოთუას „უძლეველნი“ (1943წ.), „სახეობა რაინდისა“ (1946წ.); გიორგი შატბერაშვილის „ფიქრის გორა“ (1945წ.), „რკინის პერანგი“ (1947წ.) და სხვ. მიუხედავად ამისა, ქართულ თეატრს არ შეეძლო არსებობა მართოდენ ომის თემით, ვინაიდან, მშვიდობიან

ცხოვრებას თავისი კანონები აქვს, ასახვის სხვა ხერხები ესაჭიროება. ამგვარია ეპოქის მოთხოვნა და დრამატურგიასაც შესაბამისად უნდა ეპასუხა მისთვის. მეოცე საუკუნის 50-იანი წლების ქართულ მწერლობას დრამატურგიასთან ერთად, არ ჰქონდა უფლება განზე მდგარიყო, ზურგი შეეცვია თანამედროვეობისთვის, მწერლობის უპირველესი დანიშნულება ხომ თავისი ეპოქის ობიექტური ასახვაა. ქართული დრამატურგია შეეცადა სცენურ სახეებში წარმოეჩინა ომის შემდეგი პერიოდის, კერძოდ, 50-იანი წლების საზოგადოებრივი ურთიერთობები. თეატრი ცდილობდა კვალში მიჰყოლოდა ცხოვრებას, არ ჩამორჩენოდა ეპოქას. დრამატურგიისთვის აუცილებელი გახდა ახალი ლიტერატურული მასალა, სადაც მშვიდობიანი ცხოვრება იქნებოდა ასახული.

როგორც აღვნიშნეთ, მეოცე საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისის ქართული თეატრი შეეცადა აესახა თავისი ეპოქის მაჯისცემა, ეპასუხა იმ კითხვებისთვის, რომელიც საზოგადოებას აინტერესებდა. სწორედ, მაშინ დაიწერა და დაიდგა მარიკა ბარათაშვილის „მარინე“ (1950 წ.), გიორგი შატბერაშვილის „ძველი სახლი“ და „უცნობი ქალი“ (1954წ.). საგულისხმოა, რომ მარიკა ბარათაშვილის „მარინე“ სცენაზე დადგა გიორგი შატბერაშვილის ძმამ, მარჯანიშვილის თეატრის რეჟისორმა, ლევან შატბერაშვილმა, ხოლო მხატვრულად გააფორმა ელენე ახვლედიანმა.

1948 წელსაა დაწერილი გიორგი შატბერაშვილის ოთხმოქმედებიანი პიესა „ძველი სახლი“, იგი იმავე წელს დაიდგა მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე. პიესაში მხატვრული თვრებითაა ასახული ამბავი, რომელიც ომის ახლო ხანების, ქართლის ერთ-ერთი სოფლის ცხოვრებაში მოხდა. პიესიდან ვიგებთ, რომ სოფ.ხევისუბანში (სახელწოდება პირობითია; ი.გ.) ჯერ კიდევ არ ჩამცხრალიყო ომის ტკივილიანი დღეების ექო, მოუშუშებელ ჭრილობად დარჩა ფრონტზე დაღუპულთა ლოდინი, ხოლო ვინც დაუბრუნდა მშობლიურ კერას, ზოგი ნაადრევად გაჭაღარავებულიყო და ზოგი ხეიბრად დარჩენილი.

პიესის მთავარი გმირია დათა ხიზამბარელი, სოფლის კოლმეურნეობის მოხუცი მებაღე. მას ცნობა მოუვიდა შვილის ფრონტზე დაღუპვის შესახებ, თუმცა სულიერ წონასწორობას არ კარგავს, იმედით შეჰყურებს მომავალს. ხევისუბნის იმ ნაწილში, რომელსაც სოფლელები წყაროსუბანს ეძახდნენ, შემთხვევით აღმოაჩინეს ნავთის ნაკადული. ეს ამბავი სწრაფად გავრცელდა და მალე სოფელში გეოლოგმა ბიძინამ რამდენიმე ჭაბურღილი აღმართა. პიესაში სწორედ, აქედან იწყება დაპირისპირება საზოგადოებასა და ბიძინას შორის. საქმის აუცილებლობამ მოითხოვა მოსახლეობის ნაწილი და მათ შორის დათას ოჯახი, ძველი სამოსახლოდან გახიზნულიყო. მოხუც მებაღეს ახალი სახლის აშენება ჰქონდა განზრახული, ადგილიც შეერჩია მამა-პაპისეულ კარ-მიდამოზე: „აი, აქვე სადაც ძველი სახლი დგას! განა ამას სხვა ადგილი აჯობებს? წინ ვენახი, იქით ტყიანი...აგერ ჩვენი საგვარეულო კომპის ნანგრევები. ჩვენ ხომ ძველ მეციხოვნეთა ჩამომავლები ვართ. ჩვენს წინაპრებს მესხეთში ციხე ჰქონიათ, დაწყველილ თათრებს არ დაუყენებიათ, აყრილან და აქ გადმოსულან” (შატბერაშვილი, 1963:109). აქ ერთ გარემოებაზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება: მესხეთსა და საერთოდ, მესხეთის თემას გიორგი შატბერაშვილის შემოქმედებაში საპატიო ადგილი უკავია. მწერალი, როგორც მის ბიოგრაფიაში აღვნიშნეთ, წარმოშობით ისტორიული მესხეთიდანაა. მან ამ კუთხეს რამდენიმე ლექსი და მოთხრობა უძღვნა, 1938 წლის ზაფხულში იმოგზაურა კიდეც ფოლკლორული მასალის ჩასაწერად.

სოფ.ხევისუბნელების დაბრუნება მესხეთში უჩვეულო გადანყვეტილება არაა და არც მწერლის ფანტაზიის ნაყოფი. ესაა რეალობა, დაბრუნებაა საკუთარ ფესვებთან, საკუთარ ისტორიულ სინამდვილესთან. აქ ცხადდება, რომ გიორგი შატბერაშვილმა პიესის “ძველი სახლის” მთავარ გმირად საგანგებოდ გამოიყვანა დათა ხიზამბარელი, რათა ხაზი გაესვა თავისი მესხური წარმომავლობისთვის. საყურადღებოა, რომ მწერლის ყველაზე ვრცელ მოთხრობაში „მკვდრის მზეშიც” ვხვდებით მხატვრულ პერსონაჟს- ხიზამბარელს, რომელის სახელი უცნობია.

გიორგი შატბერაშვილის ყველაზე გვიანდელი პიესაა „უცნობი ქალი“ (1954 წ.). იგი თემისა და იდეის მიხედვით სრულიად განსხვავდება წინა წლებში დაწერილი პიესებისგან, ასევე განსხვავებულია სიუჟეტის განვითარებაც. პიესაში საღი, გაბედული აზრი იმარჯვებს დრომოჭმულ შეხედულებებზე. ის, რაც წინა თაობამ ვერ შეძლო, ახალი თაობისთვის უკვე ხელმისაწვდომია.

პროფესორმა ვარლამ ნასიძემ მიუხედავად დიდი მსცდლობისა, ვერ განკურნა და მხედველობა ვერ დაუბრუნა ახალგაზრდა მხატვარს, სულხან სულხანიშვილს. მისი აზრით, ყოველი ცდა ამაო იქნებოდა და წარუმატებელი. ასეთი სკეპტიციზმით როდია გამსჭვალული მისი ყოფილი სტუდენტი, პიესის მთავარი გმირი ნინო მინდიაშვილი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი. მას სჯერა საკუთარი თავისა და მიუხედავად ხელოვნურად შექმნილი ბარიერებისა, პაციენტს წარმატებით ჩაუტარა თვალის ურთულესი ოპერაცია. ნინო მინდიაშვილს სწამს უბრალო ჭეშმარიტება, რომ არც ერთი დიდი საქმე უმსხვერპლოდ არ გაკეთებულა, რომ ცხოვრების ამ გარდაუვალმა კანონმა ადამიანებს რწმენა უნდა განუმტკიცოს და არა შიში. მისი აზრით, „წინ ნუ გადავუდგებით ხვალინდელს, მას ვერაფერი შეაჩერებს... ყოველი თაობა გადახალისებული თვალით უცქერის ქვეყანას. მას არ აშინებს წინა თაობის მიერ გავლილი გზის სიძნელე, სულიერი ტანჯვა. ძიების წყურვილი აადვილებს უკეთესი მომავლისკენ სწრაფვას“ (შატბერაშვილი, 1963:189). ნინოს ჩატარებულმა ოპერაციამ თვალის სნეულებათა კვლევიით ინსტიტუტში, რომლის ხელმძღვანელი მისი მეუღლე, ლევან მინდიაშვილი იყო, აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. საზოგადოება ორ ნაწილად გაიყო, უმეტესობას სჯეროდა ნინო მინდიაშვილის პროფესიონალიზმისა, მაგრამ ნაწილი ფარული შურით აღივსო, თვით ლევან მინდიაშვილიც კი. იგი ძალაუფლების მოყვარეა და განდიდების მანიით შეპყრობილი. საკუთარი კარიერისთვის არ თაკილობს სიცრუეს, ეჭვი ეპარება მეუღლის შესაძლებლობებში და ცდილობს სამსახურიდან დაითხოვოს. ლევანი ანგარიშს არ უწევს თავის მოქმედებას და მხოლოდ პირადი ინტერესებისთვის იბრძვის.

პიესაში ამაღლებული ეპიზოდია უკვე განკურნებული სულხან სულხანიშვილისა და მისი ექიმის, ნინო მინდიაშვილის საუბარი ფერწერულ ტილოსთან, რომელსაც მხატვარმა „უცნობი ქალი“ უწოდა (სწორედ, აქედან მომდინარეობს პიესის სათაური; ი.გ.). გ. შატბერაშვილი ვერ ფარავს ახალგაზრდა მხატვრის სულიერ განწყობას და ნინოს მიმართ დიდი მადლიერების გრძნობით ათქმევინებს: „აი, ისევ თქვენს შორის ვგდავარ. მე ვხატავ სიხარულის ცრემლით და გამარჯვების ღიმილით დამშვენებულ ქართველ ქალს, ხალხისთვის მებრძოლს, ბედის წინაშე შეუპოვარს, იმედიანს. დავხატავ და თქვენს სახელს დავარქმევ, ნინო...“ (შატბერაშვილი, 1963:215).

გიორგი შატბერაშვილი ქართული თეატრის დაუცხრომელი მოამაგე იყო, მისი დრამატული ნაწარმოებები წლების მანძილზე ასაზრდოებდა ქართული თეატრის სცენებს. მწერალს ახლო ურთიერთობა ჰქონდა რეჟისორებთან, მსახიობებთან, თეატრის თაყვანისმცემლებთან. განსაკუთრებით საგულისხმოა, გიორგი შატბერაშვილის ურთიერთობა მარჯანიშვილის თეატრთან და მის დასთან.

მართალია, გიორგი შატბერაშვილმა ქართულ დრამატურგიაში ისეთი წვლილი ვერ შეიტანა როგორც პოეზიასა და პროზაში, მაგრამ ისიც ნათელია, რომ გარკვეული ამაგი დასდო ეროვნული დრამატურგიული ხელოვნების განვითარებას. სწორედ, ეს გახდა მიზეზი დავინტერესებულიყავით გ.შატბერაშვილის იმ ღვაწლის შესწავლით, რომელიც მწერალმა გაიღო ქართული თეატრის წინაშე.

თავი V

გიორგი შატბერაშვილი – ფოლკლორისტი და მკვლევარი

გიორგი შატბერაშვილის შემოქმედების სოლიდური ნაწილია ესეისტური წერილები, ფოლკლორული ჩანაწერები, ფილოლოგიური ხასიათის ნარკვევები და მეცნიერული ღირებულების ლექსიკოლოგიური ნაშრომი „თვალადური ქართულის ჭაშნიკი“. მწერალი თითქმის ყველა უნარში თანაბრი გულმოდგინებით მუშაობდა. ამდენად, მათი შესწავლის გარეშე შეუძლებელია სრულყოფილი წარმოდგენა ვიქონიოთ გიორგი შატბერაშვილის როგორც შემოქმედის, ისე ცხოვრების გზის შესახებ.

მისი ნარკვევები და წერილები ცხადყოფენ, რომ მათი ავტორი მეცნიერული კვლევა-ძიების უნარიტაა დაჯილდოებული. გიორგი შატბერაშვილი, როგორც მკვლევარი, საზოგადოებას აწვდის არა მარტო ძიების შედეგად გამოტანილ დასკვნებს, არამედ მოუთხრობს კვლევის პროცესში დაძლეულ სხვადასხვა პრობლემებზეც. აქედან გამომდინარე, მკითხველი თითქოს, ამ პროცესების უშუალო მონაწილე ხდება და უნებურად მიჰყვება გიორგი შატბერაშვილის ძიების გზას. მწერლის გამოკვლევების, წერილების, ნარკვევების შინაარსი მარავალფეროვანია. მისთვის თანაბრად საინტერესოა ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსული, ქართული

ფოლკლორის საკითხები, ლინგვისტიკის საკითხები, ანთროპონომია, ტოპონიმია, ეტიმოლოგიური ძიებანი. თემატური თვალსაზრისით შესაძლებელია მათი დალაგება, ასევე ქრონოლოგიური კუთხით, თუმცა ზოგიერთი წერილის დაწერის თარიღი უცნობია.

გიორგი შატბერაშვილი ერთი იმ მწერალთაგანია, ვინც შემოქმედებითი ცხოვრების დასაწყისშივე დაინტერესდა ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერებით. მწერალი ფოლკლორის ნიმუშებს არა მარტო მხატვრულ შემოქმედებაში იყენებს, არამედ განსაკუთრებით უღრმავდება ხალხური საუნჯის ზოგიერთ საკითხს და საგულისხმო მოსაზრებებს გამოთქვამს. ამ მხრივ, აღსანიშნავია „გიორგი სააკაძე ხალხის ხსოვნაში“ (1949 წ.), „მესხური სუფრილი“ (1938 წ.), „ბალადა ქართველი მოყმისა და ყიფჩალისა“ (1955 წ.), „კვირია-ცისკარი“ (1956 წ.), „ხარება“ და სხვ. მართლაც, რომ ფასეულია გიორგი შატბერაშვილის დაკვირვება ფოლკლორზე. მან სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის დღიდან დაიწყო ზრუნვა ფოლკლორის მოვლა-პატრონობისთვის. მისი აზრით, ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერება თვით ქართველი ხალხის ისტორიაცაა, ფოლკლორი ადამიანების სულიერ შესაძლებლობათა გამოვლინების უტყუარი საბუთია, ამიტომ ფაქიზად უნდა მოვექცეთ ხალხის ამ უპირველეს სიმდიდრეს. გიორგი შატბერაშვილი, როგორც თავად შენიშნავს, ნამდვილი „მჩხრეკელი“ იყო ხალხური შემოქმედების, იგი რუდუნებით იკვლევდა ყველაფერს, რაც უკავშირდებოდა ფოლკლორს. ამის გამო, მწერალი ბევრს მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, იწერდა ხალხის მესხიერებაში შემორჩენილ ლექსებს, თქმულებებს, ლეგენდებს და ა.შ. აღსანიშნავია, რომ მწერალმა რამდენიმე ფოლკლორული ჩანაწერი საინტერესო კვლევის ობიექტად აქცია და გარკვეულ შედეგსაც მიაღწია.

ხალხური შემოქმედების, ზეპირსიტყვიერების შესწავლა ნათელს ჰფენს ამა თუ იმ ერის ისტორიას, მის წარსულს. გიორგი შატბერაშვილი წერს: „ძველი ხალხური ლექსის მცირე ფრაგმენტიც კი, თუ მას საჭირო ცნობა შემოუნახავს, დაკვირვებული

მკვლევრის ხელში იმ ჩუქურთმად იქცევა ხოლმე, რომელიც ან დანგრეული და შერყვნილი ძეგლის სახის აღდგენას ემსახურება” (შატბერაშვილი, 1975:232). ეს სიტყვები უბრალოდ ნათქვამი როდი იყო, მწერალმა იგი რეალობად აქცია. მან გარკვეული ამაგი დასდო გიორგი სააკაძის პიროვნებასთან დაკავშირებულ, ხალხში გაფანტული გადმოცემების შესწავლას, რომელშიც საინტერესოდ აშუქებენ დიდი მოურავის პიროვნებას და ხალხის დამოკიდებულებას მისდამი. XVIII საუკუნის დასაწყისში საზოგადოებაში გაჩნდა მოსაზრება გიორგი სააკაძის გაორებული პიროვნების შესახებ. საზოგადოების ერთი ნაწილი დიდ მოურავს ეროვნულ გმირად მიიჩნევდა, ხოლო მეორენი მასში ხედავდნენ ქვეყნის გაუბედურების მიზეზს, მოღალატესა და სამშობლოს დამაქცევარს. ამგვარ გაურკვეველ მდგომარეობაში დიდ ინტერესს იწვევდა ხალხის დამოკიდებულება გიორგი სააკაძის მიმართ. ხალხი უეჭველად უნდა გამოხმაურებოდა მის პოლიტიკურ მოღვაწეობას, მაგრამ ზეპირსიტყვიერებაში გიორგი სააკაძის სახელი დიდხანს არ ჩანდა როგორც ფოლკლორული გმირი, იგი გარკვეული დროის მანძილზე ფაქტობრივად, უცნობი იყო. „უნდა ითქვას, რომ – წერს გიორგი შატბერაშვილი, უცნაურ მოვლენას აქვს ადგილი. კაცი, რომელიც თანამედროვეთა ცენტრში იდგა თავისი სამხედრო საქმიანობით და ზოგის აღტაცებას იწვევდა, ზოგის – შურს და სიძულვილს, თითქოს არავითარ გამოხმაურებას არ პოულობს ქართულ ზეპირსიტყვიერებაში. ხალხი კი უნდა გამოხმაურებოდა გიორგი სააკაძის პოლიტიკურ მრწამსს თუ არა, მის სამხედრო წარმატებებს მაინც” (შატბერაშვილი, 1975:7).

გიორგი შატბერაშვილმა საკითხის შესწავლის მიზნით, 1942-45 წლებში შემოიარა გიორგი სააკაძის სახელთან დაკავშირებული ქართლის სოფლები – ნოსტე, ეზატი, ხოვლე, კავთისხევი. მან ქართლის სოფლებში ჩაინერა ლექსები და თქმულებები, რომლებიც საინტერესოდ აშუქებენ გიორგი სააკაძის ბიოგრაფიულ დეტალებს, ნათელ წარმოდგენას ქმნიან მისდამი საზოგადოების დამოკიდებულებაზე. ეს ლექსებია, „გიორგის ლექსი” (მთქმელი კ.ონოფრიშვილი, სოფ.თვალადი, 1942წ.) და

„გიორგის დროზე ნათქვამი” (მთქმელი იგივე). თქმულებებიდან საინტერესოა, „გიორგი სააკაძის მოკვლის ამბავი”, „გიორგი სააკაძის ამბავი”(ორივეს მთქმელი ქიაშვილი, 80 წლის, სოფ.ეზატი, 1943წ.), „გიორგი სააკაძე”(მთქმელი ს.ბერიძე, სოფ.კავთისხევი,1943 წ.), „გიორგი სააკაძის კოშკის საყარაულო სერი” (მთქმელი ზ.კურსაძე, სოფ.ნოსტე, 1945წ.) და „გიორგი სააკაძის ცხოვრება” (მთქმელი გ.ბარნოვი, 87 წლის, სოფ.ახალციხე, 1943წ.).

გიორგი შატბერაშვილის მიერ ჩანწერილი ლექსები და თქმულებები, გიორგი სააკაძის შესახებ, ხალხში გავრცელებული ზეპირსიტყვიერების ნიმუშებია, რომლებიც რამდენადმე ავსებენ ხარვეზს ხალხურ შემოქმედებაში დიდი მოურავის ფენომენის სწორად შეფასებისას. საზოგადოების აზრით, გიორგი სააკაძე ის პიროვნება იყო, ვინც შეუპოვრად ებრძოდა მტერს, განსაკუთრებით სპარსელებს, რათა დანაწევრებული საქართველო გაეერთიანებინა, ამ სანუკვარ მიზანს მან თავისი შვილი პაატა შესწირა.

“...გიორგიმა და პაატამ შექმნეს ლამაზი ფიქრები,
უთხრა პაატამ გიორგის: „შენ წადი მე აქ ვიქნები...”
ი ოსმალეთის მეფემა რა თავი შეირცხვინაო...

მოუჭრა პაატას თავი გამოუგზავნა შინაო” (შატბერაშვილი, 1975:14).

ეს ხალხური ლექსი (მთქმელი კ.ონოფრიშვილი, სოფ.თვალაღი, 1942წ.), რომელსაც „გიორგის ლექსი” ეწოდება, საქართველოს ისტორიული წარსულის ერთ ტრაგიკულ ეპიზოდს ასახავს. ლექსის მთქმელმა არ იცის, რომ პაატას თავი ირანში მოჰკვეთეს და არა ოსმალეთში, მაგრამ ეს არაა არსებითი, მთავარია ის, რომ იგი ეროვნული თვალთახედვით აფასებს მამა-შვილის თავგანწირვას სამშობლოსთვის.

გიორგი შატბერაშვილმა, ივანე ჯავახიშვილის შემდეგ ერთ-ერთმა პირველმა, გამოკვლევაში „კვირია-ცისკარი” (1956წ.) ქართველთა წარმართული პანთეონიდან ხელახლა წარმოაჩინა ღვთაება – კვირია, რომელსაც სამართალი ეკითხებოდა.

კვირია გავლენიანი ღვთაება იყო, მას უმაღლესი ღვთაების კარზე თავისუფალი მოქმედების უფლება ჰქონდა:

„პირველად ღმერთი ვახსენოთ,
ის უფრო დიდებულია,
მერმე ვადილოთ კვირია,
კვირია კარაღვთისია...” (შატბერაშვილი, 1975:233).

წარმართული კვირია ჩანს ძველ სვანურ საგალობელშიც „კვირია ღმერთი”, რომლის მიხედვით, მასზე მლოცველი წარმართები სახით აღმოსავლეთისკენ დგებოდნენ და ისე გალობდნენ. გიორგი შატბერაშვილის აზრით, იმის გამო, რომ მლოცველები აღმოსავლეთისკენ იყვნენ მიქცეულნი, შესაძლებელია კვირია რომელიმე მნათობს წარმოადგენდა. ძველ ქართველებს კვირია მზის სახით ვერ უნდა წარმოედგინათ, რადგან მზე პირველ მნათობად და პირველ ღვთაებად იყო მიჩნეული. კვირია მართალია, ძლიერი ღვთაებაა, მაგრამ პირველი ვერ იქნებოდა, ამიტომ ხალხი მას მზის სახით ვერ წარმოიდგენდა. თავისი მნიშვნელობით მზის მომდევნო მნათობია მთვარე, მაგრამ ვერც მთვარე ჩაითვლება კვირიად, რადგან კვირია ღვთის კარზე ანუ მზის კარზე მოარული ღვთაებაა. ჩვენი აზრით, კვირია შესაძლებელია იყოს – ცისკარი, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს მზის ამოსვლას. ნათქვამმა მეტი დასაბუთება რომ შეიძინოს, მოვიყვანო ხალხურ ლექსს, რომლებსაც „თუშეთის წმინდანები” ეწოდება. ლექსში ვკითხულობთ:

„პირველად ღმერთი ვახსენოთ,
ის უფრო დიდებულია,
მერმე ნასისკარ კვირაე,
ღვთის კარზე მდგომიარეა...” (შატბერაშვილი, 1975:234).

გიორგი შატბერაშვილმა ლექსის სტრუქტურული ანალიზით გაარკვია, რომ მესამე ტაეპი - „მერმე ნასისკარ კვირაე” დამახინჯებულია და ასე უნდა იკითხებოდეს: „მემრინა სისკარ – კვირაე” (შატბერაშვილი, 1964:229), სადაც სიტყვა „სისკარი”

„კვირას“ ეპითეტია და გულისხმობს – ცისკარს. გიორგი შატბერაშვილი ასკვნის: „როგორც ვხედავთ, ამ ძველი ხალხური ლექსით ცისკრისა და კვირიას მნიშვნელობა გაიგივებულია. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქართველ ხალხს ერთ-ერთი თავისი მთავარი წარმართული ღვთაება „კვირია“ ცისკრის სახით ჰყავდა წარმოდგენილი“ (შატბერაშვილი, 1964:229).

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ გიორგი შატბერაშვილი ფოლკლორული მასალის მოსაძიებლად ხშირად მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ამ მიზნით, მან 1938 წელს ივლის-აგვისტოში შემოიარა სამცხე-ჯავახეთი. მწერალმა სოფ. თმოგვში (ასპინძა) ადგილობრივი მესხებისგან ჩაიწერა რამდენიმე საყურადღებო თქმულება. 82 წლის გიორგი მაისურაძემ, გიორგი შატბერაშვილს ორი ლეგენდა ჩააწერინა, რომელთაგან ერთი თმოგვის ციხეს ეხება, ხოლო მეორე, ხერთვისელი შურიანი ოსტატისა და მისი ნიჭიერი შვირდის ამბავს. თმოგვის ციხესთან დაკავშირებული ლეგენდა საკმაოდ იყო გავრცელებული მესხეთში. ლეგენდაში მოთხრობილია თმოგვის ციხის პატრონის სავარაუდოდ, სარგის თმოგველისა და მისი მეუღლის ამბავი. იგი მთავრდება თურქების მიერ მოღალატე ცოლის ცხენის ძუაზე გამობმით. მთქმელი გ. მაისურაძის აზრით, ვარძიის ახლომდებარე სოფლების – დანკალისა და აფნიას სახელწოდებები ამ ლეგენდას უკავშირდება. იმ ადგილს, სადაც ციხისთვის მეუღლემ იტირა და ცრემლები აფრქვია, ახლა „აფნია“ ეწოდება, ხოლო სადაც ცხენის ძუაზე გამოაბეს და თრევით მოკლეს - „დანკალი“ ჰქვია, რადგან გამწარებული ქალი გაჰკიოდა: „დამკალით, დამკალითო!..“. ამ შემთხვევაში ვერ დავეთანხმებით მთქმელ გიორგი მაისურაძეს, რადგან „დანკალი“ მდებარეობს სოფ. თმოგვიდან საკმაოდ მოშორებით. თმოგვის ციხე დიდი ისტორიული წარსულის მქონეა. მოღალატე ცოლის ტრაგიკული ამბავი ჩვენი აზრით, მის სახელს არ უნდა უკავშირდებოდეს. იგი თმოგვიდან დაშორებულ ადგილს – დანკალს შეეხმიანება და „დამკალ“ სიტყვასთან აკავშირებს. ამდენად, საქმე უნდა გვეჩონდეს ერთგვარ გადააზრებასთან. საქართველოს ისტორიამ არ იცის მსგავსი ფაქტი თმოგვის

ციხესთან დაკავშირებით. საფიქრელია, რომ თვითონ ადგილის სახელწოდება არსებობდა თავდაპირველად და შემდეგ შეიქმნა ტოპონიმთან დაკავშირებული ლეგენდა, რომელიც კარგად სცოდნია თმოგველ ბერიკაცს. მართალია, როგორც ყველა თქმულება, ისე თმოგვის ციხესთანაც დაკავშირებული, ხალხის მიერ შეთხზული და მოგონილი ამბავია, რომელიც ფარავს სიმართლეს, მაგრამ მაინც ისტორიული ფაქტების ანარეკლი უნდა იყოს, სადაც შეიძლება მოინახოს სინამდვილის შემცველი ელემენტებიც. ტოპონიმ „დანკალთან“ დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს მერაბ ბერიძე ნაშრომში “მესხეთის ტოპონიმთა სტრუქტურისა და ისტორიისათვის” (2008წ.) მკვლევრის აზრით, “გადმოცემა თმოგვის ციხის აღებაზე და ლეგენდა დანკალის შესახებ სხვადასხვაა და სულ ბოლო დროს დაუკავშირდა ერთმანეთს” (ბერიძე, 2008:152). ადგილობრივი მესხები “დანკალს”, ზოგჯერ “დამკალსაც” უწოდებენ, რაც მ. ბერიძის აზრით, არ უნდა იყოს მართებული, ვინაიდან “ ყველაზე ძველი სწორი ფორმა არის დანკალი, რომელიც უნდა მოდიოდეს ფორმიდან “დანკანი”, სადაც – კან ფალაური სუფიქსი უნდა იყოს. –კან სუფიქსი ჯავახეთში გვხვდება სახელში მურჯიკანი” (ბერიძე, 2008:152).

მეორე ლეგენდაში აღწერილია ხერთვისის ციხის ამშენებელი ოსტატისა და ახალგაზრდა შეგირდის ურთიერთობა. ლეგენდა თავისებური მესხური ვარიანტია მცხეთის სვეტიცხოვლის ამგებისადმი მიძღვნილი ეპიტაფიისა; „ხეკორძულას წყალი მისვამს, მცხეთა ისე ამიგია...” (გამსახურდია, 1976:7). მესხური ლეგენდის მიხედვით, შურიანი ოსტატის შეგირდი მარჯვენის მოკვეთით არ ისჯება, იგი თავისი აგებული ციხის ქონგურიდან გადმოვარდა და დაიღუპა. გიორგი შატბერაშვილმა მესხი მოხუცებისგან ლეგენდების გარდა, ჩაიწერა რამდენიმე ხალხური ლექსი, რომლებსაც „მესხური სუფრული” ეწოდებათ, ვინაიდან მათ მხოლოდ სუფრასთან მღეროდნენ. მწერლის მიერ იმავე გიორგი მაისურაძისგან ჩაწერილი ერთ-ერთი ლექსი ასეთია:

„მისი მადლით ზარი ზეცას აიწია,

დასაბამის კვდარი ადგა,

ყოვლი ყური მოინია...
ქრისტე დაჯდა გამკითხველად,
შვილი მამას ვერ ენია,
ჯანო, დარბაისელნო!” (შატბერაშვილი, 1975:291).

სერაპიონ ნათენაძემ (სოფ. თმოგვი 78 წლის) გიორგი შატბერაშვილს შემდეგი ლექსი ჩააწერინა:

„გარდამოხდა სიტყვა ხვთისა,
სამებას რომ შეეხო,
გაბრიელის ხარებითა
მზე ქალწულმა მუცლად ილო,
გამოეცხადა ივანე,
ნათლისღებას ხელი მიჰყო,
გვედრები ღვთიშობელო
მადლი შენი შეგვეწიოს!” (შატბერაშვილი, 1975:295).

„მესხური სუფრულები” რელიგიური შინაარსისაა და წმინდა წიგნის, „სახარების” გავლენითაა შექნილი. ნიშანდობლივია, რომ მესხი მთქმელებისა და გიორგი შატბერაშვილის მცდელობით „მესხური სუფრულები” არ დაიკარგა.

საინტერესო მსჯელობის საგანია გიორგი შატბერაშვილის ლიტერატურული ნარკვევებიც, მაგალითად, „გიორგი მეფის სამძიმარი” (1959წ.), რომელშიც ავტორი აღწერს XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიული წარსულის ერთ ეპიზოდს, როცა უცხოეთში გადახვეწილი ქართველები, განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, უმიზნო სიკვდილის მსხვერპლნი ხდებოდნენ. ნარკვევში ავტორის ყურადღება გამახვილებულია სამძიმრის იმ წერილზე, რომელიც 1707 წ. სპარსეთის ქ. ყანდაარიდან გამოუგზავნა ქართლის მეფე გიორგი XI-მ სულხან-საბა ორბელიანს, მისი ძმის ვახუშტი ორბელიანის გარდაცვალების გამო. გიორგი შატბერაშვილს ეს წერილი მოხმობილი აქვს ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით გამოცემულ

„საქართველოს სიძველენიდან”, ტ. II. როგორც ისტორიული ქრონიკებიდან ვიგებთ (იხ. ექვთიმე თაყაიშვილის „საქართველოს სიძველენი”, ტ. II, თბ; 1909, გვ. 209-224), ქართლის ცხოვრების იმ ავბედით დროს, ვახუშტი ორბელიანი სპარსეთის შაჰის კარზე მყოფ ქართლის მეფეს, გიორგი XI-ს ხლებია თანაშემწედ, მაგრამ მოულოდნელად გარდაცვლილა. გიორგი შატბერაშვილი მიიჩნევს, რომ გიორგი XI-ის სამძიმრის წერილი საინტერესოა სულხან-საბა ორბელიანის ბიოგრაფიის შესწავლისთვის. ამას ნათელყოფს წერილის ბოლო ნაწილი, სადაც ვკითხულობთ: „ლექსიკონი გამოგეგზავნა და ნეტამც იმას მოსწრებოდა, ვისთვისაც გამოგეგზავნა” (შატბერაშვილი, 1964:245). ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ სულხან-საბამ თავისი “სიტყვის კონა” ძმას გაუგზავნა სპარსეთში, მაგრამ ვახუშტი უკვე გარდაცვლილი ყოფილა. საბედნიეროდ, ლექსიკონი გიორგი XI-ის ხელში აღმოჩნდა და წერილსაც ამიტომ დაურთო ზემოაღნიშნული სიტყვები. ამასთან დაკავშირებით გიორგი შატბერაშვილი წერს: „უცნაური სევდის აღმძვრელია ეს სიტყვები...საუკუნეთა მიღმა ჩვენ თვალწინ ნათლად იხატება უცხოობაში იძულებით მყოფი ქართლის მეფის მჭევრვარე სახე, თავისი ნათესავისა და მეგობრის, სამშობლოს მოჭირნახულე ბრძენი ვაჟუაცის უბედობაზე ჩაფიქრებული და აღელვებული” (შატბერაშვილი, 1964:246).

„თვალადური ქართულის ჭაშნიკი”

სალიტერატურო ენას მწერლობა ემნის, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მრავალმა ქართველმა მწერალმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა ცოცხალი სასაუბრო ენისა და დიალექტების მიმართ, ამით ისინი მხარში ამოუდგნენ ენათმეცნიერებს.

ქართული სიტყვის სიღრმისეული კვლევით დაინტერესდა გიორგი შატბერაშვილიც. მშობლიურ ენაზე ზრუნვა მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების ერთი მთავარი ნიშანია. კრიტიკოსი ვახტანგ ჭელიძე აღნიშნავს: “ძნელი წარმოსადგენია ადამიანი ისეთი ალერსითა და მოწინებით ეპყრობოდეს თავის უსაყვარლეს არსებას, რა ალერსითა და მოწინებითაც გიორგი შატბერაშვილი

ქართულ ენას ეპყრობოდა”(ჭელიძე, 1975:193). დიდი შრომის ფასად გიორგი შატბერაშვილმა შეადგინა ქართლურ დიალექტში არსებული იშვიათი სიტყვა-თქმების კრებული, რომელსაც “თვალადური ქართულის ჭაშნიკი” უწოდა. “ჭაშნიკი” ფორმით ლექსიკონს ჰგავს, მაგრამ ლექსიკონის ჩარჩოებში ვერ ეტევა, უფრო მეტია და საინტერესო, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს ქართული ენის ამოუწურავ შესაძლებლობებს. “ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს!” (შატბერაშვილი, 1964:5), ეს სიტყვები, რომელიც XI საუკუნის ცნობილ საეკლესიო მოღვაწეს იოანე ზოსიმეს ეკუთვნის, ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს გიორგი შატბერაშვილის “ჭაშნიკს”, რაც სავსებით შეესაბამება მის შინაარსს. საგულისხმოა თავად მწერლის დამოკიდებულება ნაშრომისადმი: “თვალადური ქართულის ჭაშნიკი” თავისებური აღნაგობისა და ხასიათის ნაშრომია ფიქრებია ქართულ სიტყვაზე, მის აღნაგობაზე, გენეზისზე, ქართული ენის სხვადასხვა კილოების ნათესაურ-დამოკიდებულებაზე, შინაარსით თუ ფორმის მსგავსებაზე” (შატბერაშვილი, 1964:8). მიუხედავად იმისა, რომ “ჭაშნიკი” მეცნიერული ხასიათის ნაშრომია, იკითხება როგორც მხატვრული ნაწარმოები, მასში თავმოყრილი სიტყვები მოსაწყენ სალექსიკონო ფორმებს არ წარმოადგენენ. ისინი ცოცხალ მეტყველებაში ბუნებრივად არსებობენ და ორგანულად შეხამებულნი არიან საყოველთაოდ გავრცელებულ, ხშირად ხმარებულ სიტყვებთან. ამიტომ, დაკვირვებული მკვლევრის თვალი და გამჭრიახობაა საჭირო მათი სამზეობზე გამოსატანდ. გიორგი შატბერაშვილს არც ერთი აკლდა და არც მეორე, მისმა გამოკვლევამ ნათელყო, რომ ხალხის ცოცხალი მეტყველება, კერძოდ, ქართლური დიალექტი მდიდარ ლექსიკურ მარაგს შეიცავს. მაგალითად, საინტერესოა სიტყვები – ბარულა (ბავშვის ჩვრები), ხახვის დიაკვანი (ხახვის შიგნითა გული), მოქედურება (ქედის მოხრა), ანაგული (შუა გული), ავხელი (ქურდი), დილბანდი (დაფარული აზრი), უგლაგარჯი (უბრდელი, უხეში), ძგნარვა (ხარბი ჭამა) და სხვ. “ჭაშნიკში” უხვადაა შეტანილი ლამაზი ხატოვანი გამოთქმებიც: აზნაური ყანა (საუკეთესო ყანა), ბედაური ქალი

(ლამაზი ქალი), გულის გადაქართულება (სათქმელის გადავიწყება), ვეძა კაცი (ავსიტყვა კაცი), ნაყე-ნაყე კაცი (ზარმაცი), დედამინის სარჩული (მწვანე ბალახი), უნაცილო ნაცილი (წარმოუდგენელი ცილისწამება), ლურლურა მზე (მცხუნვარე მზე), შეძლეული ქალი (გასათხოვარი ქალი), ცალპირად ნაქსოვი კაცი (უხეირო კაცი), წოპლაზოზო ქალი (გაპრანჭული ქალი), წყალგარდა ბავშვი (ობოლი), ხიხრიკობა (სასმელ - საჭმელის ნაკლებობა), აქმა ქალი (ქმარგამონაცვალ ქალი), წამოგონება (მოულოდნელი გახსენება) და ა.შ. უნდა აღვნიშნოთ, რომ “ჭაშნიკში” გიორგი შატბერაშვილი მხოლოდ კვლევის შედეგებს არ გვთავაზობს, იგი გვამცნობს ძიების პროცესსაც. მწერალმა დიდი შრომა დახარჯა სიტყვების ჩასაწერად და შემდეგ მათი მნიშვნელობის ასახსნელად. ჩანერილ მასალას პირველ ყოვლისა, სულხან-საბა ორბელიანის “სიტყვის კონას” უდარებდა, შემდეგ “ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს”, რათა სიღრმისეულად გამოეკვლია მისი ძირითადი სემანტიკური მნიშვნელობა. გიორგი შატბერაშვილმა საკმაოდ სოლიდურ მასალას მოუყარა თავი, პარალელები გაავლო ქიზიყურ, გურულ, ხევსურულ, რაჭულ, მესხურ დიალექტებთან და ქართლურთან მიმართებაში ბევრი ფორმითა თუ შინაარსით იდენტური სიტყვები აღმოაჩინა.

“თვალადური ქართულის ჭაშნიკი”, მისი მეცნიერული ღირებულება სამართლიანად შეაფასეს ქართველმა მწერლებმა, ლიტერატურათმცოდნეებმა. საგულისხმო მოსაზრებები და შენიშვნები გამოთქვეს მწერალმა ოტია პაჭკორიამ, ზურაბ ჭუმბურიძემ, ვახტანგ ჭელიძემ, სარგის ცაიშვლმა და ქართული ფოლკლორის საკითხთა მკვლევარმა ფიქრია ზანდუკელმა. ვახტანგ ჭელიძე მიიჩნევს, რომ „თვალადური ქართულის ჭაშნიკის“ შედგენა ურთულესი და შრომატევადი საქმე იყო. გიორგი შატბერაშვილმა ცოცხალი, ქართლური დიალექტიდან სალიტერატურო ენაში შემოიტანა მრავალი სიტყვა და გაამდიდრა მისი ლექსიკური მარაგი. ბევრმა ფრაზამ და ხატოვანმა გამონათქვამმა მწერლის თხზულებებში კანონიერი უფლებები შეიძინა, მტკიცედ დამკვიდრდა, ორგანულად შეეთვისა სიტყვათა დანარჩენ მარაგს. გიორგი

შატბერაშვილი ვ. ჭელიძის აზრით, “გამუდმებით მუშაობდა, გამუდმებით სწავლობდა ქართულ ენას. ათასნაირი უბის წიგნაკი ჰქონდა. გულმოდგინედ იწერდა ხოლმე ცოცხალ სამეტყველო ენაში დავიწყების ზღვარზე მისულ სიტყვებსა და გამოთქმებს, აღარებდა, აჭერებდა, ამონმებდა” (ჭელიძე, 1975:194).

„თვალადური ქართულის ჭაშნიკმა“ უდავოდ დიდი სამსახური გაუწია ფოლკლორის საკითხებით დაინტერესებულ მკვლევარებს, დიალექტოლოგებს. ამ დამსახურებაზე მიუთითებდა ფიქრია ზანდუკელი და აღნიშნავდა, რომ “გიორგი შატბერაშვილის “ჭაშნიკი” დადასტურებაა აგრეთვე იმ გულმოდგინე მუშაობისა, რომელსაც მწერალი ეწეოდა ხალხში გავრცელებული თქმების, სიტყვების შესაკრებად. აქვე წარმოდგენილი შენიშვნები და განმარტებები უთუოდ დიდხანს დაეხარება როგორც ფოლკლორისტებს, ისე ეთნოგრაფებს, დიალექტოლოგებს და საერთოდ, ქართული კულტურის ისტორიით დაინტერესებულ პირებს” (ზანდუკელი, 1974:113). “ჭაშნიკით” დაინტერესებული იყო სახელოვანი მეცნიერი აკაკი შანიძეც და გიორგი შატბერაშვილს მიუთითებდა ლექსიკონის გასრულება დროულად უზრუნველყო. როგორც ჩანს, მწერალი ხშირად მიმართავდა მეცნიერს სათანადო კონსულტაციებისთვის. “ჭაშნიკის” შედგენასა და დამუშავებაში ავტორს ღირსეული თანადგომა გაუწიეს მეცნიერებმა – ნიკო კეცხოველმა, ალექსანდრე ბარამიძემ, მიხეილ ჩიქოვანმა, სარგის ცაიშვილმა და შოთა ძიძიგურმა. გიორგი შატბერაშვილს სამომავლოდ განზრახული ჰქონდა შეედგინა და გამოეცა ქართლური დიალექტების უფრო სრულყოფილი, მსხვილმასშტაბიანი სიტყვა-თქმების ლექსიკონიც სახელწოდებით “თვალადური ლექსიკონი”, რაზეც მისი სიტყვები მიუთითებენ: “მთლიანი “თვალადურის ლექსიკონის” დამთავრება და გამოქვეყნება ისევ მომავლის საქმედ მეჩვენება” (შატბერაშვილი, 1964:7). თავად დაუცხრომელი მოამაგე ქართული სიტყვისა, თავის უმცროს მეგობარს, დამწყებ ლიტერატორს-სულხან ქეთელაურს მოუწოდებდა, რომ აუცილებლად შეედგინა ხევსურულ სიტყვა-თქმათა ლექსიკონი და მხარდაჭერასაც ჰპირებოდა. სამწუხაროდ, გ. შატბერაშვილმა ვერც თავად

მოასწრო „თვალადური ლექსიკონის“ შედგენა და ვერც სულხან ქეთელაურს გაუნია დახმარება, იგი მოულოდნელად გარდაიცვალა.

გიორგი შატბერაშვილის გამოკვლევები თავდაუზოგავი შრომისა და ძიების ნაყოფია. წერილების უმრავლესობაში ნათლად ჩანს მკვლევრის ალლო, ლოგიკური დასკვნების გამოტანის ჩინებული უნარი. მისთვის არ არსებობს დიდი თუ მცირე ფაქტი, მთავარია, სიახლე შემატოს საკვლევ ობიექტს. მასალის დაუფლება და შემდეგ ფრთხილი მოსაზრებების გამოთქმა, ერთადერთი მართებული გზაა შატბერაშვილისთვის მეცნიერული ძიების პროცესში. მწერლის გამოკვლევები, ესეისტური ჩანაწერები შორსაა ღრმამეცნიერული აზროვნებისგან, მაგრამ უდავოა, რომ მოკრძალებული წვილილი შეიტანა ქართული ფილოლოგიური აზროვნების განვითარებაში, რომ საზოგადოებისთვის მანმადე ბევრ უცნობ საკითხს მოჰფინა ნათელი.

გიორგი შატბერაშვილმა, რომელიც მეცნიერული კეთილსინდისიერებით იკვლევდა მისთვის საინტერესო საკითხებს, გარდაცვალებამდე ექვსი წლით ადრე თავი მოუყარა სხვადასხვა დროს დაწერილ გამოკვლევებს, ლიტერატურულ წერილებს და 1959 წელს ერთ წიგნად გამოსცა. მწერალმა წიგნს სახელად “ნათქვამი” უწოდა. “წიგნს “ნათქვამი” დავარქვი, - წერდა გ. შატბერაშვილი. ცხადია, ყველაფერი, რაც ქალაქდზე გადაგვაქვს და ბევრი რამ სხვაც, რაც თავში და გულში გვიტრიალებს, ფიქრის შედეგია, ნათქვამია, ამიტომ ამ წიგნის სახელიც არაზუსტი და პირობითია. როცა წიგნს ამ სახელს ვარქმევდი, ვგულისხმობდი იმას, რაც მე მიფიქრია ჩემი ძირითადი საქმიანობის გვერდით” (შატბერაშვილი, 1959:3). ავტორი წიგნში მკითხველებს უზიარებს დიდი ხნის ძიებაზე დამყარებულ მოსაზრებებს, შეხედულებებს, ლოგიკურ დასკვნებს. მისი აზრით, შეუძლებელია მწერალი არ უფიქრდებოდეს იმ საკითხებს, რაც თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობა, ენათმეცნიერება, ფოლკლორისტიკა ან ისტორიოგრაფია აღძრავს. მეცნიერების ამა თუ იმ დარგისთვის, რაც უნდა მცირე იყოს, ან უჩვეულო მწერლის მუშაობის შედეგი,

მას პირიქით, თვით მწერლისთვის აქვს სასიკეთო მნიშვნელობა. “ნათეფრის” შესახებ სარგის ცაიშვილი ასეთ მოსაზრებას გამოთქვამდა: “ქართული მწერლობისა და ლიტერატურათმცოდნეობის ბევრ საკითხებზე დაგვაფიქრებს გიორგი შატბერაშვილის ეს წიგნი და მას სიამოვნებით წაიკითხავს ქართული სიტყვის ყველა მოყვარული” (ცაიშვილი, 1977:132). ნათელია, რომ ს. ცაიშვილის მოსაზრება შემუშავებულია და გამოთქმული მყარი, ობიექტური დასკვნების საფუძველზე.

გიორგი შატბერაშვილის ლიტერატურული გამოკვლევები, ესეები შემდეგში კვლავ გამოიცა. მაგალითად, საყურადღებოა, 1964 წელს გამოცემული “ჭაშნიკი” და 1975 წელს გამოცემული თხზულებათა სრული კრებულის მეოთხე ტომი, რომლებშიც შევიდა მწერლის მეცნიერული ხასიათის წერილების უმრავლესობა, გამოკვლევები, მოსაზრებები, ესეები და ნარკვევები.

დასკვნა

გიორგი შატბერაშვილი უხვი ლიტერატურული მემკვიდრეობით გამოირჩევა. ჩვენი განსაკუთრებული დაინტერესება მწერლის პიროვნებით გამოიწვია მისი შემოქმედების თემატურმა მრავალფეროვნებამ, მისმა მხატვრულმა ენამ, პოეტური ხედვის ორიგინალურმა ხერხებმა.

მიგვაჩნია, რომ მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობა სრულყოფილად არ არის შესწავლილი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ეპიზოდური ხასიათის ცალკეულ წერილებს. გამომდინარე იქიდან, რომ გიორგი შატბერაშვილის შემოქმედება აქამდე არ ყოფილა საგანგებო მეცნიერული კვლევის საგანი, მიზნად დავისახეთ მისი შემოქმედების შესწავლა, თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებში მისი მონაწილეობის მასშტაბის განსაზღვრა, იმ თავისებურებათა წარმოჩენა, რომლებიც განსაკუთრებულ გამომსახველობას ანიჭებენ მწერლის პოეზიასა და პროზას.

XX საუკუნის 30-იანი წლების ქართულმა სალიტერატურო კრიტიკამ, უფრო სწორად საბჭოთა კრიტიკამ, ჯეროვნად ვერ შეათვასა ახალგაზრდა გიორგი შატბერაშვილის პირველი შემოქმედებითი ნაბიჯები. პირიქით, იგი სრულიად უსათუძვლოდ ანტისაბჭოთა მწერლად შერაცხა და იმდროინდელმა ხელისუფლებამ პოლიტიკური ბრალდებით შუა აზიაში გადაასახლა. 50-იანი წლების სალიტერატურო კრიტიკასაც გაუჭირდა გიორგი შატბერაშვილის შემოქმედების ობიექტური განსჯა. მწერალმა გარკვეული ყურადღება მხოლოდ 60-იანი წლების დამდეგს მიიპყრო და ეს სასიკეთო პროცესი მისი სიკვდილის შემდეგ ახლო ხანებშიც გაგრძელდა.

გიორგი შატბერაშვილის შემოქმედებაზე დიდი გავლენა იქონია პირადმა ცხოვრებამ, ამიტომ ვიდრე შევისწავლიდით მწერლის პოეზიას, პროზას, დრამატურგიას, პირველ რიგში, ყურადღება გავამახვილეთ ბიოგრაფიაზე. ამ თვალსაზრისით მოგვცა ჩავწვდომოდა გიორგი შატბერაშვილის მხატვრულ სამყაროს, რომელიც ნათლად გამოიკვეთა პოეტურ და პროზაულ თხზულებებში, მის მიერ შექმნილ მხატვრულ სხეულებში.

გიორგი შატბერაშვილი განათლებულ, პროგრესულად მოაზროვნე ოჯახში დაიბადა და აღიზარდა. მამა, ივანე რომანოზის ძე შატბერაშვილი თბილისის სათავადაზნაურო ბიბლიოთეკის გამგე-არქივარიუსი იყო, ხოლო დედა – თამარ იოსების ასული გოგიბედაშვილი ფრიად ნაკითხი ქალი, რომელმაც ზედმინევენით იცოდა ქართული ჰაგიოგრაფია, კლასიკური ეპოქისა და „აღორძინების ხანის“ ქართული მწერლობა. შატბერაშვილების ოჯახთან მეგობრობდნენ ქართული კულტურის გამოჩენილი მოღვაწეები, მწერლები, მეცნიერები, საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები (გენერალი – გიორგი მაზნიაშვილ, გერონტი ქიქოძე, მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, შოთა ძიძიგური, თედო სახოკია,ოთარ ჩხეიძე, ჰავლე ინგოროყვა, ივანე ჯავახიშვილი, აკაკი შანიძე.), რომლებიც ხშირად სტუმრობდნენ ივანეს ოჯახს ხან თბილისში, ხან სოფ.თვალადაში და მსჯელობდნენ აქტუალური პრობლემების ირგვლივ. ასეთმა განათლებულმა და ინტელექტუალურმა ატმოსფერომ კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა მომავალი მწერლის შემოქმედებაზე.

წინამდებარე ნაშრომში თემატური თვალსაზრისით შევისწავლეთ გიორგი შატბერაშვილის პოეტური შემოქმედება, რომელიც ქართული პოეზიის მდიდარი ტრადიციებითაა ნასაზრდოები. მწერალი ჭაბუკობიდანვე ერთგული დარჩა ქართული კლასიკური სალექსო ფორმების, იგი ამ ფორმებით სრულყოფილად ახერხებდა ცხოვრების სინამდვილის მხატვრულად ასახვას. მეტი ძალისხმევით უღერს პოეტის ლექსების უმრავლესობა, თუმცა არც მუსიკალური უღერადობა აკლიათ, რომელთა თემა საინტერესო და მრავალფეროვანია. ამ გააზრებით, გიორგი შატბერაშვილის პოეზიაში რამდენიმე რკალი შეიძლება გამოიყოს: ეროვნული თემა, საქართველოს ისტორიული წარსული, სატრფიალო ლირიკა, საყმაწვილო ლექსები, ბუნების მხატვრული აღწერა.

ეროვნული პრობლემის ასახვა ყოველთვის წარმოადგენდა ქართული პოეტური კულტურის ძირითად იდეას. სამშობლოს სიყვარული მხოლოდ უნაზესი ან

განსაკუთრებული გრძნობების გამომჟღავნებას არ გულისხმობს. ამ გრძნობებში იკვეთება პიროვნების მსოფლმხედველობაც, დამოკიდებულება რეალურ სინამდვილესთან, წარსულთან, აწმყოსა და მომავალთან. მაღალი ეროვნული იდეალებიდან ჩანს და ფასდება ის ყველაფერი სასიკეთო, რაც საზოგადოებასთანაა დაკავშირებული. ამ ყოვლისმომცველობის გამოა სამშობლოს სიყვარული განუმეორებელი და ამოუწურავი. ეროვნული თვითშეგნების გაცხადება ზოგ შემოქმედს აშკარად ხელენიფება, ზოგს უხმაუროდ ურჩევნია გაამხილოს თავისი გულისნადები. მწერალთა ამ კატეგორიას ეკუთვნის გიორგი შატბერაშვილიც. მისი ცხოვრების გზასა და პოეტურ ბიოგრაფიას მუდამ ასაზრდოებდა სამშობლოს სიყვარულის განცდა.

ჭეშმარიტი შემოქმედი თავისი ქვეყნის წარსულს ვერ მოსწყდება, რადგან მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის სათავე სამშობლოს წიაღშია. იგი თავის მოვალეობად და მთავარ ღირსებად მიიჩნევს წეროს წარსულზე შეუღამაზებლად, ობიექტურად და ამით საზოგადოება გამსჭვალოს ოპტიმიზმის ნათელი რწმენით, გაუღვივოს მას სიკეთისთვის მებრძოლი სული. გიორგი შატბერაშვილის სიამაყეა თავისი ქვეყნის გმირული ისტორია და სწამს მისი საუკეთესო მომავლის. სწორედ, წარსულისა და მომავლის გონივრულ კავშირში ხედავს იგი ადამიანთა ყველაზე დიდ სიბრძნეს. ისტორიის სურათებს პოეტი ხშირად იყენებს კონკრეტული მხატვრული სახეების შესაქმნელად. წარსულის ლამაზი განცდითაა დანერგილი არაერთი ლექსი, რომელთა სტრიქონებს გმირი წინაპრების თაყვანისმცემის კულტი განსაზღვრავს.

გიორგი შატბერაშვილის მხატვრული აზროვნების უნარი შესანიშნავად იჩენს თავს სატრფიალო ლირიკაშიც, რომელიც ამაღლებულ სიყვარულს ეძღვნება, ხოლო ამ შინაარსით შექმნილი პოეტური სტრიქონები მეტი სინატიფით გამოირჩევიან. მწერალის ტროპული მეტყველების სახეებისა და ზოგადად, გამომსახველობითი ხერხების მოხდენილი გამოყენებით, ამ მიმართულებითაც ლამაზ, პოეტურ სახეებს ჰქმნის. მისი აზრით, სატრფიალო ლირიკა პოეზიის უღამაზესი დარგია, სადაც მკაფიოდ

ვლინდება შემოქმედის სულიერი სამყარო. გიორგი შატბერაშვილის სატრფიალო ლექსები არაა ბუნდოვანი ქვეტექსტის მქონე, აქ ყველაფერი პირდაპირ და ნათლადაა ნათქვამი. მან სიყვარულის თემაზე დაწერილი მრავალი ნიმუში დაგვიტოვა, რომლებიც პოეტური ხერხების გარდა, თავისი უშუალოებით მკითხველის ყურადღებას ადვილად იმსახურებენ. მწერლის სატრფიალო პოეზიაში ხან სიყვარულის დიდი აღტაცება ჩანს, ხან განვლილი წლებით გამოწვეული სევდა. სიყვარულის განცდით დაწერილ ლექსებში ავტორი არ ღალატობს მგრძნობიარე შემოქმედის თვისებებს. უნდა აღვნიშნოთ, რომ გიორგი შატბერაშვილის სატრფიალო ლირიკაში გვხვდება უფერული ლექსებიც, რომელებშიც ამაღლებული სიყვარულის ნაცვლად გრძნობათა პრიმიტიულობა ჩანს, თუმცა ისინი მწერლის სატრფიალო ლირიკას ვერ ჩრდილავენ. გიორგი შატბერაშვილის პოეზიაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მან ღრმად გაიზიარა ქართული ლექსის კეთილხმოვანება და ტრადიციული სატრფიალო ლირიკა ახალი პოეტური ფერებით გაამდიდრა.

ფიქრები სამშობლოს ხვალისდელ დღეზე ბუნებრივად ექსოვება მოზარდი თაობის იდეურ-მორალური და ესთეტიკური აღზრდის ურთულეს პრობლემას. ადამიანის სულიერი ფორმირების პროცესში ერთი გადამწყვეტი როლი საყმანვილო ლიტერატურას ეკუთვნის, ამიტომ გიორგი შატბერაშვილის დაინტერესება ამ კუთხით არაა შემთხვევითი. მის საბავშვო პოეზიაში მკაფიოდ, მხატვრულადაა ასახული ახალგაზრდების მისწრაფებები და სურვილები. გიორგი შატბერაშვილს ოსტატურად ეხერხება ყმანვილთათვის საინტერესო თემების შერჩევა, ფაქტებისა და მოვლენების შემოქმედებითად წარმოჩენა. პოეტს არ უყვარს განყენებული მსჯელობა, ხელოვნურად გაგრძელებული თხრობა და მშრალი დარიგებების მიცემა. მოზარდის სულიერი სამყაროს ასახვისას, იგი იყენებს სადა, მაგრამ მკაფიო მეტაფორებს, ეპითეტებს. ლექსები ევფონიურია, ხოლო მხატვრული სახეები მკითხველს ხიბლავს თავისი შინაგანი სამყაროთი, რომლებიც სავსებით გამოხატავენ მწერლის მსოფლმხედველობასა და ახალგაზრდების სულისკვეთებას. გიორგი შატბერაშვილი

საყმაწვილო პოეზიაში ისეთ სახეებს ხატავს, რომლებშიც ცხადდება ახალგაზრდა თაობის საუკეთესო თვისებები. საყმაწვილო ლექსებში იგრძნობა მწერლის სიყვარული პატარა გმირებისადმი, რომლებსაც უყვართ შრომა და სწავლა, უფროსების პატივისცემა. გიორგი შატბერაშვილის საბავშვო ლექსები ლაკონურია, მათში ბავშვებისთვის ბევრი საინტერესო საკითხია წამოჭრილი და რაც მთავარია, დაწერილია ადვილად ასათვისებელი ენით.

გიორგი შატბერაშვილის პოეტური მემკვიდრეობიდან აღსანიშნავია პოემა „ზაფხულის ღამის ქრონიკა“ (1962წ.), რომელშიც სევდიანი ფერებით აღწერილია თორმეტი წლის გოგონას, თამარ ულენტის ტრაგიკული თავგადასავალი. პოემა სინამდვილის მხატვრული ასახვით განსაკუთრებული მოვლენაა არა მარტო გიორგი შატბერაშვილის შემოქმედებაში, არამედ მეოცე საუკუნის 60-იანი წლების ქართულ პოეზიაში.

გიორგი შატბერაშვილის პოეზიის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ იგი გამორჩეული მხატვრული აზროვნების შემოქმედია. მისი ლირიკის მომხიბვლელობა პოეტური ხერხების სიმრავლით აიხსნება. შედარება. მეტაფორა, ეპითეტი, პერსონიფიკაცია და სხვა მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები გიორგი შატბერაშვილის პოეზიის განუყოფელი, ძირითადი ნაწილებია. ასევე მდიდარია მისი პოეტური ლექსიკის მარაგიც. მწერალი შესანიშნავად ფლობს და იყენებს როგორც სალიტერატურო, ისე ცოცხალ სასაუბრო-სამეტყველო ენას, განსაკუთრებით ქართლურ დიალექტს. იგი არ ეკუთვნის შემოქმედთა იმ კატეგორიას, ვისთვისაც არსებობს მხოლოდ ტრადიციული პოეტური ლექსიკა. გიორგი შატბერაშვილი ყოველ ფრაზაში პოეტურ შინაარსს ეძებს, ცდილობს არ გამოიყენოს გავრცელებული და ხშირად თქმული სიტყვები. ამ ასპექტით, გიორგი შატბერაშვილი უზადო ესთეტიკურ გემოვნებას ამჟღავნებს, რომ სწორედ ამითაცაა გამოწვეული მისი პოეზიის ცხოველმყოფელობა.

გიორგი შატბერაშვილის მხატვრული ოსტატობა განსაკუთრებით პროზაში გამოვლინდა, რომელიც თემატური თვალსაზრისით პოეზიის მსგავსად

მრავალფეროვანია. მწერალმა რამდენიმე მოთხრობაში მხატვრული ფერებით გააცოცხლა ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსული, ასევე რეალისტურად ასახა მეორე მსოფლიო ომისდროინდელი ქართული სოფლის ცხოვრება.

შინაარსიანია მწერლის მიერ ისტორიული წარსულის ამსახველი მოთხრობებიც, თითოეულ მათგანში სამშობლოსთვის თავდადების იდეაა განვითარებული. მართალია, გიორგი შატბერაშვილის დამოკიდებულება ისტორიული წარსულისადმი ზოგჯერ რომანტიკოსი შემოქმედის მანერას ჰგავს, მაგრამ ამ კუთხით შექმნილ თხზულებებში ვხვდებით რეალისტური ფერებით დახატულ და გაცოცხლებულ სურათებს. მწერლის ისტორიული პროზა ეროვნული ხასიათისაა, ხოლო პერსონაჟები ცნობილი ისტორიული პირები. გიორგი შატბერაშვილი არ აიდეალებს ჩვენი ქვეყნის წარსულს და არც მხოლოდ უარყოფით მოვლენებზე ამახვილებს ყურადღებას. იგი წარსულში ხედავს კარგსაც და ცუდსაც, თუმცა მიზნად არ ისახავს მოვლენების ზედმიწევნით აღწერას. მწერლისთვის არსებითია, გვიჩვენოს რომელიმე კონკრეტული ეპოქის განმსაზღვრელი თავისებურებები. ამდენად, გიორგი შატბერაშვილის ისტორიული ხასიათის ნაწარმოებებში ნათლად იკვეთება ძველი საქართველოს წარმატებები და ნაკლოვანებები, ქართველი ხალხის სიხარული და ტკივილი. ისტორიული შინაარსის მოთხრობები არ შეიცავს რაიმე გადასაჭრელ პრობლემებს, არამედ მწერლისთვის მთავარია თანამედროვეებს მხატვრული ფერებით გაუცოცხლოს წინაპართა თავდადება ერისა და ქვეყნის წინაშე.

მეორე მსოფლიო ომის დროს ქართველმა ხალხმა თავისი ფიქრი და განცდა მტერზე გამარჯვების იდეას დაუკავშირა. იმ ეპოქის ქართულ მწერლობაში (გიორგი ლეონიძე, მირზა გელოვანი, მურმან ლებანიძე) გამოიკვეთა ახალი თემა, რომლის მიზანი იყო ომის მძიმე წლების ასახვა. დაიწერა მრავალი ნაწარმოები, რომელთა შორის იყო გიორგი შატბერაშვილის მოთხრობები. ამ თხზულებებში ძირითადად აისახა ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი რთული ცხოვრება, თანამედროვეობის სულიერი

სამყარო და ზნეობრივი სინწინდე. მწერალმა ასახა ზურგში დარჩენილთა ყოველდღიურობაც. ზოგი მოთხრობის ფაბულა მარტივია, მაგრამ საინტერესოა სიუჟეტური განვითარებით. მწერალი განზრახ როდი ართულებს მოვლენებს, არ ქმნის ყალბ სიტუაციებს, რომლებსაც ხელოვნურად შეუძლიათ მკითხველში ინტერესის, ან თუნდაც ემოციის აღძვრა.

გიორგი შატბერაშვილის პროზის სრულყოფილი კვლევის მიზნით, ყურადღება გავამახვილეთ მის საყმანვილო მოთხრობებზე, მითუმეტეს ამ კუთხით მწერალს უხვი ლიტერატურული მემკვიდრეობა აქვს შექმნილი. საბავშვო მოთხრობების შესწავლის შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ: გიორგი შატბერაშვილის საყმანვილო პროზას ახასიათებს კომპოზიციური მთლიანობა, სტილის სისადავე. აქ თითქმის არ არსებობს ზედმეტი დეტალი სიუჟეტურ განვითარებას რომ აფერხებდეს, თხრობა ლაკონურია და ხატოვანი. მწერლის მსუბუქი იუმორი მხატვრულ სახეთა აღქმას აადვილებს და შემეცნებითი პროცესი ხალისიანი ხდება. გიორგი შატბერაშვილის საყმანვილო ლიტერატურაში გამომსახველობითი ხერხების მრავალფეროვნების გამო მკვეთრადაა გამოხატული სწრაფვა დიალოგებისკენ, რაც თხრობის ერთ-ერთ ფორმად უნდა მივიჩნიოთ. წერის ეს მეთოდი მეტ უშუალობას მატებს თითქმის ყველა მოთხრობას. პატარა მკითხველი ამ დროს თავისუფლდება ზედმეტი დატვირთვისგან, იგი საუბრის ერთ მონაწილედ გრძნობს თავს, რაც სასიამოვნო განცდას უქმნის. გიორგი შატბერაშვილის საბავშვო ნაწარმოებების შესახებ სხვადასხვა დროს გამოითქვა საყურადღებო მოსაზრებები და შენიშვნები ლიტერატურის კრიტიკოსთა მიერ. ანგარიშგასაწევია – შალვა აფხაიძის, ანა ღვინიაშვილის, ფიქრია ზანდუკელის შეხედულებები, რომლებიც დაგვეხმარა ჩვენთვის საინტერესო საკითხების კვლევაში.

გიორგი შატბერაშვილის თხრობის ორიგინალური სტილი და მთავარი იდეის მხატვრულ ფორმებში ასახვა სრულყოფილად გამოვლინდა ვრცელ მოთხრობაში „მკვდრის მზე“ (1959წ.). ნაწარმოებში ავტორი გვიხატავს წუთისოფლის შუქ-

ჩრდილებს, ადამიანთა ურთიერთობების მეშვეობით ახდენს ზნეობრივ ფასეულობათა ანალიზს. „მკვდრის მზის“ პერსონაჟები თითქოს, მწერლის სულიერი და სისხლხორცეული ნაწილებია. მათთან ახლოს მყოფი გიორგი შატბერაშვილი მოგვითხრობს იმას, რასაც ხედავს, გრძნობს და განიცდის, ეს კი ნაწარმოებს მეტ ხიბლსა და დამაჯერებლობას ანიჭებს.

გიორგი შატბერაშვილმა თავისი პროზით, ქართული მწერლობის ტრადიციებზე დაყრდნობითა და თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებით, ახალი მხატვრული სახეებით გაამდიდრა ეროვნული ლიტერატურა. გიორგი შატბერაშვილის პროზა ძირითადად ემყარება ქართულ მწერლობაში მცირე ფორმის მოთხრობის შექმნის ტრადიციას, ამიტომ წარმოგვიდგება იგი მცირე მოცულობის ნაწარმოებების თხზვის ოსტატად. მწერლის მოთხრობების თემა ცხოვრებისეულია, თანამედროვე. მას სწამს სინამდვილის შთამაგონებელი ძალის, რომელსაც აქვს უნარი ჩვეულებრივ მოვლენებში დაინახოს სილამაზე და ღრმად განიცადოს იგი. გმირთა მოქმედების არეალი ძირითადად ქართლის სოფლებია, მწერლისთვის მშობლიური და კარგად ნაცნობი. ეს გმირები მონყვეტილნი არიან საქვეყნო დიდ საქმეებსა და სოფლური იდილიის სიმშვიდეში ჰპოვებენ სულიერ სიმშვიდეს, თუმცა შეხამებულნი არიან თავიანთი ცხოვრების ცივილიზაციასთან. მწერალს, ძირითადად, უბრალო ადამიანები აინტერესებს, მათი სულიერი სამყარო ხიბლავს და იზიდავს.

გიორგი შატბერაშვილი იყო არა მარტო პოეტი, ან პროზაიკოსი, არამედ დრამატურგიული ნაწარმოებების ავტორიც და ფოლკლორულ, ლექსიკოლოგიური საკითხების მკვლევარიც. მან შემოქმედებითი ცხოვრება ლექსების წერით დაიწყო, მაგრამ ახალგაზრდობაშივე სცადა კალამი დრამატურგიაში. იგი ქართველ მწერალთა იმ თაობის წარმომადგენელია, რომლის დრამატურგიულმა ნაწარმოებებმა ჩქარა დაიმკვიდრეს ადგილი ქართული თეატრის სცენებზე. მწერლის დრამატურგიული თხზულებები ყურადღებას იპყრობენ მოქმედ გმირთა გამოკვეთილი ხასიათებით, დახვეწილი დიალოგებით, რაც აუცილებელია სასცენო

ნაწარმოებებისთვის. მართალია, გიორგი შატბერაშვილმა დრამატურგიაში ისეთი წვლილი ვერ შეიტანა, როგორც პოეზიასა და პროზაში, მაგრამ ისიც ნათელია, რომ გარკვეული ამაგი დასდო ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებას.

გიორგი შატბერაშვილის შემოქმედების, მისი ინტერესების სფეროს ერთი ძირითადი ნაწილია ესეისტური წერილები, ფოლკლორული ჩანაწერები. იგი ერთი იმ მწერალთაგანია, ვინც ყოველთვის იყო დაინტერესებული ქართული ფოლკლორით. მწერალი არა მარტო მხატვრულ შემოქმედებაში იყენებს ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, არამედ განსაკუთრებით უღრმავდება ხალხური შემოქმედების ზოგიერთ საკითხს და საყურადღებო მოსაზრებებს გამოთქვამს. გიორგი შატბერაშვილი ესწრაფოდა ქართული სიტყვის სიღრმისეულ კვლევას. მშობლიურ ენაზე ზრუნვა, მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების ძირითადი კრედაა. მან დიდი ხნის კვლევა-ძიების შემდეგ შეადგინა ქართლურ დიალექტში არსებული იშვიათი სიტყვა-თქმების ლექსიკონი, რომელსაც „თვალადური ქართულის ჭაშნიკი“ უწოდა. ლექსიკონმა უდავოდ, დიდი სამსახური გაუწია ფოლკლორის საკითხებით დაინტერესებულ მკვლევრებს, ენათმეცნიერებს, ლიტერატურათმცოდნეებს.

გიორგი შატბერაშვილის გამოკვლევები გვიჩვენებენ, რომ თითოეული მათგანი დიდი გარჯის ნაყოფია, მათში ნათლად იკვეთება მკვლევრის ალლო, მართებული დასკვნების გამოტანის შესანიშნავი უნარი. მწერლისთვის არ არსებობს დიდი თუ მცირე საკითხი, მისთვის არსებითია სიახლე შესძინოს საკვლევ ობიექტს. მასალის დაუფლება და შემდეგ ფრთხილი მოსაზრებების გამოთქმა გიორგი შატბერაშვილისთვის, როგორც მკვლევრისთვის ერთადერთი მართებული გზაა მეცნიერული ძიების პროცესში.

• • •

შევისწავლეთ რა გიორგი შატბერაშვილის შემოქმედება სრულფასოვნად, საბოლოოდ, შეგვიძლია დავასკვნათ: მწერლის მხატვრულ-ლიტერატურული მემკვიდრეობა მუდამ იყო საზოგადოებრივად აქტუალური და დროსთან დაკავშირებული, ვინაიდან, ყოველთვის გამოხატავდა თვით საზოგადოების ფართო ფენების ფიქრსა და განწყობილებას. მისი პოეზია თუ პროზა მუდამ იყო მკვეთრი, ნათელი იდეური შინაარსის მქონე. ჩვენი შეფასებით, სწორედ, ამაშია გიორგი შატბერაშვილის შემოქმედების მთავარი ღირსება.

შემოქმედთა უმრავლესობას და მით უფრო იმ მწერალს, ვისაც პასუხისმგებლობის მაღალი განცდა ამოძრავებდა, მუდამ ანუხებდა კითხვა: შეძლო თუ არა ისე სრულყოფილად იდეურ-მხატვრულად თავისი შემოქმედება, როგორც ეს ჭეშმარიტ ხელოვანს შეეფერება. ვფიქრობთ, რომ გიორგი შატბერაშვილმა თავისი შემოქმედებით ამ მარადიულ კითხვას დამაჯერებლად უპასუხა.

ამდენად, წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი - „გიორგი შატბერაშვილის შემოქმედების პრობლემატიკა“ მწერალ გიორგი შატბერაშვილის პიროვნებისა და ლიტერატურული მემკვიდრეობის მეცნიერული შესწავლის პირველი, მოკრძალებული ცდაა, რაც გამოიხატა მისი შემოქმედების, მსოფლმხედველობისა და მხატვრული თავისებურებების წარმოჩინებით.

გამოყენებული ლიტერატურა და საჟურნალო-საგაზეთო პუბლიკაციები

I. ლიტერატურა:

1. აგიაშვილი, 1986: აგიაშვილი ნ., პირად-პირადი, თბ., 1986.
2. არველაძე, 2015: არველაძე ბ., მწერლის ბედისწერა, თბ., 2015.
3. ასათიანი, 1983: ასათიანი გ., თანამდევნი სულები, თბ., 1983.
4. ასეევი, 1990: Асеев Н., стихотворения, поэмы, воспоминания, статьи, М., 1990.
5. აფხაიძე, 1959: აფხაიძე შ., კრიტიკული წერილები, თბ., 1959.
6. ბარათაშვილი, 1968: ნ.ბარათაშვილი., ლექსები, ბედი ქართლისა, თბ., 1968.
7. ბართაია, 1967: ბართაია ე., დიდი სამამულო ომის თემა ქართულ პოეზიაში, თბ., 1967.
8. ბაქრაძე, 1990: ბაქრაძე ავ., მწერლობის მოთვინირება, თბ., 1990.

9. ბახტინი, 1975: Бахтин М., Вопросы Литературы И Эстетики, М., 1975.
10. ბახტინი, 1986: Бахтин М., Вопросы Литературно-критические статьи, М., 1986.
11. ბერიძე, 2008: ბერიძე მ., მესხეთის ტოპონიმთა სტრუქტურისა და ისტორიისათვის, თბ., 2008.
12. ბორევი, 1988: Боров Ю., Эстетика, М., 1988.
13. გაგუა, 1991: გაგუა ვ., იაკობ გოგებაშვილი, თბ., 1991.
14. გამსახურდია, 1976: გამსახურდია ვ., თხზულებანი, ტ. IV, თბ., 1976.
15. გეგეჭკორი... 1980: გეგეჭკორი გ., კვიციანი ე., ქართული კლასიკური პოეზიის ანთოლოგია, თბ., 1980.
16. გეგეჭკორი... 1984: გეგეჭკორი გ., კვიციანი ე., ჭანტურია ტ., სიყვარულის წიგნი, თბ., 1984.
17. გეგეჭკორი, 1985: გეგეჭკორი გ., სიკეთის ტოტი, თბ., 1985.
18. გვრიტიშვილი, 1955: გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955.
19. გოგებაშვილი, 1954: გოგებაშვილი ი., თხზულებანი, ტ. II, თბ., 1954.
20. გოგებაშვილი, 1990: გოგებაშვილი ი., თხზულებანი, ტ. II, თბ., 1990.
21. ღუმბაძე, 1984: ღუმბაძე ნ., შთაბეჭდილებები, სტატიები, გამოსვლები, თბ., 1984.
22. ზანდუკელი, 1974: ზანდუკელი ფ., ფოლკლორი და ქართველი საბავშვო მწერლები, თბ., 1974.
23. თოფურია... 1968: თოფურია ვ., გიგინეიშვილი ივ., ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1968.
24. ინაური, 1993: ინაური ვ., ვასილ ბარნოვის (ბარნაველის) „ტრობა წამებულის“ მწიგნობრივი იდეალები, თბ., 1993.
25. კანკავა, 1972: კანკავა გ., ლიტერატურული შენიშვნები, თბ., 1972.

26. კეკელიძე , 1981: კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, , თბ., 1981.
27. კვერენჩილაძე, 2014: კვერენჩილაძე რ., წამების გზა, წიგნი I, თბ., 2014.
28. კიკნაძე, 1989: კიკნაძე გრ., ვაჟა - ფშაველას შემოქმედება, თბ., 1989.
29. ლომთათიძე, 1956: ლომთათიძე ჭ., მოთხრობები, თბ., 1956.
30. ნატროშვილი, 1978: ნატროშვილი გ., პოეტი და წუთისოფელი, თბ., 1978.
31. ნიშნიანიძე, 1970: ნიშნიანიძე შ., მზე შუბის ტარზე, თბ., 1970.
32. ორბელიანი, 1989: ორბელიანი გრ., საღამო გამოსალმებისა, თბ., 1989.
33. პაჭკორია, 1969: პაჭკორია ო., ლიტერატურული წერილები, თბ., 1969.
34. პაჭკორია, 1973: პაჭკორია ო., დრო და სახელები, თბ., 1973.
35. პაჭკორია, 1986: პაჭკორია ო., ხმა სინათლეა, თბ., 1986.
36. რუსთაველი, 1963: რუსთაველი შ., ვეფხისტყაოსანი, თბ., 1963.
37. რჩეულიშვილი, 1965: რჩეულიშვილი გ., მოთხრობები, პიესები, თბ., 1965.
38. სიხარულიძე, 1975: სიხარულიძე ქ., ქართული ხალხური პოეზია, ტ. IV, თბ., 1975.
39. ქუთათელი, 1972: ქუთათელი ალ., პირისპირ, წიგნი III-IV, თბ., 1972.
40. ღვინიაშვილი, 1972: ღვინიაშვილი ა., ნარკვევები ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1972.
41. ღვინაძე, 2004: ღვინაძე თ., გიორგი შატბერაშვილი და ქართული სალიტერატურო ენა, თბ., 2004.
42. ყუბანიშვილი, 1946: ყუბანიშვილი ს., ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ნაწ. I, თბ., 1946.
43. შავიშვილი, 1975: შავიშვილი თ., ფიგურალურ სიტყვა-თქმების კრებული,

თბ., 1975.

44. შატბერაშვილი, 1932: შატბერაშვილი გ., ლექსები, თბ., 1932.
45. შატბერაშვილი, 1954: შატბერაშვილი გ., მოთხრობები, თბ., 1954.
46. შატბერაშვილი, 1955: შატბერაშვილი გ., მერცხლის ბუდე, თბ., 1955.
47. შატბერაშვილი, 1956: შატბერაშვილი გ., ა იმ მთაზე, თბ., 1956.
48. შატბერაშვილი, 1959: შატბერაშვილი გ., ნაფიქრი, თბ., 1959.
49. შატბერაშვილი, 1960: შატბერაშვილი გ., მკვდრის მზე, თბ., 1960.
50. შატბერაშვილი, 1960: შატბერაშვილი გ., ჩემს ძველ სახლში, თბ., 1960.
51. შატბერაშვილი, 1962: შატბერაშვილი გ., პოეზია, პროზა, თბ., 1962.
52. შატბერაშვილი, 1963: შატბერაშვილი გ., პიესები, თბ., 1963.
53. შატბერაშვილი, 1964: შატბერაშვილი გ., გზა, განვლილი, გზა, თბ., 1964.
54. შატბერაშვილი, 1964: შატბერაშვილი გ., ჭაშნიკი, თბ., 1964.
55. შატბერაშვილი, 1966: შატბერაშვილი გ., ლექსები, პოემა, თბ., 1966.
56. შატბერაშვილი, 1967: შატბერაშვილი გ., მოთხრობები, თბ., 1967.
57. შატბერაშვილი, 1968: შატბერაშვილი გ., სათაფლია, თბ., 1968.
58. შატბერაშვილი, 1970: შატბერაშვილი გ., თხზულებანი, ტ. I, თბ., 1970.
59. შატბერაშვილი, 1972: შატბერაშვილი გ., თხზულებანი, ტ. I I, თბ., 1972.
60. შატბერაშვილი, 1974: შატბერაშვილი გ., თხზულებანი, ტ. III, თბ., 1974.
61. შატბერაშვილი, 1975: შატბერაშვილი გ., თხზულებანი, ტ. IV, თბ., 1975.
62. შატბერაშვილი, 1976: შატბერაშვილი გ., მტკვრის სათაფისკენ, თბ., 1976.
63. ჩარკვიანი, 1971: ჩარკვიანი ჯ., ძველი და ახალი, თბ., 1971.
64. ჩხარტიშვილი, 1993: ჩხარტიშვილი რ., ქართული სალიტერატურო კრიტიკის უახლესი ისტორიიდან, თბ., 1993.
65. ჩხეიძე, 1992: ჩხეიძე რ., დაწყველილი თაობა, თბ., 1992.

66. ჩხენკელი, 1989: ჩხენკელი თ., მშენიერი მძლევარი, თბ., 1989.
67. ცაიშვილი, 1977: ცაიშვილი ს., ლიტერატურული წერილები, თბ., 1977.
68. ცაიშვილი, 1984: ცაიშვილი ს., ლიტერატურული ეტიუდები, თბ., 1984.
69. ცაიშვილი, 1986: ცაიშვილი ს., წინამორბედნი და თანამედროვენი, თბ., 1986.
70. ჭავჭავაძე, 1984: ჭავჭავაძე ი., თხზულებანი, თბ., 1984.
71. ჭელიძე, 1975: ჭელიძე ვ., ფიქრები ხვალინდელ დღეზე, თბ., 1975.
72. ჭელიძე, 1989: ჭელიძე ვ., ძვირფასი სილუეტები, თბ., 1989.
73. ჭუმბურიძე, 1975: ჭუმბურიძე ზ., ლიტერატურული წერილები, თბ., 1975.
74. ხუბაშვილი, 1962: ხუბაშვილი გ., მწერალი და დრო, თბ. 1962.
75. ჯიბუტი, 1954: ჯიბუტი ვ., ქართველი საბავშვო მწერლები, თბ., 1954.
76. ჯიბუტი, 1973: ჯიბუტი ვ., წერილები, მოგონებები, თბ., 1973.

II . საყურნალო პუბლიკაციები:

1. ქარელიშვილი, 1980: ქარელიშვილი ე., სიცოცხლე გრძელდება, უერნ. „მნათობი“, თბილისი, 1980, № 5.
2. ქაროსანიძე, 1980: ქაროსანიძე ც., კარგის საზღვარი არ არსებობს, უერნ. „მნათობი“, თბილისი, 1980, № 5.
3. ღვინიაშვილი, 1958 : ღვინიაშვილი ა., გიორგი შატბერაშვილის
4. „მერცხლის ბუდის“ გამოცემის გამო, უერნ. „მნათობი“, თბილისი, 1958, № 9.
5. შერაზადაშვილი, 1953: შერაზადაშვილი ზ., საჯილდაო ქვა, უერნალი

- „დროშა“, თბილისი, 1953, № 4.
6. ცაიშვილი, 1985: ცაიშვილი ს., მადლი მშობლიური ენისა, უურნ.
„მნათობი“, თბილისი, 1985, № 6.
 7. ჭელიძე, 1990: ჭელიძე მ., „მკვდრის მზის“ ფილოსოფიური საზრისი,
უურნ. „მნათობი“, თბილისი, 1990, № 6.
 8. ხორგუაშვილი, 1990: ხორგუაშვილი გ., მოგონებები გიორგი
შატბერაშვილზე, უურნ. „მნათობი“, თბილისი, 1990, № 5.

III საგაზეთო პუბლიკაციები:

1. აბაშიძე, 1965: აბაშიძე ირ., ჩვენი გიორგი, გაზ. „ლიტერატურული
საქართველო“, თბილისი, 1965, №17.
2. ახვლედიანი, 2004: ახვლედიანი გ., სიცოცხლის ხატი, გაზ.
„ლიტერატურული საქართველო“, თბილისი, 2004, №38.
3. ოშიაძე, 1965: ოშიაძე ალ., მეგობრის ხსოვნას, გაზ,
„ლიტერატურული საქართველო“, თბილისი, 1965, №17.
4. ორაგველიძე, 1935: ორაგველიძე კ., კულაკური ახალგაზრდობის

- დეკლარაცია, გაზ. „ლიტერატურული გაზეთი“, თბილისი, 1935, №17.
5. შამანაძე, 1965: შამანაძე ნ., აგიზიდავს დიდი ტვირთი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, თბილისი, 1965, №17.
 6. ხიმშიაშვილი, 2004, ხიმშიაშვილი დ., სანამ მოგონებები ბინდისფერია, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, თბილისი, 2004, №21.
 7. „ლიტერატურული საქართველო“, 1965: გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, გიორგი შატბერაშვილი, თბილისი, 1965, №17.
 8. „ლიტერატურული საქართველო“, 1965: გაზ. „ლიტერატურული საქართველო“ გიორგი შატბერაშვილის დაკრძალვა, თბილისი 1965, №17.